

აბატი პრევი

მანონ ლესკო

თარგმანი ფრანგულიდან ქეთევან ირემაძისა

ავტორის წინათქმა

მართალია, მე შემეძლო შევალე და გრიეს თავგადასავალი ჩემს „მოგონებებში“ ჩამერთო, მაგრამ რადგან მათ შორის აუცილებელი კავშირი არ არსებობს, ვფიქრობ, მკითხველი უფრო კმაყოფილი დარჩება, მას რომ ცალკე გაეცნობა. ესოდენ ვრცელი მოთხრობა დიდი ხნით შესწყვეტდა ჩემი საკუთარი ისტორიის ძაფს. მე სრულებით არ ვიჩემებ ნამდვილი მწერლის სახელს. თუმცა კარგად ვიცი, რომ თხრობა უნდა განიჭვიროთოს დანვრილებითი ამბებისაგან, რომელთაც შეუძლიათ დაამძიმონ და საკითხავად ძნელი გახადონ იგი. ასეთია ჰორაციუსის რჩევა:

Ut jam nunc dicat jam nunc debentia dici,

*Pleraque differat et praesens in tempus omittat*¹.

არც არის საჭირო ასეთი დიდი ავტორიტეტის დამონშემა, რათა ეს მარტივი ქეშმარიტება დავამტკიცო, რადგან სალი გონება პირველი წყაროა ამ წესისა.

თუ მკითხველებმა ჩემი ცხოვრების ისტორიაში ცოტა რამ სასიამოვნო და ყურადღების ღირსი

ჰპოვეს, გავკადნიერდები და შევპირდები, რომ ამ წიგნით ისინი ნაკლებ კმაყოფილნი როდი დარჩებიან. ბ-ნ დე გრიეს ყოფაქცევაში დაინახავენ ადამიანზე ვნებათა გამეფების საშინელ მაგალითს. მე უნდა დავხატო დაბრმავებული ახალგაზრდა, რომელიც უარს ამბობს ბედნიერებაზე, რათა ნებაყოფლობით თავი ჩაიგდოს უკიდურეს უბედურებაში, რომელსაც გააჩნია ყველა ის თვისება, რაც უზრუნველჰყოფს

¹ „დე, ავტორმა ავგინეროს ის, რისი გადმოცემაც არის საჭირო; ყველაფერი დანარჩენი კი უნდა შეიტანოს მოთხრობაში“.

ბრწყინვალე მდგომარეობას, მაგრამ სიმდიდრისა და ბუნებისაგან მოცემულ ყოველგვარ უპირატესობას ამჯობინებს ბნელ და მოხეტიალე ცხოვრებას; იგი წინასწარ ხედავს თავის უბედურებას, მაგრამ არა სურს თავიდან აიცილინოს იგი, გრძნობს ამ უბედურების მთელ სიმძიმეს, მაგრამ არ მიმართავს წამლებს, რასაც განუწყვეტილვ ანვდიან და რასაც ყოველ წუთს შეუძლია იხსნას იგი. ერთი სიტყვით, ორმაგი ხასიათი, სათნოებისა და ბინიერების ნარევი კეთილ მისწრაფებათა და ცუდ ქცევათა მუდმივი ჭიდილი, - ასეთია იმ სურათის ფონი, რომელსაც მე ვხატავ. ამგვარ ნაწარმოებს სალი გონების პირნი ფუჭ ნამუშევრად არ მიიჩნევენ.

სასიამოვნო საკითხავის გარდა, მასში იპოვნიან ბევრ ისეთ მოვლენას, რომელიც ჭკუის სასწავლადაც გამოდგება. ხოლო ჩემის აზრით, მკითხველი რომ გაართო და კიდევ დაარიგო, ეს იმას ნიშნავს, რომ კარგი სამსახური გაუნიო მას.

როდესაც ზნეობრივ წესებს ჩაუფიქრდებით, შეუძლებელია არ გააოცოთ იმ გარემოებამ, რომ

ერთსა და იმავე დროს ადამიანები მათ პატივითაც ეპყრობიან და კიდევ უგულვებელყოფენ. თავის თავს ეკითხები: რა არის ადამიანის გულის იმ უცნაური თვისების მიზეზი, რომ, კეთილისა და სრულყოფის იდეებით გატაცებული, იგი საქმით შორდება მათ. თუ გონიერი და კეთილად აღზრდილი ადამიანები ჩაუკვირდებიან, რა შეადგენს მათი ჩვეულებრივი საუბრის ან, თუნდაც მათი განმარტოებული ფიქრის საგანს, არ გაუძნელდებათ შენიშნონ, რომ ისინი თითქმის მუდამ ზნეობრივ მოსაზრებებს უტრიალებენ. თავიანთი ცხოვრების ყველაზე უტკბეს წუთებს ისინი ატარებენ ან განმარტოებულად, ან მეგობრებთან გულწრფელ საუბარში - სათნოების მომხიბვლელობაზე, მეგობრობის სიტკბოებაზე, ბედნიერების მისაღწევ გზებზე, ჩვენი ბუნების სისუსტეზე, რომელიც გვაშორებს ამ ბედნიერებას, და ამის გამოსწორების საშუალებებზე. ჰორაციუსი და ბუალო ამგვარ მსჯელობაზე მიუთითებენ როგორც ერთ-ერთ შესანიშნავ თვისებაზე, რომელიც ბედნიე-

რი ცხოვრების სახეს წარმოადგენსო. მაშ რით უნდა აიხსნას, რომ ჩვენი აზრების სიმაღლეებიდან ასე ადვილად დავეშვებით და უცებ დაბალ დონემდე დავალთ ხოლმე? შეიძლება ვცდებოდე, თუ ის მოსაზრება, რომელსაც აქ მოვიყვან, საკმაოდ ვერ ხსნის ჩვენს იდეებსა და ჩვენს ყოფაქცევას შორის არსებულ წინააღმდეგობას. საქმე ისაა, რომ ზნეობრივი წესები მხოლოდ გაურკვეველ და ზოგად პრინციპებს წარმოადგენენ, ამიტომ მეტად ძნელია მათი ზუსტი გამოყენება ამა თუ იმ ჩვეულებისა და საქციელის დროს. მოვიყვანოთ მაგალითი: კეთილშობილი პიროვნებანი ჰგრძნობენ, რომ მოკრძალება და ადამიანობა მიმზიდველი სათნოებაა და მზად არიან მისდიონ მათ, მაგრამ იმ წუთს, როდესაც საჭიროა მათი

განხორციელება, ისინი ხშირად გაუბედავად უკან იხევენ. შესაფერია თუ არა ნამდვილად ეს შემთხვევა? რამდენად კანონიერი იქნება მივმართოთ სწორედ მათ? ხომ არა ვცდებით ამა თუ იმ პირის შესახებ? ათასი ეჭვი გვაჩერებს: გვეშინია სულელად არ ჩავთვალონ, როდესაც გვინდა ქველმოქმედი და გულუხვი გავხვდეთ; ხასიათის სისუსტედ არ ჩამოგვართვან, როდესაც მეტისმეტ გულჩვილობას და გრძნობიერებას ვიჩინთ: ერთის სიტყვით, იქნებ ან გადავაჭარბოთ, ან საკმაოდ ვერ შევასრულოთ მოვალეობა, რომელიც მეტად ბუნდოვნადაა გამოსახული ადამიანობისა და სათნოების ზოგადი ცნებებით. ასეთი გაურკვეველობის დროს მხოლოდ გამოცდილებას ან მაგალითს შეუძლია სწორად წარმართოს გულისთქმა. მაგრამ გამოცდილება არ არის ისეთი სიკეთე, რომელიც ყველას თავისუფლად ეძლევა, იგი იმ ათასნაირ გარემოებაზეა დამოკიდებული, რომელშიაც ადამიანი ბედის სურვილის მიხედვით ვარდება. ასე რომ, რჩება მარტო მაგალითი, რომელიც ზოგიერთს სახელმძღვანელოდ გამოადგება მათს ზნეობრივ ქცევებში.

ასეთი მკითხველისათვის შეიძლება მეტად სასარგებლო იყოს ამგვარი ნაწარმოები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც იგი დაწერილია ღირსეული და გონიერი ადამიანის მიერ: აქ აღწერილი ყო-

ველი მოვლენა არის სინათლის სხივი, დარიგება, რომელიც გამოცდილების მაგივრობას გასწევს; ყოველი შემთხვევა მაგალითია ზნეობრივი ჩამოყალიბებისათვის, საჭიროა მხოლოდ შეუფარდო იმ გარემოებას, რომელშიაც იმყოფები.

ნაწარმოები მთლიანად წარმოადგენს ზნეობრივ ტრაქტატს, გასართობ დავალებათა სახით გადმოცემულს.

სასტიკმა მკითხველმა შეიძლება შეურაცხყოფილად იგრძნოს თავი, რომ მე, ამ ხნის კაცმა, ხელი მოვკიდე კალამს, რათა აღწერო საბედისწერო სატრფიალო ამბები; მაგრამ თუ ზემომოყვანილი ჩემი მსჯელობა საფუძვლიანია, მაშინ იგი გამამართლებს, ხოლო თუ ყალბია, - მეპატიოს.

ნაწილი პირველი

იძულებული ვარ მკითხველი ჩემი ცხოვრების იმ ხანაში გადავიყვანო, როდესაც პირველად შევხვდი შევალზე და გრიეს: ეს იყო ესპანეთში ჩემს გამგზავრებამდე დაახლოებით ექვსი თვის წინათ. თუმცა მე იშვიათად ვანებებდი თავს განმარტოებულ ცხოვრებას, მაგრამ სურვილი - მომეგო ჩემი ქალიშვილის გული მაიძულებდა, ხანდახან მომეხდინა მცირე მოგზაურობანი, რასაც, რამდენადაც კი შესაძლებელი იყო, ვამოკლებდი.

ერთხელ რუანიდან ვბრუნდებოდი, სადაც ჩემი ქალიშვილის თხოვნით წავედი, რათა ნორმანდიის პარლამენტში მომეგვარებინა მისი სამკვიდრო მამულის გადაცემის საქმე. პაპიჩემიდან (დედის მხრივ) მომდინარე უფლება ამ მამულზე მე ჩემს ქალიშვილს გადავეცი. გამოვბრუნდი რა ევრეს გზით, სადაც პირველი ღამე გავათიე, მეორე დღეს სადილობისას ქალაქ პასიში ჩავედი; იგი ევრეს ხუთი თუ ექვსი მილით არის დაშორებული. დაბაში შესვლისას გამაოცა მცხოვრებთა შეშფოთებამ. ისინი სახლებიდან გამორბოდნენ და ჯგუფ-ჯგუფად მიემართებოდნენ ერთ საძაგელ სასტუმროსაკენ, რომლის წინაც ორი

დაჩარდახებული ოთხთვალა ფორანი იდგა. ცხენები სიცხისა და დაღლილობისაგან ძლივს იდგენენ ფეხზე, ისინი ჯერ კიდევ გამოხსნილნი არ იყვნენ, ეტყობოდა, ორივე ფორანი ახალი მოსული იყო.

ერთი წუთით შეეჩერდი, მინდოდა გამეგო ამ აურზაურის მიზეზი, მაგრამ ცნობისმოყვარე მოსახლეობისაგან ბევრი ვერაფერი შევიტყე, ბრბო არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ჩემს გამოკითხვას და ერთმანეთის ჯგლეთით სასტუმროსაკენ მიიწევდა. ბოლოს კარებში გამოჩნდა მხარზე თოფგადებული აშურმიანი მცველი. ხელით ვანიშნე ჩემთან მოსულიყო. როდესაც მომიახლოვდა, ვთხოვე აეხსნა ამ არეულობის მიზეზი. - „არაფერია, ბატონო! - მიპასუხა მან, - აქ იმყოფება თორმეტიოდე მხიარული ქალიშვილი, რომელთაც მე და ჩემი ამხანაგები ჰავრამდე ვაცილებთ. იქ გემებში ჩავსხამთ ამერიკაში გასაგზავნად. მათ შორის რამდენიმე ეშხიანი გოგოც არის. ალბათ ამან გააღვივა კეთილი მოსახლეობის ცნობისმოყვარეობა“.

მივიღე რა ასეთი განმარტება, მზად ვიყავ გზა განმეგრძო, მაგრამ მოხუცი დედაკაცის ქოთქოთმა შემაჩერა. იგი სასტუმროდან გამოვიდა, ხელებს იმტვრევდა და გაჰყვიროდა: ეს საშინელებაა, ველურობაა, არ შეიძლება ადამიანმა ამას გულგრილად უცქიროსო. - „რა ამბავია?“ - მივმართე მას. - „ოჰ, ბატონო! შებრძანდით, - მიპასუხა მან, - და დარწმუნდებით, რომ ასეთი სანახაობისაგან გული გაუსკდება ადამიანს“. ცნობისმოყვარეობა გაღვიძებული ჩამოვხტი ცხენიდან და აღვირი ჩემს მხლებელს გადავეცი. ძლივს გავარღვიე შეჯგუფებული ბრბო, შევედი შიგ და მართლაც გულის ამაჩუყებელი რამ ვნახე.

თორმეტ ქალიშვილს შორის, რომელთაც ნელში ჩაბმული ჯაჭვი ორ ჯგუფად ჰყოფდა, იყო ერთი,

რომელიც თავისი სახით და გარეგნობით ისე არ ეგუებოდა ახლანდელ მდგომარეობას, რომ სხვა შემთხვევაში მას მაღალი წრის ქალად მივიჩნევდი. მისი სახის დაღვრემილობა, და ჭუჭყიანი კაბა ისე ნაკლებად აუშნობდა, რომ მისმა გამომეტყველებამ ჩემში მოკრძალება და სიბრალული გამოიწვია. რამდენადაც ჯაჭვი ამის ნებას აძლევდა, იგი

ცდილობდა მიბრუნებულიყო, რათა პირი აერიდებინა მაყურებელთათვის. ეს ცდა იმდენად ბუნებრივი იყო, რომ ეტყობოდა, მორცხვობით სჩადიოდა ამას.

ექვსი მცველი, რომელნიც ამ უბედურთ თან ახლდნენ, იქვე იყვნენ ოთახში. მე განზე გავიხმე მათი უფროსი და შევეკითხე ამ მზეთუნახავის ბედის შესახებ. მან მხოლოდ ზოგადი ცნობები გადმომცა: - „ჩვენ წამოვიყვანეთ იგი თავშესაფარიდან, - მიპასუხა მან, - ბატონ პოლიციის გენერალ-ლეიტენანტის ბრძანებით. ცხადია, კარგი საქმისათვის არ იქნებოდა იქ მოთავსებული. გზაში რამდენჯერმე დავკითხე, მაგრამ დაჟინებით დუმს. თუმცა ნაბრძანები არა მაქვს სხვებზე უფრო მზრუნველობით მოვექცე მას, მე მაინც მეტი პატივით ვეპყრობი, რადგან ვფიქრობ, ის თავის ამხანაგებზე მეტის ღირსია. აი, ამ ახალგაზრდას, - დაუმატა პოლიციელმა, - შეუძლია უფრო კარგად გადმოქცეთ ამ ქალის უბედურების მიზეზი, ვიდრე მე, იგი პარიზიდან მოსდევს, განუწყვეტლივ სტირის, ალბათ ამ ქალის ძმაა, ან საყვარელი“.

მე იმ კუთხისაკენ მივბრუნდი, სადაც ახალგაზრდა კაცი იჯდა. ეტყობოდა, ღრმა ფიქრებში იყო

ნასული. არასოდეს არ მინახავას მწუხარების გამომხატველი უფრო ცოცხალი სურათი. ეცვა სულ უბრალო ტანისამოსი, მაგრამ კარგი ოჯახის შვილს და რიგიანად აღზრდილ ადამიანს პირველივე შეხედვით გამოარჩევ. მივუახლოვდი თუ არა, იგი წამოდგა ჩემს შესახვედრად. მის თვალებსა, სახესა და მთელ მის მოძრაობაში იმდენი სიფაქიზე და კეთილშობილება ამოვიკითხე, რომ ბუნებრივად განვიმსჭვალე მისდამი თანაგრძნობით.

- „გთხოვთ ნუ შეწუხდებით! - მივმართე მას და ახლო მივუჯექი, - ხომ არ დააკმაყოფილებთ ჩემს ცნობისმოყვარეობას ამ ლამაზი ქალის შესახებ, რომელიც არა მგონია შექმნილი იყოს იმ საცოდავ მდგომარეობისათვის, რომელშიაც მას ვხედავ?“

მან თავაზიანად მიპასუხა, რომ ქალის სახელს ვერ გაამხელს, ამასთან თავის თავსაც არ გამაცნობს, რადგანაც მას საკმაო საფუძველი

მოეპოვება იმისათვის, რომ მოერიდოს ყოველივეს საქვეყნოდ გამოტანას. - „შემიძლია მაინც გაგიმხილოთ ის, რაც ამ სალახანებისათვისაც კი არ წარმოადგენს საიდუმლოებას, - განაგრძო მან და პოლიციელებზე მიმითითა, - მე მიყვარს ეს ქალი ისეთი ძლიერი სიყვარულით, რომელიც მომაკვდავთ შორის უუბედურეს ადამიანს მხდის, მისი გულისათვის ყველაფერი მოვიმოქმედე პარიზში, რომ გამეთავისუფლებინა. ვერც მუდარით, ვერც მოხერხებით, ვერც ძალით ვერაფერს ვერ გავხდი; გადავწყვიტე, თან გავყვე, თუნდაც ცხრა მთას იქით, მასთან ერთად ჩავჯდები გემში და ამერიკას გავემგზავრები. მაგრამ დახეთ სადამდე

მიდის ადამიანის გულქვაობა! ეს საზიზლარი არამზადები მასთან მისვლის ნებასაც არ მაძლევენ - დაუმატა მან პოლიციელებზე - განვიზრახე აშკარად მათ თავს დავსხმოდი, პარიზიდან რამდენიმე მილის მოშორებით. მოველაპარაკე ოთხ კაცს, დამპირდნენ დახმარებას, თუ დიდ თანხას მივცემდი. როცა საქმე ბრძოლაზე მიდგა, მოლაღატეებმა მიმატოვეს შეტაკების დროს და ჩემი ფული გაიტაცეს. რაკი საკუთარი ძალით ვერას გავხდი, იძულებული ვიყავი იარაღი დამეყარა. პოლიციელებს მივმართე გაყოლის ნება მაინც მოეცათ, დავპირდი სასყიდელს. სიხარბემ აიძულა დამთანხმებოდნენ. ისინი მუდამ მოითხოვდნენ ჩემგან სასყიდელს იმისათვის, რომ მაძლევდნენ საუბრის საშუალებას ჩემს სატრფოსთან. მალე ქისა დამიცარიელდა და ახლა, როდესაც უგროშოდ დავრჩი, იმდენ ულმობელობას იჩენენ, რომ როგორც კი ნაბიჯს გადავდგამ მისკენ, უხეშად ხელსა მკრავენ. სულ რამდენიმე წუთის წინათ, მათი მუქარის მიუხედავად, გავბედე მასთან მიახლოება; იმდენად გათავხედდნენ, რომ თოფიც კი დამიმიზნეს. მათი სიხარბე რომ დავაკმაყოფილო და ქვეითად მაინც განვაგრძო გზა, იძულებული ვარ აქ გავყიდო ჯაგლაგი ცხენიც, რომლითაც ამდენ ხანს მოვდევი“.

თითქოს დამშვიდებული მიაბობდა იგი თავის თავგადასავალს, მაგრამ დაასრულა თუ არა თხრობა, რამდენიმე ცრემლი გადმოსცვივდა თვალთაგან. უცნაურად და შემადრწუნებლად მეჩვენა ეს ამბავი. -

„არ მოვითხოვ - მივმართე მე, - გამიმხილოთ თქვენი საიდუმლოება, მაგრამ თუ შემძლია რეთიმე დაგეხმაროთ, მზადა ვარ თქვენი სამსახურისათვის“. - „ვაიმე, რომ იმედის

მკრთალ სხივსაც კი ვერა ვხედავ! - მომიგო მან - უნდა დავემორჩილო ჩემს მწარე ხვედრს. გავემგზავრები ამერიკას, იქ მაინც ვიქნები თავისუფალი იმასთან ერთად, ვინც მიყვარს. მივწერე ერთ ჩემს მეგობარს და ის ჰავრ-დე-გრასში მცირეოდენ დახმარებას გამიწევს. ვცდილობ როგორმე მივალწიო ნავსადგურს და ცოტათი მაინც შევუმსუბუქო გზა ამ საბრალლო ქმნილებას,“ - დაუმატა მან და მწუხარედ გაიხედა თავის სატრფოსაკენ. - „მომეცით ნება, - მივმართე მას, - ბოლო მოვულო ამ თქვენს საზრუნავს. გთხოვთ მიიღოთ ჩემგან ცოტაოდენი ფული. ძალიან ვწუხვარ, რომ სხვანაირად არ შემძლია დაგეხმაროთ“.

ოთხი ოქრო გადავეცი მას მცველების შეუმჩნეველად, რადგან განვსაჯე: შეიტყობდნენ თუ არა ამ თანხის შესახებ, ისინი უფრო ძვირად მიჰყიდნენ თავიანთ მომსახურებას. აზრად მომივიდა შევევაჭრებოდი პოლიციელებს, რომ შეყვარებული ჭაბუკისათვის მიეცათ სატრფოსთან დაუბრკოლებელი საუბრის უფლება ჰავრამდე. მოვიხმე მცველთა უფროსი და მივეცი შესაფერი წინადადება. მიუხედავად მისი დამახასიათებელი თავხედობისა, მგონი შერცხვა - „ჩვენ, ბატონო, არ აგვიკრძალავს მისთვის ქალიშვილთან საუბარი - მიპასუხა მან, - მაგრამ სურს განუყრელად მის გვერდით იყოს, ეს კი ჩვენთვის უხერხულია, ხოლო უმართებულო არ უნდა იყოს, რომ უხერხულობისათვის ცოტაოდენი გადაიხადოს. - „კეთილი, მამ რამდენი უნდა მოგცეთ, რომ ამ ტვირთმა არ დაგამძიმოთ?“ - შევეკითხე. იგი იმდენად თავხედი აღმოჩნდა, რომ ორი ოქრო მომთხოვა. დაუყონებლივ გადავეცი. - „მხოლოდ გაფრთხილებთ, - დავურთე - თალლითობა ნუ

იქნება. მე ამ ახალგაზრდას ჩემს მისამართს დავუტოვე, რათა ყველაფერი მაცნობოს და მერწმუნეთ, მოვახერხებ რომ თქვენი თავი დავასჯევინო“. ეს შეხვედრა ექვსი ოქრო დამიჯდა.

მისმა ზრდილობამ და მხურვალე მადლობამ, რომელიც ახალგაზრდა უცნობმა გადამიხადა, საბოლოოდ დამარწმუნა, რომ კარგი ოჯახის შვილთან მქონდა საქმე და რომ იგი ჩემი სიუხვის ღირსი იყო. გამოთხოვებისას რამდენიმე სიტყვით მივმართე მის სატრფოს, მან ისეთი ნაზი და მომხიბვლელი მოკრძალებით მიპასუხა, რომ წასვლისას ძალაუნებურად გამიელვა ათასმა აზრმა ქალთა ხასიათის მიუწვდომლობის შესახებ.

შინ დაბრუნების შემდეგ განმარტოებულმა ველარაფერი გავიგე ამ ამბის შემდგომი მსვლელობის შესახებ. ორიოდე წელმა განვლო. სრულიად დამავიწყდა ეს ამბავი, მაგრამ მოულოდნელმა შემთხვევამ საშუალება მომცა დანვრილებით გამეგო ყოველივე.

ლონდონიდან ჩემს მონაფესთან, მარკიზ დე...სთან ერთად კალეში ჩამოვედი. თუ მეხსიერება არ მღალატობს, სასტუმრო „ოქროს ლომში“ ჩამოვხტივით, სადაც რაღაც მიზეზის გამო იძულებული გავხდით მთელ დღეს და მეორე ღამესაც დავრჩენილიყავით. ნაშუადღევს, ქუჩაში სერიზობისას, თითქოს მომეჩვენა: ვხედავ იმ ახალგაზრდა უცნობს, რომელსაც პასიში შევხვდი. ძალიან ცუდად ეცვა და უფრო ფერმკრთალი იყო, ვიდრე პირველი შეხვედრისას. მკლავზე ძველი სამგზავრო აბგა ეკიდა, ეტყობოდა ახალი ჩამოსული იყო ქალაქში.

ლამაზი სახის გამო მისი ცნობა სიძნელეს არ წარმოადგენდა. - „მივიდეთ იმ ყმანვილთან“, - მივმართე მარკიზს.

გადმოცემა არ შეიძლება იმისა, თუ როგორ გაეხარდა, როდესაც თავის მხრივაც მიცნო. - „ოჰ, ბატონო! - წამოიძახა მან და ხელზე მაკოცა, - ერთხელ კიდევ მეძლევა საშუალება უდიდესი მადლობა გადაგიხადოთ“. - ვკითხე, საიდან ჩამოსულხართ-მეთქი. მიპასუხა - ზღვით ჰავრიდან, სადაც რამდენიმე ხნის წინათ ამერიკიდან დავბრუნდი. - „ძალიან უნდა გიჭირდეთ, - მივმართე. - ნადით ახლავე სასტუმრო „ოქროს ლომში“, სადაც მე ვარ ჩამომხდარი და მეც იქ გავჩნდები“.

დავბრუნდი სასტუმროში. მოთმინების ფიალა ამევსო, მინდოდა დანვრილებით გამეგო, მისი უბედობისა და ამერიკაში გამგზავრების ამბავი. მივუაღერსე და განკარგულება გავეცი არაფერი მოეკლოთ

მისთვის. მან არც კი მაცალა მეთხოვა, რათა გადმოეცა თავისი თავგადასავალი. - „ბატონო, თქვენ ისე კეთილშობილურად მექცევით, - მომმართა მან, - რომ ჩემი მხრით არასაკადრისი უმადურობა იქნება რაიმე დაგიმალოთ. მე თქვენ გადაგიშლით არა მარტო ჩემს უბედურებას და ტანჯვას, არამედ ჩემს თავანყვეტილობას და სამარცხვინო სისუსტეს. დარწმუნებული ვარ, თქვენი მკაცრი მსჯავრი ხელს არ შეგიშლით შემობრალთ“.

აქ უნდა გავაფრთხილო მკითხველი, რომ მისი თავგადასავალი თითქმის მოსმენისთანავე

ჩავენერე. ამიტომაც ჩემი მოთხრობის სიზუსტე და სისწორე არ უნდა იყოს საეჭვო, ვაცხადებ, რომ ეს სიზუსტე ვრცელდება თვით იმ ფიქრებისა და გრძნობების გადმოცემაზე, რომელთაც ახალგაზრდა ბედის მაძიებელი შეუდარებელი მოხდენილობით გამოთქვამდა. ამნაირად, აი მისი ამბავი, რასაც მე ჩემის მხრით არც ერთ სიტყვას არ დავურთავ.

ჩვიდმეტი წლისა ვიყავი, როცა დავასრულე ფილოსოფიის კურსი ამიენში, სადაც გამგზავნეს ჩემმა მშობლებმა, რომელნიც ქალაქ პ...ის საუკეთესო გვარს ეკუთვნოდნენ. იმდენად გონიერ და წესიერ ცხოვრებას ვენეოდი, რომ მასწავლებლებს მთელს კოლეგიუმში სამაგალითოდ ვყავდი. ამასთან არ მიხდებოდა ბევრი ძალ-ღონის დახარჯვა, რათა ასეთი ქება დამემსახურებინა, რადგან ბუნებით წყნარი და მშვიდი ხასიათისა ვიყავი. თანაც დიდი მიდრეკილება მქონდა სწავლისადმი, და სათნოებად მითვლიდნენ იმას, რაც შედეგი იყო ბინიერებისადმი ბუნებრივი ზიზღისა. ჩემმა შთამომავლობამ, სწავლაში წარმატებამ და ზოგიერთმა გარეგანმა თვისებამ საშუალება მომცა მომეხიბლა ქალაქის ყველა ღირსეული მცხოვრები.

საჯარო გამოცდები ისეთის ატესტაციით ჩავაბარე, რომ იქ მყოფმა ბ-ნმა ეპისკოპოსმა წინადადება მომცა ამერჩია სასულიერო ხარისხი, სადაც, მისი სიტყვით, უფრო მეტად დავწინაურდებოდი, ვიდრე

მალტის ორდენში, რომლისთვისაც ჩემი მშობლები მამზადებდნენ. მათი სურვილის თანახმად, მე უკვე ვატარებდი ორდენის ჯვარსა და შევალე დე გრიეს სახელწოდებას.

არდადეგები ახლოვდებოდა. მამასთან დაბრუნებას ვაპირებდი, რომელიც მალე აკადემიაში გაგზავნას მპირდებოდა.

მეგობარს, რომელიც დაკავშირებული იყო ჩემთან მუდმივი და ნაზი ამხანაგური გრძნობით, იგი რამდენიმე წლით იყო ჩემზე უფროსი. ერთად ვიზრდებოდით, იგი ღარიბ ოჯახს ეკუთვნოდა და იძულებული იყო აერჩია სასულიერო წოდება და ჩემი გამგზავრების შემდეგ ამიენში დარჩენილიყო, რათა ამ პროფესიასთან დაკავშირებული ცოდნა მიეღო. მას მრავალი კეთილი თვისება გააჩნდა. ჩემი ისტორიის შემდგომი გაგრძელებიდან გაიცნობთ მის საუკეთესო თვისებათ, განსაკუთრებით კი მის სულგრძელობას და ერთგულებას, რაც ანტიკური ცხოვრებიდან გადმოცემულ ყველაზე ღირსეულ მაგალითებსაც კი აჭარბებს. მე რომ მაშინ მისი რჩევისათვის დამეგდო ყური, ყოველთვის გონიერი და ბედნიერი ვიქნებოდი; რომ მისგან შემესმინა რაიმე მაშინ, როდესაც უფსკრულში მოვექეცე, სადაც გრძნობებმა გადამჩხება, ჩემი ქონების და კეთილი სახელის დაღუპვისას ცოტა რაიმეს მაინც გადავარჩენდი. თავისი მზრუნველობისათვის ვერაფერი სხვა ნაყოფი ვერ მოიმკო, გარდა მწუხარებისა იმის გამო, რომ ყოველივემ ფუჭად ჩაუარა და ხშირად უხეშად მოჰყრობა იმ უმადურისაგან, რომელსაც მისი მზრუნველობა მომაბეზრებლად მიაჩნდა.

დავნიშნე ამიენიდან ჩემი წასვლის დროც. ვაი, რატომ არ დავნიშნე იგი ერთი დღით ადრე! მე

მივუტანდი მამაჩემს მთელ ჩემს უბინოებას; სწორედ ჩემი გამგზავრების წინაღუდს, როდესაც ჩემს მეგობართან დავსეირნობდი, რომელსაც ტიბერუი ერქვა, წინ შეგვეჩხება არასის საფოსტო ეტლი, რომელსაც მიყვებით სასტუმრომდე, სადაც ჩვეულებრივად ეტლები ჩერდებიან. ჩვენ არავითარი საბაბი არ გვქონდა იქ წასვლისათვის, გარდა უბრალო ცნობისმოყვარეობისა. ეტლიდან რამდენიმე ქალი ჩამოვიდა და მაშინვე სასტუმროში შევიდა. მხოლოდ ერთი ახალგაზრდა

ქალი დარჩა ეზოში, ვიდრე ხანში შესული კაცი, ეტყობა, მისი მხლებელი, ბარგთან ფუსფუსებდა. იგი იმდენად მშვენიერი მეჩვენა, რომ მე, რომელსაც არასოდეს მეფიქრნა სქესთა განსხვავებაზე, რომელსაც მანამდე არცერთი ქალისათვის ოდნავი ყურადღებითაც კი არ შემეხედნა, მე, რომელიც ჩემი გონიერებით და თავშეკავებით საერთო აღფრთოვანებას ვინვევდი, ერთ წუთში თავდავინყებული გრძნობით ავენთე. ჩემი დიდი ნაკლი ის იყო, რომ მეტისმეტად გაუბედავი და მორცხვი ვიყავი. მაგრამ იმ წუთს ჩემმა სისუსტემ ვერ შემაკავა და გავემართე იმისაკენ, ვინც უკვე დაეუფლა ჩემს გულს.

თუმცა იგი ჩემზე ახალგაზრდა იყო, მაგრამ ჩემი ასეთი ყურადღება არ ეუცხოვა. მივმართე კითხვით - რისთვის ჩამოსულხართ ამიენში და გყავთ თუ არა აქ ვინმე ნაცნობი-მეთქი. მან გულუბრყვილოდ მომიგო: მშობლები მონასტერში მგზავნიანო. იმ წუთიდან, როგორც კი შეიჭრა სიყვარული ჩემს გულში, ისეთი ნათელი მოეფინა მას, რომ ეს გადწყვეტილება მივიღე, როგორც ჩემი სურვილების სასიკვდილო ლახვარი. ჩემმა სიტყვებმა ვერ დამალა ჩემი გრძნობები, რადგან

იგი ჩემზე უფრო გამოცდილი იყო. მას მონასტერში ისტუმრებდნენ მისი სურვილის წინააღმდეგ; ეჭვგარეშეა, იმ მიზნით, რომ ჩაეხშოთ მასში მიდრეკილება სიამოვნებისადმი, რაც უკვე ასე გამომჟღავნდა მასში და რაც საბოლოოდ გადაიქცა მისი და ჩემი უბედურების მიზეზად. მე ვძრახავდი მშობლების მკაცრ განზრახვას ყველა იმ მოსაზრებით, რასაც მიკარნახებდა ჩემი ახლადგაფურჩქნული სიყვარული და სკოლაში შეძენილი მჭევრმეტყველება. იგი არ გამოხატავდა არც სიმკაცრეს, არც ზიზღს. ერთი წამის სიჩუმის შემდეგ, მითხრა, რომ ნათლად ხედავს თავის უბედურ ხვედრს, მაგრამ ჩანს, ასეთია განგების ნება, რადგან იგი არ აძლევს არავითარ საშუალებას თავის დასაღწევად. მისმა თვალთა სინაზემ, სევდიანმა სიტყვებმა, ან უკეთ, ჩემმა ბედისწერამ, რომელიც დალუპვისკენ მიმაქანებდა, ნება არ მომცა ერთი წუთით მაინც შევყოყმანებულყავ პასუხზე. მე ვარწმუნებდი, თუ იგი ჩემს პატიოსნებას და იმ უსაზღვრო ნაზ გრძნობას მიენდობა, რომე-

ლიც უკვე აღმიძრა, მთელ ჩემს სიცოცხლეს შევნირავე მის განთავისუფლებას მშობლების სისასტიკისაგან და ბედნიერს გავხდი. შემდეგში, როცა ჩავფიქრებულვარ, ყოველთვის მიკვირდა, საიდან გაჩნდა ჩემში ამდენი გამბედაობა და რანაირად გამოვინახე ასეთი გამოთქმა. - მაგრამ ამურს არასოდეს არ გახდინენ ღვთაებად, მას რომ ამდენი სასწაული არ მოეხდინა. ნათქვამს ათასი სხვა დამაჯერებელი მოსაზრებაც დავუმატე.

ჩემმა მშვენიერმა უცნობმა კარგად იცოდა, რომ ჩემს ასაკში არ სტყუიან. მან გამანდო: თუ შევძლებდი და ვიპოვიდი საშუალებას მის გასათავისუფლებლად, იგი მოვალედ ჩასთვლიდა

თავის თავს შეენირა ჩემთვის თვით სიცოცხლეზე უფრო ძვირფასი რამ. მე გავუმეორე, რომ ყველაფერზე მზად ვარ, მაგრამ რადგან არ გამაჩნდა საკმაო გამოცდილება, რომ სწრაფად აღმომეჩინა საშუალებანი მისი სამსახურისათვის, დავკმაყოფილდი საერთო იმედის მიცემით, რაც ვერც იმას უშველიდა რამეს და ვერც მე. ამასობაში მოხუცი არგუსიც შემოგვიერთდა და ყველა ჩემი იმედი უნდა ჩაფუშულიყო, რომ ჩემი მოუხერხებლობა ახალგაზრდა ქალის მოსაზრებას არ გამოეხსნორებინა. ძალზე გაოცებული დავრჩი, როდესაც მან მხლებელს ჩემი თავი თავის ბიძაშვილად გააცნო და სრულიად, დამშვიდებულად განაცხადა: ძალზედ ბედნიერად გრძნობს თავს, რომ შემხვდა ამიენში და ამიტომ გადასწყვიტა, მონასტერში შესვლა ხვალამდე გადასდოს, რათა საღამოთი ჩემთან ერთად სიამოვნებით ივასშმოს. მე საკმაოდ კარგად გავიგე და შევაფასე მისი ეშმაკობა და მივეცი წინადადება ჩამომხდარიყო იმ სასტუმროში, რომლის პატრონიც, სანამ ამიენში გადმოსახლდებოდა, მამაჩემს მეეტლედ ჰყავდა და ჩემი დიდი ერთგული იყო.

მე თვითონ მივაცილე იგი სასტუმრომდე. მოხუცი მხლებელი ბუზლუნებდა, ხოლო ჩემი მეგობარი ტიბერუი, რომელსაც ამ სცენისა არაფერი გაეგებოდა, უსიტყვოდ გამომყვა. მას ჩვენი საუბრის არაფერი გაუგია, იგი ეზოში დასეირნობდა, როდესაც მე ჩემს მშვენიერ ბანოვანს სიყვარულზე ვესაუბრებოდი. შემეშინდა რა მისი კეთილგონიე-

რებისა, ამიტომ თავიდან მოსაცილებლად რალაც მოვიგონე და დავავალე. ამრიგად, სასტუმროში მოსვლისას შემეძლო მივცემოდი უსაზღვრო ნეტარებას - განმარტოებულ საუბარს ჩემს ღვთაებასთან.

მალე დავრწმუნდი, რომ არც ისეთი ბავშვი ვყოფილვარ, როგორც მეგონა. ჩემი გული მრავალი ისეთი საამო გრძნობისთვის აიშალა, რომელთა შესახებ არაფერი ვიცოდი. ნაზმა სითბომ ძარღვებში დამიარა, განვიცდიდი უზომო აღტაცებას, რომელმაც ერთხანს ენა დამიდუმა და რომელიც მხოლოდ ჩემს თვალებში ისახებოდა.

მადმუაზელ მანონ ლესკო - ასე გამაცნო თავი, - ეტყობა, ძალიან კმაყოფილი იყო თავისი მომხიბვლელობით; ვატყობდი, რომ მისი გრძნობები ჩემზე ნაკლებ არ იყო აღგზნებული. გამომიტყდა, რომ საამო ყმანვილად მივაჩნივარ და განთავისუფლებისათვის დავალებულად ჩასთვლის თავს ჩემს წინაშე. მოისურვა ჩემი ვინაობის გაგება. ამან კიდევ უფრო აუჩუყა გული, რადგან იგი ჩემზე უფრო დაბალი წარმოშობისა აღმოჩნდა. თავი მოსწონდა იმით, რომ ისეთი ადამიანის სიყვარულს დაეუფლა, როგორც მე ვიყავი. ჩვენ ვმსჯელობდით იმ საშუალებებზე, თუ როგორ ვყოფილიყავით მუდამ ერთად, განუყრელად.

ბევრი ფიქრის შემდეგ ვერავითარი სხვა გზა ვერ გამოვნახეთ, გარდა გაპარვისა. საჭირო იყო მხლებლის მოტყუება. იგი თუმცა მსახური იყო, მაგრამ არც მაგდენად მიამიტი კაცი გახლდათ. გადავწყვიტეთ, იმ ღამითვე მოვამზადებდი საფოსტო ეტლს, დილაადრიან, მხლებლის გამოღვიძებამდე, სასტუმროში გავჩნდებოდი, პირდაპირ პარიზისაკენ გავწევდით და იქ მისვლისთანავე ჯვარს დავინერდით. ქისაში ორმოცდაათ ეკიუმდე მქონდა. ეს იყო ნაყოფი ჩემი

მცირედი მომჭირნეობისა. მას დაახლოებით ორჯერ მეტი აღმოაჩნდა. გამოუცდელი ბავშვები ვიყავით და გვეგონა, რომ ეს თანხა დაუმრეტელი იქნებოდა. გარდა ამისა, იმედი გვექონდა სხვა საშუალებათა გამონახვისაც.

ვივასშმე ისეთი სიამოვნებით, როგორც არასოდეს განმიცდია, და შემდეგ გავემართე ჩვენი გეგმის შესასრულებლად. ჩემთვის იმიტომ

უფრო ადვილი იყო ყველაფრის მოგვარება, რომ მეორე დღე ადრევე მქონდა დანიშნული მამასთან გასამგზავრებლად, და უკვე მოვასწარი ჩემი მცირე ბარგის შეკვრა-მომზადება. ამნაირად, საჭირო იყო მხოლოდ განკარგულების მიცემა ზანდუკის გადასატანად და ეტლის შეკვეთა დილის ხუთი საათისათვის, იმ დროისათვის, როდესაც ქალაქის ჭიშკარი უკვე ღია არის ხოლმე. რჩებოდა მხოლოდ ერთი დაბრკოლება, რომელსაც მე არავითარ ანგარიშს არ ვუწევი, მაგრამ რომელმაც კინალამ ჩაშალა მთელი ჩვენი გეგმა.

ტიბერჯი მხოლოდ სამი წლით იყო ჩემზე უფროსი. იგი მომნიჭებული გონებისა და უზადო ყოფაქცევის ყმანვილი გახლდათ. ჩემს მიმართ არაჩვეულებრივი ნაზი გრძნობით იყო გამსჭვალული. ისეთი ლამაზი ქალის დანახვამ, როგორც მანონი გახლდათ, და ჩემმა სურვილმა, გავყოლოდი მას და ამიტომ თავიდან მომეცილებინა ტიბერჯი, ეჭვები აღუძრა ჩემი სიყვარულის შესახებ. მან ვერ გაბედა სასტუმროში დაბრუნება, სადაც ჩვენ დაგვტოვა, რადგან ეშინოდა ამ დაბრუნებით ჩემთვის შეურაცხყოფა არ მოეყენებინა. ამიტომ გადასწყვიტა დაეცადა

ჩემს ბინაზე, სადაც დამხვდა კიდევ, თუმცა უკვე ღამის ათი საათი იყო. მისმა დანახვამ ძალიან დამალონა. იგი ადვილად მიხვდა, რაც მანუხებდა. - „დარწმუნებული ვარ, - გულწრფელად მომმართა მან, - რალაც გეგმას აწყობთ და მიმაღავთ, ამას სახეზე გატყობთ“. - მე საკმაოდ უხეშად ვუპასუხე, რომ ვალდებული არა ვარ ყოველი ჩემი მოქმედების შესახებ ანგარიში ჩავაბარო. - „რასაკვირველია, არა, - მიპასუხა მან, - მაგრამ თქვენ ყოველთვის ისე მეპყრობოდით, როგორც მეგობარს, ეს კი ერთგვარ ნდობას და გულახდილობას გულისხმობს“. - ისეთი დაჟინებით და ხანგრძლივად დამინყო თხოვნა - გამემხილა მისთვის ჩემი საიდუმლოება, რომ მეც მუდამ გულახდილმა მასთან, გავანდე ჩემი მგზნებარე გატაცება. ჩემი ნაამბობი მან დაუფარავი უკმაყოფილებით მიიღო, რამაც თავზარი დამცა. ვნანობდი მეტადრე იმ გულახდილობას, რომლითაც აღვწერე ჩემი გაპარვის გეგმა. მან განაცხადა, რომ გულითადი მეგობარია ჩემი და ამიტომ არ შეუძლია მთელი

ძალ-ლონით არ გამიწიოს წინააღმდეგობა. იგი ჯერ წარმომიდგენს მთელ რიგ მოსაზრებებს, რაც ხელს ამაღლებინებს განზრახვაზე, მაგრამ თუ ამის შემდეგაც არ შეეცვლი ჩემს დამლუპველ გადანყვეტილებას, მაშინ იგი გააფრთხილებს იმ პირებს, რომლებიც ძირშივე აღკვეთენ ყოველივეს. შემდეგ მომმართა მკაცრი სიტყვით, რომელიც თხუთმეტ წუთს გაგრძელდა. და დაასრულა ახალი მუქარით - დამასმენს, თუ სიტყვას არ მივცემ, რომ უფრო გონიერად და დაკვირვებულად ვიმოქმედებ.

სასონარკვეთილებაში ჩავვარდი იმის გამო, რომ უდროო დროს გავეცი ჩემი თავი, მაგრამ

სიყვარულმა ორი-სამი საათის განმავლობაში იმდენად გაავარჯიშა ჩემი გონება, რომ უცებ მომაგონდა, ჯერ არაფერი მითქვამს-მეთქი მისთვის ჩემი გეგმის შესრულების ვადის შესახებ, რომელიც დანიშნული მქონდა მეორე დღის დილისათვის. გადაწყვიტე, სიძნელე ხერხის საშუალებით გადამელახა. - „ტიბერუ, - მივმართე მას, - მე აქამდე მეგობრად გიგულვებდით და მინდოდა მეგობრული გულახდილობით გამომეცადეთ. მართალია, ის მიყვარს და ამაში არ მომიტყუებიხარ, მაგრამ რაც შეეხება გაპარვას, ეს ისეთი ნაბიჯია, რომ მისი მოუფიქრებლად გადანყვეტა არ შეიძლება. შემოიარეთ ჩემთან ხვალ, დილის 9 საათზე, ვეცდები გაგაცნოთ ჩემი სატრფო და მაშინ თქვენ თვითონ განსაჯეთ, ღირსია თუ არა იგი ამგვარი გადანყვეტილებისა“. ნასვლისას ტიბერუ დაჟინებით მარწმუნებდა თავის მეგობრობაში.

მთელ ღამეს წესრიგში მომყავდა ჩემი საქმეები და როგორც კი ოდნავ ინათლა, მადმუაზელ მანონის სასტუმროში გავჩნდი. იგი ფანჯარასთან მულოდებოდა - ფანჯარა ქუჩაში გამოდიოდა, უნდოდა დავენახე და თვითონ გაეღო კარი ჩემთვის. ჩუმად გამოვედით. მის ბარგს საცვალი შეადგენდა, რაც ჩემი ხელით გამოვიტანე. მოგვართვეს ეტლი და ერთ წუთიც არ დაგვიკარგავს - დაუყონებლივ დავტოვეთ ქალაქი.

შემდეგში ვიამბობთ, როგორ მოიქცა ტიბერუ, როცა გაიგო ჩემი ვერაგობა. მისი ერთგულება ამის შემდეგაც არ შენელებულა. ქვემოთ

დანიხავთ, თუ სადამდის მივიდა იგი და რამდენი ცრემლი დავლვარე, როცა ვფიქრობდი, თუ რანაირად ვუპასუხე მის ზრუნვას.

ჩვენ ისე ვაჩქარებდით ცხენებს, რომ დაღამებამდე სენდენიში მივედით. მე ცხენდაცხენ მივდევი ეტლს, ამიტომ ლაპრაკი მხოლოდ ცხენების გამოცვლის დროს შეგვეძლო. როდესაც პარიზი დავინახეთ, უკეთ, როგორც კი თავი ყოველგვარი საფრთხის გარეშე ვიგრძენით, ნება მივეცით თავს ოდნავ შეენაყრებულებავით, რადგან ამიენიდან ნამოსვლის შემდეგ პირში ლუკმა არ ჩაგვედო. მე გაგიჟებით მიყვარდა მანონი. მანაც თავის მხრივ დამარწმუნა, რომ მისი გრძნობებიც ჩემსას არ ჩამოუვარდებოდნენ. იმდენად თავდაუჭერლად ვამყლავნებდით ჩვენს გრძნობებს, რომ მოთმინება არა გვეყოფნიდა იმ დრომდე, სანამ მარტონი დავრჩებოდით. მეეტლეები და მეტრაქტირეები გაოცებულნი გვიცქეროდნენ. უკვირდათ: ჩვენი ასაკის ბავშვებს რაზომ შმაგი სიყვარულით გვიყვარდა ერთმანეთი.

სენ-დენიში დავინყებულ იქნა ჩვენი განზრახვა - ჯვარი დაგვეწერა. გადავლახეთ საეკლესიო ნესები და ცოლ-ქმარი გავხდით ისე, რომ ამაზე სულ აღარ გვიფიქრია; მე, როგორც ბუნებით ნაზი და ერთგული, უეჭველია, მთელ სიცოცხლეში ბედნიერი ვიქნებოდი, მანონი რომ ჩემი ერთგული დარჩენილიყო. რაც უფრო ახლოს ვიცნობდი მანონს, მით უფრო ახალ კარგ თვისებას ვპოულობდი მასში. მისი ჭკუა, გული, მისი სინაზე და სილამაზე ისეთ მიმზიდველ და მომხიბვლელ ჯაჭვს ქმნიდნენ, რომ მსხვერპლად გავიღებდი მთელ ჩემს კეთილდღეობას, რათა სამუდამოდ მისგან შებორკილი დავრჩენილიყავ. რა საშინელი ცვლილება მოხდა! იმას, რამაც მე სასონარკვეთილებაში ჩამაგდო, შეეძლო განა ჩემი ბედნიერება შეექმნა? ადამიანთა შორის მე

ყველაზე უბედური გავხდი სწორედ ერთგულებისათვის, რომლისგანაც უნდა მიმელო უნეტარესი ხვედრი, ხოლო სიყვარულისთვის - უდიდესი ჯილდო.

პარიზში ჩვენ დავიქირავეთ ავეჯით განწყობილი ოთახი ვ-ს ქუჩაზე. ჩემდა საუბედუროდ, სწორედ იმ სახლის გვერდით, სადაც სცხოვრობდა განთქმული მოიჯარადრე ბ-ნი დე ბ... გავიდა სამი კვირა. ამ ხნის

განმავლობაში იმდენად ვიყავი ვნებით ავსილი, რომ არ მიფიქრია არც ჩემს ოჯახზე და არც იმ მწუხარებაზე, რომელსაც მამაჩემი, ჩემი გაპარვის გამო განიცდიდა. ჩემი ყოფაქცევა არავითარ გარყვნილებას არ შეიცავდა და მანონიც მეტად თავდაჭერილად ცხოვრობდა. ამ მყუდროებამ თანდათან მომაგონა ჩემი მოვალეობა.

გადავწყვიტე პირველ შესაძლებლობისთანავე შევრიგებოდი მამას. ჩემი სატრფო იმდენად მშვენიერი იყო, რომ ეჭვი არ მქონდა, თუ გამოვძებნიდი რაიმე საშუალებას გამეცნო იგი მამაჩემისათვის, მისი გონებამახვილობა და ღირსება კარგ შთაბეჭდილებას მოახდენდა მასზე; ერთი სიტყვით, თავს ვინუგეშებდი, რომ ჯვრისწერის ნებას დამერთავდა, რადგან დავრწმუნდი, უამისოდ ჩემს განზრახვას სისრულეში ვერ მოვიყვანდი. ეს აზრი მანონსაც გაუზიარე და დავურთე, რომ გარდა სიყვარულისა და მოვალეობისა, საჭირო იყო ანგარიში გაენია აუცილებლობისათვისაც, რადგან ჩვენი არსებობის სახსრები ძალზე შემცირდა და უკვე დამეკარგა მათი დაუშრეტელობის იმედი.

მანონი ჩემს წინადადებას ცივად შეხვდა. ესეც კია, რომ მის მიერ წამოწყებული მოსაზრებანი შთაგონებული იყო მხოლოდ ნაზი გრძობებით და შიშით - არ დავეკარგე მე. თუ მამა თანხმობას არ მომცემდა, მაშინ ხომ გაიგებდა ჩვენი თავშესაფრის შესახებ. აი, რატომ მომდიოდა აზრად გამეთვალისწინებინა ის თავზარდამცემი უბედურება, რომელიც თურმე ჩვენს წინაშე აღმართულიყო. როდესაც მე ვუთითებდი სახსრების სიმცირეზე, იგი მიპასუხებდა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს რამდენიმე კვირის სამყოფიო. შემდეგ კი იმედი ჰქონდა, რომ დაგვეხმარებოდნენ მისი კეთილი ნათესავები, რომელთაც იგი მისწერს პროვინციაში. მან ეს თავისი უარი დაატკბო ესოდენ ნაზი და ვნებიანი ალერსით, რომ მე, რომელიც მხოლოდ მისით ვცოცხლობდი და არავითარ უნდობლობას მის მიმართ არ ვგრძნობდი, მოვიწონე ყველა მისი პასუხი და გადაწყვეტილება.

მივანდე მას გაენია ხელმძღვანელობა ჩვენი ქისისათვის და ეზრუნა ყოველდღიური ხარჯებისათვის. რამდენიმე ხნის შემდეგ შევნიშნე, რომ ჩვენი სუფრა გაუმჯობესდა და თვითონ მასაც საკმაოდ ძვირფასი

სამკაული შეემატა. ვიცოდი, რომ ჩვენ თორმეტ-თოთხმეტ პისტოლზე მეტი არ გაგვარჩნდა. ამიტომაც გაკვირვება გამოვთქვი ჩვენი სახსრების ამკარად გადიდების გამო. მან სიცილით მთხოვა, ასეთ საგნებზე არ მეფიქრნა - „განა მე არ დაგპირდი, გამოვნახავ სახსრებს-მეთქი“, - მიპასუხა მან. ჯერ კიდევ ძალზე გულუბრყვილო ვიყავ ჩემს სიყვარულში, რომ ადვილად მივცემოდი რაიმე შფოთს.

ერთ დღეს, ნასადილევს, შინიდან გავედი და გავაფრთხილე მანონი, რომ ჩვეულებრივ უფრო მეტხანს დავრჩებოდი გარეთ. როცა დავბრუნდი, ორი-სამი წუთი მალოდინეს კარებთან. გამიკვირდა. ჩვენივე ტოლი პატარა გოგო გვემსახურებოდა. შესვლისთანავე ვკითხე, ასე რატომ დაიგვიანე-მეთქი. შემკრთალმა მიპასუხა, თითქოს კარების რახუნი ვერ გაიგო. მე მხოლოდ ერთხელ დავარახუნე. ამიტომ ვკითხე: - „თუ რახუნი ვერ გაიგე, რატომ მოხვედი კარების გასაღებად?“ ჩემმა კითხვამ ისე დააბნია, რომ პასუხი ვერ მოახერხა და ტირილი დაიწყო. მარწმუნებდა, რომ ის არაფერში არ არის დამნაშავე და რომ ქალბატონმა უბრძანა, კარი არ გაეღო, სანამ ბ-ნი დე ბი... არ ჩავიდოდა მეორე კიბით, რომლითაც უკანა ოთახში იყო შემოსასვლელი. მე ისე გავშტერდი, რომ ოთახში შესვლის ძალა აღარ მეყო. გადავწყვიტე ისევ გავბრუნებულიყავ უკან რაიმე საბაბით, ხოლო გოგოს ვუბრძანე ქალბატონისათვის გადაეცა, რომ მალე დავბრუნდებოდი. ამასთან ავუერძალე მანონისათვის არაფერი ეთქვა იმის შესახებ, რომ ბ-ნი დე ბ-ს ამბავი გადმომცა.

ისეთმა დიდმა სევდამ შემიპყრო, რომ კიბეზე ჩასვლისას ცრემლებს ვლვრიდი, თუმცა ჯერ არ ვიცოდი, რა გრძნობით იყო ეს გამოწვეული. პირველსავე ყავახანაში შევედი, მაგიდას მივუჯექი და თავით ხელებს დავეყრდნე. მინდოდა მომეაზრა ყოველივე ის, რაც ხდებოდა ჩემს გულში. ვერ ვბედავდი იმის გამეორებას, რაც ეს-ეს იყო გავიგე. მზად ვიყავ ამეხსნა ეს იმნაირად, თითქოს ილუზია იყო. რამდენჯერმე დავაპირე შინ დაბრუნება და თავის ისე დაჭერა, თითქოს არაფერი

ვიცოდი. მანონის ლალატი იმდენად შეუძლებლად მიმაჩნდა, რომ მეშინოდა ეჭვიანობით შეურაცხყოფა არ მიმეყენებინა მისთვის. მე

ვალმერთებდი მანონს, ეს საეჭვო არ იყო. ჩემის მხრით მივეცი მას სიყვარულის არა იმაზე მეტი დამამტკიცებელი საბუთი, რაც მისგან მივიღე, მაშ, როგორ შემეძლო, ცილი დამენამებინა მისთვის ჩემზე ნაკლებ გულწრფელობაში, ჩემზე ნაკლებ ერთგულებაში? რა მოსაზრებით უნდა ელაღატნა მას ჩემთვის? სულ სამი საათია მას შემდეგ, რაც ნაზი ალერსით ამავსო და ჩემს ალერსსაც აღტაცებით იღებდა. მე ჩემს გულს მის გულზე უკეთ როდი ვიცნობდი. - „არა, არა, - ნამოვიყვირე მე, - შეუძლებელია, რომ მანონმა მიღალატოს! მან ხომ იცის, რომ მხოლოდ მისთვის ვარსებობ! მან ძალიან კარგად იცის, რომ ვალმერთებ! რისთვის უნდა ვძაგდე?“

მაგრამ ბ-ნ დე ბ-ს მოსვლა და მალულად წასვლა მაშფოთებდა. მომაგონდა აგრეთვე მანონის მიერ შეძენილი წვრილმანები, რაც უეჭველია, ჩვენს ახლანდელ შეძლებას აღემატებოდა და ყოველივე ამას ერთ აზრამდე მიყვავდი: ახალი თაყვანისმცემლის სიუხვისა და ხელგაშლილობის შესახებ. რატომ გაიძახოდა იგი ასე დარწმუნებით ჩვენი საარსებო წყაროს შესახებ! ყველა ამ გამოცანებს ვერ ვუპოვე დამაკმაყოფილებელი პასუხი, რომელიც ასე სწყუროდა ჩემს გულს.

მეორე მხრით, რაც პარიზში დავსახლდით, მე ის თვალიდან არ მომშორებია: საქმიანობაში, სეირნობაში, გართობაში ყოველთვის ერთად ვიყავით. ღმერთო ჩემო! ჩვენი განშორება ერთი

წუთითაც კი შეუძლებელი იყო! განუწყვეტლივ უნდა გაგვემეორებინა, რომ ერთმანეთი გვიყვარს, უამისოდ ჩვენ დარდი მოგვკლავდა. ერთი სიტყვით, ვერ წარმომედგინა ერთი წუთითაც კი, რომ მანონს ჩემს გარდა, სხვა ვისმეზე შეეძლო ეფიქნრა.

ბოლოს მეგონა რომ ვიპოვე ამ საიდუმლოების ახსნა. ბ-ნ დე ბ-ს გადავწყვიტე მე, - დიდი საქმეები და ფართო ნაცნობობა აქვს. მანონის მშობლებს შეეძლოთ მისი მეოხებით გადაეცათ მანონისათვის განსაზღვრული თანხა. იქნებ მიიღო კიდევ მიიღო ეს ფული, დღეს. იგი მოვიდა და კიდევ ახალი თანხა გადასცა. უეჭველია, მანონმა ეს დამიმალა, რომ შემდეგში სასიამოვნო მოულოდნელობით გამაკვირვოს. შეიძლე-

ბა კიდევ ეთქვა ეს ჩემთვის, რომ ჩვეულებრივად შევსულიყავი მასთან, არ გამოვქცეულიყავი აქ და არ მივცემოდი ურვას. იგი, ალბათ, არც დამიმალავს, როცა თვითონ გამოველაპარაკები ამის შესახებ.

იმდენად გამიტაცა ჩემმა მსჯელობამ, რომ ამან საგრძნობლად შეასუსტა ჩემი მწუხარება, იმ წამსვე შინ დავბრუნდი და ჩვეულებრივი სინაზით გადავეხვიე მანონს. იგი ძალიან კარგად დამხვდა. ჯერ მინდოდა გამემხილა ჩემ მიერ მიხვედრილი აზრი, რომელიც ახლა ყოველგვარ ეჭვს გარეშე წარმომიდგა, მაგრამ შემაჩერა იმედმა, რომ თვითონ დამასწრებს და მიაბობს ყველაფერს, რაც მოხდა-მეთქი.

ვანშამი მოგვიტანეს. მხიარულად მივეუჯექი სუფრას, მაგრამ სანთლის შუქზე, რომელიც ჩვენს შუა იდგა, ძვირფასი სატრფოს სახე და თვალები ნაღვლიანი მეჩვენა. ეს ნაღველი მეც გადმომეცა. შევნიშნე, რომ სხვაგვარად შემომცქეროდა. ვერ გავარჩიე სიყვარულის თუ სიბრალულის გამოხატულება იყო იგი, მაგრამ გრძნობა, რომელიც მასში იყო, ნაზი და ალერსიანი მოჩანდა. მეც არა ნაკლებ ყურადღებით შევცქეროდი. შეიძლება მისთვისაც ძნელი იყო ჩემს გამოხედვაში ჩემი გულისნადების ამოცნობა, ჩვენ არც ჭამაზე ვფიქრობდით და არც საუბარს ვაპირებდით. ბოლოს, მშვენიერ თვალთაგან ცრემლები გადმოცვივდა - ყალბი ცრემლები.

- „ღმერთო, ჩემო! - წამოვიყვირე მე, - თქვენ სტირით, - ძვირფასო მანონ! თქვენ აღელვებული ხართ იმ ზომამდე, რომ სტირით და არაფერს მეუბნებით თქვენი მწუხარების შესახებ“. - მან მხოლოდ ოხვრით მიპასუხა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ჩემი მღელვარება. აცახცახებული წამოვდექი, მხურვალე სიყვარულის მთელი ძლიერებით ვევედრებოდი ეთქვა მიზეზი რატომ ტიროდა; ცრემლებს ვუშრობდი და თვითონაც კი ვღვრიდი, ცოცხალ-მკვდარს ვგავდი. ბარბაროსსაც კი მოუღობოდა გულს ჩემი დამწუხრებული და შეშინებული სახის დანახვა.

იმ დროს, როდესაც ჩემი მთელი ყურადღება მისკენ მქონდა მიპყრობილი, მომესმა კიბეზე რამდენიმე კაცის ფეხი ხმა. კარზე ნელა და-

აკაკუნეს. მანონმა სწრაფად მაკოცა, ხელიდან გამისხლტა და უცებ სა-
ნოლ ოთახში შევარდა, თან კარები ჩაიკეტა. ვიფიქრე, ჩაუცმელი იყო
და მოერიდა უცხო ხალხის-მეთქი. მე თვითონ გავემართე კარის გასა-
ღებად.

ის იყო კარი გავაღე, რომ სამი კაცი მომვარდა. ვიცანი მამაჩემის
ლაქიები. მათ არავითარი ძალადობა არ უხმარიათ ჩემზე, მაგრამ სა-
ნამ ორს ჩემი ხელები მაგრა ეჭირა, მესამემ ჯიბეები გამიჩხრიკა და პა-
ტარა დანა ამომართვა - ერთადერთი იარაღი, რომელიც მე გამაჩნდა.
ბოდიში მოიხადეს, რომ იძულებულნი იყვნენ ასე მომპყრობოდნენ,
განმმართვეს, რომ ასე მექცევიან მამაჩემის ბრძანებით და რომ ჩემი
უფროსი ძმა ქვემოთ ეტლში მელოდება. იმ ზომამდე ვიყავი აღელვე-
ბული, წინააღმდეგობის გაუწევლად და უსიტყვოდ ნება მივეცი ქვე-
მოთ ჩავეყვანე. ჩემი ძმა მართლაც დამხვდა. ჩამსვეს მის გვერდით ეტ-
ლში დ მეეტლემ ბრძანებისამებრ სწრაფად სენ-დენისაკენ გაგვაქანა.
ჩემი ძმა ნაზად გადამეხვია, მაგრამ ერთი სიტყვაც არ უთქვამს. ამრი-
გად საკმაოდ ბევრი თავისუფალი დრო მქონდა და შემეძლო ჩემს უბე-
დურებაზე მეფიქრა.

ჯერ ისე შევშფოთდი, რომ ვერაფერს მივხვდი. ვერაგულად გამ-
ცეს, მაგრამ ვინ? პირველად ტიბერუი გამახსენდა. - „მოლალატევ, -
ვამბობდი მე, - ეს შენი ოინებია, თუ ჩემი ეჭვი გამართლდა“. - შემდეგ
მოვიფიქრე, რომ მან არ იცოდა ჩემი სამყოფი ადგილი და რომ ის ნამ-
დვილად არაფერ შუაში იყო. მანონისათვის დამედო ბრალი? ასეთ
აზრს ჩემი გული ახლო ვერ მიიკარებდა. ის უზომო მწუხარება, რომე-
ლიც, როგორც მეჩვენებოდა ასე სტანჯავდა, მისი ცრემლები, ნაზი
კოცნა, რომელიც მან განშორებისას მაჩუქა, გაურკვეველ ამოცანად
გადამექცა. მაგრამ მზად ვიყავი ყოველივე ეს ჩვენი საერთო უბედუ-
რების წინათგრძნობად მიმელო. თავზარდაცემული ჩვენი განშორე-
ბით, მე იმდენად გულუბრყვილო ვიყავ, რომ მეგონა, ის ჩემზე უფრო
შესაბრაალისი იქნებოდა.

ჩემი ფიქრების შედეგად დავარწმუნე საკუთარი თავი, უთუოდ ვინ-
მე ნაცნობმა დამინახა პარიზში და აცნობა მამაჩემს-მეთქი. ამ აზრმა

მანუგეშა. მზად ვიყავი ჩადენილი ურჩობისათვის ამეტანა საყვედური, სასჯელიც კი, როგორც მშობლის უფლებიდან გამომდინარე. გადაწყვიტე ყოველივე მოთმინებით გადამეტანა და ყველაფერი შეემსრულებინა, რასაც კი მომთხოვდნენ, ოღონდ გამეადვილებინა პარიზში ჩქარა დაბრუნება, რომ ჩემი ძვირფასი მანონისათვის სიცოცხლე და სიხარული დამებრუნებინა.

ჩვენ მალე ჩავედით სან-დენიში. ძმას უკვირდა ჩემი სიჩუმე და ფიქრობდა, რომ ეს შიშით იყო გამონვეული. მან დამინყო დამშვიდება და მარწმუნებდა, რომ მამა არ მომექცევა სასტიკად, თუ მე გავიმსჭვალე-ბი მოვალეობის შეგნებით და დავიმსახურებ სიყვარულს, რომლითაც გამსჭვალულია მამა ჩემდამი. ჩემმა ძმამ გადანყვიტა ღამე სენ-დენიში გაეტარებინა. სიფრთხილისათვის სამივე ლაქია ჩემს ოთახში დაანვინა.

განსაკუთრებით მიმძიმდა, რომ ვიმყოფებოდი სწორედ იმ სასტუმროში, სადაც მე და მანონი ჩამოვხდით, როცა ამიენიდან პარიზში მოვდიოდით. სასტუმროს პატრონმა და მომსახურებმა მიცნეს, მიხვდნენ, რაშიაც იყო საქმე. მომესმა - ერთმა მსახურთაგანმა როგორ უთხრა სასტუმროს პატრონს: - „ოჰო, ეს ხომ ის ლამაზი ბატონია, რომელმაც ამ ექვსი კვირის წინათ გამოიარა აქ ერთ ახალგაზრდა ქალიშვილთან ერთად. რარიგად უყვარდა იგი და რა მომხიბლავი იყო ის

ქალი! როგორ ეალერსებოდნენ ერთმანეთს. საბრალო ბავშვები, ღმერთმანი ცოდვაა მათი დაშორება“. - მე თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს არაფერი მესმოდა და ვცდილობდი თვალში არავის შევჩხირებოდი.

ჩემს ძმას სენ-დენიში ორადგილიანი ეტლი დახვდა. გავემგზავრეთ დილა ადრიან და შინ მეორე დღეს საღამოთი მივედით. ძმამ ჩემზე წინ ინახულა მამა, რათა განენყო იგი ჩემდა სასარგებლოდ და ეცნობებინა, რომ მე მორჩილებით გამოვყევი. აი, რატომ მიმიღო მამამ უფრო ალერსიანად, ვიდრე მოველოდი. მამაჩემი დაკმაყოფილდა საერთო საყვედურით იმის გამო, რომ მის ნებადაურთველად გავიპარე. რაც შეეხება ჩემს სატრფოს, მე სახსვებით დავიმსახურე ის, რაც გადამხდა

თავს, რადგან ვილაც უცნობ ქალს გადავეკიდე. მამამ მითხრა, რომ იგი უკეთესი წარმოდგენისა იყო ჩემს გონიერებაზე, მაგრამ მას იმედი აქვს, რომ ეს პატარა თავგადასავალი ჭკუას შემმატებს. მთელი მისი სიტყვა მე განვმარტე იმ აზრით, როგორც შეესაბამებოდა ჩემს განზრახვას. მადლობა გადავუხადე მამას იმ გულკეთილობისათვის, რითაც მან ყველაფერი მაპატია და დავპირდი, ამიერიდან მორჩილი ვიქნებოდი და ჩემს ყოფაქცევაში უფრო მკაცრი წესებით ვიხელმძღვანელებდი. გულის სიღრმეში კი ვზეიმობდი, რადგან, საქმის ვითარების მიხედვით, მე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მახლობელ ღამეს მომეცემოდა შინიდან გაპარვის შესაძლებლობა.

დავსხედით ვახშმად. დამცინოდნენ ამიენში ჩემი გამარჯვებისათვის და ერთგულ სატრფოსთან ერთად გაპარვისათვის. მეც მოთმინებით ვიტანდი ამ დაცინვას. აღფრთოვანებულნიც კი ვიყავ, რომ ნება დამრთეს მესაუბრა იმ საგანზე, რომელიც განუწყვეტლივ თავში მიტრიალებდა. მაგრამ მამის მიერ რამდენიმე წამოსროლილმა სიტყვამ ყურები დამაცქვეტინა. მან სიტყვა ჩამოაგდო ბ-ნ დე ბ-მის ცბიერსა და ანგარებით განეული სამსახურის შესახებ. გავიგონე რა მამისაგან ეს სახელი, გავოცდი და მოკრძალებით ვთხოვე, დანვრილებით განემართა ჩემთვის რაში იყო საქმე. მამა მიუბრუნდა ჩემს ძმას კითხვით, მიაბო თუ არა მან ყველაფერი. ძმამ უპასუხა, რომ ჩემი სულიერი მდგომარეობა გზაში იმდენად დამშვიდებულად მოეჩვენა, საჭიროდ არ ჩათვალა ჩემი უგუნურების განსაკუთრნავად ამგვარი საშუალებისათვის მიემართნა. შევამჩნიე, რომ მამა ყოყმანობდა, არ იცოდა, საჭირო იყო თუ არა ბოლომდე ეთქვა ყველაფერი. მაგრამ მე ისე დაჟინებით შევეხვეწე, რომ მან დააკმაყოფილა ჩემი ცნობისმოყვარეობა, ან, უკეთ, თავზარი დამცა ყველაზე საშინელი ამბით.

ჯერ მან მკითხა - ვიყავი თუ არა ყოველთვის იმდენად გულუბრყვილო, რომ მჯეროდა ჩემი სატრფოს სიყვარული? მე თამამად მივუგე, რომ სავსებით დარწმუნებული ვარ მის ერთგულებაში და რომ არაფერს არ შეუძლია მცირედი ეჭვიც კი შემატანინოს მასში. - „ჰა! ჰა! ჰა!

- წამოიძახა მან და გულიანად გადაიხარხარა - საუცხოოა, - რა ლამაზად მოგატყუეს, რა წარმტაცი გულუბრყვილობაა, ვწუხვარ, რომ მალეტელთა ორდენში ჩაგრიცხეს, ჩემო საბრალო რაინდო, შენ

უდიდეს მიდრეკილებას ამჟღავნებ - გახდე მომთმენი და დამყოლი ქმარი“. იგი კიდევ დიდხანს დასცინოდა იმას, რასაც ჩემს სისულელესა და ადვილად დარწმუნებას უწოდებდა.

ბოლოს როცა დაინახა, რომ დაჟინებით ვდუმვარ, ლაპარაკი ჩამოაგდო იმაზე, რომ, მისი გამოანგარიშებით, მანონს ჩემი ამიენიდან წამოსვლიდან დაახლოებით თორმეტიოდე დღე ვუყვარდი. „მართლაც, - დაუმატა მან, - მე ვიცი, რომ შენ ამიენიდან გამოხვედი გასული თვის ოცდარვას, დღეს კი ოცდაცხრაა. თერთმეტი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ბ-ნმა დე ბ-მ წერილი მომწერა. ვფიქრობ, რომ მას დაახლოებით რვა დღე მაინც დასჭირდებოდა შენი მეგობარი ქალის კარგად გასაცნობად. ამნაირად, გამოვაკლოთ თერთმეტი და რვა ოცდათერთმეტ დღეს, რომელიც გავიდა ერთ თვის ოცდარვიდან - მეორე თვის ოცდაცხრამდე, და მივიღებთ თორმეტს, ან ცოტა მეტს, ან ცოტა ნაკლებს“. - ხარხარი კვლავ განახლდა.

ყოველივე ამის გაგონებამ გული შემიკუმშა. ვშიშობდი, რომ ბოლომდე ვერ ავიტანდი ამ სამწუხარო კომედიას. - „დღე იცოდე - განაგრძო მამაჩემმა, - რაკი თითონ ვერ მიმხვდარხარ, რომ ბ-ნ ბ-მ მოინადირა შენი ქალბატონის გული. ის რასაკვირველია, თვალს მიხვევდა, როცა მარწმუნებდა, რომ მან მხოლოდ იმისათვის წაგართვა ქალი, უანგარო სამსახური გაენია ჩემთვის. ამგვარ კეთილშობილ გრძნობებს არ მოველი ისეთი ადამიანისაგან, როგორიც ის არის, მით უმეტეს, რომ არც კი ვიცნობ მას. ქალისაგან მას გაუგია, რომ შენ ჩემი შვილი ხარ, და რათა

თავიდან მოეშორებინე, მაცნობა ადგილი, სადაც იმყოფებოდით, თუ რა გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდი. გამაგებინა, რომ საჭიროა მკაცრი ზომების მიღება, ამასთან გამიადვილა შენი შეპყრობა: სწორედ ამ კაცის და შენი სატრფოს მითითების მეოხებით მოახერხა შენმა ძმამ

მოულოდნელად დაგსხმოდა თავს. განა შეგიძლია დაიკვებო შენი გამარჯვების სიმტკიცე? შენ სწრაფად ახერხებ გამარჯვებას, შევალიე, მაგრამ არა გაქვს გამარჯვების შენარჩუნების უნარი“.

ძალა აღარ შემწევდა დიდხანს ამეტანა ასეთი საუბარი, ყოველი სიტყვა გულს ლახვრად ხვდებოდა. სუფრიდან წამოვდექი და კარებისაკენ ოთხი ნაბიჯიც არა მქონდა გადადგმული, რომ იატაკზე უგრძნობლად გავიშლართე. სწრაფმა დახმარებამ მომაბრუნა, თვალები იმისთვის გავახილე, რომ ცრემლთა ნაკადი დამელვარა, ხოლო ტუჩები იმისთვის გავხსენი, რომ უღრმესი მწუხარება და ვაება გამომეთქვა. მამა, რომელსაც მუდამ ნაზად ვუყვარდი, გულმხურვალედ შეუდგა ჩემს დამშვიდებას. ვუსმენდი მის სიტყვებს, მაგრამ მათი აზრი არ გამეგებოდა. დავიჩოქე მის წინ. ხელგაშვერილი ვემუდარებოდი მოეცანება დავბრუნებულეყავ პარიზში და მოესპო სიცოცხლე ბ-სთვის. - „არა, - ვამბობდი მე, - მას მანონის გული არ დაუპყრია, მან აიძულა იგი, შეაცდინა ჯადოთი თუ საწანამლავით; შეიძლება ძალაც იხმარა. მანონს მე ვუყვარვარ. განა მე ეს არ ვიცი! ის ხანჯლით დაემუქრება, რათა მიმატოვოს მე. რას არ ჩაიდენს იგი, რომ გამომგლიჯოს ასეთი მომხიბვლელი სატროფო. ოჰ, ღმერთო, ღმერთო! განა შესაძლებელია მანონს ჩემთვის ელაღატოს და არ ვუყვარდე!“

რადგან მე პარიზში დაუყოვნებელ დაბრუნებაზე ვლაპარაკობდი და ყოველ წამს ზეზე წამოვვარდებოდი, მამას არ შეეძლო არ დაენახა, რომ ამ მდგომარეობაში ჩემი დამშვიდება არაფერს შეეძლო. მან მიმაცილა ზემო სართულის ერთ-ერთ ოთახამდე და ორი მსახური მომიჩინა თვალყურის სადევნებლად. მე თავს ველარ ვიკავებდი. ათას სიცოცხლეს მივცემდი, ოღონდ კი თხუთმეტიოდე წუთით დავბრუნებულეყავი პარიზში. მივხვდი, რომ ჩემი გულწრფელი განცხადების შემდეგ ოთახიდან გასვლის ნებას აღარ მომცემდნენ. თვალით გავზომე ფანჯრის სიმაღლე და როცა დავრწმუნდი, რომ ამ გზით გაქცევა არ მოხერხდებოდა, ფრთხილად დავეწყე ლაპარაკი ჩემს ორ მცველს. ათასწაირ დაპირებას ვაძლევდი, აგაშენებთ-მეთქი თუ გაპარვაში ხელს არ შემეშლით, ვარწმუნებდი, ვეფერებოდი, ვემუქრებოდი, მაგრამ ჩემი

ცდა ამას გამოდგა. დავკარგე ყოველგვარი იმედი. გადავწყვიტე მოვ-
მკვდარიყავ და სანოლზე დავეგდე იმ აზრით, რომ სიცოცხლესთან ერ-
თად დამეტოვებინა იგი. ასეთი ყოფით გავატარე ღამე და მეორე
დღეც. ახლოს არ მივიკარე საჭმელი, რომელიც შემომიტანეს.

ნაშუადღევს მამა მოვიდა ჩემს სანახავად. იგი იმდენად კეთილი
იყო, რომ ნაზი ნუგეშით ცდილობდა ჩემი ტანჯვის შემსუბუქებას. ისე
მტკიცედ მიბრძანა მეჭამა რაიმე, რომ მისი პატივისცემის გულისათ-
ვის უარი ვერ ვუთხარი. განვლო რამდენიმე დღემ, საჭმელს ვჭამდი
მხოლოდ მამაჩემის თანდასწრებით და მორჩილებისათვის. იგი განაგ-
რძობდა ისეთ მოსაზრებათა ჩამოთვლას, რომელთაც გონს უნდა მო-
ვეყვანე, რომელთაც ზიზლი უნდა ალექრათ ჩემში

მოლაღატე მანონისადმი. მართალია, მე უკვე პატივს აღარ ვცემდი
მანონს, - ან როგორ უნდა შემრჩენოდა პატივისცემა ყველაზე ქარაფ-
შუტა და ქმნილებათა შორის ყველაზე ვერაგი ადამიანის მიმართ, მაგ-
რამ მის მომხიბვლელ სახეს გულის სიღრმეში მაინც ვატარებდი. ამას
კარგად ვგრძნობდი. „დეე, მოვკვდე - ვამბობი მე, - განა არ მოვკვდები
ასეთი სირცხვილისა და ტანჯვის შემდეგ, ავიტან ათას სიკვდილს, უმა-
დურ მანონს კი მაინც ვერ დავივიწყებ“.

მამას ძალზე აშფოთებდა ჩემი დაუსრულებელი ნუხილი. მან კარ-
გად იცოდა, რომ მე პატიოსანი კაცი ვიყავ და ეჭვი არ ეპარებოდა, რომ
მანონის ღალატი ჩემში ზიზლს გამოიწვევდა. მან წარმოიდგინა, რომ
ჩემი ერთგულების მიზეზი უნდა აიხსნას არა განსაკუთრებული
გრძნობით, არამედ ქალებისადმი საერთო ლტოლვით. ისე განუმტკიც-
და მას ეს აზრი, რომ ჩემდამი უაღრესი ნაზი გრძნობით გამსჭვალული,
ერთ დღეს მზა წინადადებით შემოვიდა ჩემთან: - „შევალე, - მომმარ-
თა მან, - აქამდე მიწოდდა დიდი პატივით გეტარებინა მალტის ჯვრის
ორდენი. ვრწმუნდები, რომ შენი მიდრეკილება სულ სხვა მხრისკენ მი-
ემართება: შენ გიტაცებენ ლამაზი ქალები. გადავწყვიტე ისეთი ქალი
მოგიძებნო, როგორიც შენს გემოვნებას შეეფერება. გულახდილად
მითხარი, რას ფიქრობ ამის შესახებ?“

მე ვუპასუხე, რომ ამას იქით ქალთა შორის არავითარ გარჩევას არ ვახდენ და იმ უბედურების შემდეგ, რომელიც მე შემემთხვა, ყველა ისინი ერთნაირად მეზიზღებიან-მეთქი. - „მე შენ ისეთს

გამოგინახავ - განაგრძო მამამ ღიმილით, - მანონსაც ჰგავდეს და მასზე ერთგულიც იყოს“. - „თუ თქვენ სიკეთე გინდათ ჩემთვის, - წამოვიყვირე მე, - დამიბრუნეთ ის! მარტო ის! დამიჯერეთ, ძვირფასო მამავ, რომ მას ჩემთვის არ უღალატნია. მას არ ძალუძს ასეთი საზიზღარი და საშინელი სიმდაბლე ჩაიდინოს. ყველას ცბიერი ბ... გვატყუებს. თქვენც, მეც და მასაც. რომ იცოდეთ, რა ნაზი და გულწრფელია მანონი! რომ გაიცნობდეთ, შეიყვარებდით“. - „თქვენ ბავშვი ხართ, - სიტყვა შემომიბრუნა მამამ, - განა შეიძლება კვლავ დაბრმავებული იყვეთ მას შემდეგ, რაც მე ამ ქალზე გიამბოთ? ხომ თვითონ მან მიგცათ თქვენს ძმას ხელში. დაივინყეთ იგი, დაივინყეთ მისი სახელი და, თუ გონიერება შეგერჩათ, ნუ უგულებელჰყოფთ ჩემს ღმობიერებას“.

კარგად ვხედავდი, რომ მამა მართალი იყო. მხოლოდ უნებურმა სულიერმა მოძრაობამ მაიძულა დამეცვა მოღალატე მანონი. - „ვაჰმე! - წამოვიყვირე ოდნავი სიჩუმის შემდეგ - უეჭველია მე საბრალო მსხვერპლი ვარ ყველაზე მდაბალი გამცემლობისა, - დიად - განვაგრძობდი მე და სინანულის ცრემლებს ვღვრიდი, - ძალიან კარგად ვხედავ, რომ ჯერ კიდევ ბავშვი ვარ. ჩემმა ნდობამ მისცა მათ საშუალება ადვილად მოვეტყუებინეთ, მაგრამ კარგად ვიცი, როგორ უნდა ვაზღვევინო მათ“. მამამ მოისურვა ჩემი გადანყვეტილების გაგება - „წავალ პარიზს, - განვაცხადე მე - ცეცხლს მივცემ ბ-ის სახლკარს და შიგამოვწვავ მას ცბიერ მანონთან ერთად“. - ჩემმა გულის წადილმა მამას სიცილი მოჰგვარა და ახალი საბაბი მისცა უფრო სასტიკად ჩავეკეტე ჩემს საპყრობილეში.

მე იქ მთელ ექვს თვეს დავყავი. პირველი თვის განმავლობაში ჩემი განწყობილება არ შეცვლილა. ჩემში ორი გრძნობა იყო დაბუდებული - ზიზღი და სიყვარული, სასოება და უიმედობა. ისინი ერთმანეთს ცვლიდნენ იმის მიხედვით, თუ რა სახით წარმომიდგებოდა მანონი. ხან ყველა ქალზე უფრო მომაჯადოებლად მეჩვენებოდა - და მაშინ მისი

ნახვა მწყუროდა, ხან კი მდაბლად და ვერაგ საყვარლად წარმომიდგებოდა - და მაშინ მინდოდა მომეძებნა იგი მხოლოდ იმისათვის, რომ დამესაჯა

მაძლევდნენ წიგნებს და მათ ოდნავი სიმშვიდე შემოჰქონდა ჩემს სულში. ყველა ჩემი საყვარელი მწერალი გადავიკითხე. ახლებსაც გავეცანი. კვლავ გამეღვიძა დიდი სიყვარული ცოდნისა. გაიგებთ, რა სარგებლობა მომიტანა მან შემდგომად. სიყვარულისაგან გრძნობაგამახვილებულმა ჰორაციოს და ვირგილიუსის ბევრი ისეთი ადგილი გავაშუქე, რაც წინათ გაურკვეველი იყო ჩემთვის. შევადგინე და დასაბეჭდად გავამზადე „ენეიდის“ მეოთხე წიგნის სატრფიალო კომენტარები. იმედი მქონდა მკითხველთა დიდი კმაყოფილებისა. როცა ვადგენდი მას, ჩემს თავს ვეუბნებოდი, რომ ერთგულ დიდონს ჩემივე მსგავსი გული ჰქონია-მეთქი.

ერთ დღეს ჩემს ტყვეობაში ტიბერყმაც მინახულა. გამაოცა იმ ალტაცებამ, როგორითაც იგი გადამეხვია. მანამდე არავითარი საბაბი არ მქონია დამენახა მასში სხვა რაიმე, გარდა უბრალო და მეგობრული ურთიერთობისა, რომელიც არსებობს ერთი ასაკის ორ ახალგაზრდას შორის.

ჩვენი განშორების ხუთი თუ ექვსი თვის განმავლობაში ისე გამოცვლილი, დავაჟუკაცებული მეჩვენა იგი, რომ მისმა გარეგნობამ და ლაპარაკის კილომ მისდამი პატივისცემა მაგრძნობინა. ტიბერყი მელაპარაკებოდა როგორც ბრძენი მრჩეველი და არა როგორც სკოლის ამხანაგი. იგი წუხდა იმ ცდომილების გამო, რომლის მსხვერპლიც მე გავხდი. მომილოცა განკურნება, რასაც უზრუნველყოფილად სთვლიდა, ბოლოს მირჩია მესარგებლა სიყრმის შეცდომით და ამეხილა თვალი სიამეთა ამაოებაზე.

გაოცებული შევეყურებდი. ტიბერყმა შემამჩნია ეს. - „ჩემო ძვირფასო შევალე, - მომმართა, - გეტყვით მხოლოდ იმას, რაც ურყევ ჭეშმარიტებად მიმაჩნია და რაშიც მე თვითონ სერიოზული ფიქრის შემდეგ დავრწმუნდი. მე ჩემს არსებაში მიდრეკილებას სიამეთადმი თქვენზე ნაკლებ არა ვგრძნობდი, მაგრამ ზეცამ ამავე დროს სათნოებისადმი

მისწრაფებითაც დამაჯილდოვა. მივმართე ჩემს გონებას, რათა შემე-
დარებინა ნაყოფი ერთისაც და მეორისაც, და დიდხანს არ დამჭირდა
შემეგნო მათი განსხვავება. ჩემს ფიქრებს ზეცა დაეხმარა, ჩემში და-
იბადა უსაზღვრო ზიზღი ამა ქვეყნისადმი. არ მგონია მიხვდეთ, თუ რა
მაჩერებს მე აქ, - დაუმატა მან, - თუ რატომ ვიკავებ თავს განდეგილო-
ბისაგან. ამის მიზეზი მხოლოდ თქვენდამი გულითადი მეგობრობაა. მე
ვიცი თქვენი გულისა და ჭკუის შესანიშნავი თვისებანი. არ არსებობს
სიკეთე, რომელიც უცხო იყოს თქვენთვის. სიამეთა შხამმა აგიბნიათ
გზა. რა დიდი დანაკლისია სათნოებისათვის! ამიერიდან თქვენმა გაქ-
ცევამ იმდენი მწუხარება მომაცენა, რომ მას შემდეგ ერთი წუთითაც
აღარ განმიცდია

სიმშვიდე. თითონ განსაჯეთ ესა...“ და მიაბო: როგორც კი გაიგო
ჩემი თვალთმაქცობა და სატრფოსთან ერთად გაპარვა, შეჯდა ცხენზე
და დაგვედევნა. მაგრამ, რადგან მე ოთხი თუ ხუთი საათით დავნიან-
ურდი, შეუძლებელი გახდა დაგვწეოდა. იგი მაინც მივიდა სენ-დენიში
ჩვენი იქიდან გასვლის ნახევარი საათის შემდეგ. დარწმუნებული, რომ
მე პარიზში დავრჩებოდი, მან იქ ექვსი კვირა გაატარა და ამაოდ დამე-
ძებდა. მოიარა ყველა ადგილი, სადაც კი იმედი ჰქონდა შემხვედროდა
და ერთ დღეს ჩემი სატრფო კომედის თეატრში დაინახა, იგი ყველაზე
ძვირფას ტანისამოსით ყოფილა გამონწყობილი. გაიფიქრა, უთუოდ ყო-
ველივე ეს ახალი საყვარლის ნყალობააო. გაჰყვა მის ეტლს სახლამდე
და მსახურთაგან გაიგო, რომ იგი ცხოვრობს ბატონ ბ-ის ხარჯზე, - „
ამით არ დავეკმაყოფილდი, - განაგრძო მან, - მეორე დღეს დავბრუნდი
იქვე, რათა გამეგო თვითონ ქალისაგან, თუ რა მოგივიდათ თქვენ. რო-
გორც კი ჩამოვაგდე თქვენზე ლაპარაკი, ის მაშინვე გამშორდა და მე
იძულებული გავხდი, შინ დავბრუნებულიყავ ისე, რომ თქვენს შესახებ
ვერაფერი გავიგე. იქ შევიტყვე რა შეგემთხვათ და რა უკიდურეს სასო-
წარკვეთილებას მისცემიხართ. მაგრამ არ მინდოდა მენახეთ, სანამ არ
დავრწმუნდებოდი, რომ უფრო დამშვიდებულ მდგომარეობაში დამ-
ხვდებოდით“.

- „მამ მანონი ინახულებო? - ოხვრით წამოვიძახე მე. - ვაჰმე, ჩემზე ბედნიერი ყოფილხართ. განკიცხული ვერასოდეს ვერ იხილავს მას!“ მან ეს ოხვრაც მისაყვედურა და აღნიშნა, რომ ეს ჯერ კიდევ ადასტურებს ჩემს სისუსტეს. მან იმდენად მოხერხებულად შეაქო ჩემი კეთილი ზნეობა და

ჩემი კარგი მიდრეკილებანი, რომ ამ პირველ ნახვითვე ჩამინერგა დიდი სურვილი - უარმეყო ამ ქვეყნის სიამენი და მიმელო სასულიერო ნოდება.

ისე გამიტაცა ამ აზრმა, რომ როცა მარტო დავრჩი, სხვა არაფერზე არ ვფიქრობდი. მომაგონდა სიტყვა ბ-ნ ამიენის ეპისკოპოსისა, რომელმაც ასეთივე რჩევა მომცა, და თუ ამ გზას დავადგებოდი, ბედნიერება მიწინასწარმეტყველა. ამ ჩემს აზრებს კეთილი სურვილებიც დაერთო. „გონიერად და ქრისტეს მცნებათა მიხედვით ვიცხოვრებ, ვეუბნებოდი ჩემს თავს, თავს შევნირავე მეცნიერებას და სარწმუნეობას, ეს კი ნებას არ მომცემს ვიფიქრო სახიფათო სატრფიალო გატაცებაზე. შევიზიზღებ იმას, რასაც ჩვეულებრივ აღტაცებაში მოჰყავს ადამიანები. და რადგან ვგრძნობ, რომ ჩემი გული დაინყებს ლტოლვას მხოლოდ იმისაკენ, რაც მისთვის ღირსეულია, ნაკლები მექნება როგორც მწუხარება, ისე მისწრაფებანი.

ამასთან დაკავშირებით წინასწარ შევადგინე განმარტოებული და მშვიდი ცხოვრების გეგმა. მასში შედიოდა: მყუდრო სახლი, ხეივანი, ანკარა წყარო ბალის ბოლოს, რჩეულ ნაწარმოებთა წიგნთსაცავი, ღირსეულ და გონიერ მეგობართა ვიწრო წრე, ფაქიზი, მაგრამ უბრალო სასმელ-საჭმელი. ყოველივე ამას ვუმატებდი მინერ-მონერას რომელიმე მეგობართან, რომელიც პარიზიდან მაცნობებს ახალ საზოგადოებრივ ამბებს, იმდენად ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად არა, რამდენადაც იმისათვის, რომ გადავაყოლო გული ადამიანთა ამაო

ფუსფუსს. „განა ბედნიერი არ ვიქნები? - ვფიქრობდი, - განა არ განხორციელდება ჩემი ყველა სურვილი?“ ასეთი გეგმა ეგუებოდა ჩემს მისწრაფებას. მაგრამ ამ გეგმის დამთავრებისას ვიგრძენი, რომ ჩემი

გული კიდევ რალაცას ელოდა და ჩემი მისწრაფების დასაგვირგვინებლად საჭირო იყო, რომ ამ საუცხოო განმარტოებაში მანონიც ჩემთან ყოფილიყო.

ტიბერუი ხშირად მნახულობდა. მას უნდოდა განვემტკიცებინე იმ გადანწყვეტილებაში, რომელიც მან ჩამაგონა. გადაწყვიტე ჩემი აზრები მამაჩემისათვის გამემჟღავნებინა. მამამ გამომიცხადა, რომ წესად შემოიღო მისცეს შვილებს თავისუფლება ცხოვრების გზის არჩევანში და, როგორც უნდა იყოს ჩემი გეგმები, ის დაიტოვებს მხოლოდ ერთ უფლებას - დამეხმაროს რჩევა-დარიგებით. მან რამდენიმე მეტად ბრძნული დარიგება მომცა, რომელიც მიმართული იყო არა იქითკენ, რომ ჩემს განზრახვას ავეცილებინე, არამედ შეგნებულად შევედგომოდი ამ განზრახვის განხორციელებას.

სასწავლო წელი ახლოვდებოდა. შევუთანხმდი ტიბერუს ერთად შევსულიყავით წმინდა სულპისის სემინარიაში, სადაც ის საღვთისმეტყველო მეცნიერებათა კურსს დაამთავრებდა, ხოლო მე დავინწყებდი ამ კურსს. ტიბერუსი ღირსებანი ცნობილი იყო თვით ეპარქიალური ეპისკოპოსისათვისაც. ამ ღირსებისათვის ჯერ კიდევ ჩვენს წამოსვლამდე მან საკმაოდ დიდი ბენეფიცია მიიღო.

მამაჩემი ფიქრობდა, რომ მე სავსებით განვიკურნე სიყვარულისგან და ჩემი სწავლისათვის არავითარი დაბრკოლება არ შეუქმნია. პარიზში ჩავედით. მალტელთა ჯვარი სასულიერო წოდების სამოსელმა შეცვალა, შევალე - აბატ დე გრიემ. ისეთი გულმოდგინებით შევუდექი მეცადინეობას, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში გასაოცარ წარმატებას მივაღწიე. ჩემს მუშაობას ღამის ნაწილს ვანდომებდი, ხოლო დღისით არც ერთ წუთს არ ვკარგავდი. ისეთი სახელი გამივარდა, რომ წინასწარ მილოცავდნენ მომავალ ხარისხს, ჩემს უთხოვნელად ჩემი სახელი უკვე შეეტანათ ბენეფიციების სიაში. მე არც კეთილმორწმუნოებას გავურბოდი, გულმოდგინედ ვასრულებდი მის მოწერილობას. ტიბერუი აღტაცებული იყო და ყოველივეს თავისი მეცადინეობის მიღწევად თვლიდა. ბევრჯერ მინახავს, როგორ ღვრიდა ცრემლებს და „ჩემს მომაქცევარს“ უწოდებდა თავს.

მე არასოდეს მიკვირდა ადამიანის განზრახვათა ცვალებადობა: ერთი გრძნობა წარმოშობს მათ, მეორეს შეუძლია მათი მოსპობა. მაგრამ როდესაც ვფიქრობ იმ განზრახვის სინმინდებზე, რომელმაც წმ. სულპისეში მიმიყვანა. და იმ შინაგან ნეტარებაზე, რომელიც ზეცამ გამომიგზავნა, მაძრწუნებს ის, თუ რა იოლად შევძელი მათი დაღუპვა. თუ მართალია, რომ ზეცის მფარველობას ყოველ წუთს გააჩნია ძალა, რომელიც ვნებათა ძლიერებას უდრის, ამისხსნან მაშინ, რა დამღუპველი ზეგავლენით უკუაგდებს ხოლმე ადამიანი ჭეშმარიტ მოვალეობას ისე, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობის განწევის უნარს კარგავს და სინდისის ქენჯნასაც არ განიცდის?!

სიყვარულის დაავადებისაგან სრულიად თავისუფალი მეგონა ჩემი თავი. მეგონა, რომ თავიდან მოვიშორე ყველა გრძნობიერებითი სიტკბოება, მათ შორის ისიც, რომელიც მანონმა მომანიჭა. თითქოს ყოველივეს ვამჯობინებდი წმ. ავგუსტინეს ერთ ფურცელს, ან თხუთმეტით ნუთით ქრისტიანულ საკითხებზე ჩაფიქრებას. მიუხედავად ამისა, ერთმა უბედურმა წამმა ჩამნთქა უფსკრულში და ეს ჩანთქმა მით უფრო გამოუსწორებელი იყო, რომ ერთბაშად აღმოვჩნდი იმ სიღრმეში, რომელსაც თავი დავაღწიე. მე გამიტაცა იმ მწვავე განცდებმა, რომლებიც უფრო ახლოს იყო უფსკრულის ფსკერთან.

პარიზში თითქმის ერთი წელიწადი ისე გავატარე, რომ მანონის ამაზი არ მიკითხავს; საკუთარ თავთან ბრძოლა ძვირად დამიჯდა, მაგრამ ტიბერჟის გამუდმებული და დროული დახმარება, საკუთარი ჩემი განსჯანი ხელს უწყობდნენ ჩემს გამარჯვებას. უკანასკნელმა თვეებმა ძალიან მშვიდად ჩაიარა. ვფიქრობდი კიდეც, რომ ცოტა და საუკუნოდ დავივიწყებდი იმ მომხიბვლელ და ცბიერ ქმნილებას. საღვთისმეტყველო სასწავლებელში დადგა საჯარო გამოცდის დრო. მივმართე რამდენიმე წარჩინებულ პირს - მოელოთ მოწყალეობა და ჩემს გამოცდებს დასწრებოდნენ. ჩემი სახელი პარიზის ყველა უბანს მოედო. ამ ხმას ჩემი მოლაღატის ყურამდეც მიეღწია. აბატის სახელწოდების გამო მან არ იცოდა, ნამდვილად მე ვიყავი თუ არა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ, რომელიც მას შერჩენოდა, ან შეიძლება, მცირე სინანულმა,

თავისი ღალატის გამო (ვერასოდეს ვერ ვარჩევდი - ამ გრძნობათაგან რომელი იყო) გაულვიდა ინტერესი

ჩემი სახელის მსგავსმა სახელმა. იგი რამდენიმე ქალთან ერთად სორბონში გამოცხადდა, დაესწრო ჩემს გამოცდას, და რასაკვირველია, მიცნო კიდეც

მე მისი მოსვლის შესახებ არაფერი ვიცოდი. როგორც ცნობილია, ქალებს განსაკუთრებული ლოყები აქვთ დათმობილი. რიკულიანი და-რაბების გამო ისინი იქ არ მოჩანან. დავბრუნდი სულპისში სახელმობ-ვეჭილი და მოლოცვებით დატვირთული, საღამოს ექვსი საათი იქნე-ბოდა. დაბრუნებისთანავე მაცნობეს, რომ ვიღაც ქალს თქვენი ნახვა სურსო. იმ წამსვე გავეშურე მისაღებ ოთახისაკენ. ღმერთო ჩემო, რა მოულოდნელი ამბავი დამხვდა! ის იყო, ის, მანონი! უფრო მიმზიდვე-ლი, უფრო წარმტაცი, მეტვრამეტე წელიწადში გადამდგარი. მისი მშვენება აუნერელი იყო: ნაზი, სანდომიანი, მოხდენილი - თვით სიყვა-რულს გამოხატავდა. მთელი მისი გარეგნობა მომაჯადოებლად მეჩვენ-ნა.

მანონის დანახვაზე შევკრთი და, რადგან არ ვიცოდი მისი მოსვლის მიზანი, თავდახრილი და აცახცახებული ვუცდიდი რას იტყოდა. რამ-დენიმე ხანი ისიც ჩემსავით იყო შემკრთალი, მაგრამ, როდესაც დაინა-ხა, რომ ჩემი მდუმარება გრძელდებოდა, ხელები თვალებზე მიიფარა, უნდოდა ცრემლები დაემალა. ბოლოს მოკრძალებული ხმით თქვა, რომ ღალატის გამო სავსებით დაიმსახურა ჩემი სიძულვილი, მაგრამ თუ ოდესმე გამსჭვალული ვიყავი ნაზი გრძნობებით მისდამი, საშინე-ლი უგულობაა, რომ ორი წლის განმავლობაში არ შევეცადე მისი ამბის გაგებას.

უფრო მეტი სისასტიკეა ასეთი დუმილი ახლა, როცა შევხვდი. შე-უძლებელია იმ სულიერი მწუხარების გამოთქმა, რომელშიაც მე ვიმ-ყოფებოდი.

იგი ჩამოჯდა, მე ოდნავ გვერდშექცევით ვიდექი და პირდაპირ შე-ხედვას ვერა ვბედავდი. რამდენჯერმე ვცადე პასუხის გაცემა, მაგრამ ძალა არ შემწევდა დაწყებული დამესრულებინა. ბოლოს თავს ძალა

დავატანე და მწუხარებით წამოვიყვირე: „ცბიერო მანონ! ცბიერო, ცბიერო!“ მან ცხარე ცრემლის ღვრით რამდენჯერმე გაიმეორა, რომ არ ფიქრობს თავისი ცბიერების გამართლებას. „მაშ, რა გნებავთ?“ - შევძახე მე. - „სიკვდილი, - მიპასუხა მან, - თუ თქვენ გულს არ დამიბრუნებთ, ამის გარეშე ჩემი სიცოცხლე შეუძლებელია“. „მიიღე ჩემი სიცოცხლე, მოლაღატე!“ - წამოვიძახე ცრემლის ღვრით, რომლის შეკავებაც ვერ შევძელი. - მიიღე ჩემი სიცოცხლე, ეს არის ერთადერთი, რაც შემიძლია კიდევ შემოგწირო, რადგან ჩემი გული მუდამ შენ გეკუთვნოდა!“

ძლივს მოვასწარი უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმა, რომ სწრაფად წამოხტა და გულში ჩამიკრა. ნაზი ალერსის ბადეში გამხვია. ათასგვარ ისეთ სახელს მიწოდებდა, რასაც სიყვარული ყველაზე ნაზ გრძნობათა გამოსახატავად თხზავს. მე გაუბედავად ვეხმაურებოდი. წარმოიდგინეთ მშვიდობიან განწყობილებიდან, რომელშიაც მე ვიყავი, სულის აბობოქრებული მდგომარეობაში გადასვლა, - სულის, რომელმაც კვლავ გაიღვიძა. თავზარი დამეცა; ვკანკალებდი ისე, როგორც

კანკალებს ადამიანი, ღამით ტრიალ მინდორში მოხვედრილი, რომელსაც ეჩვენება თითქოს ახალი სამყაროში იყოს, რალაც იდუმალი შიში გიპყრობს, რომლისგანაც თავის დაღწევას მხოლოდ მაშინ შესძლებ, როცა მიდამოს გულდასმით დააკვირდები.

პირისპირ დავსხედით, - ხელი ხელში ჩავჭიდე. - „აჰ, მანონ! - წარმოვთქვი და მწუხარედ გადავხედე - არ მოველოდი თქვენგან ისეთ შავ ლაღატს, როგორითაც სიყვარულისათვის გადამიხადეთ. თქვენ ადვილად მოატყუეთ ის გული, რომლის სრული მბრძანებელიც იყავით და რომლის მთელ ბედნიერებას თქვენი თაყვანისცემა და მორჩილება შეადგენდა. მითხარით ახლა, იპოვეთ სხვა ასეთი გული? ასეთივე მგრძნობიარე და ასეთივე ერთგული? არა, არა, ბუნებას სხვა ასეთი გული არ შეუქმნია! ყოველ შემთხვევაში მითხარით, ნანობდით თუ არა მასზე? შემიძლია თუ არა დარწმუნებული ვიყო თქვენს კეთილ გრძნო-

ბაში, რომელიც გაიძულვით დღეს დამამშვიდოთ. ძალიან კარგად ვხედავ, რომ თქვენ უფრო მომხიბლავი ხართ, ვიდრე ოდესმე, მაგრამ გაფიცვით იმ ტანჯვას, რომელიც თქვენთვის გადავიტანე, მშვენიერო მანონ, მითხარით, მომავალში იქნებით ჩემი ერთგული თუ არა?”

საპასუხოდ მან იმდენი გულის ამაჩუყებელი სიტყვები მითხრა თავისი სინანულის გამო, ისეთი დამაჯერებლობით და ისეთი ფიცით დამპირდა ერთგულებას, რომ ჩემი გული უსაზღვროდ მოარბილა. „ძვირფასო, მანონ, - მივმართე მას და ერთმანეთში უღვთოთ ავურიე სატრფიალო და

სალვთისმეტყველო სიტყვები, - შენში ძალიან ბევრია ღვთაებრივი. მეტი, ვიდრე მიწიერ ქმნილებას შეეფერება. მე ვგრძნობ, როგორ იტაცებს ჩემს გულს მძლეთამძლე სიტკბოება. ყოველივე რასაც წმ. სულპისის სემინარიაში თავისუფლებაზე მეტყველებენ, ცარიელი ქიმერაა. შენთვის გავწირავ ჩემს მომავალს და ჩემს სახელს; მე წინასწარ ვხედავ ამას, ჩემს ხვედრს შენს მშვენიერ თვალეში ვკითხულობ. მაგრამ რა დანაკარგს არ ამინაზღაურებს შენი სიყვარული? ჩემი კეთილი მდგომარეობისათვის მე არ ვიზრუნებ. სახელი კვამლია მხოლოდ, ჩემი გეგმა სასულიერო წოდების პირის ცხოვრების შესახებ გიჟური ოცნება იყო. ბოლოს, ყოველივე სიკეთე, გარდა იმისა, რაც უშუალოდ შენთან არ არის დაკავშირებული, ღირსია ზიზღისა, რადგან იგი შენი ერთი შემოხედვის შემდეგ სწრაფად გაჰქრა ჩემს გულში“.

დავპირდი, რომ მთლად დავინყებას მივცემდი მის შეცდომას, მაგრამ მაინც მინდოდა გამეგო, როგორ აცდუნებინა თავი ბ-ს. მან მიაბო, რომ ბ-ნ ბ-ს ფანჯარაში დაუნახავს და მაშინვე შეჰყვარებია: სიყვარული მან ისე განუცხადა, როგორც ეს მთავარ მოიჯარადრეს შეჰფერის, ე. ი. წერილში სწერდა, რამდენადაც იგი ნებას დაჰყვებოდა, ჯილდოც ამის შესაფერი იქნებოდა. ის დასთანხმდა მხოლოდ იმისათვის, რომ მიეღო ფული ჩვენი ცხოვრების უზრუნველსაყოფად, იმდენად დააბრმავა თვალწარმტაცი დაპირებებით, რომ იგი თანდათან დაემორჩილა. მე უნდა მივმხდარიყავ მის სინდისის ქენჯნას იმ მწუხარების მი-

ხედვით, რომელსაც იგი ჩვენი განშორების წინ განიცდიდა. მიუხედავად ამ ფუფუნებისა, რომელშიაც ბ-ნი ბ. ამყოფებდა, მანონი ვერავითარ

ბედნიერებას ვერა გრძნობდა მასთან, არა მარტო იმიტომ, რომ მასში ვერ ჰპოვა, მისი სიტყვით, ჩემი გრძნობების სინაზე და ტკბილი მოპყრობა, არამედ იმიტომაც, რომ ყველა ამ სიამოვნების მიუხედავად, რომელსაც იგი განუწყვეტლივ უქმნიდა, გულის სიღრმეში მუდამ გრძნობდა ჩემს სიყვარულს და სინდისის ქენჯნას.

მანონმა მიაძხო, თუ როგორ დააბნია იგი ტიბერყის ნახვამ - „მახვილი გულში ნაკლებად ამიმღვრევდა სისხლს, - დაუმატა მან - ოთახიდან გავედი, რადგან ველარ შევძელ მასთან ერთად წუთითაც დარჩენა“.

მანონმა ისიც მიაძხო, თუ როგორ გაიგო ჩემი პარიზში ყოფნა, რა ცვლილება მოხდა ჩემს ცხოვრებაში, ჩემი გამოცდის შესახებ სორბონში. იგი მარწმუნებდა, პაექრობის დროს ისე აღელდა, რომ ძლივს შეიკავა არათუ ცრემლები, არამედ ოხვრა და კვნესაც. დასასრულ გადმომცა, როგორ გამოვიდა ყველაზე ბოლოს დარბაზიდან, რათა დაემალა თავისი მღელვარება. მხოლოდ თავისი გულის და დაუძლეველი სურვილის კარნახით გამოსნია პირდაპირ სემინარიისაკენ იმ გადაწყვეტილებით, რომ, თუ არ ვაპატიებდი, იქვე მომკვდარიყო.

ვინ იქნებოდა ისეთი ბარბაროსი, რომლის გულსაც არ მოალობდა ესოდენ ცხოველი და ნაზი სინანული? მე ვგრძნობდი, რომ იმ წუთში მანონს შევწირავდი საქრისტიანო სამყაროს ყველა

ეპარქიას. ვკითხე - რა აზრისა ხარ ჩვენი მომავალი ცხოვრების შესახებ-მეთქი. მან მიპასუხა, საჭიროა დაუყონებლივ სემინარიის დატოვება და სადმე საიმედო თავშესაფრის გამოძებნაო. მე უყოყმანოდ დავეთანხმე. იგი ჩაჯდა თავის ეტლში, რათა ქუჩის მოსახვევში დამლოდებოდა. ერთი წამის შემდეგ მეც გავიპარე, გავიპარე ისე, რომ მეკარეს არ შევუმჩნევივარ. ეტლში ჩაფუჯექი და მეძველმანესთან გავწინეთ. კვლავ დაშნა შემოვირტყი. ფულს მანონი იხდიდა, რადგან თან გროშიც არ გამაჩნდა, მან ნება არ მომცა ერთი წუთითაც მაინც შევსუ-

ლიყავი ჩემს ოთახში ფულისათვის, იმის შიშით, რომ ამას ხელი არ შეეშალა ჩემი სემინარიიდან გაპარვისათვის, ამასთან არცთუ ბევრი თანხა გამაჩნდა. ის კი ბ-ნ ბ-ს სიუხვით ისე გამდიდრებულიყო, რომ ეს ხარჯი შეეძლო არაფრად ჩაეგდო. ჩვენ დუქანშივე შევთანხმდით, როგორ უნდა მოვექცეულიყავით.

რათა უფრო მეტად დამეფასებინა ის მსხვერპლი, რაც მან ჩემი გულისათვის გაიღო, მანონმა გადანყვიტა ყოველგვარი განმარტების გარეშე გაენყვიტა კავშირი ბ-სთან. - „მე დაფუტოვებ მთელ მონყობილობას, - სთქვა მან - იგი მას ეკუთვნის, მაგრამ სრული უფლება მაქვს თან წამოვიღო სამკაული და სამოციოდე ათასი ფრანკი, რომელიც ორი წლის განმავლობაში დავტყუე“. - „მე არავითარი ვალდებულებით არავარ მასთან დაკავშირებული, - დაუმატა მან, - სრულიად უშიშრად შეგვიძლია დავრჩეთ პარიზში, დავიქირავებთ მოხერხებულ ბინას და ბედნიერად ვიცხოვრებთ“.

მე ვუთხარი, თუ ეს შენთვის საფრთხეს არ წარმოადგენს, ჩემთვის მეტად გაბედული ნაბიჯი იქნება, რადგან ადრე თუ გვიან მიცნობენ, ამასთან მუდამ უბედურების მოლოდინში უნდა ვიყო, რაც ერთხელ უკვე გამოვცადე-მეთქი. მანონმა მაგრძნობინა, რომ პარიზის დატოვება ენანებოდა. მე იმ ზომამდე ვერიდებოდი მის წყენას, არ ვიცი რა საფრთხე უნდა ყოფილიყო, რომ ავრიდებოდი, ოღონდ მისთვის ყოველივე ამესრულებინა. ბოლოს ჩვენ მაინც მოვნახეთ გამოსავალი. დავიქირავებდით სახლს რომელიმე სოფელში პარიზის მახლობლად, საიდანაც ადვილი იქნებოდა ქალაქს ჩასვლა, როცა ამას საჭიროება და სურვილი მოითხოვდა. ავირჩიეთ შაიო, რომელიც სულ ახლოს მდებარეობდა. მანონი დაუყონებლივ დაბრუნდა შინ, ხოლო მე ტიულერის ბაღის პატარა ჭიშკართან ველოდებოდი.

ერთი საათის შემდეგ მანონი დაბრუნდა დაქირავებული ეტლით, მოახლეს თანხლებით და რამდენიმე სკივრითურთ, რომელშიაც ტანისამოსი და ძვირფასი ნივთები ენყო.

მალე მივალნიეთ შაიოს. პირველი ღამე სასტუმროში გავატარეთ, რათა მეორე დღეს მოგვენახა სახლი, ან ყოველ შემთხვევაში მოხერხებული ბინა. მართლაც, მეორე დღეს შევარჩიეთ ჩვენი გემოვნების ბინა.

თავდაპირველად ჩემი ბედნიერება ურყევი მეგონა, მანონი ნამდვილი სინაზისა და თავაზიანობის

განხორციელება იყო. იგი ისეთი მზრუნველობით მეპყრობოდა, რომ თავს ვთვლიდი მეტისმეტად დაჯილდოებულად. ჩვენ მიერ გადატანილი ამდენი ტანჯვით ორივემ მცირედი გამოცდილება მოვიპოვეთ და შეგვეძლო უკეთ აგვენონ-დაგვენონა ჩვენი ქონებრივი მდგომარეობა. სამოცი ათასი ფრანკი, რაც ჩვენი ქონების საფუძველს შეადგენდა, არ წარმოადგენდა ისეთ თანხას, რომელიც მთელს ჩვენს სიცოცხლეში გვეყოფოდა. მეორე მხრით, არ ვიყავით განწყობილი იმისათვის, რომ ხარჯები შეგვემცირებინა, მანონის მთავარ სათნოებას, ისევე როგორც ჩემსას, არ შეადგენდა მომჭირნეობა. მე ასეთი გეგმა წარუუდგინე: - „სამოცი ათასი ფრანკი ჩვენ ათ წელიწადს გვეყოფა. თუ შაიოში განვაგრძობთ ცხოვრებას, წელიწადში ორი ათასი ეკიუ საკმარისი იქნება. ვიცხოვრებთ არც ისე მდიდრულად, უბრალოდ. ერთადერთი ზედმეტი ხარჯი ეტლი და თეატრი იქნება. ანგარიშიანად ვიცხოვრებთ. თქვენ ოპერა გიყვართ, იქ ვივლით კვირაში ორჯერ. ისე შევიზღუდავთ თავს ბანქოს თამაშში, რომ არასოდეს ორ პისტოლზე მეტს არ ნავაგებთ. შეუძლებელია, ათი წლის განმავლობაში ჩემს ოჯახში რაიმე ცვლილება არ მოხდეს, მამაჩემი არც ისე ახალგაზრდაა, შეიძლება მალე მოკვდეს, მივიღებ მემკვიდრეობას და შიში აღარაფრისა გვექნება“.

ასეთი გადაწყვეტილება არ იქნებოდა ჩემს ცხოვრებაში ყველაზე უგუნური, რომ ჩვენ საკმაოდ გონივრები ვყოფილიყავით და მუდმივად მას დავდგომოდით. მაგრამ ჩვენი გადაწყვეტილება თვეზე მეტ ხანს არ გაგრძელებულა. მანონს გართობა უყვარდა, მე კი იგი მიყვარდა. არ იყო წუთი,

რომ ხარჯისათვის ახალ-ახალი საბაბი არ გამოჩენილიყო. არ მენანებოდა ფული, რომელსაც მანონი ხშირად უხვად ჰფანტავდა და მე

პირველი მზად ვიყავი ყველაფერი ჩამედინა, რომ მას სიამოვნება განეცადა. შაიოში ყოფნა მანონს უკვე უმძიმდა.

ზამთარი ახლოვდებოდა, ყველანი ქალაქში ბრუნდებოდნენ. სოფელი ცარიელდებოდა. მანონმა წინადადება მომცა პარიზში გადავსულიყავით. მე უარზე ვიყავი, მაგრამ მცირედ მაინც რომ მესიამოვნებინა მისთვის, ვურჩიე დაგვექირავებინა ქალაქში ავეჯით განწყობილი ბინა, სადაც ასამბლეების შემდეგ ღამეს გავათევდით. ასამბლეებზე კვირაში რამდენჯერმე ჩავდიოდით ქალაქში და იქიდან გვიან დაბრუნების უხერხულობა იყო მიზეზი იმისა, რომ მანონმა ქალაქში გადასახლების სურვილი გამოსთქვა. ამრიგად, ჩვენ ორი ბინა გავიჩინეთ: ერთი ქალაქად, მეორე სოფლად. ამ ცვლილებამ საბოლოოდ ანენ-დანენა ჩვენი საქმეები და გადაიქცა ორი მოვლენის მიზეზად, რამაც დაღუპვამდე მიგვიყვანა.

მანონს ჰყავდა ძმა, რომელიც გვარდიაში მსახურობდა. საუბედუროდ, აღმოჩნდა, რომ ის პარიზში იყო და იმავე ქუჩაზე ცხოვრობდა, სადაც ჩვენ დავბინავდით. ერთხელ დილით მან ფანჯარაში თავისი და იცნო და მაშინვე შემოვარდა ჩვენს ოთახში. უხეში და უპატიოსნო აღამიანი იყო. შემოსვლისთანავე დაიწყო საშინელი ლანძღვა-გინება. მან იცოდა ზოგი რამ თავისი დის თავგადასავლისა და საყვედურით, შეურაცხყოფით აიკლო იგი.

მე ის იყო გარეთ გავედი, უეჭველად ჩემდა, ან მისდა საბედნიეროდ, რადგან არაფრისათვის არ ვიყავი ისე ნაკლებ განწყობილი, როგორც შეურაცხყოფის ასატანად. შინ მაშინ დავბრუნდი, როცა იგი უკვე ნასულიყო. მანონის მწუხარებამ მიმახვედრა, რომ რაღაც არაჩვეულებრივი უნდა მომხდარიყო. მან გადმომცა თავისი ძმის უხეში მუქარის ამბავი. ისე აღვშფოთდი, რომ მზად ვიყავი დავდევნებოდი შეურაცხმყოფელს, რომ მანონის ცრემლებს არ შევეჩერებინე.

სანამ მომხდარ შემთხვევაზე ვლაპარაკობდით, ჩვენს ოთახში დაუკითხავად შემოვიდა გვარდიელი. მე რომ იგი სახით მეცნო, არც ისე თავაზიანად შეხვდებოდი. მხიარულად მოგვესალმა, და მანონის წინა-

შე ჩადენილი თავხედობისათვის ბოდიშიც კი მოიხადა, თან განუმარტა: პირველად ეჭვი შემეპარა, მეგონა მანონი გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა, და ამ აზრმა აღმაშფოთაო. მაგრამ მიუმართავს ჩემი მსახურისათვის და მას იმდენად კარგი ცნობები მიუწოდებია, რომ დაჰბადებია სურვილი ჩვენთან კეთილი ურთიერთობების ჩამოგდებისა.

თუმცა ის, რომ მსახურისათვის მიუმართავს, საკმაოდ უცნაური და სათაკილო იყო, მაგრამ მე მაინც მისალმებაზე ზრდილობიანად ვუპასუხე. ამით მიხდოდა მანონის გული მომეგო. ეტყობოდა, მანონს უხაროდა ძმის დამშვიდება. ჩვენ იგი სადილად დავტოვეთ.

იმდენად დაგვიახლოვდა, რომ მოჰკრა თუ არა ყური ჩვენს საუბარს შაიოში დაბრუნების შესახებ,

გადანწყვიტა აუცილებლად გამოგვყოლოდა. იძულებული გავხდით ადგილი დაგვეთმო ჩვენს ეტლში. ეს უკვე მფლობელობაში შესვლის აქტი გახლდათ, რადგან მალე ისე მოშინაურდა, რომ ჩვენი სახლი თავის სახლად მიაჩნდა, ხოლო ჩვენი ნივთები თავის საკუთარ ნივთებად. იგი ძმას მეძახდა, ძმობის უფლებით ყველა თავის მეგობარს შაიოში ეპატიჟებოდა, და ჩვენს ხარჯზე უმასპინძლდებოდა. ჩვენს ხარჯზე შეიკერა საუცხოო ტანისამოსი. გვაიძულა აგრეთვე გადაგვეხადა ყველა მისი ვალი. მე თვალს ვხუჭავდი ასეთ თავხედობაზე, რათა ამით მანონისათვის არ მეწყენინებინა. თავს ისე ვაჩვენებდი, თითქოს ვერ ვამჩნევდი, როდესაც იგი დროდადრო საკმაოდ დიდ თანხას ართმევდა მანონს. ხელგაშლილად თამაშობდა ბანქოს და თუმცა იმდენად სინდისიერი იყო, რომ როცა ბედი გაუღიმებდა, ნაწილობრივ აბრუნებდა ფულს, მაგრამ ჩვენი სახსრები აშკარად საკმაო არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ დიდხანს დაეფარა ასეთი უწესრიგო ხარჯები. მე უკვე ვაპირებდი მასთან საფუძვლიან მოლაპარაკებას და მის თავიდან მოშორებას, როცა საბედისწერო შემთხვევამ გადამარჩინა ერთ უბედურებას, მაგრამ თავს დამატებს მეორე უბედურება, რომელმაც ჩვენი დალუპვა დაასრულა.

ერთხელ, ჩვეულებრივ, პარიზში გავათიეთ ღამე. მოახლე, რომელიც ასეთ შემთხვევაში შაიოში მარტო რჩებოდა, ჩამოვიდა დილით და

მაცნობა, რომ ღამით ჩვენს სახლს ცეცხლი გაუჩნდა და დიდის ვაივაგ-
ლახით ჩავაქრეთო. ვიკითხე, დაზიანდა თუ არა ჩვენი ავეჯეული. მან
მიპასუხა, რადგან აუარებელი ხალხი მოვიდა მოსაშველებლად, ისეთი
არეულობა იყო, დანამდვილებით

ვერაფერს ვიტყვიო. შეშინებულმა, რომ არ დაკარგულიყო ჩვენი
ფული, რომელიც პატარა სკივრში მქონდა ჩაკეტილი, სასწრაფოდ გა-
ვეშურე შაიოში, ამოი იყო ჩემი აჩქარება - სკივრი იქ აღარ დამხვდა.

მაშინ ჩემს თავზე განვიცადე, რომ შეიძლება ძუნწი არ იყოს ადამი-
ანი, მაგრამ ფული კი უყვარდეს. ფულის დაკარგვამ იმ ზომამდე შემა-
წუხა, რომ შემეშინდა გონება არ შემრყეოდა. სწრაფად წარმოვიდგინე,
რა ახალი გაჭირვება მომელოდა. სილატაკე არ იყო ყველაზე დიდი უბე-
დურება. მე უკვე ვიცნობდი მანონს კარგად და გამოვცადე ჩემს თავ-
ზე, რომ რაც უნდა ერთგული და დაახლოებული ყოფილიყო იგი ჩემ-
თან ბედნიერების დროს, უბედურებაში მასზე დანდობა არ შეიძლებო-
და. ისე ძლიერ უყვარდა განცხრომა და სიამოვნება, რომ შეუძლებელი
იყო ჩემი გულისთვის ხელი აერო მასზე. - „დავკარგე იგი! - ნამოვიძახე
მე. - საბრალო მალტელო რაინდო, შენ ხელახლა ჰკარგავ ყოველივეს,
რაც გიყვარდა!“ ამ აზრმა ისეთი თავზარი დამცა, რომ გავიფიქრე, ხომ
არ სჯობია ყველა ჩემს უბედურებას სიკვდილით ბოლო მოვულო-მეთ-
ქი.

საბედნიეროდ, იმდენი ძალა კიდევ შემრჩენოდა, რომ მომესაზრა,
დამრჩენია თუ არა რაიმე გამოსავალი-მეთქი. ზეცამ ერთი აზრი შთა-
მაგონა, რომელმაც გამომიყვანა სასონარკვეთილებიდან: გადავიფიქ-
რე, დამემალა მანონისათვის ფულის დაკარგვის ამბავი, ხოლო შემდეგ
რაიმე მოხერხებით, ან ბედნიერი შემთხვევის წყალობით ეგებ მომენ-
ყო მისი ცხოვრება ისე, რომ გაჭირვება არ გვეგრძნო.

ვანგარიშობდი და თავს ვიმშვიდებდი, რომ ოცი ათასი ეკიუ ათ ნე-
ლინადს გვეყოფოდა. წარმოვიდგინოთ, რომ ათმა წელმა უკვე განვლო
და ჩემს ოჯახში არავითარი ცვლილება არ მომხდარა, რა ზომებს მივ-
მართავდი მაშინ? ეს მე არ ვიცოდი, მაგრამ ვინ მიშლის, დღეს მოვიქცე

ისე, როგორც მაშინ მოვიქცეოდი? რამდენი ადამიანი ცხოვრობს პარიზში, რომელსაც არა აქვს არც ჩემი ქუა, არც ჩემი ბუნებრივი ნიჭი, მაგრამ პოულობს სარჩოს იმ უნარის მეოხებით, რაც გააჩნია. - „განა განგებამ ბრძნულად არ განანესა ეს ქვეყანა? - განვაგრძობდი ფიქრს ცხოვრებაში ადამიანთა მდგომარეობის განსხვავებაზე. - მდიდრებისა და დიდკაცების უმრავლესობას ბრყვები შეადგენენ. ეს ცხადია ყველასათვის, ვინც ოდნავ მაინც იცნობს ქვეყანას, და, სწორედ ამაშია უდიდესი სამართლიანობა. მათ რომ ქუაყცა ჰქონდეთ და სიმდიდრეც, ისინი მეტისმეტად ბედნიერნი იქნებიან, ხოლო კაცობრიობის დანარჩენი ნაწილი - უაღრესად უბედური, სხვებს ენიჭებათ ხორციელი და სულიერი ღირსებანი, როგორც გაჭირვებიდან და სიღატაკიდან თავის დაღწევის საშუალება; ზოგნი თავის წილს დიდებულთა სიმდიდრიდან იღებენ იმით, რომ ართობენ მათ, ნამდვილად კი ასულელებენ: სხვები ეხმარებიან მათ აღზრდაში, ცდილობენ პატიოსანი ადამიანები გამოიყვანონ; მართალია, ამას ისინი იშვიათად აღწევენ, მაგრამ ამაში ხომ არ არის ღვთაებრივი სიბრძნის აზრი: ისინი ყოველთვის იღებენ თავიანთი შრომის ნაყოფს, რადგან ცხოვრობენ იმათ ხარჯზე, ვისაც წვრთნიან. რა მხრითაც უნდა შეხედოთ საქმეს, მდიდრებისა და ამა ქვეყნის დიდებულთა სისულელე კაცუნებისათვის შემოსავლის საუკეთესო წყაროა.

ამ აზრებმა ოდნავ დამიმშვიდეს გულიცა და თავიც. გადავწყვიტე მენახა ბ-ნი ლესკო, მანონის ძმა და რჩევა მეკითხნა. ის პარიზს კარგად იცნობს. მე არა ერთხელ მქონია შემთხვევა, დავრწმუნებულიყავ, რომ მისი შემოსავლის მთავარ წყაროს არ შეადგენს არც მისი პირადი ქონება და არც მეფის ჯამაგირი. მე ოცი პისტოლილა დამრჩა, ეს ფული ჩემდა ბედად ჯიბეში ჩამრჩენოდა. ვუჩვენე ბატონ ლესკოს ჩემი ქისა, ავუხსენი ჩემი უბედურება და გაჭირვება და ვკითხე, არსებობს თუ არა ჩემთვის სხვა არჩევანი, გარდა შიმშილისაგან სიკვდილისა, ან თავის მოკვლისა-მეთქი. მან მიპასუხა; რომ თავის მოკვლა სულელთა ხვედრია, ხოლო რაც შეეხება შიმშილით სიკვდილს, ბევრი გონიერი ადამიანი მისულა ამ მდგომარეობამდე, როდესაც თავისი ნიჭის გამოყენება

არ მოუსურვებია. უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოარკვიოს - რისი უნარი მაქვს. ბ-ნი ლესკო მზად არის დამეხმაროს და ხელი შემინყოს ყველა ჩემს საქმეში.

- „ყველაფერი ეს მეტად ბუნდოვანია, ბატონო ლესკო. - ვუპასუხე მე - ჩემი მდგომარეობა მოითხოვს დაუყოვნებელ დახმარებას; რა უნდა ვუთხრა მანონს?“ - „რატომ გაშფოთებთ მაგრე მანონი? - მომიგო მან, - შეგიძლიათ დამშვიდებული იყოთ. მაგისტანა ქალიშვილმა ყველანი უნდა გვაცხოვროს - თქვენც, მეც და თავისი თავიც“. - მან არ მაცალა ღირსეული პასუხი მიმეცა ამ უმსგავსობაზე და დაუმატა: თუ მის რჩევას გაყვები, იგი კისრულობს სალამოსთვის ათასი ეკიუს შოვნას სანახევროდ. იგი იცნობს ერთ დიდ კაცს, რომელიც უყოყმანოდ გადაიხდის ათას ეკიუს, ოღონდ დასტკებეს ისეთი ქალიშვილის აღერსით, როგორიც მანონია.

სიტყვა შევანყვეტინე - „თქვენზე უკეთესი წარმოდგენისა ვიყავი, - მივმართე მე, - ვფიქრობდი, რომ თქვენი მეგობრული გრძნობები ჩემდამი ნაკარნახევი იყო სრულიად სანინააღმდეგო შეხედულებებით“. - მან უტიფრად განმიცხადა, რომ მუდამ ამ აზრისა იყო, და რაკი მისმა დამ ერთხელ გადალახა თავისი სქესის მოვალეობანი, თუნდაც ისეთი კაცისათვის, რომელიც მას უყვარდა, იგი შეურიგდა მხოლოდ იმ იმედით, რომ რაიმე სარგებლობას მიიღებდა მისი ცუდი ყოფაქცევისაგან.

ჩემთვის ადვილი მისახვედრი იყო, რომ ამდენ ხანს იგი გვასულელებდა როგორც მე, ისე მანონს. ძალზე ამაღელვავა მისმა განცხადებამ, მაგრამ აუცილებლობამ მაიძულა სიცილით შემენიშნა, რომ მისი რჩევა უკანასკნელი საშუალება იქნებოდა, რომელიც უკიდურესი მდგომარეობისათვის უნდა შემოვინახო-მეთქი. ვთხოვე გამოენახა სხვა გზა.

მან მიჩნია გამომეყენებინა ახალგაზრდობა და სილამაზე, რომლითაც ბუნებამ დამაჯილდოვა, და დავვახლოვებოდი რომელიმე გულუხვ მოხუც დედაკაცს. ეს გეგმა ჭკუაში არ დამიჯდა, რადგან ეს მაიძულებდა მეღალატნა მანონისათვის.

სიტყვა ქალაქის თამაშზე ჩამოვუგდე, როგორც ჩემს მდგომა-
რეობაში ყველაზე შესაფერ და ადვილ საშუალებაზე. იგი დამეთანხმა,
რომ ბანქო, მართლაც შემოსავლის კარგი წყაროა, მაგრამ

აქ დაზუსტებაა საჭიროო. შეუდგე თამაშს იმ იმედით, - მოვიგებო,
ეს საუკეთესო საშუალება იქნება იმისა, რომ საქმე დაამთავრო სრუ-
ლი გაკოტრებით. მეტად სახიფათო საქმეა დამოუკიდებლად და სხვე-
ბის დაუხმარებლად მიმართო სხვადასხვა პატარა ხერხს, რის მეოხე-
ბითაც ზოგჯერ კაცი ახერხებს ბედის გამოსწორებას. არსებობს მესა-
მე გზა - ამხანაგობაში შესვლა, მაგრამ აფიქრებს ჩემი ახალგაზრდობა
და ეშინია, ვაითუ ამხანაგობის წევრებმა არ მოისურვონ ჩემი მიღება
ლიგაში. მიუხედავად ამისა, დამპირდა, რომ რეკომენდაციას გამიწევს,
და რასაც მე სრულიად არ მოველოდი მისგან. - უკიდურეს გაჭირვება-
ში ფულითაც დამეხმარება. ერთადერთი სამსახური, რაც მე ვთხოვე,
ის იყო, რომ მანონთან კრინტი არ დაეძრა არც ფულის დაკარგვისა და
არც ჩვენი საუბრის შესახებ.

მე ნაკლებ კმაყოფილი გამოვედი მისგან, ვიდრე მივედი, ვნანობდი
კიდევ, რომ გავანდე ჩემი საიდუმლოება. ჩემთვის ისეთი არაფერი გა-
უკეთებია, რასაც ჩემი გულახდილობის გარეშე მეც თვითონ ვერ მი-
ვალწევდი. გარდა ამისა, ძალზე მეშინოდა, არ დაერღვია დაპირება და
არ გადაეცა ყველაფერი მანონისათვის. მისმა მოსაზრებამ შემაშფო-
თა; მეშინოდა არ განეხორციელებინა თავისი განზრახვა და, თანახ-
მად მისი გამოთქმისა, არ მიეღო სარგებლობა მანონისაგან - არ გამო-
ეგლიჯა იგი ჩემი ხელიდან, ან თუნდაც, არ ერჩია მანონისათვის დაენე-
ბებინა ჩემთვის თავი და მოეძებნა უფრო მდიდარი და ბედნიერი საყ-
ვარელი. ჩემმა დაუსრულებელმა ფიქრებმა ამ საგანზე გააათკეცა ჩე-
მი ტანჯვა და კვლავ სასონარკვეთილებამდე მიმიყვანა. ისე, როგორც

დილით, რამდენჯერმე მომივიდა აზრად - მიმენერა მამისათვის და
ახალი მოჩვენებითი სინანულით გამომეტყუებინა მისთვის ფულადი
დახმარება, მაგრამ იმავე წუთს მომაგონდა, რომ, მიუხედავად თავისი
გულკეთილობისა, მან ჩემი პირველი შეცდომისათვის ექვსი თვე გამა-

ტარებინა მკაცრ ტყვეობაში; დარწმუნებული ვიყავი, რომ სემინარიი-დან ასეთი სამარცხვინო გაპარვის შემდეგ უფრო სასტიკად მომექცეოდა.

ბოლოს, ასეთ არეულ მდგომარეობაში მყოფს, ერთი აზრი მომივიდა, რომელმაც ერთბაშად დამამშვიდა. გამიკვირდა კიდეც, რატომ არ გამახსენდა იგი. ეს აზრი მდგომარეობდა იმაში, რომ მიმემართნა ჩემ მეგობარ ტიბერჟისათვის; დარწმუნებული ვიყავ, რომ მასში ვპოვებდი მეგობრულ დამოკიდებულებას. არაფერი არ არის იმაზე წარმტაცი და არაფერი არა ხდის სათნოებას ისე სასიქადულოს, როგორც ის ნდობა, რითაც მიმართავ ადამიანს, რომლის პატიოსნებაც წინასწარ ცნობილია; ვიცი, რომ ასეთ მიმართვაში არაფერია საშიში მაშინაც კი, როცა იგი ვერ აღმოგიჩენს დახმარებას, გულმხურვალედ და თანაგრძნობით მაინც მოგეპყრობა. გული, რომელიც ჩაკეტილია სხვებისათვის, ასეთი ადამიანის წინაშე თავის უნებურად იშლება, იშლება ისე, როგორც ყვავილი მზის ცხოველმყოფელ სხივებისაგან.

ზეცის მფარველობად მივიჩინე, რომ ტიბერჟი ასეთ დროს მომაგონდა და გადავწყვიტე მენახა იგი დღის დასასრულამდე. დაუყონებლივ დავბრუნდი შინ, რათა მიმეწერა მისთვის და დამენიშნა

ადგილი, სადაც შევხვდებოდი. ვთხოვდი, ყოველივე ეს საიდუმლოდ შეენახა, რითაც ჩემს მდგომარეობაში მყოფს უდიდეს სამსახურს გაუწევდა.

სიხარულმა, რომელიც მისი ნახვის იმედმა მომანიჭა, ნაშალა მწუნხარების კვალიც კი, რომელსაც მანონი უეჭველად ამოიკითხავდა ჩემს სახეზე. შაიოში მომხდარი უბედურება მანონს ვუამბე როგორც უმნიშვნელო რამ, რაც არ ღირდა შეწუხებად, რადგან მანონს პარიზში ყოფნა ყველაზე მეტად ჰხიბლავდა. მას არც გამოუთქვამს სინანული იმის გამო, რომ ჩვენ პარიზში დარჩენა მოგვიხდებოდა მანამდე, სანამ შაოში შეაკეთებდნენ ხანძრისაგან მიყენებულ უმნიშვნელო ზარალს.

ერთი საათის შემდეგ მომივიდა ტიბერჟის პასუხიც. იგი მპირდებოდა დანიშნულ ალაგას მოსვლას. მე მოუთმენლად გავეშურე იქითკენ.

თანაც ჭეშმარიტად მრცხვენოდა ვენახე მეგობარს, რომლის იქ ყოფნაც კი საყვედური იყო ჩემი თავაშვებულობისათვის, მაგრამ მისი გულკეთილობის იმედი და მანონზე ფიქრი აძლიერებდა ჩემს გამბედაობას.

მე მას ვთხოვდი, შემხვედროდა პალე-რუაიალის ბაღში. იგი ჩემზე ადრე მისულიყო. დამინახა თუ არა, მომვარდა და გადამეხვია, დიდხანს ვყავდი გულში ჩაკრული და ვგრძნობდი, რომ ჩემს სახეს მისი ცრემლები რწყავდა. გავუმჟღავნე, რომ მრცხვენოდა მასთან შეხვედრა და რომ გულში

ვატარებდი ჩემი უმადურობის მწვავე განცდას. უპირველეს ყოვლისა, დავაფიცე ეთქვა, შემიძლია თუ არა კვლავ ვიგულო იგი ჩემს მეგობრად, რადგან მე სავსებით დავიმსახურე დაეკარგა ჩემდამი პატივისცემა და სიყვარული. მან ნაზი სიტყვებით მიპასუხა, რომ არაფერს არ შეუძლია დაარღვიოს ეს მეგობრობა და რომ სწორედ ჩემმა უბედურებამ, და თუ ამისი თქმის ნება ექნება, ჩემმა შეცოდებამ და ჩემმა დაცემამ გააორკეცა ჩემდამი არსებული სათუთი გრძნობა; მაგრამ ამ სათუთ გრძნობას თან ახლავს ცხოველი მწუხარება, რომელსაც განიცდი მაშინ, როცა ხედავ, რომ საყვარელი ადამიანი შენს თვალწინ იღუპება და შენ კი შველა არ შეგიძლია.

მერხზე ჩამოვსხედით. - „ვაიმე! - გულის სიღრმიდან ამოვიოხრე - თქვენი თანაგრძნობა უსაზღვრო ყოფილა, ჩემო ძვირფასო ტიბერე, თუ ის, როგორც თქვენ ამბობთ, ჩემს ტანჯვას უდრის. მრცხვენიან, გადაგიშალოთ ეს ტანჯვა. რადგან გამოგიტყდებით, მისი მიზეზი სასახელო არ არის, მაგრამ შემდეგ იმდენად სამწუხაროა, რომ რაც უნდა მცირედ გიყვარდეთ, მაინც შემიბრალებთ“.

მან მთხოვა ნიშნად მეგობრობისა, არაფერი დამემალა და გადამეცა ყოველივე, რაც სემინარიიდან გაქცევის შემდეგ შემემთხვა. მისი სურვილი დავაკმაყოფილე. მე სულაც არ ვფიქრობდი, დამემახინჯებინა სინამდვილე, ან თავი გამემართლებინა. ვუამბე ჩემი გრძნობის შესახებ, თუ რა სიძლიერით დამეუფლა იგი. ისე გამოვხატე ეს, როგორც ბედის ერთ-ერთი

სიმუხთლე, რომელსაც ადამიანი დალუპვისაკენ მიჰყავს, ისე რომ თვით სათნოებაც ვერ აღუდგება წინ და ვერც ერთ სიბრძნე ვერ გაითვალისწინებს მას წინასწარ. ცოცხლად დავუხატე ჩემი მღელვარების და შიშის სურათი, აგრეთვე - ის სასონარკვეთილება, რომელიც ამ ორი საათის წინ განვიცადე და რაც კიდევ მომელის, თუ მეგობრები ისევე უწყალოდ მომექცევიან, როგორც ჩემი ბედი მომექცა. მე იმდენად ავალეღვე კეთილი ტიბერუი, რომ მისი ტანჯვა ჩემს საკუთარ ტანჯვას ედარებოდა.

იგი მეხვეოდა, მამხნეებდა და მამშვიდებდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაჟინებით მოითხოვდა, განვშორებოდი მანონს. მე ნათლად ვაგრძნობინე, რომ სწორედ ეს განშორება მიმაჩნია უდიდეს უბედურებად და რომ მე მზადა ვარ არათუ გადავიტანო უკიდურესი გაჭირვება, უსაშინლეს სიკვდილსაც კი არ დავერიდო. - „მამ, გამაგებინეთ, - რა დახმარება აღმოგიჩინოთ, თუ ყველა ჩემს რჩევას ასე ეწინააღმდეგებით?“ ვერ გავუბედე მეთქვა, რომ დახმარებას ქისიდან ვსაჭიროებდი. ბოლოს თვით მიხვდა. ერთხანს გაჩუმებული იდგა იმ ადამიანივით, რომელიც ყოყმანობს ორ გადანყვეტილებას შორის. - „არ გეგონოთ, - ისევ დაიწყო მან, - რომ ჩემი ყოყმანი იმით იყოს გამოწვეული, თითქოს თქვენდამი კეთილგანწყობილება და მეგობრობა შემინელდა; მაგრამ რა გამოუვალ მდგომარეობაში მაყენებთ: ან უნდა უარი გითხრათ იმ ერთადერთ დახმარებაზე, რომლის მიღებაც თქვენ გსურთ, ან თუ ამ დახმარებას აღმოგიჩინოთ, უნდა შევლახო მოვალეობის გრძნობა. განა თქვენთვის ხელის შეწყობა უზნეო ცხოვრებაში, არ ნიშნავს მასში მონაწილეობის მიღებას?“

- „მაგრამ ამასთან ერთად - განაგრძო მან ნუთიერი ჩაფიქრების შემდეგ - მე ვფიქრობ, რომ მხოლოდ ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიაც უსახსრობა გაყენებთ, არ გაძლევთ საშუალებას უმჯობესი გზა აირჩიოთ. მხოლოდ სულიერი სიმშვიდის დროს შეიძლება ღირსეულად შეაფასოთ სიბრძნე და სიმართლე. მე აღმოვაჩენ საშუალებას, ფულადი დახმარება გაგიწიოთ, მხოლოდ ნება მომეცით, ძვირფასო შევალე, - დაუმატა მან და გადაამეხვია, - ერთი პირობა მოგთხოვოთ: მითხარით,

სად ცხოვრობთ და ნუ უკუაგდებთ ჩემს ცდას, დაგაყენოთ სათნოების გზაზე, რომელიც, როგორც მე ვიცი, თქვენ გიყვართ და რომელსაც მხოლოდ თქვენმა მძაფრმა ვნებამ აგაცდინათ“.

მე გულწრფელად დავეთანხმე ყველა მის მოთხოვნას და ვთხოვე თანაგრძნობა ჩემს ბედუკუღმართობაში, რომელიც საშუალებას არ მაძლევდა მესარგებლნა ესოდენ სათნო მეგობრის რჩევით. მან მიმაცილა თავის ნაცნობ ბანკირთან, რომელმაც მომცა ასი პისტოლი მისი თამასუქით, რადგან თვითონ მას ფული არ აღმოაჩნდა. მე უკვე მოგახსენეთ, რომ ის ხელმოკლე კაცი იყო. ბენეფიცი მას ათას ეკიუს აძლევდა, მაგრამ რადგან იგი მხოლოდ ამ წელიწადში შეუდგა ამით სარგებლობას, ჯერ არ გააჩნდა არავითარი შემოსავალი: მან ეს ფული მომავალ შემოსავლიდან მასესხა.

აშკარად ვიგრძენი მისი გულუხვობა. ვაფასებდი მის სულგრძელობას. ამან იმდენად ამაღელვა, რომ ცრემლებიც კი მომერია. დავტიროდი საბედისწერო სიყვარულით ჩემს დაბრმავებას,

რომელიც მაიძულებდა უკუმეგდო ყოველგვარი მოვალეობა. რამდენიმე წუთის განმავლობაში სათნოების ძალა იმდენად ძლიერი იყო ჩემში, რომ იგი აღდგა ვნების წინააღმდეგ, და მაშინ, ამ ნათელ წუთებში, ვგრძნობდი, რა სამარცხვინო მდგომარეობამდე მივედი. მაგრამ სულიერი ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა, იგი ადვილად დავძლიე. მანონის დანახვამ კვლავ ჩამომავდო ციდან, და როდესაც ისევ მის გვერდით ვიდექი, გავოცდი, როგორ შემეძლო ერთი წუთითაც კი სამარცხვინოდ მიმეჩნია თაყვანისცემა ესოდენ მშვენიერი არსებისა.

მანონი უცნაური ხასიათისა გახლდათ. არცერთი ქალი არ იყო ისე ნაკლებად მიჯაჭვული ფულზე, როგორც იგი, მაგრამ ჰკარგავდა მთელ თავის სიმშვიდეს, როდესაც ფულის შემოკლების ოდნავ საფრთხეც კი შეიქმნებოდა. მას უყვარდა გართობა, სიამოვნება და არ სურდა ერთი სუს დახარჯვაც კი, თუ შესაძლებელი იყო მხიარულება ისე, რომ არავითარი ხარჯი არ გაენიათ. მას არ აინტერესებდა ჩვენი სიმდიდრის წყარო, ოღონდ დღე სიამოვნებაში გაეტარებინა; იგი მანონცდამანონც არ ეტანებოდა თამაშს, არც დაბრმავება შეიძლებოდა მისი

დიდი თანხების ფლანგვით; ადვილი იყო მისი დაკმაყოფილება, თუ მისი გემოვნების მიხედვით ყოველდღიურად ასიამოვნებდით. მაგრამ სიამოვნება იმდენად აუცილებელი იყო მისთვის, რომ უამისოდ შეუძლებელია დარწმუნებული ყოფილიყავით მის კარგ განწყობილებასა და ერთგულებაში. მანონს მე ნაზად ვუყვარდი და მისი გულწრფელი აღიარებით, მე ვიყავი ის ერთადერთი ადამიანი, რომელიც განაცდევინებდა მას სიყვარულის სიტკბოებას. მიუხედავად ამისა, თითქმის

დარწმუნებული ვიყავ, რომ მისი სათუთი გრძნობა ვერ გაუძლებდა განუსაზღვრელ საფრთხეს, რომელიც მასში ჩაისახებოდა, საშუალო შეიძლება მაინც რომ მქონოდა, იგი მთელ ქვეყნიერებას მამჯობინებდა, მაგრამ ოდნავ ეჭვი არ მეპარებოდა, რომ იგი სწრაფად გამცვლიდა ვინმე ახალ ბ...- ზე, თუ მას, გარდა ჩემი მუდმივი ერთგულებისა, სხვა ვერაფერს შევთავაზებდი.

ამიტომ გადავწყვიტე ძალზე შემეკვეცა ჩემი პირადი ხარჯები, რათა მუდამ შემძლებოდა მანონის ხარჯების დაფარვა. მზად ვიყავი, უარი მეთქვა ათას აუცილებელ მოთხოვნილებაზე, ოღონდ დამეკმაყოფილებინა მისი თუნდაც გადაჭარბებული მოთხოვნილებანი. ყველაზე უფრო ეტლი მაშინებდა, რადგან არავითარი საშუალება არა მქონდა ცხენებისა და მეეტლის შენახვისა.

ჩემი გაჭირვება ბ-ნ ლესკოს ვაცნობე. არ დამიმაღავს მისთვის, რომ მეგობრისაგან ასი პისტოლი მივიღე. მან გამიმეორა, თუ მსურს ვცადო ბედი თამაშში, იმედი აქვს, რომ ასიოდე ფრანკს დავხარჯავ ამხანაგების გამასპინძლებაზე და მისი რეკომენდაციით მიღებული ვიქნები ლიგაში. თუმცა თალლითობა ძალზე მეზიზღებოდა, მკაცრმა აუცილებლობამ მაიძულა დავთანხმებოდი.

ბ-ნმა ლესკომ იმავე საღამოს წარმადგინა, როგორც თავისი ნათესავი, თან დაუმატა, რომ იმედი აქვს ჩემი წარმატებისა, ვინაიდან ვსაჭიროებ ბედისაგან ხელის შეწყობას. ამასთან, რათა ეჩვენებინა მათთვის, რომ მე გლახაკი არა ვარ, განაცხადა, რომ განზრახული მაქვს

გაუმასპინძლდე მათ ვახშმით. წინადადება მიიღეს. საუცხოოდ გავუმასპინძლდი. ბევრი ილაპარაკეს ჩემს კეთილშობილ გარეგნობასა

და ბედნიერ ნიჭზე. გადანყვიტეს, ჩემგან ბევრი რამ არის მოსალოდნელი, რადგან ჩემი სახის იერი ისეთი კეთილშობილურია, რომ ეჭვს არავინ შეიტანს ჩემს ხერხებში. დასასრულ, მიულოცეს ბ-ნ ლესკოს, რომ მან ორდენს ასეთი ღირსეული წევრი შეჰმატა და ერთ-ერთ რაინდს დაავალეს, მახლობელ ტყეებში მოეცათ ჩემთვის აუცილებელი მითითებანი.

ჩემი საგმირო საქმეების ასპარეზად უნდა გამხდარიყო ტრანსილვანიის სასტუმრო. იქ ერთ-ერთ დარბაზში სათამაშო მაგიდა იდგა ფარაონისათვის, ხოლო შუშაბანდში თამაშობდნენ ბანქოსა და კამათელს. ეს სათამაშო სახლი ეკუთვნოდა პრინც რ-...ს, რომელიც კლანიში ცხოვრობდა, ხოლო მისი ოფიცრების უმრავლესობა წარმოადგენდა ჩვენს საზოგადოებას. მრცხვენია გამოვტყდე, მაგრამ ძალიან სწრაფად ვისარგებლე ჩემი მასწავლებლის გაკვეთილებით. განსაკუთრებულად დავხელოვნდი ვოლოტ-ფასში და ქალაქის შეცოცებაში. გრძელი სახელოების შემწეობით ადვილად ვუხვევდი თვალს მეტად გამჭირვალე გამოხედვასაც კი. სრულიად დამშვიდებით ვაკოტრებდი ბევრ პატიოსან მოთამაშეს. ჩემმა განსაკუთრებულმა სიმარდემ მალე ისე გააღიდა ჩემი ქონება, რომ რამდენიმე კვირის შემდეგ ჩემს განკარგულებაში იყო საკმაოდ მოზრდილი თანხა, იმის გარეშე, რასაც მე პატიოსნად ვუნაწილებდი ჩემს მოკავშირეებს.

ახლა უკვე აღარ მეშინოდა მეამბნა მანონისათვის შაიოში ფულის დაკარგვის შესახებ და რომ შემეფერადებინა ეს არასასიამოვნო ამბავი, დავიქირავე ავეჯით მონყობილი ბინა, სადაც მდიდრულად და უზრუნველად ვცხოვრობდით.

ამ ხნის განმავლობაში ტიბერუჩი ხშირად მნახულობდა. იგი განუწყვეტლივ მარიგებდა, დაჟინებით მითვალისწინებდა, რა ზიანს ვაყენებდი ჩემს სინდისს, პატიოსნებას, მდგომარეობას. მეგობრულად ვისმენდი მის რჩევას და თუმცა არავითარი სურვილი არ მქონდა ამ დარბაზების მიღებისა, მაინც მაღლიერი ვიყავი მისი თავგამოდებისა, რადგან ჩემთვის გასაგები იყო, თუ საიდან მომდინარეობდა იგი. ზოგჯერ ხუმრობით დავცინოდი თვით მანონის თანდასწრებით, ვურჩევდი არ

ყოფილიყო ბევრ ეპისკოპოსზე და წარჩინებულ სასულიერო პირზე უფრო სინდისიერი, რომლებიც ძალიან კარგად ახერხებდნენ ბენეფიციებისა და საყვარლების შეთავსებას. „შეხედე მხოლოდ, - ვუთხნებოდი და ჩემს სატრფოს თვალეზე ვანიშნებდი, - მითხარით, არსებობს განა ისეთი შეცოდება, რომელიც ამ წარმტაცმა მიზეზმა არ გაამართლოს?“ - იგი ყოველივე ამას მოთმინებით ისმენდა. უსაზღვრო იყო მისი მოთმინება, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ ჩემი სიმდიდრე მატულობდა, როდესაც არამარტო დავუბრუნე ასი პისტოლი, არამედ ახალი სახლიც დავიქირავე, ხარჯები გავაორკეცე და უფრო ღრმად შევტოპე სიამეთა მორევში, მან მკვეთრად შეცვალა ტონი და მოპყრობა. იგი უჩიოდა ჩემს გამოუსწორებლობას, მემუქრებოდა ციურ რისხვას და მიწინასწარმეტყველებდა მომავალ უბედურებას, რომელმაც არ

დააყოვნა და მალე თავს დამატყდა. „შეუძლებელია, - მეუბნებოდა იგი, - რომ ის სიმდიდრე, რომელიც ხელს გინყობს ასეთი ფუქსავატი ცხოვრებისათვის, პატოსანი გზით გქონდეთ შეძენილი. თქვენ მას უსამართლო გზით იძენთ და ასევე დაჰკარგავთ. ყველა ჩემი დარიგება, - დაუმატა მან - ფუჭი გამოდგა თქვენთვის და ვგრძნობ, რომ მალე მოგბეზრდებათ კიდეც. მშვიდობით, უმადურო და სულმოკლე მეგობარო! ვისურვებ ჩრდილივით გამქრალიყოს თქვენი დანაშაულებრივი ნეტარება! უკვალოდ გაფანტულიყოს თქვენი ფუქსავატი განცხრომა და ფული! როდესაც ობლად, შიშვლად იქნებით და შეიგნებთ სიამეთა ამაოებას, რომლითაც თქვენ უგუნურებამდე ხართ დამთვრალი, მაშინ იპოვით ჩემში მეგობარს და თანაშემნეს. დღეს კი ვწყვეტ ყოველგვარ კავშირს თქვენთან და მძაგს ცხოვრება, რომელსაც თქვენ ეწევით“.

ეს მოციქულებრივი ქადაგება მან ჩემს ოთახში წარმოსთქვა მანონის თანდასწრებით. იგი წასასვლელად წამოდგა. მინდოდა შემეჩერებინა, მაგრამ მანონმა წამჩურჩულა: გიჟია, დეე, ნავიდესო.

მისმა სიტყვებმა ჩემზე ერთგვარი შთაბეჭდილება მოახდინა. მე აღვნიშნავ სხვადასხვა შემთხვევას, როცა ჩემს გულში სიკეთისადმი მიდრეკილებაც წარმოიშვებოდა ხოლმე, რადგან მათი მოგონება ცხოვრების უსაშინლეს წუთებში ძალას მმატებდა.

მანონის ალერსმა მყისვე გაფანტა ის მწუხარება, რომელიც ამ სცენამ გამოიწვია. ჩვენ განვაგრძობდით სიხარულითა და სიყვარულით ცხოვრებას. სიმდიდრის ზრდამ ჩვენი სიყვარული გააორკეცა. ვენერას და ფორტუნას არასოდეს არ ჰყოლიათ უფრო ბედნიერი და ნაზი მოსავეები. ღმერთო ჩემო, განა შეიძლება ამ ქვეყანას მწუხარების ადგილი ვუნოდო, როდესაც ძალგის იგემო ესოდენი ნეტარება და სიამე? მაგრამ - ვაგლახ! - მათი სუსტი მხარე მათი სწრაფწარმავლობაა. და განა ისურვებს კაცი ახალ ნეტარებას, რომ ძველი მუდმივი და დაუსრულებელი იყოს? ჩვენს ნეტარებასაც საერთო ბედი ენია; მე მინდა ვთქვა, რომ ისიც ხანმოკლე გამოდგა და მას სამუდამო სინანული მოჰყვა.

ჩემი მონაგები იმდენად დიდი იყო, რომ ვაპირებდი ფულის დიდი ნაწილი სადმე მომეთავსებინა. ჩვენმა მსახურებმა, განსაკუთრებით კი ჩემმა ხელზე მოსამსახურემ და მანონის მოახლემ, იცოდნენ ჩემი მოგების ამბავი; მათთან ჩვენ ხშირად დაურიდებლად ვლაპარაკობდით ამაზე. მოახლე ლამაზი გოგო იყო. ჩემს მსახურს უყვარდა იგი. მათ საქმე ჰქონდათ ახალგაზრდა, ლმობიერ ბატონთან და იფიქრეს, ადვილად მოვატყუებთო. შეადგინეს გეგმა და, ჩვენდა საუბედუროდ, ისე შეასრულეს თავიანთი განზრახვა, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავვაგდეს.

ერთხელ ბ-ნ ლესკოსთან ვახშობის შემდეგ, დაახლოებით შუალამისას დავბრუნდით შინ. მე ჩემს მსახურს დავუძახე, მანონმა თავის მოახლეს. არც ერთი და არც მეორე არ გამოცხადდა.

გვაცნობეს, რომ ისინი რვა საათზე წავიდნენ და მას შემდეგ არავის უნახავს, მანამდე კი რამდენიმე ზანდუკი გაიტანეს, თითქოს ჩემის ბრძანებით. ნაწილობრივ უკვე ვიგრძენი, რაშიც იყო საქმე, მაგრამ იმან, რაც ჩემს ოთახში აღმოვაჩინე, ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა. ჩემი ოთახის კლიტე გატეხილი იყო და ჩემი ფული ტანისამოსთან ერთად გატაცებული აღმოჩნდა. სანამ მე ვფიქრობდი მომხდარ ამბავზე, შემოვიდა მეტად აღელვებული მანონი და გადმომცა, რომ მისი ოთახიც ასევე გაუძარცვავთ.

უბედურება იმდენად საშინელება მეჩვენა, რომ ყვირილისა და ცრემლისაგან მხოლოდ დიდი გაჭირვებით და გონების მოკრეფვით შევიკავე თავი. იმის შიშმა, რომ ჩემი განწყობილება მანონს გადაეცემოდა, მაიძულა თავი დამშვიდებულად მომეჩვენებინა. ხუმრობით მივმართე, რომ მთელ ზარალს ტრანსილვანიის სასტუმროში ვინმე ბრიყვს ვაზღვევინებ-მეთქი, მაგრამ მანონი ამ უბედურებით იმდენად შეწუხებული მეჩვენა, რომ მისმა მწუხარებამ დასძლია ის მოჩვენებითი მხიარულება, რომლითაც ვამშვიდებდი. - დავილუპეთ, - მითხრა თვალცრემლიანმა. ამაოდ ვცდილობდი დამემშვიდებინა, თვითონ ჩემმა ცრემლებმა გამოამჟღავნეს, რა ზომამდეც ვიყავი სასოწარკვეთილი და თავზარდაცემული. მართლაც, ისე ვიყავით გაძარცვული, რომ პერანგიც აღარ შეგვრჩენოდა.

იმ წამსვე დავიბარე ბ-ნ ლესკო, მან მირჩია დაუყონებლივ წავსულიყავ ბ-ნ პოლიციის

ლეიტენანტთან და პარიზის მთავარ მოსამართლესთან. მეც გავეშურე, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, სამართლის ამ ორი მოხელის მიერ მიღებული ზომები ამაო გამოდგა. ამას გარდა, მე დრო მივეცი ლესკოს მოელაპარაკნა დასთან და ჩემი იქ არ ყოფნის დროს, ჩაეგონებინა საშინელი გადანყვეტილება. მან უამბო მანონს ბებერ მსუნაგ ბ-ნ დე ბ... მ-ზე, რომელიც უხვ სასყიდელს იძლეოდა თავისი სიამოვნებისათვის. ძმამ იმ სახით დაუსურათა დას ხასად ყოფნის სარფიანობა, რომ მანონი, რომელიც მომხდარი უბედურების გამო გონებადაბნეული იყო, დაეთანხმა. ეს მორიგება ჩემს დაბრუნებამდე დასრულდა და შესრულება მეორე დღისათვის გადაიდო, რადგან ლესკოს ბ. გ...მ...ც უნდა გაეფრთხილებინა.

ლესკო ჩემს ბინაზე მიცდიდა, მანონი თავის ოთახში დანოლილიყო. ხელზე მოსამსახურისათვის ებრძანებინა, გავეფრთხილებინე, რომ მას მოსვენება ეჭირვება და არ შემეწუხებინა. ლესკო გამომემშვიდობა და რამდენიმე პისტოლი შემომთავაზა. მეც გამოვართვი.

თითქმის ოთხი საათი იყო, როცა დავწეე. ჩემი თავი დატვირთული იყო სხვადასხვა საშუალების ძიებით, რითაც ვფიქრობდი ჩვენი კეთილდღეობის აღდგენას. ჩამეძინა ისე გვიან, რომ გამომეღვიძა დღის თერთმეტ საათზე. სასწრაფოდ ავდექი და გავეშურე მანონის სანახავად. მითხრეს იგი ერთი საათის წინ გავიდა თავის ძმასთან ერთად, რომელიც ნაქირავები ეტლით მოვიდა მის წასაყვანადო. თუმცა ლესკოსთან ერთად მისი გასვლა საზოგადოებაში უცნაურად

მეჩვენა, მაგრამ თავს ძალა დავატანე და ეჭვი დავთრგუნე. რამდენიმე საათი კითხვაში გავატარე. ბოლოს, მოუსვენრობა ველარ დავძლიე, ოთახებში დავდიოდი და ბოლთას ვცემდი. მანონის ოთახში, მაგიდაზე, თვალი მოვკარ დაბეჭდილ წერილს. წერილი ჩემს სახელზე იდო, მისი ხელით დაწერილი. გული გამიჩერდა - გავხსენი, შიგ ეწერა:

„გეფიცები, ჩემო ძვირფასო შევალე, რომ შენ ჩემი გულის სათაყვანო კერპი ხარ და ქვეყანაზე ისე არავინ მიყვარს, როგორც, შენ, მაგრამ განა შენთვის ცხადი არ არის, ჩემო საბრალო მეგობარო, რომ ახლანდელ მდგომარეობში, ერთგულება სულელური სათნოებაა? ნუთუ გგონია, რომ შეიძლება ტრფობა, როცა ლუკმა-პური გენატრება? შიმშილი რაიმე საბედისწერო შეცდომამდე მიმიყვანა, ერთ მშვენიერ დღეს უკანასკნელად აღმომხდებოდა ოხვრა და მეგონებოდა, რომ ის სიყვარულის ოხვრა იყო. გაღმერთებ, დამიჯერე, მაგრამ დამაცადე ცოტახანს ვიზრუნო ჩვენი კეთილდღეობისათვის. ვაი მას, ვინც ჩემს ქსელში გაებმება! მე ვზრუნავ, რათა ჩემი შევალე მდიდარი და ბედნიერი გავხადო. ჩემი ძმა გადმოგცემს შენი მანონის ამბებს და იმას, თუ რამდენად იტირა მან, როცა შეიგნო, რომ აუცილებელია შენი მიტოვება“.

მიძნელდება იმ მდგომარეობის აღწერა, რომელშიაც ამ წერილის ნაკითხვის შემდეგ ჩავვარდი, რადგან დღესაც არ ვიცი, რომელი გრძნობა დამეუფლა მაშინ. ის ერთ-ერთ იმ განსაკუთრებულ სულიერ მდგომარეობას წარმოადგენდა, რომელიც, ვეჭვობ, ვისმე განეცადოს. მას სხვას ვერ

აუხსნი, რომელიც, მას ვერც წარმოიდგენენ და თვითონაც ძნელად გაარკვევ, რადგან ეს განსაკუთრებული მდგომარეობაა, სხვა ნაცნობ გრძნობებს ვერ შეადარებ მას, მაგრამ რა ბუნებისაც უნდა ყოფილიყო ჩემი მდგომარეობა, ცხადია ერთი რამ, რომ მასში შედიოდა მწუხარების, უკმაყოფილების, ეჭვიანობის და სირცხვილის გრძნობა! ოჰ! ნეტავ მასში არ შესულიყო სიყვარულის გრძნობაც!

- „მე ვუყვარვარ, მინდა დავუჯერო, - წამოვიყვირე მე, - მაგრამ სანამდე უნდა მიდიოდეს მისი ვერაგობა, რომ ვძულდე. არსებოს თუ არა ამქვეყნად ისეთი უფლება სხვის გულზე, რომელიც მე არ გამაჩნდეს მანონის მიმართ? რალა დამრჩენია კიდევ ყოველივე იმის შემდეგ, რაც მე მას შევნირე? და მაინც მიმატოვა უმადურობა! მას ჰგონია, რომ ჩემი საყვედურისგან თავს იფარავს იმ განცხადებით, რომ მე ისევ ვუყვარვარ! მას შიმშილისა ეშინია, ხომ გესმის, ამურო? ოო! რა უხეში გრძნობაა! ოო! როგორ ვერ შეუგნია ჩემი კეთილიშობილება! მე არ შევუშინდი შიმშილს, როდესაც დაურიდებლად მისკენ მივდიოდი მისი გულისთვის, როდესაც უარვყავი ჩემი მდგომარეობა. მამაჩემის მყუდრო ოჯახის სიამოვნებანი; მე, რომელმაც მოვიკელი, თვით აუცილებელი საჭიროც კი, რათა დამეკმაყოფილებინა მისი უმცირესი სურვილი და ჟინიანობა! გაღმერთებო, მეუბნება, რომ მაღმერთებდე, უმადურო, მიხვდებოდი რჩევისათვის ვისთვის მიგემართნა; ყოველ შემთხვევაში, არ გამშორდებოდი ისე, რომ არ გამომშვიდობებოდი. ის მე უნდა მკითხონ, რა საშინელ ტანჯვას განიცდის ადამიანი, როდესაც შორდება იმას, ვისაც

აღმერთებს. გონება უნდა დაჰკარგო, რომ ნებაყოფლობით დასთანხმდე განშორებას!“ ღრტვინვა შემანყვეტინა იმ კაცის დანახვამ, რომლის მოსვლასაც არ მოველოდი: ეს იყო ლესკო. - „ჯალათო!“ - წამოვიძახე მე და დაშნას ვტაცე ხელი, - სად არის მანონი? რა უყავ მას?“ - ჩემმა მოძრაობამ შეაშინა. მან მიპასუხა: თუ ასე ვხვდები მას მაშინ, როდესაც იგი მოვიდა ერთადერთი განზრახვით, რათა ჩამაბაროს ანგარიში იმ მნიშვნელოვანი სამსახურის შესახებ, რომელიც გამინია, მაშინ იგი დაუყონებლივ უკან გაბრუნდება და არასოდეს ჩემთან ფეხს

აღარ შემოდგამს. მე მივვარდი ოთახის კარს და ჩავკეციე. - „ნუ გგონია, - მივუბრუნდი - რომ შესძლებ ერთხელ კიდევ გამასულელო და რალაც ლათაიებით მომატყუო. დაიცავი შენი სიცოცხლე, ან მანონი დამიბრუნე“. - „ნუ ჩქარობთ, - მომიგო მან, - მე სწორედ მხოლოდ ამისათვის მოვედი, მინდა გაცნობოთ ბედნიერება, რომელზედაც თქვენ არც კი ფიქრობთ და რომლისთვისაც შეიძლება დამიმადლოთ კიდევ“. მოვითხოვე იმ ნუთშივე განემართა ყოველივე.

მან მიაშო, რომ მანონმა სიღარიბისა და განსაკუთრებით იმის შიშით, რომ დაუყონებლივ უნდა შეცვლილიყო ჩვენი ცხოვრების წესი, მთხოვა გამეცნო მისთვის ბ-ნ დე გ... მ..ი, რომლის გულუხვობაც ცნობილია ყველასათვის. ბ-ნმა ლესკომ დაურიდებლად გამომიცხადა, რომ ეს აზრი მისგან მომდინარეობდა და, სანამ ქალს წაიყვანდა, ნიადაგიც შეამზადა. - „მანონი მე ამ დილით წავიყვანე მასთან, - განაგრძო ლესკომ, - და ეს ღირსეული ადამიანი ისე მოიხიბლა მისით, რომ უპირველეს ყოვლისა, მიიწვია თავის სოფელში, სადაც ისინი რამდენიმე დღე დაჰყოფენ. მე, -

დაუმატა ლესკომ, - სწრაფად მოვისაზრე, რომ აქედან ბევრი რამის გამორჩენა შეიძლება თქვენთვის. გავაგებინე, რომ მანონი დიდად დაზარალდა, ამასთან ისეთნაირად აღვნიშნე მისი სიუხვე, რომ მან იქვე ორასი პისტოლი აჩუქა მანონს. მე განვუცხადე, რომ პირველ ხანებში ეს კარგია, მაგრამ მომავალში ჩემ დას დიდი ხარჯი მოეღოს, და, გარდა ამისა, იგი ვალდებულია იზრუნოს უმცროს ძმაზედაც, რომელიც ჩვენი დედ-მამის სიკვდილის შემდეგ ჩვენს ანაბარად დარჩა. თუ იგი პატივს სცემს მანონს, არ დაუშვებს, რომ ქალი იტანჯებოდეს საბრალო ბავშვისათვის, რომლის ბედიც მას თავის ბედისაგან ვერ განუშორებია. ამ ამბავმა გული აუჩუყა მოხუცს და იკისრა თქვენთვის და მანონისათვის შესაფერი სახლი დაიქირავოს. ის საბრალო ობოლი პატარა ძმა ხომ თქვენა ხართ! დაგვპირდა, რომ საკადრისად მოაწყობს და ყოველთვიურად მოგცემთ ოთხას ლივრს, რაც ჩემი ანგარიშით წელიწადში ოთხი ათას რვაას ლივრს შეადგენს. სოფელში წასვლამდე მან თავის

მმართველს უბრძანა მონახოს და მოაწყოს სახლი, ისე, რომ დაბრუნებისათვის ყველაფერი მზად იყოს. მაშინ თქვენ კვლავ ინახულებთ თქვენს მანონს, რომელმაც დამავალა მის მაგიერ ათასჯერ გაკოცოთ და დაგარწმუნოთ, რომ მას თქვენ უფრო მეტად უყვარხართ, ვიდრე ოდესმე.

ჩავეშვი სავარძელში და ჩავუფიქრდი ჩემს უცნაურ ბედს. ჩემში სანინაალმდეგო გრძნობები იბრძოდნენ და ამის გამო ისეთ ტანჯვას განვიცდიდი, რომ კარგა ხანს პასუხს არ ვაძლევდი ლესკოს, რომელიც სეტყვასავით მაყრიდა კითხვებს. იმ წუთებში პატიოსნებამ და სათნოებამ

კვლავ განმაცდევინეს სინდისის ქენჯნა. ოხვრით გადავავლე გონების თვალი ამიენს, მამის ოჯახს, წმ. სულპისის, ყველა იმ ადგილს, სადაც უბინოდ ვცხოვრობდი. რა უფსკრული მამორებდა ამ ბედნიერ ყოფას! მე მას მხოლოდ შორიდან შევცქეროდი, როგორც მოჩვენებას, რომელიც ჯერ კიდევ იპყრობდა ჩემს ყურადღებას და ჩემს სურვილებს, მაგრამ ერთობ სუსტად, რომ გაედვიძებინა ჩემში ძალა. „რომელმა საბედისწერო გარემოებამ გამხადა ასეთ ბოროტმოქმედად? სიყვარულმა - ამ უმანკო გრძნობამ? როგორ გადაიქცა მერე ის ჩემთვის მათხოვრობისა და გარყვნილების წყაროდ? ვინ მიშლიდა მეცხოვრა მანონთან მშვიდად და სათნოებით? რატომ არ დავინერე მასზე ჯვარი, სანამ ვისარგებლებდი მისი სიყვარულით? ნუთუ მამაჩემი, რომელსაც ასე ნაზად ვუყვარვარ, არ დასთანხმდებოდა ასეთ კანონიერ მოთხოვნას? მამა თვითონ შეიყვარებდა მას, როგორც მომხიბვლელ ქალიშვილს, რომელიც სავსებით ღირსი იყო მისი ვაჟის ცოლი გამხდარიყო. ბედნიერი ვიქნებოდი მანონის სიყვარულით, მამის სიყვარულით, პატიოსან ადამიანთა პატივისცემით, კეთილი ბედით და სათნო ცხოვრების მყუდროებით. ოჰ, ბედის უკუღმართო ტრიალო! ვინ არის ეს სალახანა, რომელზედაც მე მეუბნებიან? როგორ! სიყვარული გავუნანილო მას... მაგრამ შემიძლია განა ყოყმანი, როცა თვითონ მანონმა მოაწყო ესა? მერე ხომ დავკარგავ მას, თუ არ დავუთმე?“ - „ბნო ლესკო! - შეეყვირე ბოლოს და თვალები დავხუჭე, თითქოს იმისათვის

რომ მომეშორებინა ჩემი შემადრწუნებელი ფიქრები, - თუ გასურთ ჩემთვის სამსახურის განევა, მაღლობას მოგახსენებთ. რასაკვირველია, შეგეძლოთ უფრო პატიოსანი გზა აგერჩიათ, მაგრამ საქმე უკვე გათავებულია,

არა? ახლა იმაზე ვიფიქროთ, თუ როგორ ვისარგებლოთ თქვენი მზრუნველობით და როგორ მოვიყვანოთ სისრულეში თქვენი გეგმა“.

ლესკო, რომელიც ჩემმა გაბრაზებამ და ხანგრძლივმა სიჩუმემ ცოტა არ იყოს შეაშფოთა, ახლა ძალზედ გაახარა ჩემმა გადანწყვეტილებამ, რასაც უთუოდ არ მოელოდა; იგი არ იყო მამაცი, რაშიც მე შემდეგში დავრწმუნდი. - „დიალ, დიალ! - სწრაფად მომიგო მან. - მე ძალიან დიდი სამსახური გაგინიეთ და დაინახავთ რომ ჩვენ აქედან უფრო მეტ სარგებლობას გამოვიტანთ ვიდრე თქვენ მოელით“. შევუდექით თათბირს იმის შესახებ, თუ როგორ გაგვეფანტა ბ-ნ დე გ. მ-ის ეჭვები, რომლებიც შეიძლება დაებადოს მას ჩვენი ნათესაური კავშირის გამო, როცა აღმოჩნდება, რომ მე უფრო მაღალი ვარ და მეტი ხნისა. სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, გარდა იმისა, რომ მე თავი უბრალო და პროვინციელ ყმანვილად მომეჩვენებინა და დამერწმუნებინა იგი, რომ ვემზადები სასულიერო ხარისხისათვის და ამ მიზნით ყოველდღე დავდივარ კოლეგიუმში. გადავწყვიტეთ აგრეთვე, რომ მასთან პირველი შეხვედრის დროს ცუდად ჩამეცვა.

ის ორი თუ სამი დღის შემდეგ დაბრუნდა ქალაქში. თვითონ მიაცილა მანონი იმ სახლამდე, რომელიც მმართველმა მოამზადა. მანონმა მაშინვე აცნობა ლესკოს თავისი დაბრუნება, ამან კი მე შემატყობინა. ორივენი მანონთან ნავედით. მოტრფიალე მოხუცი შინ არ დაგვიხვდა.

მიუხედავად იმ მორჩილებისა, რომლითაც მე მანონის ნებას დავყევი, დავინახე თუ არა იგი, ველარ შევძელი გულის ჩივილის გაყურება. დაღონებული და მოწყენილი ვიყავი. მანონის დანახვის სიხარულმა მაინც ვერ დასძლია ის მწუხარება, რომელიც მისმა ლალატმა მომაყენა. ის კი აღტაცებული იყო ჩვენი შეხვედრით. მისაყვედურა გულგრილობა. თავი ველარ შევიკავე და ოხვრასთან ერთად მივახალე: - „ცბიერო! მოლალატევ!“

იგი ჯერ დასცინოდა ჩემს გულუბრყვილობას, მაგრამ როცა შეამჩნია, რა დაღვრემილი შევცქეროდი, როცა დარწმუნდა, რა ტანჯვით განვიცდიდი იმ ცვლილებას, რომელიც ასე ეწინააღმდეგებოდა ჩემს ბუნებასა და სურვილებს, თავის ოთახში შევიდა. ერთი წუთის შემდეგ მეც შევყვივი. გულამომჯდარი ტიროდა, მიზეზი ვკითხე. - „წუთუ შენთვის ნათელი არ არის, - მიპასუხა მან - განა შემიძლია მე ცხოვრება, თუ ჩემი დანახვა შენში სევდისა და მწუხარების მეტს არაფერს იწვევს. ერთ საათზე მეტია აქა ხარ და ახლოს არ მომკარებიხარ, ჩემს ალერსს კი, სასახლეში მყოფ ხონთქრის სიდიადით ლეზულობ“.

- „მომისმინეთ, მანონი, - მივუგე მე და გადავეხვიე; - არ შემიძლია დაგიმალოთ, რომ ჩემი გული დიდ მწუხარებას განიცდის. აღარას ვამბობ იმაზე, თუ როგორ შემაშფოთა თქვენმა ანაზღეულმა გაქცევამ, არც იმაზე, თუ როგორ სასტიკად მიმატოვეთ და ერთი საწუთს სიტყვაც არ გაიმეტეთ მაშინ, როცა ღამე ჩემთან არ გაატარეთ. თქვენი მშვენიერება ყოველივე ამას დამავინწყებდა, მაგრამ

წუთუ გგონიათ, - განვაგრძე ქვითინი, - რომ შემიძლია უდარდელად და უცრემლოდ ავიტანო ის სამწუხარო და სავალალო ცხოვრება, რომელსაც თქვენ ამ სახლში მიმზადებთ? ნურაფერს ვიტყვით ჩემს გვარიშვილობასა და ღირსებაზე, ყველაფერი ეს ერთობ სუსტია იმისათვის, რომ მეტოქეობა გაუწიოს ჩემს სიყვარულს. მაგრამ თვით ეს სიყვარული - განა ვერ ხედავთ, როგორ იტანჯება, როცა ხედავს როგორ აჯილდოებენ მას ამისათვის? როგორ უღირსად და მკაცრად ეპყრობა მას უგრძნობი და უგულო სატრფო?“

მანონმა სიტყვა შემანყვეტინა. - „მომისმინეთ, შევალიე, - სთქვა მან - რა საჭიროა საყვედურებით ჩემი ავსება! მარტო ის, რომ ყოველივე ეს მარტო თქვენგან მომდინარეობს, გულს მიგმირავს. ვხედავ, რაც გაყენებთ შეურაცხყოფას. იმედი მქონდა მოიწონებდით ჩემს გეგმას, რათა აღგვედგინა ჩვენი კეთილმდგომარეობა. ვიცოდი რა თქვენი მორიდებული ხასიათის ამბავი, უთქვენოთ შევუდექი მის განხორციელებას, მაგრამ რაკი მას არ ეთანხმებით, მეც უარს ვაცხადებ“. თან დაურთო:

- „საჭირო იქნება მხოლოდ საღამომდე მოცდა, რადგან ორასი პისტოლი მან უკვე მიიღო ბებერი შეყვარებულისაგან. საღამოთი მოუტანს კიდევ მარგალიტის ყელსაკიდს და სხვა სამკაულს. გარდა ამისა, წლიური სარჩოს ნახევარს. მომეცით მხოლოდ დრო, - მეუბნებოდა მანონი, - მივიღო ეს საჩუქრები, გეფიცებით, ის ველარ დაიტრაბახებს თავისი სიყვარულის მიღწევებით, რადგან ყოველივე ქალაქში დაბრუნებამდე გადავდე. მართალია, მან მილიონჯერ დამიკოცნა ხელები, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს - გაიღოს სასყიდელი ამ

სიამოვნებისათვის, და ხუთი თუ ექვსი ათასი ფრანკი არც ისეთი დიდი საფასურია, თუ მხედველობაში მივიღებთ მის სიმდიდრესა და ხნოვანებას“.

მანონის გადაწყვეტილება უფრო სასიამოვნო იყო ჩემთვის, ვიდრე ხუთი ათასი ფრანკის მიღების იმედი. დავრწმუნდი, რომ ჩემს გულში საბოლოოდ არ გამქრალა ღირსების გრძნობა, რაკი ცხოველ კმაყოფილებას ვგრძნობ სამარცხვინო მდგომარეობიდან თავის დაღწევის დროს. მაგრამ მე დაბადებული ვყოფილვარ ხანმოკლე სიხარულისათვის და ხანგრძლივი ტანჯვისათვის. ბედს ერთი უფსკრულიდან იმისათვის ამოვყავდი, რომ მეორეში გადავეჩხე. როდესაც მანონს ათასი ალერსით გამოვუხატე, თუ როგორ გამაბედნიერა ამ ცვლილებამ, ისიც ვუთხარი, ყოველივე ბ-ნ ლესკოს უნდა გავაგებინოთ და შევეუთანხმოთ-მეთქი. ლესკო ცოტახანს ბუზღუნებდა, მაგრამ ოთხი თუ ხუთი ათასი ფრანკის ელვარების წარმოდგენამ აიძულა მხიარულად შეხვედროდა ჩვენს სურვილს. გადავწყვიტეთ ბ-ნ დე გ. მ...-სთან ერთად გვევახშმა და აი რატომ: ჯერ ერთი, გაგვეთამაშებინა სცენა, სადაც მე გამოვდიოდი როგორც მონაფე, მანონის ძმა. ხოლო შემდეგ ხელი შეგვეშალა ბებერი გარყვნილისათვის - ზედმეტად არ გალაღებულყო ჩემს სატრფოსთან, რისი უფლებაც, მისი აზრით, მას ჰქონდა ნინასწარ გაღებულ უხვი სასყიდლის გამო. მე და ლესკო უნდა წავსულიყავით მას შემდეგ როცა, ბ-ნ დე გ. მ... გაემართებოდა იმ ოთახისკენ, სადაც ღამე უნდა გაეტარებინა, ხოლო მანონი იმის მაგივრად რომ მას

გაჰყოლოდა, გამოვიდოდა და ღამეს ჩემთან გაატარებდა. ლესკო დაგვპირდა, კარებთან ეტლს დაგახვედრებო.

ვახშმის დროც მოვიდა. ბ-ნ დე გ. მ... დიდხანს არ გვალოდინა. ლესკო თავის დასთან ერთად დარბაზში იყო. მისალმებისთანავე მოხუცმა მანონს მართვა ყელსაბამი, სამაჯურები და მარგალიტის საყურეები, რაც სულ ცოტა, ათასი ეკიუ მაინც ღირდა. შემდეგ მან ორი ათას ოთხასი ფრანკი ბაჯალლო ოქრო დაუთვალა, რაც შეადგენდა ნახევარი წლის სარჩოს. თავისი საჩუქარი მან სასახლის ძველებური ათასნაირი ქათინაურით დაშაქრა. მანონმა უარი ვერ უთხრა რამდენიმე კოცნაზე და ამით უფლება მოიპოვა მთელ იმ ფულზე, რომელიც მან გასცა. მე კარებთან ვიდექი და ყველაფერს ვისმენდი, თან ველოდი, როდის მომცემდა ლესკო შესვლის ნიშანს.

ლესკომ მაშინ მომაკითხა, როდესაც მანონმა ფული და სამკაული შეინახა. ხელი წამავლო, ბ-ნ დე გ. მ...-სთან მიმიყვანა და მიბრძანა, სალამი მიეციო. ორჯერ თუ სამჯერ მოწინებით თავი დავუკარი. - „მიუტევეთ ბატონო, - მიმართა ლესკომ, - სრულიად გამოუცდელი ბავშვია; როგორც ხედავთ, ქალაქური მიხრა-მოხრა არ ახასიათებს, მაგრამ ვიმედოვნებთ, მალე გამოიწვრთნება. თქვენ ხშირად შეხვედებით აქ ამ ბატონს“, - მომმართა მან, ისწავლეთ და მიჰბაძეთ მას.

ბებერ აშიკს, ეტყობოდა, ჩემი ნახვა ესიამოვნა. ორჯერ, სამჯერ ლოყაზე ხელი მომიცაცუნა და სთქვა, ლამაზი ბიჭი ყოფილაო. - „მაგრამ, - დაუმატა: პარიზში დიდი სიფრთხილე გმართებს, აქ ახალგაზრდობა ადვილად ირყვნება“. ლესკო ჩემს შესახებ არწმუნებდა, რომ ბუნებით ძალიან გონიერია, სულ იმაზე ფიქრობს, როგორმე მღვდლად ეკურთხოსო. მთელი მისი სიამოვნება

პატარა სათამაშო სამლოცველოების კეთებააო. - „ჩემი აზრით მანონს ჩამოგავს“, - სთქვა მოხუცმა და ნიკაპში ხელი წამავლო. მე მიამიტად ვუპასუხე: - „ეგ იმიტომ ბატონო, რომ ჩვენ ძალიან ახლობელნი ვართ და ჩემი დაიკო მანონი ჩემს თავს მირჩევნია!“

- „გესმით? - მიმართა მან ლესკოს, - უჭკუო ყმანვილი არ უნდა იყოს; სამწუხაროა, რომ ხალხს ნაკლებად ხედავს“ - „ოჰ, ბატონო ჩემო,

- მივუგე მე, - ჩვენს ეკლესიაში ბევრი უჭკუო მინახავს და, იმედი მაქვს პარიზში ბევრს შევხვდები ჩემზე უფრო უჭკუოს. - „შეხედეთ, - დაუმატა მან. - პროვინციელი ყმანვილისგან ეს პირდაპირ გასაოცარია“.

ვანშმის დროსაც ჩვენი საუბარი ასეთივე შინაარსისა იყო. რამდენჯერმე მანონმა კინალამ საქმე არ ჩაგვიფუშა თავისი უდროო კისკისით. ვანშამზე დრო ვიხელთე და მოხუცს ვუთხარე მისივე თავგადასავალი და იმ ცუდი ბედის შესახებ, რომელიც მას მოელოდა. ლესკო და მანონი შიშით კანკალებდნენ, მეტადრე მაშინ, როცა მოხუცს საკუთარი პორტრეტი დავუხატე. თავმოყვარეობამ ნება არ მისცა ამ სურათში თავისი თავი ეცნო. დასასრულ, ისე მოხერხებულად დავამთავრე მოთხრობა, რომ მან თვითონვე განაცხადა, ძალზე გასართობი რამ იყო. შემდეგში დაინახავთ, რომ მე არც ისე უმიზეზოდ ჩამოვაგდე ლაპარაკი ამ სახუმარო სცენაზე.

ბოლოს, დაძინების ჟამიც მოახლოვდა. მოხუცმა სიტყვა სიყვარულზე და თავის მოუთმენლობაზე

ჩამოაგდო. მე და ლესკო გავედით. ბებერი ოთახამდე მიაცილეს, ხოლო მანონმა რაღაც მოიმიზეზა, გამოვიდა და კარებთან ჩვენ შემოგვიერთდა. ეტლი, რომელიც სამი-ოთხი სახლის იქქით იდგა, სწრაფად იქ გაჩნდა. ერთი წუთის შემდეგ უკვე შორს ვიყავით.

თუმცა ჩვენს თვალში ეს წმინდანყლის თაღლითობა იყო, მაგრამ მე მას მაინც ყველაზე უაპტიოსნო მოქმედებად არ ვთვლიდი, რისთვისაც შემეძლო ჩემი თავისთვის მესაყვედურნა. ჩემს სინდისს უფრო ჰქენჯნიდა ბანქოში მოგებული ფული. ესეც კია, ჩვენ ერთნაირად ცუდად გამოვიყენეთ როგორც ერთი, ისე მეორე გზით შეძენილი ფული, და ზეცამ ინება ამ ორი შეცდომიდან უმცირესისათვის უფრო სასტიკად დავესაჯეთ.

ბ-ნი დე გ...მ... მალე მიხვდა, თუ როგორ გაასულელეს. არ ვიცი, იმავე ღამეს მიიღო თუ არა მან ზომები ჩვენს მოსაძებნად, მაგრამ იგი იმდენად გავლენიანი კაცი იყო, რომ მისი ცდა მალე წარმატებით დავვირგვინდა. ჩვენ კი იმდენად თავქარიანები აღმოვჩნდით, რომ გადაჭარბებული იმედი დავამყარეთ პარიზის სიდიდესა და მისი უბნიდან

ჩვენი უბნის სიშორეზე. მან არათუ გამოარკვია, სად ვცხოვრობდით და რა მდგომარეობაში ვიყავით, არამედ გაიგო ჩემი ვინაობაც და ისიც, თუ როგორ ვცხოვრობდი პარიზში, მანონის კავშირი ბ-სთან, როგორ მოატყუა იგი მანონმა. ერთი სიტყვით, გაიგო ჩვენი ისტორიის ყოველი სამარცხვინო ამბავი და გადაწყვიტა, მიეღო ზომები ჩვენი დატუსაღებისათვის, ამასთან მოითხოვა მოგვექცეოდნენ არა მარტო როგორც

უბრალო ბოროტმოქმედთ, არამედ როგორც გაუსწორებელ გარყვნილებს. ჩვენ ჯერ ისევ სანოლში ვიყავით, როდესაც ოთახში შემოვიდა პოლიციის ოფიცერი ექვსიოდე მცველის თანხლებით. მათ, უპირველეს ყოვლისა, წაგვართვეს ჩვენი ფული, ან უფრო სწორედ, ბ-ნ დე გ... მ...-ს ფული, და ქუჩაში გაგვიყვანეს, სადაც ორი ეტლი გველოდებოდა; ერთ მათგანში, ყოველივე განმარტების გარეშე, საბრალო მანონი ჩასვეს, ხოლო მეორეთი მე წამიყვანეს წმინდა ლაზარეს გამოსასწორებელ სახლში.

თუ არ განგიცდიათ ბედის ასეთი უკუღმართობა, ნათლად ვერ წარმოიდგენთ იმ სასონარკვეთილებას, რომელშიც შეიძლება კაცი ჩავარდეს. ჩვენი მცველები იმდენად სასტიკნი აღმოჩნდნენ, რომ ნება არ დამრთეს მანონს გადავხვეოდი, ან მეთქვა მისთვის რაიმე. დიდხანს არ ვიცოდი, რა მოუვიდა მას. უეჭველად ბედნიერება იყო, რომ არაფერი ვიცოდი მის შესახებ, რადგან ამ საშინელ უბედურებას შეეძლო გონება წაერთმია და სიცოცხლეც მოესპო ჩემთვის.

ჩემი უბედური სატრფო თვალწინ მომტაცეს და გაგზავნეს ისეთ თავშესაფარში, რომლის დასახელებაც კი თავზარსა მცემს. რა საშინელი ხვედრია მომხიბვლელი ქმნილებისათვის, რომელიც მთელს ქვეყნიერებაზე უპირველეს ტახტზე უნდა მჯდარიყო, ყველას ჩემი თვალეზი და ჩემი გული რომ ჰქონოდა! იქ მანონს ბარბაროსულად არ ეპყრობოდნენ, მაგრამ ჩასვეს ცალკე საკანში, სრულიად განმარტოებით და აიძულებდნენ ყოველ დღე შეესრულებინა განსაზღვრული

სამუშაო. მხოლოდ ამ პირობით აძლევდნენ საზიზღარ ულუფას. ამ სამწუხარო წვრილმანის შესახებ მე გავიგე კარგა ხნის შემდეგ, როცა

თვითონ მეც რამდენიმე თვის განმავლობაში სასტიკი და მომქანცველი სასჯელი მოვიხადე. ჩემმა მცველებმა არც მე მითხრეს, სად ჰქონდათ ნაბრძანები ჩემი ნაყვანა. მე ჩემი ხვედრი მხოლოდ წმ. ლაზარეს ჭიშკართან გავიგე. იმ წამს სიკვდილი მერჩია იმ მდგომარეობას, რომელსაც მოველოდი საშინელი წარმოდგენა მქონდა ამ სახლზე. ჩემი შიში გაძლიერდა, როცა მცველებმა შიგ შესვლისას მეორედ გამიჩხრიკეს ჯიბეები, რათა დარწმუნებულიყვნენ, ხომ არ ჩამრჩა ჯიბეში იარაღი, ან თავდაცვის სხვა რაიმე საშუალება.

დაუყონებლივ გამოცხადდა წინამძღვარი, რომელსაც აცნობეს ჩემი მიყვანა. იგი ტკბილად მომესალმა. - „მამაო, - მივმართე მე, - მოვითხოვ ღირსეულად მომეპყროთ. მე სიცოცხლეს გამოვესალმები და უხეშობას კი ვერ ავიტან.“ - „რასა ბრძანებთ, ბატონო! - მიპასუხა მან, - თქვენ გონიერად მოიქცევით და ჩვენც ერთმანეთის კმაყოფილნი დავრჩებით.“ მთხოვა ზევით საკანში ავყოლოდი. მორჩილად გავყევი. კარისკაცებმა კარამდე მიგვაცილეს; წინამძღვარი ჩვენთან ერთად საკანში შემოვიდა და ჯარისკაცებს ანიშნა ნასულიყვნენ.

- „ამნირად, მე თქვენი ტყვე ვარ, - მივმართე წინამძღვარს, - ახლა რას მიპირებთ, მამაო?“ მან მიპასუხა, ძალიან მოხარული ვარ, რომ ასე მშვიდად მესაუბრებით. ჩემი მოვალეობაა ჩაგაგონოთ სათნოებისა და სანმუნოების სიყვარული, ხოლო თქვენი - ისარგებლოთ ჩემი დარიგებით. და თუ

მიიღებთ ჩემს მზრუნველობას, განმარტოებული პატიმრობაც კი ნეტარებად გადაგექცევათ. - „აჰ! ნეტარება! - მივუგე მე, - განა არ იცით, მამაო, რომ ნეტარებას მე მხოლოდ ერთადერთი არსება მომანიჭებს?“ - ვიცი, ვიცი - მიპასუხა მან, - მაგრამ იმედი მაქვს, თქვენი მისწრაფება შეიცვლება“. - მისმა პასუხმა მიმახვედრა, რომ ჩემი თავგადასავალი იცოდა. ვთხოვე განემარტა ყოველივე. წინამძღვარმა უბრალოდ მიპასუხა, ყველაფერი მაცნობესო. ამის გაგონება ჩემთვის ყოველ სასჯელზე უარესი იყო. ცრემლის ნაკადი წამსკდა და უნუგეშო სასონარკვეთილებაში ჩავვარდი, ვერ ვპოულობდი ნუგეშს ჩემს დამ-

ცირებაში, იმ დამცირებაში, რომელიც ყველა ჩემი ნაცნობის სალაპარაკო საგნად და ჩემი ოჯახის შემარცხვენელად გამხდდა. მთელი რვა დღე უსაზღვრო მწუხარებაში გავატარე; არაფრის გაგონება არ შემეძლო, არც ფიქრი რაიმეზე, გარდა ჩემი შერცხვენისა. მანონის გახსენებაც კი არაფერს ჰმატებდა ჩემს მწუხარებას. ეს გრძნობა ათვისებული იქნა ისე, რომ წინ უსწრებდა ჩემს ტანჯვას. მთელი ჩემი არსება შეეპყრო მხოლოდ ერთ განცდას - სირცხვილის გრძნობას.

ბევრი ჩვენგანი არ იცნობს გულის ამ განსაკუთრებულ მოძრაობის ძალას. ადამიანთა უმრავლესობას ამოძრავებს ხუთი ან ექვსი გრძნობა, რომელთა წრეშიც მოქცეულია მათი ცხოვრება და რომლებითაც გამოიხატება მთელი მათი სულიერი მღელვარება. წაართვით მათ სიყვარული და სიძულვილი, სიხარული და მწუხარება, იმედი და შიში და არავითარი სხვა გრძნობა მათ აღარ დარჩებათ. მაგრამ უფრო კეთილშობილი ბუნების პირთათვის ათასნაირად

შეუძლიათ აღელვება, თითქოს ისინი ისეთი აზრებითა და შეგრძნებებით არიან აღჭურვილნი, რომელნიც ბუნების საზღვრებს სცილდებიან; და რადგან მათ გააჩნიათ შეგნება, რომელიც ამაღლებს მათ ჩვეულებრივ ბრბოზე, ეს უპირატესობა მათთვის ყველაფერზე ძვირფასია; ამიტომ, რომ ისინი ზიზღსა და დაცინვას ვერ იტანენ, ამიტომ, რომ სირცხვილი მათთვის ყველაზე შმაგი ვნებაა.

ეს სამწუხარო უპირატესობა მეც გამაჩნდა. წმ. ლაზარეს სატუსალოში ყოფნისას. ჩემი მწუხარება იმდენად ძლიერი ეჩვენა წინამძღვარს, რომ სამწუხარო შედეგის შიშით გადანყვიტა მეტად თვინიერად და ლმობიერად მომქცეოდა. დღეში ორჯერ-სამჯერ შემოდის ჩემთან. ხშირად ბაღში გავყავდი სასეირნოდ. იგი ბეჯითად მარიგებდა და ათასნაირ რჩევას მაძლევდა. მეც გულმოდგინედ ვუსმენდი. მადლობასაც კი ვუცხადებდი. იგი უკვე განიმსჭვალა ჩემი მოქცევის იმედით.

- „თქვენ ბუნებით იმდენად კეთილი ხართ, - მომმართა ერთხელ, - რომ ვერ გამიგია, რატომ გაბრალებენ გარყვნილებას. ორი რამ მაკ-

ვირვებს: პირველი - როგორ მოხდა, რომ თქვენ, ასეთი კეთილი თვისებებით აღჭურვილმა ადამიანმა უზომო გარყვნილებას მიეცით თავი, ისეთ გარყვნილობას, რომელსაც არავითარი საზღვარი არა ჰქონდა; მეორე - ესოდენი წლების მანძილზე როგორ იყავით ჩაფლული გარყვნილებაში? თუ ეს მონანიებაა, მაშინ თქვენ ზეციური

კეთილმონყალების ნიმუში ყოფილხართ, ხოლო თუ ეს თქვენი ბუნებრივი გულკეთილობისაგან მომდინარეობს, მაშინ თქვენს ხასიათში ყოფილა კეთილი ჩანასახი, რაც იმედს მაძლევს, რომ არ დაგვჭირდება ხანგრძლივად თქვენი აქ დატოვება, რათა დაუბრუნდეთ პატიოსან და წესიერ ცხოვრებას“.

მე აღტაცებაში მოვყავდი ჩემზე ასეთ შეხედულებას, გადავწყვიტე ეს შეხედულება განმემტკიცებინა ისეთი ყოფაქცევით, რომელიც წინამძღვარს სავსებით დააკმაყოფილებდა. მჯეროდა, რომ ეს იყო ყველაზე საიმედო საშუალება ჩემი პატიმრობის ვადის შესამოკლებლად. წინამძღვარმა წიგნების არჩევანი თვითონ მე მომანდო და გაუკვირდა, როცა ავარჩიე ზოგიერთი სერიოზული ავტორი. თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს უდიდესი გულმოდგინებით დავიწყე მეცადინეობა. ამნაირად დარწმუნებული საბუთი მივეცი იმისა, რომ ჩემში სასურველი ცვლილება ხდებოდა.

მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენება იყო. ჩემდა სამარცხვინოდ უნდა გამოვტყდე, რომ წმ. ლაზარეს სატუსალოში ვთვალთმაქცობდი. დავჩებოდი თუ არა მარტო, მეცადინეობის ნაცვლად მხოლოდ ჩემს უბედობას მოვთქვამდი. ვწყევლიდი ჩემს საპყრობილეს, იმ მტარვალებს, რომლებმაც შიგ მომამწყვდიეს. და როგორც კი ცოტა ხნით მაინც თავს დავაღწევი სევდას, რომელშიც სირცხვილის გრძნობა მაგდებოდა, კვლავ სიყვარულის ალში ვეხვეოდი.

მანონის განშორება, მისი ამბის გაუგებრობა, იმის შიში, რომ მას ვერასოდეს ვნახავ, - აი რა შეადგენდა ჩემი მწირე ფიქრების ერთადერთ საგანს. მე იგი ბ-ნ დე გ... მ.-ს გულმკერდში ჩაკრული მყავდა წარ-

მოდგენილი. აზრადაც არ მომსვლია, რომ იგი მანონსაც ისევე მოექცეოდა, როგორც მე. დარწმუნებული ვიყავ, რომ მან თავიდან იმიტომ მომიშორა, რომ მშვიდად დაუფლებოდა მას.

ასე ვატარებდი დღეებს და ღამეებს, რომლებიც დაუსრულებლად გრძელი მეჩვენებოდა. იმედს ჩემს ფარისევლობაზე ვამყარებდი. გულდასმით ვაკვირდებოდი წინამძღვრის სახეს და სიტყვებს იმ მიზნით, რომ გამეგო, რა აზრისა იყო ჩემზე; ვცდილობდი მესიამოვნებინა მისთვის, როგორც ჩემი ბედის გამგებლისათვის. უკვე ვხედავდი, რომ წინამძღვარი კეთილად იყო ჩემდამი განწყობილი. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ის ყოველთვის მზად იყო ჩემთვის სამსახური გაენია.

ერთხელ გავბედე და შევეკითხე, თქვენზე არის თუ არა დამოკიდებული ჩემი განთავისუფლება-მეთქი. წინამძღვარმა მიპასუხა, ეს მართო ჩემზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ჩემი წარდგენით ბ-ნ დე გ... მ..., რომლის თხოვნითაც ბ-ნმა პოლიციის გენერალ-ლეიტენანტმა ბრძანა თქვენი აქ დატუსაღება, დანსთანხმდება თავისუფლება დაგიბრუნოსო. - „შემიძლია თუ არა იმედი ვიქონიო - მოკრძალებით შევეკითხე მე, - რომ ამ ერთი თვის ტუსაღობას, რომელიც უკვე გავიარე, იგი საკმარისად მიიჩნევს შეცოდებათა მისატყვევლად?“ წინამძღვარი დამპირდა მასთან მოლაპარაკებას. გულმოდგინედ შევეხვეწე ეს საქმე მოეწყო ჩემთვის.

ორი დღის შემდეგ მან მაცნობა, რომ გ... მ... იმდენად მოხარული დარჩა, როცა ჩემი ქება გაიგო, რომ არათუ თანახმაა ჩემი განთავისუფლებისა, არამედ დიდი სურვილი გამოთქვა, უფრო ახლოს გაგიცნოთ და გინახულოთ კიდეც საპყრობილეშიო. მართალია, მისი სტუმრობა ჩემთვის სასიამოვნო არ იყო, მაგრამ ამას ისე ვუცქეროდი, როგორც ჩემი განთავისუფლების უახლოეს გზას.

ბ-ნ დე გ... მ... მართლაც მოვიდა წმ. ლაზარეს. იგი უფრო დარბაისელი და ნაკლებად სულელი მეჩვენა, ვიდრე მანონთან ბინაზე. რამდენიმე გონიერი სიტყვა მითხრა ჩემი ცუდი საქციელის შესახებ და დაუმატა, უთუოდ თავისი გარყვნილების გასამართლებლად, რომ ადამიანს თავისი სისუსტის გამო, ნება აქვს ზოგიერთი სიამოვნებისა, ამას თვით

ბუნებაც მოითხოვს, მაგრამ თაღლითობა და უპატიოსნო საქციელი სასჯელის ღირსიაო.

მოკრძალებით ვუსმენდი, რითაც, ეტყობოდა, კმაყოფილი დარჩა. ისიც კი ავიტანე, როდესაც დაცინვით შეეხო ჩემს ძმობას ლესკოსა და მანონთან და იმ სალოცავებს, რომლებიც მე, როგორც მან სთქვა, საკმაო რაოდენობით უნდა დამემზადებინა წმ. ლაზარეში. მაგრამ მისდა და ჩემდა საუბედუროდ - წამოსცდა, რომ, უეჭველია, მანონიც ასე წარმატებით ამზადებს სალოცავებს თავშესაფარშიო. თავშესაფარის ხსენებაზე კანკალმა ამიტანა, მაგრამ ძალა მოვიკრიბე და ვთხოვე განმარტა ყოველივე: - „ღიად, ღიად, - მიპასუხა მან, - ორი თვეა უკვე, რაც ის ჭკუას

სწავლობს გამასწორებელ თავშესაფარში. ვუსურვებ, მასაც ისეთივე სარგებლობა მიეღოს იქიდან, როგორც თქვენ წმ. ლაზარედან“.

მუდმივი პატიმრობით რომ დამმუქრებოდნენ, თვით სიკვდილიც გამოცხადებულყო ჩემს თვალწინ, მაშინაც კი ვერ შევიკავებდი თავს ასეთი საშინელი ამბის გაგონებაზე. ისე გააფთრებული ვეცი, რომ ნახევარი ძალა დამეკარგა. მაგრამ იმედი ღონე დამრჩა, რომ ძირს დავანარცხე და ყელში ვწვდი. უთუოდ მოვამთობდი, ნაქცევის ხმაზე და მის გამგმირავ ყვირილზე, რომელიც ვერაფრით ვერ ჩავახშე, წინამძღვარი და რამდენიმე ბერი არ შემოვარდნილიყო. იგი ხელიდან გამომგლიჯეს.

ღონემიხდელი წამოვდექი, ძლივსლა ვსუნთქავდი. - „ოჰ, ღმერთო ჩემო! - წამოვიძახე სულშეგუბებულმა - ოჰ, ზეცის სამართალო! ნუთუ შემიძლია მე სიცოცხლე ასეთი სირცხვილის შემდეგ!“ - კვლავ მინდოდა მივვარდნოდი ბარბაროსს, მაგრამ შემაჩერეს. ჩემი სასოწარკვეთილება, ჩემი ყვირილი და ჩემი ტირილი ყოველ საზღვარს გადასცდა. ჩემი საქციელი იმდენად არაჩვეულებრივი იყო, რომ იქ მყოფნი, რომელთაც ამისი მიზეზი არ იცოდნენ, შემოფოთებითა და გაოცებით შეჭყურებდნენ ერთმანეთს.

ამასობაში ბ-ნე გ... მ... წესრიგში მოიყვანა თავისი პარიკი და ჰალსტუხი, გაბრაზებულმა

წინამძღვარს უბრძანა, მომპყრობოდა უფრო სასტიკად და გამოეყენებინა ჩემს წინააღმდეგ ყველა ის სასჯელი, რაც კი მიღებულია წმ. ლაზარეში. - „ არა, ბატონო, - მიუგო წინამძღვარმა, - ისეთი შთამომავლობის პირებს, როგორცაა ბატონი შევალე, ჩვენ აგრე არ ვეპყრობით; ამასთან იგი იმდენად მოკრძალებული და ზრდილობიანია, რომ არ მესმის, როგორ გაბედა ასეთი ამბის ჩადენა, თუ საკმაო მიზეზი არ გააჩნდა“. ამ პასუხმა სულ დააბნია ბ-ნ გ... მ... ის მუქარით გავიდა: ვიპოვი საშუალებას რითაც მოვუგრებ კისერს წინამძღვარს, შენც და ყველას, ვინც გაბედავს ჩემ წინააღმდეგ ნასვლასო.

წინამძღვარმა უბრძანა ბერებს, გაეცილებინათ იგი, თვითონ კი ჩემთან დარჩა. მან დამაფიცა, დაუყონებლივ მეცნობებინა, თუ რამ გამოიწვია ჩემი ასეთი უწესობა. - ოჰ, ჩემო მამაო! - მივმართე მე ბავშვით ატირებულმა, - წარმოიდგინეთ ყველაზე უსაშინლესი სისასტიკე, უსაზიზღრესი ბარბაროსობა. ასეთია ის მოქმედება, რომელიც უნამუსო გ... მ... ჩაიდინა! მან განგმირა ჩემი გული! ვერასოდეს ველარ გამოებრუნდები. გიამბობთ ყველაფერს, - დავუმატე მე ქვითინით - თქვენ გულკეთილი ხართ, შემიბრალებთ“.

მოკლედ გადავეცი ჩემი ხანგრძლივი და უძლეველი სიყარულის ამბავი, ის, თუ რა კარგ მდგომარეობაში ვიყავით, სანამ მსახურნი გავექურდავდნენ; ვუამბე, რა წინადადება მისცა, გ... მ... ჩემს სატრფოს, რა პირობა შეჰკრეს მათ და როგორ ჩავშალეთ იგი. უნდა ვაღიარო, რომ

ყოველივე ჩვენთვის სასარგებლო მხარით დავანახვე მას. - აი, რა წყაროდან გამომდინარეობს, - გავნაგრძე მე, - ბ-ნ გ... მ...-ს ზრუნვა ჩემი გამოსწორებისათვის. მან მიაღწია ჩემს დაპატიმრებას შურისძიების გრძნობის გამო. მე ამას ვაპატიებ. მაგრამ, ჩემო მამაო, ეს ყველაფერი როდია. მან დაუნდობლად მომტაცა ჩემი უძვირფასესი ნახევარი და მიაღწია იმას, რომ სამარცხვინოდ ჩაემწყვდია თავშესაფარში. მან ეს უსირცხვილოდ გამომიცხადა თვითონვე, თავშესაფარში, ჩემო მამაო! ჰოი ზეცავ ! ჩემი მშვენიერი სატრფო, ჩემი ძვირფასი დედოფალი თავშესაფარშია, როგორც უმდაბლესი ქმნილება! სად ვიპოვი მე საკმაო ძალას, რომ მწუხარებისა და სირცხვილისაგან არ მოვკვდე?“

კეთილმა მამამ, ჩემი ასეთი უკიდურესი მწუხარება რომ დაინახა, დამშვიდება დამიწყო. მაცნობა, რომ იგი ვერასოდეს წარმოიდგენდა ჩემს თავგადასავალს იმ სახით, როგორც მას ვუამბე; მართალია, იცოდ, თავაშვებულად ვცხოვრობდი, მაგრამ ეგონა, რომ ჩემს ოჯახთან დაახლოებამ და განსაკუთრებულმა მეგობრობამ აიძულა ბ-ნ დე გ... მ... ეზრუნა ჩემზე. თვითონ მან სწორედ ასე გააცნო წინამძღვარს ყოველივე. ჩემი ნაამბობი უკვე საფუძვლიანად სცვლიდა ჩემს მდგომარეობას. წინამძღვარს ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ის ზუსტი ანგარიში, რომელსაც იგი პოლიციის გენერალ-ლეიტენანტს წარუდგენდა, ხელს შეუწყობდა ჩემს განთავისუფლებას. შემდეგ შემეკითხა: რატომ აქამდე არ ვაცნობე ჩემი ამბავი ოჯახს, რაკი მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ჩემს დატუსაღებაში. მე ავუხსენი, რომ მამის შეწუხება არ მინდოდა და

თანაც, ძალიან მრცხვენია-მეთქი. დასასრულ, წინამძღვარი დამპირდა, რომ დაუყონებლივ წავა პოლიციის გენერალ-ლეიტენანტთან, თუნდაც მარტო იმისთვის, რომ დაასწროს ბ-ნ გ... მ...ს, რომელიც აქედან მეტად უკმაყოფილო წავიდა და რომლისგანაც, როგორც გავლენიანი კაცისაგან, ბევრ ცუდს უნდა მოველოდე.

წინამძღვრის დაბრუნებას ისე აღელვებული მოველოდი, როგორც მსჯავრდებული განაჩენის სისრულეში მოყვანას. საშინელ ტანჯვას განვიცდიდი, როდესაც წარმოვიდგენდი მანონს თავშესაფარში; არაფერს ვამბობ თვითონ ადგილის შესახებ, რომელიც ასე სამარცხვინო იყო. მე არ ვიცოდი, როგორ ეპყრობოდნენ მას, ზოგიერთი ცნობის მოგონება კი, რომელიც ამ საშინელ სახლის შესახებ მქონდა გაგონილი, ყოველთვის მაგიჟებდა. მტკიცედ გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, დამეხსნა იგი. მზად ვიყავ ცეცხლი წამეკიდებინა წმ. ლაზარესათვის, თუ იქიდან გამოსვლის სხვა საშუალება არ მექნებოდა.

შევუდექი ფიქრს იმაზე, როგორ მოვქცეულიყავ, თუ პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი გადასწყვეტდა ჩემი ტყვეობის გაგრძელებას. მთელი ჩემი მოხერხების უნარს მოვუხმე, ყველა შესაძლებლობა გავსინჯე. ვერაფერი ისეთი ვერ გამოვნახე, რაც უეჭველად მომანიჭებდა

თავისუფლებას, და ვშიშობდი, რომ უშედეგო ცდის შემდეგ უფრო სასტიკად ჩამამწყვდევენ. მომაგონდა რამდენიმე მეგობარი, რომელთა დახმარების იმედი უნდა მქონოდა. მაგრამ როგორ

ვაცნობო მათ ჩემი მდგომარეობა. ბოლოს თავში ერთმა გეგმამ გამიელვა, რომელიც შეიძლება წარმატებითაც დასრულებულიყო. მისი საბოლოოდ დამუშავება წინამძღვრის დაბრუნებამდე გადავდე, რადგან მისი მარცხი საჭიროდ გახდიდა ამ გეგმის შესრულებას.

იგი მალე დაბრუნდა. მის სახეზე ვერ ამოვიკითხე სიხარულის ის ნიშნები, რომლებიც კეთილ ამბავს თან ახლავს ხოლმე. - „მოველაპარაკე ბ-ნ პოლიციის გენერალ-ლეიტენანტს, - მითხრა მან, - მაგრამ ძალიან დავიგვიანე: ბ-ნი გ... მ... აქედან პირდაპირ მასთან წასულა და ისე აუმხედრებია თქვენს წინააღმდეგ, რომ მას შეუმზადებია ახალი ბრძანება თქვენს მიმართ მკაცრი მოპყრობის გაძლიერების შესახებ. მაგრამ, როდესაც ვუამბე თქვენი საქმის ვითარება, იგი მოლბა, ჩაეცინა კიდეც ღრმა მოხუც ბ-ნ დე. გ... მ...-ის თავშეუკავებლობაზე. მითხრა: მოხუცის დასამშვიდებლად საჭიროა თქვენი აქ დარჩენა კიდეც ექვს თვეს, მით უმეტეს, - დაუმატა მან, - რომ ეს თქვენთვის არ შეიძლება უსარგებლო იყოს. მირჩია ღირსეულად მოგექცეთ. გარწმუნებთ, ჩემი მოპყრობით უკმაყოფილო არ დარჩებით“.

წინამძღვრის ეს საუბარი კარგა ხანს გაგრძელდა, ასე რომ საკმაოდ დრო მქონდა ყოველივე მომესაზრა. მივხვდი, ჩემი გეგმები ჩაიშლებოდა, თავისუფლებისადმი დიდი სურვილი რომ გამომეთქვა. ამიტომაც სხვაგვარად მოვაჩვენე თავი: დავარწმუნე, რაკი აუცილებელია ჩემი აქ დარჩენა, ტკბილი ნუგეში ის მაინც იქნება, რომ მის პატივისცემას და ყურადღებას დავიმსახურებ.

შემდეგ ვთხოვე, გაენია ჩემთვის ერთი უმნიშვნელო სამსახური, რაც ძალიან დაეხმარებოდა ჩემს დამშვიდებას, სახელდობრ: ეცნობებინა ჩემი წმ. ლაზარეში ყოფნა ერთი ჩემი მეგობრისათვის, ღვთის მოშიშ მღვდელმსახურისათვის, რომელიც წმ. სულპისის სემინარიაში იმყოფებოდა, და მოეცა ნება ჩემთვის მიმელო იგი ხანდახან. ეს თხოვნა უყოყმანოდ იქნა შესრულებული.

მე მხედველობაში მყავდა ჩემი მეგობარი ტიბერჯი. მართლა, იმედი არა მქონდა, რომ ჩემს განთავისუფლებაში ის საჭირო დახმარებას გა-
მინევდა, მაგრამ მე მის გამოყენებას ვფიქრობდი მისდა უნებურად და
მის დაუკითხავად. მოკლედ, ჩემი პროექტი ასეთი იყო; გადავწყვიტე
წერილი მიმენერა ლესკოსათვის და მეთხოვნა ეზრუნათ როგორც მას,
ისე ჩვენს საერთო მეგობრებს ჩემი განთავისუფლებისათვის. ყველა-
ზე ძნელი წერილის გადაცემა იყო; ეს ტიბერჯის უნდა შეესრულებინა,
მაგრამ რადგან მან იცოდა, რომ ლესკო ჩემი სატრფოს ძმა იყო, ვში-
შობდი იგი ამ დავალებაზე უარს მეტყოდა. გადავწყვიტე ლესკოსადმი
მიმართული წერილი ჩამედო მეორე წერილში, რომელზედაც აღნიშ-
ნული იქნებოდა სახელი ერთი ჩემი ღირსეული ნაცნობისა; ეს უკანას-
კნელი ჩემი თხოვნით დანიშნულებისამებრ გადასცემდა პირველ წე-
რილს. ლესკოს ნახვა ჩემთვის აუცილებლად საჭირო იყო, რადგან უნ-
და გაგვერკვია, როგორ მოვქცეულიყავით. ამიტომ მიხდოდა მერჩია
მისთვის მოსულიყო ჩემთან ციხეში, ჩემი უფროსი ძმის სახელით, რო-
მელიც ვითომ პარიზში ჩამოვიდა ჩემი ამბის გასაგებად. მასთან ერ-
თად მიხდოდა გამომენახა ყველაზე სწრაფი და სწორი საშუალება გა-
პარვის განსახორციელებლად. წინამძღვარმა აცნობა ტიბერჯს,

რომ მისი ნახვა მსურდა. ჩემს ერთგულ მეგობარს იმდენად არ ვყავ-
დი დავიწყებული, რომ ჩემს თავზე მომხდარი ამბავი არა სცოდნოდა;
მან იცოდა, რომ მე წმ. ლაზარეთში ვიმყოფებოდი; იქნება მაინცდამა-
ინც არც კი იყო ამ ჩემი უბედურებით შეწუხებული, რადგან, მისი აზ-
რით, ამას შეეძლო დავეყენებინე ჭეშმარიტ გზაზე. იგი დაუყოვნებლივ
გამოცხადდა ჩემს ოთახში.

ჩვენი საუბარი მეგობრული იყო. მან მოისურვა ჩემი განზრახვების
გაგება. მე ყოველივე გადავუშალე, გარდა გაპარვის გადაწყვეტილები-
სა. „არ მინდა თავი სხვანაირად მოგაჩვენოთ, - მივმართე მე - თუ იმედი
გქონდათ, რომ აქ ინახულებდით ზომიერი სურვილებით შემოფარ-
გლულ გონიერ მეგობარს, განგების მიერ მოქცეულ გარყვნილს, ერთი
სიტყვით, სიყვარულისა და მანონის ჯადოსაგან თავისუფალ გულს, -
მოტყუებული დარჩებით. თქვენ ხედავთ იმასვე, ვისაც ამ ოთხი თვის

წინათ ხედავდით, ისეთსავე მოსიყვარულეს და ისეთივე უბედურს ამ საბედისწერო გრძნობის გამო, რაშიაც დაუღალავად ვეძებ ჩემს ბედნიერებას“.

მან მიპასუხა, რომ ეს აღსარება პატიების უღირსად მხდის. ბევრი ყოფილა მანკიერების ყალიბი ნეტარებით დამთვრალი ცოდვილი, ისინი სათნოების მიერ მონიჭებულ ბედნიერებას ვერა სცნობენ, მაცთუნებელ ნეტარებას შეჰყურებენ და თავს მოჩვენებითი ამაოებით იმშვიდებენ; მაგრამ ჩემ მიერ აღიარება იმისა, რომ ჩემი ტრფობის საგანს შეუძლია მხოლოდ უბედური და ბოროტმოქმედი გამხადოს და რომ ნებაყოფლობით უბედურებისა და დანაშაულისაკენ მისწრაფებას ვაგრძელებ, ეს არ არის სასახელო ჩემი გონებისათვის.

„ტიბერეუ - ვუპასუხე მე, - გამარჯვება თქვენთვის ადვილია, როდესაც თქვენს იარაღს წინ არაფერს უხვედრებენ! ნება მომეცით მეც ვიმსჯელო. განა შეგიძლიათ დამიმტკიცოთ, რომ ის, რასაც თქვენ სათნოების მიერ მინიჭებულ ბედნიერებას უწოდებთ, თავისუფალია ტანჯვისა, ფათერაკისა და აღელვებისაგან? მაშინ რა სახელს უწოდებთ საპყრობილეს, ჯვარს, მტარვალთა დასჯასა და წამებას? შეიძლება მისტიკოსებთან ერთად თქვენც გაიმეორეთ, ხორციელი ტანჯვა სულისათვის ნეტარებააო. თქვენ ვერ იტყვიით ამას: ეს დაუმტკიცებელი პარადოქსიაა. ამნაირად თქვენ მიერ შექმნილი ნეტარება არეულია ათას მწუხარებაში, ან, უკეთ იგი მწუხარების დაუსრულებელი ხლართია, საიდანაც ბედნიერებისაკენ იშვერენ ხელებს. თუ წარმოდგენის ძალა იძლევა შესაძლებლობას თვით ამ უბედურებაში იპოვო ბედნიერება, რადგან მას შეუძლია ხანდახან მიგიყვანოს სასურველ ბედნიერ დასასრულამდე, რატომ მიგაჩნიათ თქვენ ჩემს საქციელში ასეთი მისწრაფება წინააღმდეგობად და უგუნურებად? მე მანონი მიყვარს; ათასი მწუხარების გზით მივისწრაფი მასთან ბედნიერ და მყუდრო ცხოვრებისაკენ. გზა, რომლითაც მე მივდივარ, უბედურებითაა მოკირწყლული, მაგრამ მიზნის მიღწევის იმედი გამუდმებით ატკობობს მას და იმ ერთ წუთს, რომელსაც მე მანონთან ერთად გავატარებ, უხვად დაჯილდოვებულად ჩავთვლი ჩემს თავს ყველა იმ მწუხარებისათვის,

რომელიც მე განვიცადე იმის გამო. ამრიგად, მე მგონია, თქვენსა და ჩემს მოსაზრებას ერთნაირი ძალა უნდა ჰქონდეს; და თუ არის რაიმე განსხვავება მათ შორის, ის ლაპარაკობს მხოლოდ ჩემს სასარგებლოდ, რადგან ნეტარება, რომელიც ჩემს სასოებას შეადგენს, ახლოა, თქვენი კი შორს არის. ჩემი ნეტარება ისეთივე ბუნებისაა, როგორისაც

ტანჯვა, და ჩვენი სხეული შეიგრძნობს მას, თქვენი კი გამოუცნობი ბუნებისაა და მისი დამტკიცება მხოლოდ რწმენით შეიძლება“.

ეტყობოდა, ტიბერუი შეაშინა ამ მსჯელობამ. მან ორი ნაბიჯით უკან დაიხია და მკაცრად შენიშნა, რომ სიტყვები არა მარტო შეურაცხყოფენ ჯანსაღ აზრს, არამედ ისინი წარმოადგენენ უბადრუკ სოფიზმს, ბინიერსა და უსჯულოს. „ვინაიდან, შედარება თქვენი ტანჯვის მიზნისა იმასთან, რასაც სარწმუნოება მიგვითითებს, არის მხოლოდ აღვირახსნილობის ნააზრევი და უსაშინლესი იდეა“.

- „გეთანხმებით, იგი არ არის სწორი, - მიუუგე მე, - მაგრამ მივიღოთ მხედველობაში ის, რომ ჩემი მსჯელობის მთავარი არსი ამაში როდი მდგომარეობს. მე მინდოდა განმემარტა თქვენთვის ის წინააღმდეგობა, რომელსაც თქვენ ჩემს ჟინიანობაში ხედავთ, ხოლო მე ჩემს უბედურ სიყვარულში. მე ვფიქრობ საკმაოდ დავასაბუთე, რომ თუ ამაში წინააღმდეგობაა, ჩემზე უკეთ ვერც თქვენ გადაურჩებით მას. მხოლოდ ამ აზრით შევადარე ერთმანეთს ისინი და განვაგრძობ ამ აზრზე დგომას“.

„თქვენ მიპასუხებთ, რომ სათნოების მიზანი უსაზღვროდ მაღალია სიყვარულის მიზანზეო. ვინ უარჰყოფს ამას? მაგრამ განა კითხვა ამას შეეხება? საუბარი მიმდინარეობს იმ ძალის შესახებ, თუ როგორ შეუძლია სათნოებას და სიყვარულს ტანჯვის გადატანა. მოდით და შედეგების მიხედვით

ვიმსჯელოთ. ყოველ ნაბიჯზე სასტიკ სათნოებისაგან განდგომილს შეხვედებით, მაგრამ სიყვარულისაგან გადგომილს კი ცოტას იპოვით“.

„თქვენ შეიძლება მიპასუხობთ კიდევ, რომ სათნოების გზაზე არსებული ტანჯვა სრულიად არ არის აუცილებელი და სავალდებულო,

რომ აღარ არიან ტირანები, აღარ არსებობს ჯვარზე წამება, რომ მრავლად მოიპოვებიან სათნო ადამიანები, რომელნიც მყუდროდ და ტკბილად ცხოვრობენო. ამაზე გიპასუხებთ, რომ სიყვარულიც ხომ არის მყუდრო და ბედნიერი; მე მიგიითითებთ კიდევ ერთ განსხვავებაზე, რომელიც ჩემს სასარგებლოდ ლაპარაკობს: თუმცა სიყვარული ხშირად გვატყუებს, მაგრამ იგი ყოველ შემთხვევაში კმაყოფილებას და სიხარულს გვპირდება, მაშინ როდესაც სარწმუნოება ჩვენგან მოითხოვს სამწუხარო და დამამცირებელ ვარჯიშობას“.

„ნუ აღელდებით, - დავუმატე მე, როცა დავინახე, რომ მას თანდათან მოთმინება ეკარგება და იღრუბლება - ერთადერთი დასკვნა, რომელიც მე მინდა გამოვიყენო, იმაში მდგომარეობს, რომ ყველაზე უფარგისი საშუალება სიყვარულისაგან გულის განსაკურნავად ის არის, როცა ცდილობ დაარწმუნო გული, რომ მისთვის სიხარული არ არსებობს, რომ სრული ბედნიერება მხოლოდ იმაშია, თუ სათნოების გზას გაჰყვები. ყველა ჩვენ იმნაირად ვართ შექმნილნი, რომ ჩვენი ბედნიერება სიამოვნებაში მდგომარეობს; ის უეჭველია; არა მგონია ამის სანინააღმდეგო

დამიმტკიცოთ და გულს ხომ აღარ სჭირდება თავის თავთან დიდი თათბირი, რათა იგრძნოს, რომ ყველა სიტკბოებაზე უტკბესი სიყვარულია. როცა მას ჰპირდები უფრო მეტ სიამოვნებას, იგი მალე ხვდება, რომ ატყუებენ, და ეს სიცრუე მას აიძულებს სავსებით საფუძვლიან დაპირებასაც არ ენდოს“.

„თქვენ, მქადაგებელნო, რომელთაც გსურთ სათნოების გზაზე დამაყენოთ, მეუბნებით, რომ სათნოება აუცილებლად საჭიროა, მაგრამ ნუ მიმაღავთ, რომ ის სასტიკი და ძნელია. უმჯობესია დამიმტკიცოთ, რომ სიყვარულის სიტკბოება სწრაფ წარმავალია, რომ ის აღკვეთილია, რომ მას დაუსრულებელი ტანჯვა მოსდევს, რომ რაც უფრო ტკბილია და მომხიბვლელი, მით უფრო მეტად დამაჯილდოებს ზეცა მის უარყოფელს ესოდენ დიდი მსხვერპლისათვის, და შეიძლება ამან უფრო მეტი შთაბეჭდილება მოახდინოს ჩემზე; მაგრამ, გამოტყდით,

ისეთი გულის პატრონთათვის, როგორც ჩვენა ვართ, სრული ნეტარება, აქ, მინაზება?“

ჩემი სიტყვის დასასრულმა დაუბრუნა ტიბერუს კარგი განწყობილება. ის დამეთანხმა, რომ ჩემი აზრები არც ისე უგუნურია. ერთადერთი სანინალმდეგო, რაც მან დაუმატა, ეს იყო კითხვა, თუ რატომ თვითონ მე არ მივდექ ჩემს პრინციპებს და არ შევწირავ ჩემს სიყვარულს იმ საზღაურს, რომლის შესახებაც ასეთი დიდი წარმოდგენა მაქვს. „ოჰ!, ძვირფასო მეგობარო! - ვუპასუხე მე, - სწორედ ამაში ვცნობ ჩემს არარაობას და უსუსურობას. მე ვალდებული ვარ, ჩემ მოსაზრებათა

თანახმად მოვიქცე, მაგრამ განა ჩემზეა დამოკიდებული ჩემი ესა თუ ის საქციელი, სად არის ის დახმარება, რომელიც მაიძულებს დავივიწყო მანონის მომხიბვლელობა?“

- „ღმერთო შემინდე ამისათვის, მაგრამ, მგონია, იანსენისტთან უნდა მქონდეს საქმე“, - მომიგო ტიბერუსმა.

- „არ ვიცი, მე ვინა ვარ, ან ვინ უნდა ვიყო, მაგრამ კარგად ვგრძნობ, რომ ისინი სიმართლეს ამბობენ“, - მივუგე მე.

ამ საუბარმა ის მაინც შემიძინა, რომ ჩემი მეგობრის თანაგრძნობა დამიბრუნა. იგი მიხვდა, რომ ჩემს თავაშვებულობაში სისუსტე უფრო მეტია, ვიდრე ბოროტი ნებისყოფა. შემდეგში მან გამოამჟღავნა დიდი მეგობრული განწყობილება, რათა გაენია ჩემთვის დახმარება, ურომლისოდაც მე აუცილებლად დავიღუპებოდი. ამავე დროს მე არაფერი მითქვამს ჩემი გადანყვეტილების - ციხიდან გაპარვის შესახებ. მხოლოდ ვთხოვე გადაეცა წერილი დანიშნულებისამებრ. ტიბერუსის მოსვლამდე დავამზადე წერილი და საკმაო საბუთი მოვიყვანე იმის ასახსნელად, თუ რისთვის დამჭირდა ამის დაწერა. მან დაპირება შემისრულა. იმავე დღის დამლევს ლესკომ მიიღო წერილი.

ლესკო მეორე დღესვე მოვიდა ჩემს სანახავად და ჩემი ძმის სახელით დაუბრკოლებლად მოაღწია ჩემამდე. ძალიან გამეხარდა, როცა ის ჩემს საკანში დავინახე. კარები მაგრა მოვხურე. - „ერთ ნუთსაც ნუ დავკარგავთ, - მივმართე მას - ჯერ მიაშვებ ახალი ამბები, რაც მანონის შესახებ იცით და შემდეგ მირჩიეთ, როგორ დავამსხვრიო ჩემი

ბორკილები“. მან დამარწმუნა, რომ ჩემი დატუსაღების შემდეგ თავისი და არ უნახავს; როგორც მისი, ისე ჩემი ამბავი მხოლოდ დიდი გამოკითხვისა და დავიდარაბის შემდეგ გაიგო; რამდენჯერმე იყო თავშესაფარში, მაგრამ არ მისცეს დასთან შეხვედრის ნება. - „საზიზღარო გ... მ...! - წამოვიყვირე, - ყოველივე ეს ძვირად დაგიჯდება!“

- რაც შეეხება თქვენს განთავისუფლებას, - განაგრძო ლესკომ, - ეს უფრო ძნელი საქმეა. გუშინ სალამოს მე და ორმა ჩემმა ამხანაგმა დავათვალთვალეთ აქაურობა გარედან და რაკი თქვენი ფანჯრები შენობებით შემოზღუდულ ეზოში გადის, თქვენი აქედან გამოხსნა ძალიან ძნელი საქმეა. ამას გარდა, თქვენი საკანი მესამე სართულზეა და შეუძლებელია აქ თოკის ან კიბის ამოტანა. ამრიგად, ვერავითარ საშუალებას ვერ ვხედავ გარედან თქვენს დასახმარებლად, ისევე შიგნით უნდა გამოინახოს რაიმე ხერხი.

- „ამაოა, - ვუპასუხე მე, - ყველაფერი გამოვიკვლიე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც წინამძღვრის წყალობით ჩემზე სასტიკი მეთვალყურეობა შესუსტდა. ჩემი საკანის კარებს

გასაღებით აღარ ჰკეტავენ; ნება მაქვს მოცემული, ბერების დერეფანში თავისუფლად ვისეირნო. საქმე ისაა, რომ ყველა კიბე ებჯინება მაგარ კარებს, რომელიც დღეც და ღამეც დახშულია. ასე რომ, საკუთარი მოხერხებით მე თავის დახსნას ვერ შევძლებ“.

- „მოითმინეთ, - განვაგრძე მე და უეცრად გაელვებულ აზრს ჩავუფიქრდი - შეგიძლიათ ერთი დამბაჩა შემომიტანოთ?“ - „ეს სიძნელეს არ წარმოადგენს. - მომიგო ლესკომ. - ვილაცის მოკვლას აპირებთ?“ მე დავარწმუნე, რომ მკვლელობა ჩემს განზრახვას არ შეადგენდა და საჭიროც არ არის დამბაჩა გატენილი იყოს - „მომიტანეთ დამბაჩა ხვალვე, - დავუმატე მე, - და სალამოს თერთმეტი საათისთვის ამ სახლის კარების პირდაპირ დამიცადეთ ორ-სამ ამხანაგთან ერთად. იმედი მაქვს შემოგიერთდებით“. - ბევრი მეხვეწა გამეცნო მისთვის ჩემი გეგმა. მე ვუპასუხე, რომ ის, რაც განზრახული მქონდა, სანამ წარმატებით არ დავასრულებდი, შეუძლებელია გონიერად ეჩვენოს ადამიანს-მეთქი. შემდეგ ვთხოვე მალე წასულიყო, რათა მეორე დღეს არ გასჭირვებოდა

ჩემთან მოსვლა. მეორე დღესაც ისევე ადვილად შემოუშვეს, მისი დარბაისლური შეხედულების გამო, ყველას ღირსეული კაცი ეგონა.

როცა შევიარაღდი ჩემი გასათავისუფლებელი იარაღით, ეჭვი აღარ შემდიოდა ჩემი გეგმის განხორციელებაში, რაც მეტად თავისებური და გაბედული იყო. რას არ ჩავიდენდი იმ გრძნობის ზეგავლენით, რომელიც მე მაგულიანებდა?! მას შემდეგ, რაც მე ოთახიდან გასვლის და

დერეფანში სეირნობის ნება დამრთეს, ერთი რამ შევამჩნიე: მეკარეს ყოველ საღამოს ყველა კარის გასაღები წინამძღვართან მიჰქონდა. შემდეგ ღრმა სიჩუმე ჩამოვარდებოდა, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ ყველა თავის ადგილას იყო. მე დაუბრკოლებლივ შემეძლო ჩემი ოთახიდან წინამძღვრის ოთახამდე გამაერთიანებელი დერეფნით მივსულიყავი. ჩემი გადანყვეტილება მდგომარეობდა იმაში, რომ მისთვის გასაღები გამომერთმია. იმ შემთხვევაში, თუ გასაღებს ნებაყოფლობით არ მომცემდა, იგი დამბაჩით შემეშინებინა და შემდეგ ქუჩაში გავსულიყავი. მოუთმენლად ვუცდიდი დანიშნულ დროს. მეკარეც ჩვეულებრივ მოვიდა, ე. ი ცხრა საათის შემდეგ. კიდევ ერთი საათი დავიცადე, რათა დავრწმუნებულიყავ, რომ ყველა ბერს და მსახურს ეძინა. როგორც იქნა გამოვედი ჩემი იარაღით და ანთებული სანთლითურთ, ჯერ ნელა დავურახუნე წინამძღვარს, მინდოდა ზედმეტი ხმაურის გარეშე გამეღვიძებინა; მეორე დარახუნების შემდეგ გაიგონა. რომელიმე ბერი ცუდად გახდა და დახმარებას თხოულობსო, - გაიფიქრა მან და ადგა კარის გასაღებად. სიფრთხილისთვის მაინც იკითხა, ვინა ხარ და რა გინდაო. იძულებული გავხდი მეპასუხა ვინც ვიყავი, მაგრამ მუდარის კილოთი გავეხუმრე, მინდოდა მეგრძნობინებინა, ვითომ ავად ვიყავი. - „ჰა, ეს თქვენა ხართ, ჩემო ძვირფასო შვილო, - მიპასუხა მან და კარი გააღო. - რამ მოგიყვანა აგრე გვიან?“ შევედი მის ოთახში, მოვაშორე იგი კარებს და გამოვუცხადე, რომ აღარ შემიძლია დარჩენა წმ. ლაზარეში, ღამე ყველაზე მოხერხებული დროა იმისათვის, რომ შემუშინევლად გავიდე აქედან-მეთქი, ამიტომ თქვენი მეგობრობის იმედი

მაქვს: ან თვითონ გამიღებთ კარებს, ან მათხოვებთ გასაღებს, რომ მე გავაღო-მეთქი.

ასეთ წინადადებას არ შეეძლო არ გაეკვირვებია წინამძღვარი. რამდენიმე ხანს ხმის ამოუღებლად მიცქეროდა. ჩემთვის ყოველი წუთი ძვირფასი იყო. მე ვუთხარი, რომ დიდი მადლობელი ვარ მისი სიკეთისათვის, მაგრამ თავისუფლება ყველაფერზე ძვირფასია ამქვეყნად, განსაკუთრებით კი ჩემთვის, რომელიც უსამართლოდ წამართვეს, და გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ამაღამვე დავიბრუნო იგი. იმის შიშით, რომ ის ხმას აიმაღლებდა და დახმარებისათვის დაიწყებდა ძახილს, სიჩუმის უპირატესობის დამაჯერებელი საბუთი დავანახვე, იგი კამზოლის ქვეშ მქონდა დამალული.

- „დამბაჩა! - წამოიძახა მან, - როგორ, შვილო ჩემო, თქვენ გინდათ სიცოცხლე მომისპოთ და ასე გადამიხადოთ მადლობა იმ პატივისცემისათვის, რომელითაც მე თქვენ გეპყრობოდით?!“ - „ღმერთი არ ინებებს ამას! - ვუპასუხე მე. - თვენი კეთილგონიერება არ მიმიყვანს ამ აუცილებლობამდე. მე მინდა თავისუფლება. ჩემი გადაწყვეტილება ისეთი ურყევია, რომ თუ იგი თქვენი მიზეზით არ განხორციელდა, კარგი დღე არ მოგელით“. - „ჩემო ძვირფასო შვილო! - წამოიყვირა გაფითრებულმა და შეშინებულმა, - რა ჩავიდინე თქვენს წინაშე, რად გინდათ ჩემი სიკვდილი?“ - „არა, არა! - ვუპასუხე მე მოუთმენლად, - განზრახული არა მაქვს თქვენი მოკვლა. თუ სიცოცხლე გინდათ, კარი გამიღეთ და თვენი საუკეთესო მეგობარი ვიქნები“ - მაგიდაზე გასაღები დავინახე, ავიღე და ვთხოვე წყნარად გამომყოლოდა.

ის იძულებული იყო დამმორჩილებოდა. სანამ ჩვენ წინ მივდიოდით, ის კარებს კარებზე აღებდა და ოხვრით იმეორებდა: - „აჰ, შვილო ჩემო, ჰა, ამას ვინ დაიჯერებდა?!“ - „ნუ ხმაურობთ, მამაო!“ - ვიმეორებდი მეც წამდაუნუნმ. ბოლოს მივალწიეთ ცხაურს, ალაყაფის კარების წინ. მე უკვე თავისუფალი მეგონა თავი, წინამძღვრის უკან ვიდექი, ერთ ხელში სანთელი მეჭირა, მეორეში - დამბაჩა.

სანამ ის ბოქლომს აღებდა, ერთმა მსახურმა, რომელსაც მეზობელი ოთახში ეძინა, გასაღების ხმაზე გაიღვიძა, წამოდგა და თავი გარეთ

გამოჰყო. კეთილმა მამამ უთუოდ იფიქრა, რომ მსახური შესძლებდა ჩემს დაკავებას, გაუფრთხილებლობა გამოიჩინა და მოშველება უბრძანა. ზორბა ახალგაზრდა იყო, იგი უყოყმანოდ მეცა. - მე დიდხანს არ დავაყოვნე და შიგ გულში ვახალე. - „აი, რა ჩაიღინეთ, მამაო! - საკმაოდ ამაყად მივმართე მე ჩემს გამყოლს. - მაგრამ ეს თქვენ სრულიად არ გიშლით დაამთავროთ საქმე“, - დავუმატე მე და ხელის წაკვრით ვაჩვენე უკანასკნელი კარი. უარი ვერ გამიბედა და კარი გამიღო, მე მშვიდობიანად გამოვედი და ოთხიოდე ნაბიჯზე ლესკო და ორი მისი ამხანაგი დამხვდა.

გზას გავუდექით. ლესკომ მითხრა - სროლის ხმა მომესმაო. - „ეს თქვენი ბრალია, - ვუპასუხე მე, - რატომ მომიტანეთ გატენილი დამბაჩა?“ - მაგრამ მე მაინც მადლობა გადავუხადე ასეთი წინდახედულები-სათვის, რადგან უამისოდ მე, უეჭველია კიდევ დიდხანს მომიხდებოდა წმინდა ლაზარეში დარჩენა.

ღამის გასათევად სახამროს მივადექით, სადაც მე სატუსაღოს სამი თვის ცუდი კვების შემდეგ ძალა მოვიკრიბე. არ შემეძლო სიამოვნებას მივცემოდი, მანონის გამო ძალზედ ვიტანჯებოდი - „იგი აუცილებლად უნდა გავათავისუფლოთ, - მივმართე ჩემს სამ მეგობარს. - მხოლოდ ამისათვის მინდოდა ჩემი თავისუფლება. თქვენგან მოველი დახმარებას, მე კი მზადა ვარ სიცოცხლევ შევწირო“.

ლესკოს ჭკუა და სიფრთხილე არ აკლდა. მან გვითხრა, საჭიროა დაფიქრებული მოქმედებაო. წმ. ლაზარედან ჩემი გამოპარვა და ის ცოდვა, რომელიც გამოსვლისას შემემთხვა, ცხადია დიდ ალიაქოთს გამოინვევდა; პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი განკარგულებას გასცემდა ჩემს შესაპყრობად, მას ხელი ყველგან მიუწვდებოდა. ერთი სიტყვით, თუ არ მინდოდა წმ. ლაზარეზე უარეს ადგილას მოვხვედრილიყავ, რამდენიმე დღით უნდა სადმე ჩავკეტილიყავ, სანამ ჩემი მტრების პირველი ალიაქოთი არ შენელებოდა. ასე მარიგებდა ლესკო. მისი რჩევა გონივრული იყო, და მეც გონიერება უნდა გამომეჩინა ამ საქმის განხორციელების დროს. მაგრამ დავყოვნება და სიფრთხილე არ ეგუებოდა ჩემს გრძნობას. მე მხოლოდ დავპირდი, რომ მთელ მეორე დღეს

ძილს მოვანდომებდი. მან თავის ოთახში ჩამკეტა და საღამომდე იქ დაყავი.

ამ დროის ნაწილი მანონის განთავისუფლების გეგმის შედგენასა და საშუალებათა გამონახვას მოვანდომე. სავსებით დარწმუნებული ვიყავი, რომ მისი სატუსალო წმ. ლაზარეს სატუსალოზე

უფრო მიუვალი იყო. ძალადობაზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა. საჭირო იყო ცბიერება. თვით გამოგონებათა ღმერთ-ქალსაც გაუჭირდებოდა იმის მოსაზრება, თუ რა მხრიდან დამეწყო საქმე. ვერაფერი მოვიგონე და გადავწყვიტე მოქმედების გეგმის განხილვა გამამდლო მანამდე, სანამ თავშესაფრის შინაგან წესებს არ გავეცნობოდი.

როგორც კი ღამემ თავისუფლება დამიბრუნა, ვთხოვე ლესკოს გამოემყოლოდა. გამოველაპარაკე ერთ მეკარეს, რომელიც გონიერად მიანად მეჩვენა. თავი უცხოელად მოვაჩვენე და ვუთხარი ბევრი უსიამოვნო და პირდაპირ აღმაშფოთებელი რამ მსმენია თავშესაფრის შესახებ-მეთქი. ბევრ სხვადასხვა წვრილმანს ვეკითხებოდი. თანდათან მივალწიე უფროსებამდე, რომელთაც სახელები და ვინაობა ვთხოვე დანვრილებით ეცნობებინათ ჩემთვის. მისმა პასუხმა უკანასკნელ პუნქტის შესახებ ჩემში ერთი აზრი დაბადა, რომელიც მაშინვე მომიწონა და დაუყოვნებლივ შევუდექი მის განხორციელებას. ვკითხე: ჰყავთ თუ არა შენს უფროსებს შვილები-მეთქი. მან მიპასუხა, მაგაზე გარკვეულ პასუხს ვერ მოგცემო. მაგრამ, რაც შეეხება ერთს, ბატონ ტოს, ყველაზე უფროსს მათ შორის, დანამდვილებით ვიცი, რომ ჰყავს სრულწლოვანი ვაჟი, რომელიც რამდენჯერმე ყოფილა თავშესაფარში, თავის მამასთან ერთად. ეს ჩემთვის საკმარისი იყო.

თითქმის მაშინვე შევწყვიტე საუბარი და ლესკოსთან ერთად გამოვბრუნდი. გავაცანი ჩემი გეგმა ლესკოს. - „ვფიქრობ“, - მივმართე მას, - რომ ახალგაზრდა ბ-ნ ტ-ი მდიდარი და კარგი ოჯახის

შვილია, ის არ იქნება, როგორც მისივე ასაკის ყმანვილები საერთოდ, სიამოვნების წინააღმდეგი. უეჭველია არც ქალთა მოძულე იქნება და არც იმდენად უხიაკი, რომ სატრფიალო საქმეში დახმარებაზე უარი მითხრას. უკვე მოვისაზრე, როგორ დავაინტერესო იგი მანონის

განთავისუფლებით. თუ ის პატიოსანი კაცია და გრძნობას არ არის მოკლებული, უეჭველად გაგვინევს დახმარებას უბრალო სულგრძელობით. თუ ის ამ მოსაზრებით არ იხელმძღვანელებს, ყოველ შემთხვევაში რაიმეს მაინც გააკეთებს მშვენიერი ქალიშვილისათვის. თუნდაც იმ იმედით, რომ მისი ყურადღება დაიმსახუროს. არ მინდა გადავლო მასთან შეხვედრა - დავუმატე მე - უსათუოდ ხვალ უნდა ვინახულო იგი. ამ გეგმამ ძალზე დამამშვიდა.

ლესკოც დამეთანხმა, რომ ჩემს განზრახვაში ბევრი რამ არის სამართლიანი და შეიძლება ამ გზის მეოხებით წარმატებას მივალწიოთ. ღამე არც თუ ისე უიმედოდ გამიტარებია.

როდესაც გათენდა, რამდენადაც შესაძლებელი იყო მაშინდელი ჩემი სილარიბის გამო, მოხდენილად ჩავიცვი, და ეტლი ბ-ნ ტ...ს სახლის კარებს მივაყენე. ბ-ნ ტ. ს გაუკვირდა უცნობის სტუმრობა. მისმა სახემ და ქცევამ ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. გულახდილად ავუხსენი ყველაფერი და მისი ბუნებრივი გრძნობები რომ ამეღელეგებინა, ვუამბე ჩემი გრძნობისა და ჩემი სატრფოს ღირსებების შესახებ. მან მიპასუხა, თუმცა მანონი არასოდეს მინახავს, მაგრამ მსმენია კი, რომ ის მოხუც ბ-ნ დე გ... მ. -ს ხასა იყო; მე ეჭვი არა მქონდა, რომ მან ამ საქმეში ჩემი

მონაწილეობის ამბავიც იცოდა. რათა მეტი ნდობა დამემსახურებინა - დანვრილებით ვუამბე, რაც გადაგვხდა თავს მე და მანონს. - „ახლა რომ ხედავთ, - განვაგრძე მე, - რომ ჩემი ბედი და ბედნიერება თქვენს ხელთ არის. ყოველივეს გულახდილად მოგახსენებთ, რადგან გაგებული მაქვს თქვენი სულგრძელობის ამბავი. გარდა ამისა, ჩვენი ერთნაირი წლოვანება მაიძულებს იმედი ვიქონიო, რომ ჩვენი გულისთქმაც ერთნაირია“.

ეტყობოდა ძალზედ ესიამოვნა ასეთი გულლიაობა და გულწრფელობა. მისი პასუხი იყო პასუხი იმ ადამიანისა, რომელიც მაღალ წრეს ეკუთვნის და რომელიც არ არის მოკლებული კეთილშობილ გრძნობებს, რასაც ასე იშვიათად შეხვდება კაცი აღნიშნულ წრეში და რასაც

იგი ხშირად ახშობს. მან განმიცხადა, რომ ჩემს მისვლას ბედნიერ შემთხვევად სთვლის, ჩემს მეგობრობას აფასებს, როგორც კარგ მონაპოვარს, და ეცდება დაიმსახუროს იგი მხურვალე დახმარებით. არ შემპირებია მანონის განთავისუფლებას, რადგან მისი სიტყვით, ამისათვის მას საკმაოდ და საიმედო გავლენა არა ჰქონდა, მაგრამ თავს იდო მონეყო მანონის ნახვა და ყოველნაირად ცდილიყო, მანონი ჩემთვის დაეხრუნებინა. მე ამ უიმედობით უფრო კმაყოფილი დავრჩი, ვიდრე სრული იმედი რომ გამოეთქვა ყველა ჩემი სურვილების ასასრულებლად. მის ზომიერ დაპირებაში გულახდილობა დავინახე, რაც მეტისმეტად მომეწონა. ერთი სიტყვით, აღსავსე ვიყავი მისი გულწრფელი დახმარების იმედით. რას არ ჩავიდენდი მისთვის, თუნდაც იმიტომ, რომ იგი მანონის ნახვას დამპირდა... იმ სიტყვებმა, რომლებითაც მე ჩემი გრძნობა გადავუშალე, დაარწმუნა იგი, რომ მე

ბუნებით მგრძნობიარე ვიყავ. ჩვენ ნაზად გადავკოცნეთ ერთმანეთი და მეგობრები გავხდით მხოლოდ იმ გულკეთილობით და ურთიერთისადმი იმ ბუნებრივი მიდრეკილებით, რაც ნაზ და კეთილშობილადამიანს აიძულებს უყვარდეს პიროვნება, რომელიც მას ჰგავს.

ჩემდამი ყურადღება მან უფრო შორს განავრცო: გაითვალისწინა რა ჩემი თავგადასავალი და განსაჯა რა, რომ წმ. ლაზარედან გამოსული ალბათ გაჭირვებას განვიცდიდი, მან თავისი ქისა შემომთავაზა და დაჟინებით მთხოვდა მიმელო იგი. მე უარი განვუცხადე; - „თქვენ ჩემთვის ბევრი რამ გააკეთეთ, ძვირფასო მეგობარო“, - ვუპასუხე მე - თუ თქვენი გულკეთილობისა და მეგობრობის მეოხებით ვინახულებ ჩემს ძვირფას მანონს, სამუდამოდ თქვენგან დავალეული დავრჩები; ხოლო თუ სამუდამოდ შემაერთებთ იმ მშვენიერ არსებას, ჩემი სისხლი რომ თქვენთვის დაიღვაროს, მაშინაც კი თქვენს მოვალედ ჩავთვლი ჩემს თავს“.

გამომშვიდობებისას შევთანხმდით, სად და როდის უნდა გვენახა ერთმანეთი. ის იმდენად გულკეთილი აღმოჩნდა, რომ წინადადება მომცა შევხვედროდი იმ დღესვე, ნაშუადღევს.

ყავახანაში ველოდებოდი. ოთხ საათზე გამოცხადდა და თავშესაფარისაკენ ერთად გავეშურეთ. ეზოში რომ შევედით, მუხლები მიკანკალებდა. - „ოჰ, ღმერთო, ღმერთო!“ - გავიძახოდი მე, - ნუთუ ვინახულებ ჩემს გულის ქურუმს, ცრემლისა და მწუხარების საგანს? ზეცავ, მომეცი იმდენი ძალა, რომ მივალწიო მას და იქ რაც გინდათ ის უყავით ჩემს ბედსა და ცხოვრებას!“

ბ-ნ დე ტ... მოელაპარაკა სახლის ორ-სამ მეკარეს, რომლებიც შესაძლებლობის მიხედვით ცდილობდნენ დამსახურებას მის წინაშე და სთხოვა ეჩვენებინა ის დერეფანი, სადაც მანონის საკანი გამოდიოდა. მოსამსახურემ წაგვიყვანა იქეთკენ. ხელში მანონის კარების უშველბელი გასაღები ეჭირა. შევეკითხე ჩემს გამცილებელს, რომელსაც დავალებული ჰქონდა მანონის სამსახური, როგორ ატარებს-მეთქი დროს თავშესაფარში. მან დამიწყო ლაპარაკი მის ანგელოზურ მოკრძალებაზე, იმაზე, რომ მისგან არასოდეს მკვახე სიტყვა არ გაუგია. პირველი ექვსი კვირა განუწყვეტლივ ღვრიდა ცრემლებს, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ უფრო მეტი მოთმინებით იტანს თავის ჯავრსო. დილიდან საღამომდე კერავს. დღეში რამდენიმე საათს კითხვაში ატარებს. მე ერთხელ კიდევ შევეკითხე, კარგად თუ ეპყრობიან-მეთქი. მან დამარწმუნა, რომ რაც აუცილებელია, არ აკლიაო.

მივუახლოვდით მანონის საკნის კარებს. გული საშინლად მიცემდა. ბ-ნ დე ტ-ს მივმართე - ჯერ მარტო თქვენ შებრძანდით და გააფრთხილეთ ჩემი მოსვლის შესახებ, რადგან ვშიშობ, ძლიერ აღელდება, უეცრად რომ დამინახავს-მეთქი. კარები გაიღო. მე დერეფანში შევჩერდი. მათი ლაპარაკი მესმოდა. ბ-მა დე ტ-მ აუხსნა, რომ მივიდა იმისათვის, ცოტათი მაინც დაამშვიდოს იგი და აცნობა, რომ ის ეკუთვნის ჩემს მეგობართა რიცხვს, დიდ მონაწილეობას იღებს ჩვენს საქმეში. მანონი მოუთმენლად შეეკითხა, მოუტანა თუ არა მან რაიმე ცნობა ჩემს შესახებ. მან აღუთქვა, რომ მიმიყვანდა მასთან ისეთივე ნაზი გრძნობებით აღსავსესა და ერთგულს, როგორიც მას სურდა.

„როდის მერე?“ - შეეკითხა იგი. - „დღესვე, - უპასუხა მან - ეს ბედნიერი წუთი არც ისე შორს არის. ის ახლავე გამოცხადდება, თუკი

თქვენ მოისურვებთ“. მანონი მიხვდა, რომ მე კარების უკან ვიდექი. როგორც კი გამოვჩნდი, მაშინვე ჩემს შესახებედრად გამოიქცა. ჩვენ გულწრფელი გრძნობებით გადავხვით ერთმანეთს, რაც ასე სანატრელია ოთხი თვის განშორებულ შეყვარებულთათვის. ჩვენმა ოხვრამ, ჩვენმა წამოძახილებმა, ათასმა სასიყვარულო სახელმა, რასაც ვიმეორებდით, მთელი თხუთმეტი წუთის განმავლობაში, - ყოველივე ამან ძალზე მოხიბლა ბ-ნი დე ტ...

- „მშურს თქვენი“ - მომმართა მან და გვთხოვა დავმსხდარიყავით. - „არ არსებობს ისეთი ხვედრი, რომელსაც არ დავთმობდი ასეთ მშვენიერ და ვნებიან სატრფოსთვის“. „აი, რატომ უარყავი ამქვეყნიური სიკეთე, აი რატომ მივატოვე ყოველივე მხოლოდ იმისათვის, რომ მარტო ამას ვუყვარდე“. - მივუგე მე.

ეს სანატრელი ბაასი, ცხადია, უსაზღვროდ ნაზი იყო. საბრალო მანონმა მიაშობო თავისი თავგადასავალი, მე ჩემი, მწარედ ვტიროდით იმ მდგომარეობაზე, რომელშიაც ჯერ კიდევ იმყოფებოდა იგი და რომლისგან მე ის იყო თავი დავალწიე. ბ-ნი დე ტ... გვამშვიდებდა ახალი დაპირებებით, რომ მსურვალე მონაწილეობას მიიღებდა ამ საქმეში და ჩვენს უბედურებას ბოლოს მოუღებდა. მან გვირჩია არ გაგვეჭიანურებინა პირველი ნახვა, - რათა მეორედ უფრო ადვილად

მოეხერხებინა ჩვენი შეხვედრა. ამ რჩევის მიღება ძალიან გაგვიჭირდა. განსაკუთრებით მანონს ვერ გაეებდა ჩემი განშორება. რამდენჯერმე დამსვა. ხელეზე და ტანისამოსზე მებლაუჭებოდა. - ვაიმე, სად მტოვებ? - მეუბნებოდა იგი - ვინ არის თავდები, რომ ისევ გნახავთ? ბ-ნი დე ტ... დაპირდა, რომ ხშირად ვინახულებდით, - „რაც შეეხება ამ ადგილს, - თავაზიანად დაუმატა მან, - ამიერიდან მას ვერსალი უნდა დაერქვას და არა თავშესაფარი, რადგან აქ ჩაკეტილია ისეთი ქმნილება, რომელიც ღირსია ყველას გულის მბრძანებელი გახდეს“.

წასვლისას ცოტაოდენი ფული ვაჩუქე დარაჯს, რომელიც მანონს ემსახურებოდა. ეს ახალგაზრდა ნაკლებად სულმდაბალი და უხეში აღმოჩნდა, ვიდრე მისივე მსგავსნი. იგი ჩვენი შეხვედრის მოწმე იყო. ამ

საამურმა სანახაობამ გული აუჩუყა. ხოლო ოქრომ, რომელიც მე ვაჩუქე, იგი საბოლოოდ მოხიბლა; როდესაც კიბეზე ჩამოვდიოდი, გამიხმო და მითხრა: - „ბატონო, თუ მოსამსახურედ ამიყვანთ, ან ამ ადგილის დაკარგვას ამინაზლაურებთ, ვფიქრობ, რომ ჩემთვის ადვილი იქნება მადმუაზელ მანონის აქედან განთავისუფლება“.

ყურები ვცქვიტე და, თუმცა არაფერი გამაჩნდა, იმდენ რამეს დავპირდი, მის სურვილებს გადავაჭარბე. მაინც იმედი მქონდა, რომ ყოველთვის შევძლებდი ასეთი კაცის დაჯილდოებას. „დარწმუნებული იყავ, მეგობარო, - მივმართე მას, - რომ შენთვის ყველაფერს ჩავიდენ და შენი კეთილდღეობა ისე იქნება უზრუნველყოფილი, როგორც საკუთარი ჩემი“. - მოვისურვე გამეგო,

რაში მდგომარეობს მისი გეგმა. - „იგი ძალიან უბრალოა, - მომიგო მან. - საღამოთი გავუღებ საკნის კარებს და ქუჩის კარამდე მივაცილებ, სადაც თქვენ მომზადებული დახვდებით“. - ვკითხე, განა საშიში არ არის, რომ იცნონ დერეფანში, ან ეზოში გავლის დროს-მეთქი. მან მიპასუხა, რომ საშიშროება არსებობს, მაგრამ გაბედული ნაბიჯის გადადგმა მაინც საჭიროაო.

თუმცა ამან ალტაცებაში მომიყვანა, მაგრამ მე მაინც საჭიროდ დავინახე, მომეხმო ბ-ნი დე ტ... და გამეცნო მისთვის ეს გეგმა და ის ერთადერთი მიზეზი, რომელიც მას საეჭვოდ ხდიდა. - „მართალია, - თქვა მან, - მანონს შეუძლია გაიქცეს ამ გზით, მაგრამ თუ იცნეს და შეიპყრეს, მას სამუდამოდ მოუხდება აქ დარჩენა. მეორე მხრივ, თქვენ დაუყონებლივ უნდა დასტოვოთ პარიზი, დამალვა გაგიჭირდებათ, რადგან გაორკეცებული ძალით დაგინყებენ ძებნას, როგორც თქვენ, ისე მას. დამალვა ადვილია ერთი კაცისათვის, მაგრამ შეუძლებელია ლამაზ ქალთან ერთად“.

ძალიან საფუძვლიანი იყო ეს მოსაზრება, მაგრამ მან ჩემს გულში ვერ დასძლია მანონის სწრაფი განთავისუფლების იმედი. ეს გადავეცი ბ-ნი დე ტ-ს და ვთხოვე ეპატიებინა ჩემი სიყვარულისათვის ოდნავი უგუნურობა და წინდაუხედაობა. თან დავუმატე, რომ მე მართლაც

განზრახული მაქვს დავტოვო პარიზი და, როგორც ერთხელ უკვე მოვიქეცი, დავსახლდე ერთ-ერთ მახლობელ დაბაში. ჩვენ შევეუთანხმდით მსახურს, რომ მისი გადანყვეტილების შესრულება მეორე დღეზე გვიან არ გადაგვედო, ხოლო რათა საქმე უფრო წარმატებით დაგვირგვინებულიყო,

გადავწყვიტეთ მოგვეტანა მამაკაცის ტანისამოსი, რაც გააადვილებდა მანონის გარეთ გამოყვანას. ტანისამოსის შეტანა ადვილი არ იყო, მაგრამ ამის საშუალების გამონახვა არ გამჭირვებია. ბ-ნ დე ტ-ს ვთხოვე, მხოლოდ ორი მსუბუქი ქურთუკი გადაეცვა, დანარჩენის შესრულება მე ვიკისრე.

დილით ისევ დავბრუნდით თავშესაფარში. მე თან მქონდა მანონისათვის საცვალი, წინდები და სხვა, ხოლო ჩვეულებრივ ტანისამოსს ზემოდან გადავიცვი საკმაოდ განიერი კამზოლი, რათა ამით დამეფარა გატენილი ჯიბეები. ჩვენ ერთ ნუთზე მეტხანს არ დავრჩენილვართ საკანში. ბ-ნმა დე ტ-მა ქურთუკი გადასცა, ხოლო მე ჩემი კამზოლი, რადგან გარეთ გასასვლელად ჩემთვის საკმაო იყო სერთუკიც. მის სრულ მოსართავად ყველაფერი აღმოჩნდა, გარდა შარვლისა, რომელიც საუბედუროდ დამავინწყდა.

ასეთი აუცილებელი საგნის დავინყება, უეჭველია ჩვენში სიცილს გამოიწვევდა; რომ ის უხერხულობა, რომელშიაც მან ჩაგვაყენა, სერიოზული არ ყოფილიყო. სასონარკვეთილებაში ჩავვარდი, რადგან ასეთ უბრალო რამეს შეეძლო ხელი შეეშალა ჩვენი საქმისათვის. მაგრამ გადავწყვიტე, თვითონ გავსულიყავ უშარვლოდ, ჩემი შარვალი კი მანონისთვის გადამეცა, რადგან სერთუკი საკმაოდ გრძელი იყო. რამდენიმე ქინძისთავის საშუალებით იგი ისე გადავაბით, რომ ჭიშკარში წესიერი სახით შემეძლო გავსულიყავი.

დღის დასრულებას ძლივს ველირსეთ. დაღამებისას ჩვენი ეტლით თავშესაფრის კარებთან გავჩნდით. ცოტა მოშორებით გავჩერდით. დიდხანს არ დავგჭირვებია ლოდინი, მალე გამოჩნდა მანონი თავის მხლებლებთან ერთად. ეტლის კარი ღია იყო და ისინი დაუყონებლივ ჩასხდნენ. მე გულში ჩავიკარი ძვირფასი სატრფო. იგი ფოთოლივით

თრთოდა. მეეტლე შემეკითხა, საით წავიდეო, - „გასწი ქვეყნის კიდემდე“, - წამოვიყვირე მე, - და წამიყვანე იქ, სადაც ჩემს მანონს არასოდეს არ გამაშორებენ!“

ჩემმა ალტყინებამ, რომელიც ვერაფრით ვერ შევიკავე, კინალამ ახალ უსიამოვნებას გადამკიდა. მეეტლემ ყური ცქვიტა ჩემს სიტყვებზე და როდესაც დავუსახელე ქუჩა, სადაც უნდა წავეყვანეთ, მან მიპასუხა, რომ ეშინია ცუდ საქმეში არ გავაბა, რადგან კარგად ხედავს, რომ ეს ლამაზი ახალგაზრდა, რომელსაც მანონი ჰქვია, ქალიშვილია, და იგი მე ახლა თავშესაფრიდან გავიტაცე. თანაც დაურთო, არავითარი სურვილი არა მაქვს შენი სიყვარულის გამო თავი დავიღუპო.

ამ სალახანას უნდოდა, რაც შეიძლება მეტი აენაპნა ჩემთვის. ჩვენ ძალიან ახლოს ვიყავით თავშესაფართან და არ ღირდა ავხირობოდი. - „იყურე, - მივაძახე - მეტ ოქროს მიიღებ!“ - ამის შემდეგ იგი მზად იყო არ დარიდებოდა თავშესაფარის ცეცხლის წაკიდებასაც კი, თუკი ასეთ რამეს განვიზრახავდი.

მივედი იმ სახლთან, სადაც ლესკო ცხოვრობდა. უკვე გვიან იყო და ბ-ნი დე ტ... გზაზე ჩამოგვშორდა; დაგვირდა, რომ მეორე დღეს გვინახულვდა. ჩვენთან მარტო თავშესაფარის მსახური დარჩა.

მე ისე მყავდა მანონი ჩაკრული, რომ ორ ადამიანს ეტლში ერთი ადგილი გვეჭირა. იგი სიხარულისაგან ტიროდა, ვგრძნობდი, როგორ მისველებდა სახეს მისი ცრემლები.

როდესაც ლესკოს სახლთან ეტლიდან ჩამოვხტით, მეეტლესთან ჩხუბი მომივიდა და ამას სამწუხარო შედეგი მოჰყვა. მე ვნანობდი, რომ მას ოქროს დავპირდი, ვნანობდი არა მარტო იმიტომ, რომ მეძვირებოდა, არამედ იმიტომაც, რომ მისი გადახდის საშუალება არ მქონდა. ლესკო გამოვიძახე. როგორც კი გამოჩნდა იგი, ყურში ჩავჩურჩულე რა გასაჭირშიც ვიმყოფებოდი. ლესკო უხეში კაცი იყო, ამასთან მეეტლეებთან თავაზიანობას არ იყო მიჩვეული. მან განაცხადა, რომ ყოველივე ეს ხუმრობააო. - „ოქრო, - შესძახა მან, - ოქრო კი არა, ოცი ჯოხი მაგ სალახანას!“ ამაოდ ვამშვიდებდი, რომ, დაგვლუპავს-მეთქი, მან ჯოხი

გამომტაცა და მეეტლესაკენ გაეშურა. მეეტლემ, რომელსაც არა ერთხელ უგემნია გვარდიელისა და ჯარისკაცის ხელის ძალა, სწრაფად მოჰკურცხლა თავისი ეტლით, თან გვიყვიროდა, მოტყუებისთვის გირვენებთ სეირსო. ამოდ ვეძახდი გაჩერებულიყო. მისმა გაქცევამ ძალიან შემანუხა: დარწმუნებული ვიყავი, რომ კომისარს აცნობებდა. - „დამღუპეთ, - მივმართე ლესკოს, - თქვენთან უშიშრად ველარ დავრჩები, დაუყონებლივ უნდა წავიდე სადმე“.

გავუნოდე ხელი მანონს და დავტოვეთ საშიში ქუჩა, ლესკოც თან გამოგვყვა.

საკვირველი და მიუწვდომელია განგების გზები! ხუთი თუ ექვსი წუთიღა იქნებოდა გასული, რომ ვიღაც კაცმა, რომლის სახეც ვერ გავარჩიე, იცნო ლესკო. როგორც ჩანდა, სახლთან ელოდებოდა, ალბათ ბოროტი განზრახვით, რაც სისრულეში მოიყვანა კიდეც. - „ეს ლესკოა, - სთქვა მან და დამბაჩა დაახალა: - ამ სალამოს იგი ანგელოზებთან ერთად ივანშებებს“, - დაუმატა მკვლელმა და სწრაფად მიიძალა. ლესკო უსულოდ დაეცა. მე ვაჩქარებდი მანონს, რადგან ჩვენი შველა მკვდარს აღარ ეჭირვებოდა, მეშინოდა არ დავეჭირეთ ლამის დარაჯს, რომელიც საცაა გამოჩნდებოდა. მე, მანონმა და მსახურმა პირველსავე მოსახვევში შევუხვიეთ. მანონი ძალიან შეშინებული იყო. რაც შემეძლო ვამშვიდებდი, როგორც იქნა ქუჩის ბოლოში ეტლი დავინახეთ. ჩავსხედით, მაგრამ როდესაც მეეტლე შემეკითხა, სად მიბრძანებთ წავიყვანოთო, არ ვიცოდი რა მეპასუხნა. მე არც საიმედო თავშესაფარი გამაჩნდა, და არც ერთგული მეგობარი, რომ მიმემართნა მისთვის, არც ფული მქონდა ჯიბეში, სულ ნახევარი პისტოლიღა შემრჩენოდა. შიშმა და დაღლილობამ მანონი ისე შეანუხა, რომ ნახევრად გულშემოყრილი მომეყრდნო; ამასთან თავში ლესკოს სიკვდილი მიტრიალებდა, ხოლო ლამის დარაჯის გამოჩენის შიში მოსვენებას არ მაძლევდა. როგორ მოვიქცე? საბედნიეროდ, მომაგონდა სასტუმრო შაიოში, სადაც რამდენიმე დღე გავატარე მანონთან ერთად, როდესაც ბინას ვეძებდი ამ სოფელში. იმედი მქონდა, რომ აქ არათუ უშიშრად ვიქნებოდი, რამდენიმე ხანს ნისიადაც ვიცხოვრებდი: - „წავიყვანე შაიოში, -

მივმართე მეეტლეს. მაგრამ აქაც ახალი დაბრკოლება გადაგველო-
ბა; მეეტლემ განაცხადა - გვიან არისო და ერთი პისტოლზე ნაკლებ
ვერ ნაგყვანო. როგორც იყო, ექვს ფრანკად მოვრიგდით: ეს იყო სულ,
რაც ჩემს ქისაში მოიპოვებოდა.

გზაში ვამშვიდებდი მანონს, მაგრამ გულში ჯოჯოხეთი მიტრია-
ლებდა. მე თავს მოვიკლავდი, რომ ჩაკრული არ მყოლოდა ერთადერ-
თი განძი, რომელიც სიცოცხლესთან მაკავშირებდა. მხოლოდ ეს აზრი
მაძლევდა ძალას. - „ყოველ შემთხვევაში იგი ჩემთან არის, - ვამბობდი
მე, - ვუყვარვარ, იგი მე მეკუთვნის. რაც უნდა სთქვას ტიბერჟმა, ეს
ბედნიერების მოჩვენება არ არის. დეე, დაილუპოს მთელი სამყარო, მე
ამას არ ვინაღვლებ, რატომ? იმიტომ, რომ სხვა არაფერი მიზიდავს“...
ასეთი იყო მართლაც ჩემი სულისკვეთება. ამავე დროს ძალიან ნაკლებ
მნიშვნელობას ვაძლევდი მატერიალურ დოვლათს და მცირეოდენი სა-
შუალება რომ მაინც მქონოდა, უფრო მეტი ზიზლით შევხედავდი ყო-
ველივე სხვას. სიყვარული უფრო ძლიერია ქონებაზე, განძსა და სიმ-
დიდრეზე, მაგრამ მას მათი დახმარება სჭირია, და იმაზე საშინელი რა
იქნება სათუთი მიჯნურისათვის, გრძნობდე, რომ შენი ბედი მდაბალ
ადამიანთა უხეშობაზეა დამოკიდებული.

თერთმეტი საათი იყო, შაიოში რომ მივედით. სასტუმროში ისე მიგ-
ვიღეს, როგორც ძველი ნაცნობები. მათ არ გაჰკვირვებიათ მანონის
დანახვა მამაკაცის ტანისამოსით, რადგან ამას

შეჩვეულნი იყვნენ. პარიზში და მის მიდამოებში ქალები ყოველ-
გვარ სამოსლით განწყობილნი დადიან ხოლმე. განკარგულება გავეცი,
რომ არაფერი მოეკლოთ მანონისათვის და მივიღე ისეთი სახე, თით-
ქოს ფულით ყელამდე ვყოფილიყავი სავსე. მანონმა არ იცოდა, რომ ამ
მხრივ საქმე ცუდად მქონდა. თავი შევიკავე, არაფერი არ ვუთხარი
ამის შესახებ. გადავწყვიტე, მეორე დღეს მარტო დავბრუნებულიყავი
პარიზში და რაიმე ნამალი მომენახა ამ უსიამოვნო ავადმყოფობისათ-
ვის.

ვახშამზე მანონი ფერმკრთალი და გამხდარი მეჩვენა. ეს მე თავშე-საფარში არ შემინიშნავს, რადგან საკანი, სადაც იგი ვნახე, საკმაოდ ნათელი არ იყო. ვკითხე, ეს ალბათ შიშის შედეგი უნდა იყოს, რომელიც ძმის მოკვლას მოჰყვა-მეთქი. იგი მარწმუნებდა, რომ თუმცა დიდი შიში გამოიარა, მაგრამ ფერმკრთალობის მიზეზი არის არა შიში, არამედ ის, რომ მთელ ოთხ თვეს მოშორებული იყო ჩემგან. - „მამ ასე გიყვარვარ?“ - შევეკითხე მე. - „ათასჯერ უფრო მეტად, ვიდრე ამის გამოთქმა შეიძლება“, - მიპასუხა. - „არასოდეს აღარ მიმატოვებ?“ „არა, არასოდეს!“ - წამოიძახა მან და ეს დაპირება ისეთი ნაზი ალერსითა და მტკიცე ფიცით დაამოწმა, რომ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ამას იგი როდესმე დაივწყებდა. მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი გულწრფელი იყო. ან რა აიძულებდა ასე ეთვალთმაქცნა? მაგრამ მანონი თავქარიანი ხდებოდა, ან უკეთ, გონებას ჰკარგავდა და თავისთავს ვერა სცნობდა, როცა ხედავდა, რომ სხვა ქალები განცხრომით ცხოვრობდნენ, ის კი სიღარიბესა და გაჭირვებას განიცდიდა. სულ მალე ამ

უკანასკნელის დამამტკიცებელი საბუთიც მომეცა. მან ყველა სხვას გაადაჭარბა და წარმოიშვა უცნაური შემთხვევა, როგორიც კი როდისმე შემთხვევია ჩემი წრისა და შეძლების ადამიანს.

რადგან მე ვიცნობდი მანონის ამ მხარეს, მეორე დღესვე გავეშურე პარიზს. ძმის სიკვდილი და საცვლების უქონლობა იმდენად საკმაო საბაბი იყო, რომ მანონისათვის სხვა რაიმის მომიზეზება არ დამჭირვებია. მანონს და სასტუმროს პატრონს განვუცხადე ეტლი უნდა დავიქირავო-მეთქი და გარეთ გამოვედი. მაგრამ ეს მხოლოდ ტრაბახი იყო: იძულებული ვიყავი ქვეითად გავდგომოდი გზას. სწრაფი ნაბიჯით გავეშურე კურ-ლარენამდე, სადაც ვაპირებდი შესვენებას. მარტოობა და მცირეოდენი დამშვიდება მესაჭიროებოდა, რათა გადამეწყვიტა, რა უნდა გამეკეთებინა პარიზში.

მოლზე დავჯექი. მალე ფიქრებისა და აზრების ზღვაში შევცურე, რაც თანდათან სამ მთავარ დებულებად წარმოისახა ჩემთვის. საჭირო იყო სწრაფი დახმარება უამრავ და გადაუდებელ მიმდინარე ხარჯების

დასაფარავად; უნდა მომეძებნა მომავლისათვის რაიმე საიმედო გზა. დასასრულ, შემეკრიბა ცნობები და მიმელო ზომები მანონისა და ჩემი უშიშროებისათვის. როდესაც ამოვწურე მოსაზრებანი და კომბინაციები ამ სამი საკითხის ირგვლივ, გადავწყვიტე, უკუშეგდო ორი უკანასკნელი საკითხი, რადგან ოთახი შაიოში საკმაოდ უშიშარ ადგილს წარმოადგენდა; რაც შეეხება მომავალს, ამისათვის კიდევ მექნებოდა დრო.

ამრიგად, ჩემს მთავარ საქმეს ის შეადგენდა თუ როგორ გამევესო ქისა. ბ-ნ მა დე ტ...მ სულგრძელად თავისი ქისა შემომთავაზა. მაგრამ ძალზე მეთაკილებოდა თავად გამეხსენებინა ესა. რა კაცი უნდა იყო, რომ ნახვიდე უცხოსთან, გააცნო შენი გაჭირვება და სთხოვო თავის ქონებაში წილი დაგიდოს! ეს შეიძლება ჩაიღინოს სულმდაბალმა ადამიანმა, რომელსაც ამ სიმდაბლის გამო არაფრისა არა რცხვენია, ანდა იყოს თავმდაბალი ქრისტიანი, რომელსაც მოჭარბებული სულგრძელობა სირცხვილზე აღამაღლებს ხოლმე. მე არც სულმდაბალი კაცი და არც კეთილი ქრისტიანი გახლდით, ნახევარ სიცოცხლეს მივცემდი, ოღონდ ეს სირცხვილი ამეშორებინა.

„ტიბერჟი, - გავიფიქრე მე, - ნუთუ ჩემი კეთილი ტიბერჟი უარს მეტყვის იმაზე, რის შესაძლებლობაც მას აქვს? არა, მას შეაწუხებს ჩემი გაჭირვება, მაგრამ გამანადგურებს თავისი მორალით. უნდა ავიტანო მისი საყვედურები, მისი რჩევა, მისი მუქარა. ისე ძვირად დამისვამს თავის დახმარებას, რომ უმალ გავიღებ სისხლის ნაწილს, ვიდრე ასეთ აბეზარ სცენარს ავიტან. იგი ამივსებს სულს სინდისის ქენჯნით“. „მასადაამე, - განვაგრძე მე, - ხელი უნდა ავიღო ყოველ იმედზე, რადგან სხვა აღარა მრჩება რა. ჩემთვის იმდენად შეუძლებელი ხდება ამ ორ საშუალებაზე შეჩერება, რომ ჩემი სისხლის ნახევარს დავღვრი, ვიდრე ერთ-ერთს ავირჩევ, ე. ი უფრო ადვილად მთელ სისხლს დავღვრი, ვიდრე ამ გზას დავადგები. დიად, მთელს ჩემს სისხლს“, - დაუშმატე ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ. მთელს სისხლს უფრო სიამოვნებით

დავლვრიდი, ვიდრე მუდართ თავს დავიმცირებდი, მაგრამ საკითხი ჩემს სისხლს როდი შეეხებოდა; საქმე შეეხებოდა მანონის სიცოცხლესა და მის არსებობას, მის სიყვარულსა და ერთგულებას. რას დავდებდი სასწორის მეორე მხარეზე? აქამდე არაფერი დამიდგია. იგი ჩემი სახელისა და შეძლების მაგიერია. უეჭველად ბევრი რამ არის ისეთი რის შესაძენად ან ასაცილებლად სიცოცხლეს მივცემდი, მაგრამ მე რომ ზოგ რასმე სიცოცხლეზე მეტად ვაფასებდე, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის მანონს შეედრებოდეს. ასეთი მსჯელობის შემდეგ მე დიდხანს არ დამჭირვებია ყოყმანი. განვაგრძე გზა და გადავწყვიტე ჯერ ტიბერუსათვის მიმემართნა და მერე ბ-ნ დე ტ-თვის.

პარიზში რომ შევედი, ეტლი დავიქირავე, თუმცა ჯერ მისი მისაცემი ფული არ გამაჩნდა. მე დახმარების იმედი მქონდა. სათხოვნელადაც მივდიოდი. მეეტლეს ვუბრძანე, ლუქსემბურგის ბაღში წავეყვანე, იქიდან ტიბერუს ვაცნობე, რომ ბაღში ველოდებოდი. ჩემი მოუთმენლობა მისმა სისწრაფემ დააცხრო. მე მიუკიბ-მოუკიბავად ვუამბე ჩემ საშინელ გაჭირვებაზე. - მკითხა დამაკმაყოფილებდა თუ არა ის ასი პისტოლი, რომელიც მე დავუბრუნე; შემდეგ სიტყვის დაუძვრელად, გულწრფელი დახმარების მიზნით, რაც მხოლოდ სიყვარულსა და ჭეშმარიტ მეგობრობას ახასიათებს, გაეშურა ფულის მოსატანად. მე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ სათხოვარს შემისრულებდა, მაკვირვებდა მხოლოდ ის, რომ ასე ადვილად გადავრჩი საყვედურებს. მაგრამ მოვტყუვდი: როცა ფული ჩამითვალა და გამომშვიდობება დავაპირე, მთხოვა გაგვესეირნა

ხეივანში. ტიბერუსათვის მანონის შესახებ არაფერი არ მითქვამს. მან არ იცოდა, რომ მანონი თავისუფალი იყო, ასე რომ მისი დარიგება და საყვედური მხოლოდ წმ. ლაზარედან ჩემს უგუნურ გაქცევას შეეხებოდა. გამოსთქვამდა შიშს, რომ წმ. ლაზარეში მიღებული გაკვეთილების გონიერად გამოყენების ნაცვლად ისევ არ დავდგომოდი გარყვნილების გზას.

გადმომცა, როგორ გაცდა, როცა მეორე დღეს ჩემს სანახავად წმ. ლაზარეში მოვიდა და გაიგო, თუ რანაირად გავიპარე იქიდან. იგი ელაპარაკა წინამძღვარს. კეთილი მოძღვარი საშინელი ამბის გამო გონს არ იყო მოსული, მიუხედავად ყოველივე ამისა, ის იმდენად სულგრძელი აღმოჩნდა, რომ დაუმალა ბ-ნ პოლიციის გენერალ-ლეიტენანტს ჩემი გაქცევის ამბავი და ზომები მიიღო, რომ მეკარის სიკვდილი არ გახმაურებულიყო. ერთი სიტყვით, ამ მხრივ განსაცდელი არ მომელოდა, მაგრამ, თუ ოდნავ მაინც შემრჩენია გონიერება, უნდა ვისარგებლო ზეცის წყალობით, რომელმაც ასე ბედნიერად წარმართა ჩემი საქმე, და, უპირველეს ყოვლისა, მივწერო მამას და შევეურიგდე. და თუ ერთხელ მაინც გავყვები მის მეგობრულ რჩევას, უნდა გავშორდე პარიზს და დავუბრუნდე ჩემს ოჯახს.

ბოლომდე მოვისმინე მისი სიტყვა, ბევრი რამ მასში სანუგეშო იყო. ჯერ ერთი, აღტაცებული ვიყავი, რომ წმ. ლაზარეს მხრით შიში არ მომელოდა. პარიზის ქუჩები ჩემთვის თავისუფალ ქვეყნად გადაიქცა. მეორე, მახარებდა ის, რომ ტიბერჟმა არაფერი იცოდა მანონის

განთავისუფლებისა და ჩემთან დაბრუნების შესახებ. შევნიშნე, რომ გაურბოდა მანონის ხსენებასაც კი, უთუოდ იმიტომ რომ ეგონა, აღარ ვფიქრობდი მასზე, რადგან მე თვითონ სიტყვა არ დამიდრავს მანონზე. გადავწყვიტე, თუ ჩემს ოჯახში არ დავბრუნდებოდი, მამისათვის მაინც მიმეწერა წერილი, როგორც ტიბერჟმა მირჩია, დამერწმუნებინა იგი, რომ მზადა ვარ შევასრულო ჩემი მოვალეობა და მივდიო მის ნებას. იმედი მქონდა, რომ აკადემიაში სწავლის განგრძობის საბაბით ის ფულს გამოგზავნიდა. რადგან გაძნელებოდა მისი დარწმუნება იმაში, რომ სურვილი მაქვს სასულიერო წოდებაში დაბრუნებისა; არსებითად არაფერი საწინააღმდეგო არა მქონდა შემსრულებინა ის, რასაც ვპირდებოდი. პირიქით, მზად ვიყავი შევდგომოდი რაიმე პატიოსან და გონიერ საქმეს, რამდენადაც ეს სურვილი ჩემს სიყვარულს ეთანხმებოდა. ვაპირებდი მეცხოვრა ჩემს მიჯნურთან ერთად და თან მესწავლა აკადემიაში. ამის შეთავსება სავსებით შესაძლებელი იყო.

ამ აზრებით იმდენად კმაყოფილი დავრჩი, რომ ტიბერუს დავპირ-
დი, იმ დღესვე მიმეწერა წერილი მამაჩემისათვის. მართლაც, დავპირ-
დი თუ არა, შევედი საფოსტო კანტორაში და დავწერე ისეთი ნაზი და
მორიდებული წერილი, რომ გადავიკითხე თუ არა, იმედი მომეცა, ოდ-
ნავ მაინც მოვიგებდი ჩემი მშობლის გულს.

ტიბერუს რომ დავშორდი, შემეძლო ეტლი დამეჭირავებინა, მაგრამ
ვარჩიე ამაყად გავლა და ბ-ნ დე ტ...-სთან ქვეითად მისვლა. მიხაროდა,
რომ ვსარგებლობდი თავისუფლებით, რომელსაც, ჩემი მეგობრის
სიტყვით ხიფათი არ მოელოდა. მაგრამ უეცრად გამახსენდა, რომ მისი
სიტყვები შეეხებოდა მხოლოდ წმ. ლაზარეს და რომ ზურგზე მეკიდა
თავშესაფრიდან გატაცების ამბავიც, თუ არ ჩავთვლიდი ლესკოს სიკ-
ვდილს, რაშიაც მეც ვიყავი გარეული, როგორც მონმე. ამის გახსენებამ
ისე დამაფრთხო, რომ მახლობელ ხეივანს შევაფარე თავი და იქიდან
ეტლს დავუძახე. შემდეგ პირდაპირ ბ-ნ დე ტ...-სთან გავეშურე. მან ბევ-
რი იცინა ჩემს შიშზე. მეც სასაცილოდ მომეჩვენა ყოველივე. როდესაც
ბ-ნ დე ტ...-მ გადმომცა, რომ არც თავშესაფრის მხრივ და არც ლესკოს
მხრივ არავითარი საფრთხე აღარ მოგველის. მან მიაჩნო: რათა ეჭვი
არ მიეტანათ, რომ მანონის გატაცებაში მანონიც იღებდა მონაწილე-
ობას, იგი დილითვე მივიდა თავშესაფარში და, თითქოს არაფერი იცი-
სო, ითხოვა მანონის ნახვის ნებართვა. არავის მოსვლია აზრად ბრალი
დაედო ან მისთვის, ან ჩემთვის; პირიქით, თვითონ უამბეს ეს უცნაური
ამბავი და უკვირდით, ისეთი მზეთუნახავი, როგორიც მანონი იყო, რო-
გორ გაიპარა მსახურთან ერთად. მან მხოლოდ ცივად შენიშნა, რომ ეგ
არ უკვირს, რადგან თავისუფლებისათვის ადამიანი ყველაფერს ჩა-
იდენსო. იქიდან ბ-ნ დე ტ... ლესკოსთან წასულა იმ იმედით, რომ იქ მი-
ნახულვდა, ჩემს მომხიბვლელ სატრფოსთან ერთად. სახლის პატ-
რონმა გადასცა, რომ რომ არც მე და არ ის ქალი მას არ უნახავს. მაგ-
რამ არც არის გასაკვირველი, რომ ლესკოსთან არ მოველით, რადგან,
სახლის პატრონის აზრით, უეჭველია ჩვენ გავიგეთ, რომ სწორედ იმა-
ვე დროს მოკლეს ლესკო და ამიტომ აღარ მივედით მასთან. სახლის
პატრონმა არ დაიზარა და გადასცა ბ-ნ დე ტ...ს ისიც, თუ რა

გარემოებაში და რა მიზეზით მოკლეს ლესკო. დაახლოებით ორი საათით ადრე ლესკოსთან მოსულა გვარდიელი, მისივე ამხანაგი და წინადადება მიუცია ბანქო ეთამაშათ. ლესკომ თურმე ერთ საათში მოუგო ასი ეკიუ, ე. ი მთელი ის თანხა, რაც გააჩნდა.

უგროშოდ დარჩენილ, უბედურ გვარდიელს ეთხოვა თურმე ლესკოსთვის მიეცა სესხად იმის ნახევარი, რაც მოუგო. ამ ნიადაგზე შელაპარაკებულან და ბოლოს წაჩხუბებულან კიდევ. ლესკო ხმალში არ გაჰყოლია და გვარდიელი წასვლისას დამუქრებია, - თავს გაგიტეხო, რაც იმავე ღამეს შეუსრულა. ბ-ნ დე ტ-ი იმდენად თავაზიანი აღმოჩნდა, რომ ყოველივე ზემოთქმულს დაუმატა, ძალზედ მანუხებს თქვენი ამბავი და ახლაც მზად ვარ ხელი გაგიმართოთ და დაგეხმართო ყველაფერში. მე უყოყმანოდ ვაცნობე, სადაც ვცხოვრობდით. მან მთხოვა, ნება მომეცით თქვენთან ერთად ვივახშმოო.

დამრჩენოდა მხოლოდ მანონისათვის საცვლებისა და ტანისამოსის ყიდვა. ამიტომ ვუპასუხე, რომ ახლავე შეგვიძლია გავწიოთ შაიოსაკენ, ოღონდ კარგი იქნება თუ არ დაიზარებს და მცირე ხნით რამდენიმე ვაჭართან შემომყვება. არ ვიცი, იქნებ გაიფიქრა, რომ მისი გულკეთილობის გამოცდა მსურდა, ან ეს მისი მშვენიერი გულის მოძრაობის შედეგი იყო, ყოველ შემთხვევაში ის მყისვე დამთანხმდა გამომყოლოდა და იმ ვაჭრებთან შემიყვანა, რომლებიც წინათ მისი ოჯახის მიმწოდებელნი იყვნენ. ამარჩევინა იმაზე ძვირფასი საქონელი, რის ყიდვასაც მე ვაპირებდი, და,

როდესაც მოვისურვე გავსწორებოდი, ვაჭრებს სასტიკად აუკრძალა ჩემგან ფულის მიღება. ეს დავალება იმდენად თავაზიანი იყო, რომ შესაძლებლად დავინახე მიმელო იგი, ამასთან არავითარი უხერხულობა არ მიგრძენია. შემდეგ ერთად გავწიეთ შაიოში, სადაც უფრო დამშვიდებული მივედი, ვიდრე წამოვედი.

შევალე დე გრიემ ერთ საათზე მეტი მოანდომა ამ ამბის გადმოცემას, ამიტომ ვთხოვე მცირე ხანს შეესვენა და ერთად გვევახშმა. ჩვენმა ყურადღებამ ცხადჰყო, რომ მისი ამბავი სასიამოვნო მოსასმენი იყო ჩვენთვის. მან დაგვარწმუნა, რომ შემდგომად მისი ისტორია ბევრად

წარმტაცი იქნება. ვახშმის შემდეგ, მან კვლავ განაგრძო თავისი თავ-
გადასავალი.

ნაწილი მეორე

ბ-ნ დე ტ...- ის ყურადღება და ჩემმა იქ ყოფნამ მანონს უკანასკნელი
დარდის წარჩენიც განუფანტა - „დავივიწყოთ, ჩემო სულიკო, - მივმარ-
თე, როცა დაბრუნდით - წარსული მწუხარება და ვიცხოვროთ უფრო
ბედნიერად, ვიდრე ოდესმე გვიცხოვრია. ბოლოს და ბოლოს ამური კე-
თილი მბრძანებელია, ბედს დრო არ აქვს მოგვაყენოს იმდენი მწუხა-
რება, რამდენიც ნეტარება მოგვცა“. ჩვენი ვახშამი სიხარულის ნამ-
დვილ გამოხატულებას წარმოადგენდა.

ჩემი მანონით და ასი პისტოლით ჯიბეში მე უფრო ამაყად და კმა-
ყოფილად ვგრძნობდი თავს, ვიდრე მდიდარი პარიზელი მოიჯარე
მრავლად დაგროვილი განძეულით. სიმდიდრე უნდა განიზომოს იმ
სახსრებით, რაც ჩვენი სურვილების დასაკმაყოფილებლად მოგვეპო-
ვება. მე კი შეუსრულებელი სურვილი აღარ გამაჩნდა, თვით მომავა-
ლიც კი ნაკლებად მალეღვებდა. თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ
მამაჩემი უარს არ მეტყოდა, პარიზში არ ისე მდიდრული ცხოვრები-
სათვის საჭირო სარჩოზე, რადგან ოცი წლისა ვსრულდებოდი და უფ-
ლება მეძლეოდა დედაჩემის მემკვიდრეობიდან ჩემი წილი მომეთხოვა.
არ დავუმალე მანონს, რომ ჩემი სიმდიდრე სულ ასი პისტოლისაგან
შესდგებოდა. ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ დამშვიდებით გვე-
ცადნა უკეთესი მომავლისათვის, რაც არ უნდა ამცდენოდა მემკვიდ-
რეობის თუ ბანქოში თამაშის წყალობით.

ამრიგად, პირველი კვირების განმავლობაში მე არაფერზე არ ვფიქ-
რობდი, გარდა სიამოვნებისა, და რადგან პატიოსნების გრძნობა და
ჯერ კიდევ შერჩენილი ცოტაოდენი რიდი პოლიციისადმი მაიძულებ-
და დღე-დღეზე გადამედო სასტუმრო ტრანსილვანიის საზოგადოება-
ში თამაში, ვკმაყოფილდებოდი ნაკლებ სახელგატეხილ საკრებულოში
თამაშით, სადაც ბედი იმდენად მწყალობდა, რომ დამამცირებელი
თაღლითობა აღარ მჭირდებოდა.

ნასადილევს რამდენიმე ხნით ქალაქში მივდიოდი და ხშირად ბ-ნ დე ტ...-ს თან ერთად ვახშმად შაიოში ვბრუნდებოდი, იგი უფრო და უფრო გვიმეგობრდებოდა.

მანონმა მოწყენილობის თავის დასალწევი საშუალება გამონახა. ის დაუახლოვდა რამდენიმე მეზობელ ახალგაზრდა ქალს, რომლებიც გაზაფხულზე სოფელში დასახლდნენ. სეირნობას ქალური გასართობებით სცვლიდნენ. ზოგჯერ ქალაღდასაც თამაშობდნენ. მონაგებით ეტლის ხარჯს ისტუმრებდნენ. სასეირნოდ ბულონის ტყეში დადიოდნენ, სუფთა ჰაერზე, და როდესაც საღამოთი ვბრუნდებოდი, მანონი ისეთი მშვენიერი, ისეთი კმაყოფილი და ვნებიანი მხვდებოდა, როგორც არასდროს ყოფილა.

მიუხედავად ამისა, ჩემი ბედნიერების ჰირიზონტს ღრუბელი მოედო. მართალია, ეს ღრუბლები უკვალოდ გაიფანტა, ხოლო მანონის ცელქმა ზნემ კვანძი ისე შესაქცევად გახსნა, რომ ახლაც სიამოვნებას მგერის მისი სინაზე და გულის სიმშვენიერე.

ერთხელ, ერთადერთმა მსახურმა, რომელიც ჩვენ შეგვრჩა, განზე გამიხმო და შემკრთალმა გამომიცხადა, რომ მეტად საყურადღებო საიდუმლოება აქვს სათქმელი. მე წავათამამე; მან მცირე ყოყმანის შემდეგ გადმომცა, ვილაც უცხოელ წარჩინებულს მადმუაზელ მანონი ძალზე მოსწონსო. აღელვებისაგან ძარღვებში სისხლი ამიდულდა. - „მანონს? მანონსაც მოსწონს?“ - გავანყვეტინე მე უფრო მეტად გაცხარებულმა, ვიდრე კეთილგონიერება მოითხოვდა. ჩემმა სიფიცხემ იგი დააფრთხო.

შენუხებულმა მიპასუხა, რომ მისი დაკვირვება მაგდენად შორს არ წასულა, თუმცა რამდენიმე დღის განმავლობაში იგი ამჩნევს, რომ ეს უცხოელი ხშირად მიდის ბულონის ტყეში, ეტლიდან ჩამოდის, ხეივანში დასეირნობს და აშკარად ცდილობს მადმუაზელ მანონთან შეხვედრას. ჩემმა მსახურმა გადასწყვიტა გავცნო მისი მსახურნი, რათა გავგო მათი ბატონის სახელი. გაიგო კიდეც, ისინი მას იტალიელ თავადს უწოდებენ და იმათაც ეჭვი აქვთ, რომ მათ ბატონს რაღაც სამიჯნურო ამბავი გაუჩნდა. მეტი ვერაფერი გავიგეო, რადგანაც, - დაუმატა მან

კანკალით, - მაშინვე ტყიდან თავადი გამოვიდა, მეგობრულად მომიახლოვდა და სახელი მკითხაო. მიმხვდარა, რომ ის ჩვენი მსახური იყო და მიულოცნია, რომ ასეთი უმშვენიერესი ქალბატონი გყოლიაო.

მოუთმენლად ველოდი ამბის გაგრძელებას. მან მოკრძალებით, ბოდიშით დაამთავრა, რაც ჩემი გაუფრთხილებელი აღელვებით ავხსენი. ამაოდ ვარწმუნებდი, ეთქვა ყველაფერი. განმიცხადა,

მეტი არაფერი ვიციო. რაც გადმომცა, წინა დღეს მომხდარიყო. მას შემდეგ თავადის მსახურთ ველარ შევხვდი. ნავაქეზე იგი არა მარტო შექებით, არამედ დიდი საჩუქრითაც და, უფრო დამშვიდებით, ისე, რომ მანონისადმი არავითარი უნდობლობა არ გამომიჩენია, ვურჩიე, თვალყური ედევნებინა უცნობის ყოველი ნაბიჯისათვის.

მისმა შიშმა ძალზედ დამაეჭვიანა. შიშის გამო მას შეეძლო ჩემთვის ნაწილი სიმართლისა დაემალა. მაინც, ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ, აღელვებას თავი დავალწიე და ვნანობდი კიდევ ჩემს სისუსტეს. ხომ არ შეეძლო მანონისათვის დანაშაულად ჩამეთვალა, რომ იგი ვილაცას მოეწონა.

ბევრი რამ ცხადჰყოფდა, რომ მანონმა სრულიად არაფერი იცოდა თავისი გამარჯვების შესახებ. ან რას დაემსგავსებოდა ჩემი სიცოცხლე, ასე ადვილად რომ შემეშვა გულში ეჭვი? მეორე დღეს პარიზს დავბრუნდი; სხვა სურვილი არაფერი მქონია, გარდა იმისა, რომ ჩემი სახსრები ბანქოს თამაშით გამედიდებინა, რათა შემძლებოდა პირველსავე სახიფათო შემთხვევაში შაიო დამეტოვებინა.

იმ საღამოს ჩემი სიმშვიდის შემაშფოთებელი არაფერი გამიგია. უცხოელი კვლავ ყოფილა ბულონის ტყეში და როგორც ნაცნობს, რომელიც წინა დღეს გაეცნო ჩემს მსახურს, დაუწყია

საუბარი თავისი სიყვარულის შესახებ, მაგრამ ისე და იმნაირად, რომ ცხადი ხდებოდა, - მანონის მხრივ არავითარი ურთიერთობა არ იყო. იგი ათასი წვრილმანის შესახებ ეკითხებოდა. ბოლოს, დიდი დაპირებით შეეცადა მის მოსყიდვას. ამოიღო ალბათ წინდანი და მამადადებული წერილი, შეაძლია რამდენიმე ოქრო და სთხოვა, გადაეცა წერილი თავისი ქალბატონისათვის.

მას შემდეგ ორი დღე გავიდა: არაფერი ღირსშესანიშნავი არ მომხდარა. მესამე დღეს ღრუბლები ჩამონვა. საკმაოდ გვიან დავბრუნდი შინ და გავიგე, რომ მანონი სეირნობის დროს ცოტა ხნით ჩამორჩა თავის მეგობარ ქალებს. მანონმა ანიშნა უცხოელს, რომელიც შორიანლო მისდევდა, მისულიყო მასთან, და როდესაც მივიდა, წერილი გადასცა. უცხოელმა იგი დიდი სიხარულით მიიღო. მანონი მაშინვე განშორდა. რადგან უცხოელს სხვა საშუალება არა ჰქონდა სიხარულის გამოსახატავად, მან წერილი დიდი სინაზით დაჰკოცნა. მანონი მთელ დღეს სიამოვნებით იყო და შინ დაბრუნების შემდეგაც გუნება არ შესცვლია. მე, ცხადია, ნაამბობის ყოველი სიტყვა ჟრუანტელს მგვრიდა. - „დარწმუნებული ხარ თუ არა, - მწუხარედ შევეკითხე მსახურს, - რომ თვალმა არ მოგატყუა?“ მან ზეცა დაიმონმა, რომ სიმართლეს ამბობდა.

არ ვიცი სანამდე მიმიყვანდა გულისწუხილი, რომ მანონი, რომელმაც გაიგო ჩემი დაბრუნება, სწრაფად არ გამომგებებოდა და ჩივილი არ დაეწყო ჩემს შინ არყოფნაზე. ამასთან ჩემს პასუხს არც კი დაუტავდა და ალერსი შემომაფრქვია, ხოლო როცა მარტო დარჩა, ჩვეულებრივზე მეტად

მისაყვედურა, რომ შინ გვიან ვბრუნდებოდი. რაკი მე ვდუმდი, მან განაგრძო საყვედური და სთქვა, რომ უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში მასთან არც ერთი დღე არ გამიტარებია, რომ მეტს ველარ აიტანს. მთხოვდა, ხანდახან ერთი დღე მაინც შემენირა მისთვის. ამასთან გამოსთქვა სურვილი, რომ მეორე დღეს დილიდან საღამომდე მასთან დავრჩენილიყავი.

- „ნუ სწუხხართ, დავრჩები თქვენთან“, - მივუგე მე საკმაოდ მკვახედ. მან ყურადღება არ მიაქცია ჩემს მწუხარებას და მხიარულმა, სასაცილოდ ამინერა ის, თუ როგორ გაატარა დღე. „რა უცნაური ქალია! - ვამბობდი გუნებაში, - რას უნდა მოველოდე ამ შესავლის შემდეგ?“ მომაგონდა ჩვენი პირველი გაყრის შემთხვევა. თან მჯეროდა, რომ მისი მხიარულება და ალერსი გულწრფელი იყო და ყოველივე ამას იგი ბუნებრივად ამჟღავნებდა.

ადვილად შემეძლო ჩემი მწუხარება წაგებისათვის მიმეწერა. რადგან თვითონ მან ჩამაგონა მეორე დღეს შაიოში დარჩენის აზრი, ძალიან სასარგებლო შემთხვევად მივიჩინე იგი, - ამით მე ვიგებდი დროს შექმნილი მდგომარეობის ასაწონ-დასაწონად. ჩემი შინ დარჩენით არაფრის შიში არ უნდა მქონოდა; იმ შემთხვევაში, თუ ისეთს არაფერს შევამჩნევდი, რაც მაიძულებდა გულახდილად ამეხსნა ყოველივე მისთვის, გადავწყვიტე მეორე დღეს ბინა გამომეცვალა და მანონთან ერთად გადავსულიყავ ისეთ უბანში, სადაც თავს დავალწევდი ამა თუ იმ თავადთან შეხვედრას. ამ გადანწყვეტილების მეოხებით ღამე მშვიდად გავატარე, მაგრამ ამან მაინც ვერ გამიფანტა მანონის მომავალი ღალატის შიში.

როცა გამეღვიძა, მანონმა გამომიცხადა, რომ თუმცა დღე შინ უნდა გავატარო, მაგრამ მას მაინც არა სურს ჩემი გარეგნობისთვის ჩვეულებრივზე ნაკლებად იზრუნოს, ამიტომ მოისურვა ჩემი თმის დავარცხნა საკუთარი ხელით. საუცხოო თმა მქონდა. იგი ხშირად ერთობოდა ჩემი თმით. მაგრამ ამ დღეს განსაკუთრებული გულმოდგინებით შეუდგა ამ საქმეს. რომ მესიამოვნებინა მისთვის, იძულებული გავხდი მის მოსაკაზმავ მაგიდასთან დავმჯდარიყავ და მოთმინებით ამეტანა ის, რასაც ჩემს დასავარცხნად მოიგონებდა. მუშაობის დროს იგი წამდაუნუმ ჩემს სახეს თავისკენ მიიბრუნებდა, ხელებს მხრებზე დამაყრდნობდა და ცნობისმოყვარეობით შემომცქეროდა. შემდეგ რამდენიმე კოცნით გამოჰხატავდა თავის კმაყოფილებას, ისევ დამსვამდა და განაგრძობდა მუშაობას.

ამგვარ ცელქობაში გაიარა თითქმის მთელმა დრომ სადილამდე. მანონი ისეთი სიამოვნებით ერთობოდა და ისე მხიარული იყო, რომ ამაში არავითარი თვალთმაქცობა არ მოჩანდა. მაგრამ მე ვერ შემიერიგებინა გულწრფელობის ასეთი უტყუარი ნიშნები უმსგავსო ღალატის გეგმასთან, ამიტომ რამდენჯერმე დავაპირე გადამეშალა ჩემი გული და გავთავისუფლებულიყავ იმ ტვირთისაგან, რომელიც ლოდად მანვა გულზე. მაგრამ ყოველთვის იმედი მეზადებოდა, რომ თვითონ ის გამოამჟღავნებდა ყველაფერს, და წინასწარ ვზეიმობდი ამ გამარჯვებას.

დავბრუნდი მანონის ოთახში. იგი კვლავ შეუდგა ჩემი თმის ვარცხნას და მეც თვინიერად

ვასრულებდი ყველა მის ბრძანებას, რომ უეცრად მოახსენეს - თავად დე...-ს ჰსურს თქვენი ნახვაო. ამ სახელმა აღმაფოთა და გამაშეშა. - „რაო! - დავიყვირე მე და ხელით მოვიშორე მანონი - რაო! ვინ თავადღია?“ - მან პასუხი არც კი გამცა, შემოუშვითო, დინჯად უბრძანა მსახურს. მაშინვე მობრუნდა ჩემსკენ და თავისი მომაჯადოებელი ხმით მომმართა: - „ჩემო საყვარელო, ჩემო ძვირფასო, გთხოვ, ერთი ნუთით ლმობიერად მომეპყრა, ერთი ნუთით, მხოლოდ ერთი ნუთით; ათასჯერ უფრო ძლიერ შეგიყვარებ; მთელს ჩემ სიცოცხლეში შენი მადლობელი ვიქნები!“

აღშფოთებამ და მოულოდნელობამ ენა შემეიკრა. მანონი დაჟინებით იმეორებდა თავის თხოვნას, მე კი სიტყვები ვერ გამოვინახე, რომ ზიზღით უარმეყო იგი. ამასობაში წინა ოთახის კარი გაიღო, მანონი ერთი ხელით ჩაებლაუჭა ჩემს თმას, რომელიც მხრებზე გადამშლოდა, ხოლო მეორე ხელით სარკე აიღო, შემდეგ მოიკრიბა ძალა და ამ საკვირველი ყოფით ოთახის კარამდე მიმათრია, იქ მუხლით გააღო კარი და უცხოელს, რომელიც, ხმაურობის გამო, ოთახის შუა ადგილას შესდგა, ისეთი სანახაობა წარუდგინა, რომელმაც, ალბათ, ძალზე გააოცა იგი. დავინახე საუცხოოდ ჩაცმული, მაგრამ საკმაოდ ულაზათო გარეგნობის კაცი.

ამ სცენით მეტად გოცნებულმა უცნობმა მაინც თავაზიანად სალამი მოგვცა. მანონმა ენის დაძვრაც კი არ დააცალა და სახესთან სარკე მიუტანა: - „ჩაიხედეთ, ბატონო ჩემო, - მიმართა მას, - კარგად ჩაიხედეთ და ისე გამსაჯეთ: თქვენ სიყვარულსა მთხოვთ; აი ის, ვინც მე მიყვარს და ვისაც შევფიცე

საუკუნო სიყვარული. თვითონ თქვენ შეადარეთ იგი თქვენს თავს, თუ შესაძლებლად მიგაჩნიათ შეეცილოთ ამას ჩემი გულისთვის. მითხარით, რა მოსაზრებით. ვინაიდან გიცხადებთ, რომ თქვენი მონა-მორჩილის თვალში იტალიის თავადები, ყველანი ამ თმის ერთ ბენვადაც არა ჰღირან“.

ამ შმაგი სიტყვის შემდეგ, რომელიც წინასწარ უნდა ყოფილიყო მოფიქრებული, შევეცადაე თავი გამეთავისუფლებინა. მე სიბრალულსა ვგრძნობდი ამ, ალბათ, საკმაოდ წარჩინებული ადამიანისადმი. მინდოდა ზრდილობიანად შემემსუბუქებინა ეს პატარა შეურაცხყოფა მისთვის. მაგრამ უცხოელი მალე გამოერკვა და, რადგან მისი პასუხი რამდენადმე უკმეხად მეჩვენა, ჩემი განზრახვა სისრულეში არ მოვიყვანე. - „ქალბატონო, ქალბატონო, - ნაძალადევი ღიმილით უპასუხა მან, - მე თვალი ამეხილა და ვხედავ, რომ თქვენ არც ისე გამოუცდელი ყოფილხართ, როგორც მეგონა“.

იგი დაუყონებლივ გავიდა, ისე რომ მანონისათვის არც კი შეუხედნია, და უფრო დაბალი ხმით წაილაპარაკა, ფრანგი ქალები არაფრით ჩამოუფარდებიან იტალიელ ქალებსო. მე ამ შემთხვევაში არავითარი საბაბი არა მქონდა მეტი პატივისცემა ჩამეგონებინა მშვენიერთა სქესის მიმართ.

მანონმა ჩემი თმა გაანთავისუფლა, სავარძელში ჩავარდა და ოთახი დაუსრულებელი კისკისით

გააყრუა. ვერ დავფარავ, რომ მე გულის სიღრმემდე ჩამწვდა ეს მსხვერპლი, რაც მხოლოდ სიყვარულით შემეძლო ამეხსნა, თუმცა ეს სიცელქე გადაჭარბებული მეჩვენა. ამისთვის ცოტა ვუსაყვედურე კიდევ მანონს.

მან მიამბო, რომ ჩემს მეტოქეს რამდენიმე დღის განმავლობაში ბულონის ტყეში იერიში მოჰქონდა მასზე. იგი ცდილობდა ნიშნებით გაეგებინებინა, რომ უყვარდა. ბოლოს წერილით, რომელიც მან მეეტლის ხელით გადასცა, ამცნო თავისი სახელი და ხარისხი, თანაც მთებს გადაღმა ჰპირდებოდა ბრწყინვალე მდგომარეობას და საუკუნოდ გაღმერთებას. შაიოში დაბრუნების შემდეგ მანონმა გადასწყვიტა ემცნო ყოველივე ჩემთვის, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა, - ამ შემთხვევის გამო შეგვეძლო ბევრი გვეცინა. ამიტომ მან ცბიერი წერილით მოიწვია იტალიელი თავადი თავის ბინაზე. კიდევ უფრო მეტი სიამოვნებისათვის მეც მიმაღებინა მონაწილეობა თავის გეგმაში, ისე რომ, ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. მე კრინტი არ დამიძრავს იმ ცნობების შესახებ,

რომლებიც სხვა წყაროებიდან მქონდა მიღებული, და სიყვარულით მთვრალმა, სავსებით მოვიწონე მისი საქციელი.

მთელს ჩემს სიცოცხლეში არაერთხელ შემიმჩნევია, რომ ზეცა ჩემს დასასჯელად ისეთ დროს შეარჩევს ხოლმე, როდესაც ჩემი კეთილდღეობა განსაკუთრებით მტკიცედ მიმაჩნია. იმდენად ბედნიერი ვიყავი ბ-ნ დე ტ...-ს მეგობრობით და მანონის სიყვარულით, რომ ჩემთვის შეუძლებელი

იყო იმის შეგნება, რომ შიში უნდა მქონოდა რაიმე ახალი უბედურებისა. ბედი კი თურმე ისეთ განსაცდელს მიმზადებდა, ისეთს ყოფაში მაგდებდა, როგორშიც თქვენ მე პასიში მნახეთ, ხოლო შემდეგ თანდათან იმდენად სავალალო გახდა ჩემი მდგომარეობა, რომ მისი წარმოდგენაც კი ძნელია.

ერთ დღეს, როცა ბ. დე ტ...-სთან ერთად ვვახშობდით, სასტუმროსთან ხმაურით ეტლი შეჩერდა. ცნობისმოყვარეობამ გვაიძულა გაგვეგო, ვინ მოვიდა ასე გვიან. გვაცნობეს, რომ ეს არის ახალგაზრდა გ... მ... ე. ი ჩვენი მოსისხლე მტრის შვილი, შვილი იმ გარყვნილი ბებრისა, რომელმაც მე წმ. ლაზარეში მიკრა თავი. ხოლო მანონს - თავშესაფარში. მისი სახელის ხსენებაზე სისხლი თავში ამივარდა. თვით ზეცამ მომიგზავნა იგი, რათა მამის საზიზღრობისათვის დავსაჯო, - ვუთხარი ბ-ნ დე ტ...-ს, - ის ვერ დამიძვრება ხელიდან, სანამ ერთმანეთს ხმალში არ გავუსწორდებით-მეთქი. ბ-ნი დე ტ...-ი, რომელიც იცნობდა გ... მ...-ს და მის საუკეთესო მეგობრადაც ითვლებოდა, შეეცადა სხვა გრძნობა შთაეგონებინა ჩემთვის. მარწმუნებდა, რომ ძალზედ თავაზიანი ახალგაზრდაა, რომ შეუძლებელია იგი მონაწილე ყოფილიყო თავისი მამის საქციელისა; ხოლო საკმაოა მასთან ერთი წუთი დაჰყო, რომ იგრძნო მისდამი პატივისცემა და მოისურვო მისი ყურადღების დამსახურება. ათასი სხვა ქება შეასხა და მერე მთხოვა დავთანხმებულიყავი, მოგვეწვია იგი ვახშმად. ვუთხარი, მანონისათვის სახიფათო იქნება ჩვენი მტრის შვილმა რომ გაიგოს, სადაც ცხოვრობს იგი-მეთქი, მაგრამ ბ-ნმა დე ტ...-მ დაგვარწმუნა,

რომ რა წამსაც იგი გაგვიცნობს და გაიგებს ყველაფერს, თქვენი ერთგული დამცველი გახდებაო. ასეთი დარწმუნების შემდეგ მე ყველაფერზე უნდა დავთანხმებულიყავ.

ბ-ნმა დე ტ...-მ მოიყვანა იგი, ამასთან წინასწარ გააგებინა, ვინ ვიყავით ჩვენ. იგი, მართლაც, ისეთი სახით შემოვიდა, რომ ერთბაშად მოგვხიბლა. გადამეხვია. დავსხედით. აღტაცებული იყო მანონით, ჩემით, და ყოველივე იმით, რაც ჩვენი იყო და მადიანი ჭამით დიდი პატივი სცა ჩვენს ვახშამს.

სუფრის ალაგების შემდეგ საუბარმა უფრო სერიოზული ხასიათი მიიღო. გ... მ...-მ თვალი მორცხვად ძირს დახარა და განაცხადა, რომ მისმა მამამ შეურაცხყოფა მოგვაყენა, რისთვისაც იგი ბოდიშს იხდის. მოკლედ მოვჭრი ჩემს ბოდიშის მოხდას, რათა არ განვაახლო მოგონება, რომელიც სირცხვილსა მგვრისო, - დაასრულა მან. თავიდანვე გულწრფელი ბოდიში, შემდეგშიც უფრო გულწრფელი აღმოჩნდა, რადგან ჩვენი საუბარი ნახევარ საათსაც არ გაგრძელებულა, რომ შევნიშნე, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე მანონმა. მისი გამოხედვა და ქცევა უფრო და უფრო ნაზი ხდებოდა, თუმცა სიტყვით არაფერი წამოსცდენია, მაგრამ მე მეტად გამოცდილი ვიყავი სიყვარულში, რათა ეჭვის დაუხმარებლადაც მეგრძნო, მისი დამწყები მოქმედების შესახებ.

გ... მ...-მ ღამის ერთი ნაწილი ჩვენთან გაატარა. წასვლისას გამოგვიცხადა, რომ ბედნიერია ჩვენი ნაცნობობით და გვთხოვა ნება დაგვეერთო - ხანდახან მოსულიყო ჩვენთან. თან აღნიშნა, რომ მუდამ მზად არის სამსახური გაგვიწიოს. შემდეგ თავისი ეტლით გათენებისას წავიდა. ბ-ნ დე ტ...-იც მას გაჰყვა.

როგორც აღვნიშნე, ეჭვისათვის არ ვიყავ განწყობილი. მანონის ფიცი უფრო მჯეროდა ახლა, ვიდრე ოდესმე. ეს მშვენიერი ქმნილება ისე დაეუფლა ჩემს სულს, რომ მე მისდამი მხოლოდ პატივისცემას და სიყვარულს ვგრძნობდი. აზრადაც არ მომსვლია მანონისათვის დანაშაულად ჩამეთვალა, რომ იგი ახალგაზრდა გ... მ...-ს მოეწონა. აღტაცებული ვიყავი იმით, თუ რარიგ მოხიბლა იგი მანონმა, თანაც ვამაყობდი

ისეთი ქალის სიყვარულით, რომელსაც ყველა მომაჯადოებლად სთვლიდა. უადგილოდ მიმაჩნდა გადამეცა მანონისათვის ჩემი დაკვირვებანი. რამდენიმე დღე მანონისთვის ტანსაცმლის შემზადებას მოვუნდით. ვარკვევდით, შეგვეძლო თუ არა თეატრში უშიშრად წასვლა. არ გაუვლია ერთ კვირას, რომ ბ-ნმა დე ტ...-მ კვლავ გვინახულა. რჩევა ვკითხეთ. იგი მიხვდა, რომ მანონის სიამოვნების გამო დასტური უნდა მოეცა. გადავწყვიტეთ: იმავე საღამოს სამივე ერთად წავსულიყავით თეატრში.

მაგრამ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა ვეღარ მოხერხდა, რადგან ბ-ნმა დე ტ...-მ განზე გამიხმო და მითხრა: - „მას შემდეგ, რაც მე თქვენ დაგმორდით, უხერხულ მდგომარეობაში

ვიმყოფები და დღევანდელი ჩემი აქ მოსვლა ამით არის გამონვეული. გ... მ...-ს თქვენი მიჯნური შეუყვარდა, ამაში ის თვითონ გამომიტყდა; მე მისი გულითადი მეგობარი ვარ და მზად ვარ ყველაფერში დავეხმარო, მაგრამ არანაკლები მეგობარი ვარ თქვენიც. ვაღიარებ, რომ მისი განზრახვა უღირსია, ვგმობ მას. ამ საიდუმლოს შევინახავდი, რომ ჩვეულებრივი საშუალებით ცდილობდეს თავი მოაწონოს მანონს. იგი ძალიან კარგად იცნობს მანონის ხასიათს. მას როგორღაც გაუგია, რომ მანონს კარგი და მხიარული ცხოვრება უყვარს და, რადგან მას უკვე მოეპოვება საკმაო ქონება, გამომიცხადა, რომ განზრახული აქვს შეაცდინოს მანონი ძვირფასი საჩუქრებითა და ათი ათასი ლივრის გაღებით. თანაბარ პირობებში შეიძლება გამძნელებოდა მისი გაცემა, მაგრამ მეგობრობა და სიმართლე თქვენს სასარგებლოდ ლაპარაკობს, მით უმეტეს, მე ვარ მიზეზი მისი გრძნობების აშლისა, რადგან მე გაგაცანით იგი. ამიტომ მოვალედ ვრაცხ თავს გაგაფრთხილოთ იმ უსიამოვნების შესახებ, რომლის მიზეზიც მე ვარ“.

მადლობა გადავუხადე ბ-ნ დე ტ...-ს ასეთი სამსახურისათვის და კვლავ ვიგრძენი მისდამი დიდი ნდობა. გამოვუტყედი, რომ მანონს სწორედ ისეთი ხასიათი აქვს, როგორც გ... მ...-ს წარმოუდგენია. მას თვით სიტყვის „სიღარიბის“ გახსენებაც არ შეუძლია-მეთქი. - „მაგრამ, - განვაგრძე მე, - იმ შემთხვევაში, თუ მანონს არჩევანი მოუხდება მეტ თუ

ნაკლებ ქონებას შორის, დარწმუნებული ვარ, არ მილაღატებს. იმედი მაქვს, რომ არაფერს მოვაკლებ და ვფიქრობ, რომ ჩემი სახსრები დღით-დღე უფრო გაიზრდება. შიში მაქვს მხოლოდ ერთი რამისა, - დავუმატე - გ... მ...-მ არ ისარგებლოს იმით, რომ იცის ჩვენი ბინა“.

ბ-ნმა დე ტ...-მ დამარწმუნა, რომ ამ მხრით შემძლია სრულიად დამშვიდებული ვიყო და რომ გ... მ...-ს შეუძლია სიყვარულის ნიადაგზე სისულელე ჩაიდინოს, მაგრამ სიმდაბლე კი არასოდეს. ყოველ შემთხვევაში, თუ იგი რაიმე საზიზღრობამდე მივა, მაშინ თვითონ პირველი დასჯის მას და ამით გამოისყიდის იმ დანაშაულს, რომელმაც ჩვენ უბედურებაში ჩაგვავდო. - „თქვენგან მეტად დავალებული ვარ, - ვუპასუხე მე, - მაგრამ ბოროტება უკვე ჩადენილია და მისი წამალი კი საეჭვოა. ამიტომ უფრო გონიერი იქნება, დავასწრო მას, დავტოვო შაიო და სხვაგან სადმე გადავიდე“. - „დიალ, - მომიგო ბ-ნმა დე ტ...-მ, - რადგან გ... მ... შუადღისას აქ იქნება. თვითონ მითხრა ეს და სწრაფად ამან მიძულა ასე ადრე მოვსულიყავი თქვენთან და მისი განზრახვაც მეცნობებინა. საცაა, თვითონაც მოვა“.

ასეთმა მოულოდნელმა ცნობამ იძულებული გამხადა საქმეს უფრო ღრმად ჩავკვირებოდი. რადგან, ჩემი აზრით, შეუძლებელი იყო გ... მ...-ს მოსვლისთვის ხელი შემეშალა და, უეჭველია, ძნელი იყო ისე მომეხერხებინა, რომ თავისი გულის ნადები მანონისათვის არ ემცნო, ამიტომ გადავწყვიტე თვითონ გამეფრთხილებინა მანონი ახალი მეტოქის გამოჩენის შესახებ. ვფიქრობდი, რაკი მანონს ეცოდინება, რომ მე ვიცი ის, რასაც გ... მ... - აპირებს, მას იმდენი ნებისყოფა აღმოაჩნდება, რომ უარჰყოფს მის წინადადებას-მეთქი. ეს აზრი ბ-ნ დე ტ...-ს გავუზიარე. მან მითხრა, ეს მეტად საყოყმანო საქმეაო. - „გეთანხმებით, - მივუგე მე; - თუ შეიძლება საერთოდ სატრფოს ერთგულებაზე იმედი ვიქონიოთ, მე ამ იმედს მხოლოდ მის ჩემდამი

დამოკიდებულებაზე ვამყარებ. განა მარტო კარგ წინადადებას შეუძლია იგი დააბრმავოს. უკვე მოგახსენეთ, რომ მანონი ხარბი არ არის. უყვარს განცხრომა, მაგრამ მეც ვუყვარვარ, ხოლო ჩემი საქმეები ახლა ისეთ მდგომარეობაშია, რომ ვერ დავიჯერებ, ჩემს თავს იმ კაცის

შვილი არჩიოს, რომელმაც იგი თავშესაფარში ჩაამწყვდია“. - ერთი სიტყვით, მე ჩემს გადაწყვეტილებას დავადექი, გავიხმე მანონი და გულახდილად ვუამბე ყველაფერი, რაც გავიგე.

მანონმა მაღლობა გადამიხადა, რომ ასეთი კარგი აზრისა ვიყავი მასზე და დამპირდა გ... მ...-ს წინადადება ისე მიელო, რომ მას განმეორების სურვილი აღარ დაჰბადებოდა. - „არა, უხეში გზით მისი გაბრაზება არ გვმართებს, - მივმართე მე, - რადგან მას შეუძლია დაგვლუპოს. შენ იცი, ჩემო კუდრაჭავ, - დავუმატე მე სიცილით, - როგორ მოახერხებ, უსიამოვნო და უხერხული თაყვანისმცემლის თავიდან მოშორებას“. - იგი დაფიქრდა, შემდეგ მომიგო: - „მშვენიერი აზრი მომივიდა, გ... მ... ჩვენი უბოროტესი მტრის შვილია, მაგრამ ჯავრი უნდა ვიყაროთ არა მასზე, არამედ მის ქისაზე. მე მოვუსმენ, მივიღებ მის საჩუქრებს და შემდეგ სასაცილოდ ავიგდებ“.

„შენი გეგმა კარგია, - ვუპასუხე მე, - მაგრამ გავინყდება ჩემო საბრალო ბავშვო, რომ ეს ის გზაა, რომელმაც ჩვენ პირდაპირ თავშესაფარში მიგიყვანა“. - ამოდ ვუხატავდი ყოველგვარ საშიშროებას. მთავარია, ფრთხილად მოვიქცეთო, - მიპასუხა მან და უარჰყო ყველა ჩემი მოსაზრება. მიჩვენეთ ერთი მაინც ისეთი მიჯნური, რომელიც ბრმად არ ასრულებდეს

გალმერთებულ სატრფოს ყოველ ახირებას, და დაგეთანხმებით, რომ არ ვიყავი მართალი, ასე ადვილად რომ დავუთმე. გადავწყვიტეთ გ... მ...-ს გასულელება, მაგრამ უცნაური ბედის ჭირვეულობით მოხდა ისე, რომ მე თვითონ გამასულელეს.

თერთმეტ საათზე გამოჩნდა ეტლი. გ... მ...-მ მოხდენილად გადმოაფრქვია ათასნაირი ბოდიში იმ სითამამისათვის, რომელმაც გააბედვინა ჩვენთან სადილად მოსვლა. სრულებით არ გაჰკვირვებია ბ-ნ დეტ...-ს დახვედრა, რომელმაც წინააღმდეგ გააფრთხილა, რომ ისიც ჩვენსა იქნებოდა, მაგრამ რალაც მოიმიზეზა და უარი უთხრა იმავე ეტლით წამოსვლაზე. თუმცა ჩვენს შორის არ იყო ადამიანი, რომელსაც გულში ლალატი არ ჰქონოდა, მაგრამ სუფრას მაინც ისე მივუსხედით, როგორც კარგი მეგობრები. გ... მ...-მ ადვილად მოახერხა მანონისათვის

თავისი გულისნადების გადაცემა. მე ვერ მისაყვედურებდნენ ხელის შეშლას, ვინაიდან რამდენიმე წუთით ოთახიდან განგებ გავედი.

როცა დავბრუნდი, შევნიშნე რომ ჩვენი სტუმარი მკაცრი მოპყრობით სასონარკვეთილებამდე არ მიუყვანიათ. მშვენიერ გუნებაზე იყო, მეც კმაყოფილი სახე მივიღე, თავის გუნებაში იგი მე დამცინოდა, მე კიდევ მას. ნასადილევს ჩვენ ერთმანეთისათვის მეტად სასიამოვნო სანახაობას წარმოვადგენდით. წასვლის წინ მანონს კიდევ მივეცი საშუალება გამოლაპარაკებოდა სტუმარს, ასე რომ კმაყოფილი უნდა ყოფილიყო როგორც ჩემი პატივისცემით, ისე კარგი მასპინძლობით.

როგორც კი გ...მ ბ-ნ დე ტ...-თან ერთად ეტლში ჩაჯდა, ხელგაშლილი მანონი მომვარდა, გადამეხვია, გადამკოცნა და კისკისს მოჰყვა. უცვლელად იმეორებდა ჩვენი სტუმრის სიტყვებს, წინადადებებს: იგი აღმერთებს და მზად არის გაუყოს მანონს ორმოცათასიანი რენტა, რომელსაც უკვე ჰფლობს, ამასთან არ ანგარიშობს იმას, რასაც მამის სიკვდილის შემდეგ მიიღებს. მანონი გახდება მისი გულისა და ქონების ბატონ-პატრონი; სანინდრად თავის სიუხვისა მზად არის მიუძღვნას ეტლი, კარგად მოწყობილი სახლი, ერთი მოახლე, სამი ლაქია და მზარეული.

- „აი, შვილი, რომელმაც სიუხვით მამასაც გადააჭარბა, - ვუთხარი მანონს, - გულახდილად ვილაპარაკოთ: ნუთუ ეს წინადადება თავბრუს არ გახვევს?“ - „მე?“ - გაიკვირვა მან და რასინის ლექსით გამოსთქვა თავისი აზრი:

ჩემზე ეჭვი გაქვთ, რომ ესოდენ ვერაგი გავხდი?
მე შევძლებ განა ავიტანო საზარი სახე
თავშესაფარის მოგონებას მუდამ რომ ამხელს?
- „არა“ - მივუგე მე და განვაგრძე პაროდია:
ფიქრიც კი მიჭირს ქალბატონო, რომ იგი ბინა
შესძლებს თქვენს გულში აამღეროს ტრფიალი წმინდა.²

² თარგმანი მ. პატარიძისა.

- „მანც მონყობილი სახლი, ისიც ეტლით და სამი ლაქიით, მაცდუნებელია. სიყვარულს კი ბევრი არაფერი გააჩნია, რომ ამას მეტოქეობა გაუნოს“.

მანონი ცხარედ შემეკამათა, რომ მისი გული მხოლოდ მე მეკუთვნის და ყოველგვარი სხვა სასიყვარულო ისრისაგან იყო დაცულია. ჩემი დაპირება შურისძიების ნესტარი უფროა, ვიდრე სიყვარულის ისარიო. შევეკითხე - ჰფიქრობ თუ არა მისგან სახლისა და ეტლის მიღებას-მეთქი. მიპასუხა, ვცილობ ხელში ჩავიგდო მხოლოდ მისი ფული.

ძნელი იყო ერთი ისე მიელო, რომ მეორე უკუეგდო. გადავწყვიტეთ, გაგვეგო გ... მ...-ს იმ წერილის მეოხებით, რომლის გამოგზავნასაც იგი მანონს დაჰპირდა. მართლაც, მეორე დღეს მანონმა მიიღო წერილი ლაქიის ხელით, რომელიც უღივრეოდ იყო და რომელმაც ოსტატურად მოახერხა მანონთან გამოლაპარაკება. მანონმა უბრძანა მოიცადეო, და წერილი ჩემთან მოარბენინა. ერთად გავხსენით.

ჩვეულებრივ სატრფიალო წინადადებების გარდა წერილში ჩამოთვლილი იყო ჩემი მეტოქის დაპირებანი. ის არ ძუნობდა: ჰპირდებოდა, როგორც კი მანონი სახლს დაეუფლებოდა, გადაეთვალა მისთვის ათი ათასი ფრანკი, და როცა მოაკლდებოდა ამ თანხას, შეეგსო, ისე რომ ეს ათი ათასი მუდამ ნაღდად ჰქონოდა. მანონის ახალ ბინაზე გადასვლის ვადა არც თუ ისე შორს

იდებოდა. იგი ითხოვდა მხოლოდ ორ დღეს მოსამზადებლად და ასახელებდა სახლსა და ქუჩას, სადაც მეორე დღეს, ნაშუადღევს უცდიდა, თუ კი მანონი მოახერხებდა ჩემი ხელიდან თავის დაძვრენას. მას მხოლოდ ეს უკანასკნელი გარემოება აფიქრებდა, ემუდარებოდა მანონს, ამის შესახებ დავემშვიდებინე, სხვაში კი ეტყობოდა, სრულიად დარწმუნებული იყო, მაგრამ დასძენდა: თუ გაუჭირდებოდა მანონს ჩემი ხელიდან დაძვრენა, იგი ამის საშუალებას თვითონ გამონახავდა.

გ... მ... თავის მამაზე ეშმაკი გამოდგა: მას უნდოდა ნადავლი ჩაეგდო ხელში უფრო ადრე, ვიდრე ფულს დაუთვლიდა. ჩვენ მოვილაპარაკეთ იმაზე, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო მანონი. ერთხელ კიდევ შევეცა-

დე დამერწმუნებინა - ხელი აელო თავის გეგმაზე, დავუსურათე ის საფრთხე, რაც ამ გეგმას მოსდევდა, მაგრამ ვერაფრით ვერ შევარყიე მისი გადანყვეტილება.

მან მოკლედ უპასუხა გ... მ...-ს და არწმუნებდა, რომ დაუბრკოლებლივ ჩავა დანიშნულ დღეს პარიზში და სრულიად დამშვიდებულს შეუძლია ელოდოს მას.

ჩვენ კი შევთანხმდით, რომ მე დაუყონებლივ გავემართები ბინის დასაქირავებლად რომელიმე სოფელში, პარიზის მეორე მხარეს და გადავიტან იქ ჩვენს მცირე ბარგს. მანონი მეორე დღეს დაუგვიანებლივ პარიზს გაემგზავრება, მიიღებს საჩუქრებს გ... მ...-სგან და მაშინვე მოითხოვს ნაიყვანოს თეატრში, თან წაიღებს ფულს, რამდენსაც შესძლებს, ხოლო დანარჩენს გადასცემს

ჩემს მსახურს, რომელიც თან უნდა წაიყვანოს. ეს ის მსახურია, რომელმაც თავშესაფრიდან გაანთავისუფლა მანონი და რომელიც ჩვენი ერთგული იყო. მე დაქირავებული ეტლით უნდა მივიდე სენტ-ანდრე დეზ-არის ქუჩის კუთხეში, დაახლოებით შვიდ საათზე, დავტოვო იქ ეტლი და სიბნელეში გავემართო თეატრის შესავლისაკენ. მანონი დამპირდა, რამეს მოვიმიზეზებ, ლოჟიდან გამოვალ და შემოგიერთდებიო. დანარჩენი სიძნელეს აღარ წარმოადგენს: ეტლთან მივირბენთ, და პარიზიდან სენტ-ანტუანის გარეუბნით გავალთ, აქედან ყველანი ახალი ბინისკენ გავწევთო.

ეს გეგმა ახირებული იყო, მაგრამ მისი შესრულება ჩვენ მაინც შესაძლებლად მივიჩინეთ: ნამდვილად კი უგუნურება იყო იმის იმედი, რომ ჩვენ, გეგმის წარმატების შესრულების შემთხვევაშიც კი, თავიდან ავიცილებდით შედეგებს. მიუხედავად ამისა, გეგმა მივიღეთ და ამით სრული დაუდევრობა გამოვიჩინეთ. მანონი წავიდა მარსელის თანხლებით: ასე ეძახდნენ ჩვენს მსახურს. ნაღვლიანად გამოვეთხოვე ჩემს სატრფოს. გადავეხვიე და ვკითხე: - „მანონ, ხომ არ მატყუებ? ხომ ჩემი ერთგული იქნები?“ - უნდობლობისათვის მან აღერსიანად მისაყვედურა და ერთხელ კიდევ შემომფიცა.

იგი პარიზში ჩასვლას სამი საათისთვის ჰფიქრობდა. მალე მეც გავემართე პარიზისაკენ. საღამომდე დრო ფერეს ყავახანაში გავატარე, წმ. მიხეილის ხიდთან რომ არის. დაბინდებისას

გამოვედი. ეტლი დავიქირავე და ვუბრძანე სენტ-ანდრე-დეზ-არს ქუჩის კუთხეში გაჩერებულიყო. შემდეგ ქვეითად გავწიე თეატრის კარებისაკენ. გამიკვირდა, რომ იქ მარსელი არ დამხვდა, მას დანიშნულ ადგილას უნდა ეცადნა. ერთი საათით მოთმინება მოვიკრიბე და ლაქიების ბრბოს შევერიე, ვათვალიერებდი გამვლელ-გამომვლელთ. ბოლოს, როდესაც შვიდმა საათმა დაჰკრა და არავითარი ნიშანი აღარა სჩანდა იმისა, რასაც რაიმე კავშირი ჰქონდა ჩვენს გეგმასთან, პარტერის ბილეთი ავიღე, რათა თეატრში შევსულიყავ და დამეთვალიერებინა, იყვნენ თუ არა ლოჟაში მანონი და გ... მ... არც ერთი და არც მეორე იქ არ აღმოჩნდა. ისევ გარეთ გამოვედი და თხუთმეტი წუთი კიდევ დავიცადე. მოუთმენლობა და შიში მტანჯავდა, არავინ არ ჩანდა. მოვედი ჩემს მეეტლესთან, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავ. დამინახა თუ არა მეეტლემ, რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა ჩემსკენ და საიდუმლოდ გადმომცა, თითქმის ერთი საათია ეტლში მშვენიერი ქალი გიცდისო. ქალმა ჩემი ნიშნები აღწერა და მეეტლეც ამით მიხვდა, რომ სწორედ მე დამეძებდა იგი, ხოლო როცა ქალმა გაიგო, რომ მე მალე დავბრუნდები, განაცხადა - დავუცდიო.

მაშინვე გადავწყვიტე, რომ ეს მანონია-მეთქი, მაგრამ როცა მივუახლოვდი ეტლს, დავინახე არა მანონი, არამედ უცნობი ქალის მშვენიერი სახე. ქალმა მკითხა - შევალე დე გრიე ხომ არ ხართო. სწორედ ის გახლავართ-მეთქი ვუპასუხე. - „თქვენთან წერილი მაქვს“, - მომმართა მან: - ამ წერილიდან გაიგებთ, რისთვისაც მოვედი და როგორ გავიგე თქვენი სახელი“. - ვთხოვდი დაეცადა, სანამ წერილს მახლობელ სამიკიტნოში წავიკითხავდი. მან ჩემთან წამოსვლა

მოისურვა, მხოლოდ მიჩნია, ცალკე ოთახი მექირავნა. - „ვისგან არის ეს წერილი?“ - ვკითხე მე, როცა კიბეზე ავდიოდით. - პასუხის მაგივრად მან წერილი გადმომცა წასაკითხავად.

მანონის ხელი ვიცანი. აი, დაახლოებით რასა მწერდა იგი: გ... მ...-ს ისეთი პატივით და დიდებით მიელო მანონი, როგორსაც იგი არ მოელოდა. ისეთი საჩუქრებით აევსო, რომ დედოფალსაც კი შეშურდებოდა. მანონი მაინც მარწმუნებდა, რომ ამ დიდებასა და ბრწყინვალებაშიც არ გივიწყებო. მანონს ვერ დაუთანხმებია გ... მ... იმავე საღამოს თეატრში წასვლაზე, ამიტომ მან სხვა დღისათვის გადასდო ჩემი ნახვის სიამოვნება, ხოლო ცოტათი მაინც რომ დავემშვიდებინე, სხვა საშუალება გამონახა: გამომიგზავნა პარიზის ერთ-ერთი უღამაზესი ქალი, რომელიც წერილს გადმოგცემთო. ხელს აწერდა: „თქვენი ერთგული საყვარელი მანონ ლესკო“.

ეს წერილი ჩემთვის ისეთი შეურაცხყოფელი და სასტიკი იყო, რომ, რამდენიმე წუთს სიბრაზესა და მწუხარებას თავი ვერ დავაღწიე. მაგრამ ბოლოს შევეცადე ძალა მომეკრიბა და სამუდამოდ დამევიწყებინა ჩემი უმადური და ვერაგი საყვარელი. თვალი შევაავლე ჩემს წინ მდგომ ქალს. იგი მეტად ლამაზი იყო, და მომესურვა, რომ მის სილამაზეს მეც უმადური და ვერაგი გავეხადე. მაგრამ მასში ვერ ვპოვე ვერც მოხდენილი და მიბნედილი თვალები, ვერც ღვთაებრივი მოყვანილობა, ვერც ის ფერი, რომელიც ასე უხვად მიანიჭა მანონს სიყვარულის ღმერთმა, ერთის სიტყვით, ვერც ერთი ის მშვენიერება, რომლითაც ბუნებამ დააჯილდოვა ვერაგი მანონი. - „არა, არა, - ვუთხარი

მას და თვალი მოვაშორე, - იმ უმადურმა, რომელმაც თქვენ აქ გამოგზავნათ, ძალიან კარგად იცოდა, რომ თქვენი ცდა უნაყოფო იქნებოდა. დაბრუნდით მასთან და გადაეცით ჩემს მაგიერ, რომ დასტკბეს თავისი ბოროტმოქმედებით და, თუ შესძლებს, დასტკბეს სინდისის უქენჯნელად. მე სამუდამოდ ვტოვებ მას და ამავე დროს უარყოფ საერთოდ ქალებს, რომლებიც შეიძლება არ იყვნენ ისეთი მომხიბვლელნი, როგორიც იგია, მაგრამ უეჭველად ისეთი საზიზღარნი და ვერაგნი კი არიან“.

იმ წუთში მე მზად ვიყავი ოთახიდან გავქცეულიყავ და სამუდამოდ უარმეყო, დამევიწყა მანონი. ხოლო რადგან მწვავე ეჭვი, რომელიც გულს მიღრღნიდა, მწუხარე და პირქუში სიმშვიდის სახით ჩამომანვა,

ჩემი განკურნება შესაძლებლად მივიჩნიე, მით უმეტეს, რომ არ განვიცდიდი იმ აბობოქრებულ სულიერ მღელვარებას, რაც არა ერთხელ განმიცდია ასეთ შემთხვევაში. ვაგლახ, სიყვარულიც ისევე მასულელებდა, როგორც გ... მ... და მანონი!

ქალმა, რომელმაც წერილი მომიტანა, როცა დაინახა, რომ წასვლა დავაპირე, მკითხა, ხომ არ გადავცემდი რაიმეს ბ-ნ გ... მ...-ს ან მის ქალბატონს. ამის გაგონებაზე ოთახში შევბრუნდი, მოჩვენებითი სიმშვიდე უცბად უსაშინლეს მრისხანებად გადამექცა. - „გასწი, - შევძახე ქალს, - მოახსენე მოლალატე გ... მ...-ს და მის ცბიერ საყვარელს, რა სასონარკვეთილებამდე მიმიყვანა საზიზღარმა წერილმა, მაგრამ გააფრთხილე, რომ დიდხანს არ მოუხდებათ სიცილი, საკუთარი

ხელით გამოვლადრავ ორივეს ყელს“. - სკამზე დავეშვი, ქუდი ერთ მხარეს გადავარდა, ჯოხი - მეორეს. - მწარე ცრემლთა ნაკადული წამსკდა თვალთაგან. მრისხანების შეტევა ღრმა მწუხარებით შეიცვალა. ვტიროდი, ვოხრავდი და ვკვნესოდი.

- „მომიახლოვდი, ჩემო ბავშვო, მომიახლოვდი, - შევძახე მე ქალიშვილს, - მომიახლოვდი, შენ ჩემს დასამშვიდებლად ხარ მოვლენილი. მითხარი, თუ იცი რაიმე საშუალება ბოლმის და სასონარკვეთილების წინააღმდეგ, თავის მოკვლის წინააღმდეგ, მას შემდეგ როცა მოვკლავ ორ მოლალატეს, რომელნიც არ არიან სიცოცხლის ღირსნი. ჰო, მომიახლოვდი“, - განვაგრძე მე, როცა შევამჩნიე, რომ მან რამდენიმე გაუბედავი ნაბიჯი გადმოდგა. - „მოდი, ცრემლები შემიშრე; მოდი, მოჭფინე ჩემს გულს სიმშვიდე; მოდი, მითხარ მიყვარხარ-თქო. მიმაჩვიე იმ აზრს, რომ მარტო ჩემს მოლალატეს როდი შეუძლია ჩემი სიყვარული. შენ ლამაზი ხარ, შეიძლება მეც მოვახერხო და შეგიყვარო“. - საბრალო ბავშვი, რომელიც თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი წლისა ძლივს იქნებოდა და რომელიც, ეტყობოდა, უფრო მორცხვი იყო, ვიდრე მისი მსგავსნი, გაოცებული იყო ასეთი უცნაური სცენით. ის მაინც მომიახლოვდა, რომ მომფერებოდა, მაგრამ მე იმ წამსვე ხელი ვკარი და მოვიშორე. - „რა გინდა ჩემგან? - შევძახე: - შენ ხომ ქალი ხარ, შენ ხომ იმ სქესს

ეკუთვნი, რომელიც მე მეზიზღება; შენი ნაზი გამოხედვა ახალ ლა-
ლატს მიმზადებს. გამეცალე, მარტო დამტოვე!“ - მან მდაბალი სალამი
მომცა უსიტყვოდ და წასასვლელად მიტრიალდა. ვუბრძანე შეჩერებუ-
ლიყო. - „გამაგებინე მაინც, დავუმატე მე, - რისთვის, რა მიზნით მოგ-
გზავნეს შენ აქ? როგორ გაიგე ჩემი სახელი და ის ადგილი, სადაც შე-
გეძლო ჩემი პოვნა?“

ქალმა მიაბზო, რომ მას დიდი ხანია იცნობს ბ-ნი დე გ... მ...-ი. ბ-ნმა
დე გ... მ...-მ ლაქია გაუგზავნა და დაიბარა; ისიც გაჰყვა ლაქიას და ინა-
ხულა გ... მ... რომელიც პიკეტს თამაშობდა ლამაზ ქალთან. მათ გადას-
ცეს ეს წერილი და გააფრთხილეს, რომ მიპოვნოდა ეტლთან, წმ. ანდრი-
ას ქუჩის ბოლოში. ვკითხე, უთხრეს თუ არა მათ კიდევ რამე. იგი გა-
წითლდა და მითხრა: - „დამარწმუნეს, რომ თქვენ დამიახლოვდებით“. -
„მოგატყუეს, შე საბრალო, მოგატყუეს, - მიფუგე მე. - შენ ქალი ხარ და
მამაკაცი გჭირდება, მაგრამ მდიდარი და ბედნიერი მამაკაცი, აქ კი
ასეთს ვერ იპოვნი. დაბრუნდი, დაბრუნდი ბ-ნ დე გ... მ...-თან, მას ყვე-
ლაფერი აქვს, რაც საჭიროა ლამაზების სიყვარულისათვის. ის ასაჩუქ-
რებს კარგად მოწყობილი სახლებით და ეტლებით. მე კი, მე მხოლოდ
სიყვარულისა და ერთგულების მოცემა შემიძლია; ქალებს ეზიზღებათ
ჩემი სილატაკე და სათამაშოდ ხდიან ჩემს გულუბრყვილობას“.

ბევრი რამ კიდევ დავუმატე, ხან სამწუხარო, ხან მრისხანე, იმისდა
მიხედვით, თუ როდის რომელი გრძნობა იმარჯვებდა ჩემში. ბოლოს,
ჩემმა შფოთვამ ისე მომთენთა, რომ მოფიქრების უნარი დამიბრუნდა.
შევადარე უკანასკნელი უბედურება ამის მსგავს სხვა უბედურებებს,
რომლებიც აქამდე გადამეტანა, და დავინახე, რომ არა ჰღირდა სხვებ-
ზე მეტად შევწუხებულყავი იმ უბედურებით, რომლის მოლოდინიც
ადრევე უნდა მქონოდა. არ ემჯობინება, გამოვიყენო ჩემი ძალა იმი-
სათვის, რომ რამე წამალი გამოვნახო? ჯერ კიდევ არ იყო გვიან. ყო-
ველ შემთხვევაში, ყოველი ღონე უნდა მესმარა, რათა სანანებლად არ
გამეხადა ის, რომ საკუთარ უბედურებას

ჩემივე დაუდევრობით შევუწყვე ხელი. შევუდექი იმ საშუალებაზე
ფიქრს, რომელსაც შეეძლო რაიმე საიმედო გზა ეჩვენებინა.

ძალით გ... მ...-ს ხელიდან მანონის გამოგლეჯის ცდა საბედისწერო ნაბიჯი იქნებოდა, რასაც შეეძლო მხოლოდ დაველუპე, გამარჯვებას კი ვერ მომანიჭებდა. ვფიქრობდი, ცოტა ხნით მაინც თუ მოვახერხებდი მანონთან გამოლაპარაკებას, რამდენადმე მაინც დავიპყრობდი მისი გულის ნაწილს. მე ხომ ასე კარგად ვიცნობდი მის მგრძობიარებას! დარწმუნებული ვიყავი, რომ ვუყვარვარ! თვით ეს ახირებული აზრი - ჩემს დასამშვიდებლად ლამაზი ქალის გამოგზავნა, -ცხადყოფდა მწუხარების შემსუბუქების სურვილს.

გადავწყვიტე გამომეყენებინა მთელი ჩემი მოხერხება და როგორმე მენახა იგი. მრავალი საშუალება გავსინჯე და ბოლოს ერთზე შევჩერდი. ბ-ნ დე ტ... პირველი გაცნობის დღიდან მეგობრულად მომეპყრო, ეჭვი არ შემდიოდა მის გულწრფელობასა და ერთგულებაში. გადავწყვიტე დაუყონებლივ წავსულიყავი მასთან და მეთხოვნა რაიმე გადაუდებელი საქმის მომიზღვრებით გამოეძახნა გ... მ... ნახევარი საათი მჭირდებოდა მანონთან გამოსალაპარაკებლად. მე გადავწყვიტე შევსულიყავ თვით მანონის ოთახში, ხოლო გ... მ...-ის შინ არ ყოფნის დროს, ეს ძნელი არ იქნებოდა.

ამ გადანწყვეტილებით დამშვიდებულმა, უხვად დავასაჩუქრე ახალგაზრდა ქალი, რომელიც ჯერ კიდევ ჩემთან იყო, და რათა გ... მ...-სთან აღარ დაბრუნებულყო, გამოვართვი მისამართი და დავაიმედე, რომ ღამეს მასთან გავატარებდი. ჩავჯექი ეტლში და ვუბრძანე მეეტლეს, რაც შეიძლება ჩქარა წავეყვანე ბ-ნ დე ტ...-სთან. ჩემდა საბედნიეროდ, იგი შინ დამხვდა. გზაში მაშინებდა ის აზრი, ვაითუ შინ არ დამხვდეს-მეთქი. ორი სიტყვით გადავეცი ჩემი გაჭირვება და ავუხსენი, რა სამსახური უნდა გაენია ჩემთვის.

ის იმდენად გააოცა გ... მ...-ს მიერ მანონის შეცდენის ამბავმა, რადგან ბ-ნმა დე ტ... -მ არ იცოდა, თუ მონაწილეობა მივიღე მე თვითონ ჩემს უბედურებაში, რომ აღმითქვა თავი მოეყარა თავისი მეგობრებისათვის და მათი ხმლების დახმარებით გაეთავისუფლებინა ჩემი სატროფო. გავაგებინე, რომ ამ საქმის გახმაურება შეიძლებოდა დამლუპველი გამხდარიყო ჩემთვის და მანონისათვისაც.

- „შემოვიწინახოთ ჩვენი სისხლი უკიდურეს შემთხვევისათვის - ვუთხარი მე. - ახლა კი თავში ერთი გეგმა დამებადა, რომელიც ნაკლებ სახიფათოა და მეტი წარმატების მომცემი“. მან განაცხადა, რომ მზად არის იკისროს, ყველაფერი, რასაც მე დავავალებ, და როდესაც განვუმარტე, რომ საჭიროა მხოლოდ ორიოდ საათით გ... მ...-ს გამოხმობა სახლიდან, დაუყოვნებლივ გამომყვა ჩემი თხოვნის ასასრულებლად.

ჩვენ მოვილაპარაკეთ იმაზე, თუ რით შეიძლებოდა მისი მეტი ხნით შეჩერება. ვურჩიე, გაეგზავნა მისთვის წერილი და ეთხოვნა გადაუდებელი საქმის გამო დაუყოვნებლივ სახამროში მისვლა. - „დავუდარაჯებ - დავუმატე მე - და როგორც კი გამოვა შინიდან, ადვილად შევალ მის ბინაში, იქ მე მხოლოდ მანონი და ჩემი მსახური მარსელი მიცნობს. თქვენ ამ ხნის განმავლობაში გ... მ...-სთან იქნებით, ჩამოუგდებთ ლაპარაკს ფულზე, ვითომ წააგეთ, რაც ნაღდად გაგაჩნიათ და შემდეგ კიდევ განაგრძეთ თამაში, რასაც მეტი წაგება მოჰყვა... იმას საკმაოდ დრო დასჭირდება, რომ თავის სალაროში წაგიყვანოთ, ეს კი საკმარისი იქნება ჩემი საქმის მოსაგვარებლად.

ბ-ნმა დე ტ...-მ ყველაფერი ისე შეასრულა, როგორც მე ვუთხარი. დე ტ...-ი სამიკიტნოში დავტოვე, სადაც მან სასწრაფოდ დასწერა წერილი, მე კი მანონის სახლთან გავჩერდი. დავინახე, როგორ მივიდა შიკრიკი და რამდენიმე წამის შემდეგ გ... მ... ლაქის თანხლებით გამოვიდა. დავიცადე, სანამ იგი ქუჩას გასცდებოდა, მერე მივუახლოვდი ჩემი მოლატის კარებს. მიუხედავად ჩემი გაბრაზებისა, ისეთი მოწინებით დავაკაკუნე, თითქოს ეკლესიის კარებთან ვიდექი. საბედნიეროდ, კარის გასაღებად მარსელი მოვიდა. ვანიშნე ჩუმად ყოფილიყო. სხვა მსახურთა შიში არ უნდა მქონოდა. მაინც ხმადაბლა შევეკითხე, შეუძლია თუ არა შეუმჩნევლად, შემიყვანოს მანონის ოთახში. მან მიპასუხა, ძალიან ადვილია, თუ ჩუმად დიდი კიბით ახვალთო. - „წავიდეთ ჩქარა, - ვუთხარი - და ეცადე, ვიდრე მე იქ ვიქნები, არავინ შემოვიდეს“. - დაუბრკოლებლივ შევედი მანონის ბინაში.

მანონი წიგნს კითხულობდა. გამაოცა ამ უცნაური ქალის ხასიათმა. ჩემს დანახვაზე იგი სრულიად არ შეშფოთებულა, მას მხოლოდ ოდნავ გაუკვირდა, როგორც გაუკვირდებათ ხოლმე ვისიმე მოულოდნელი შეხვედრა. - ოჰ, თქვენა ხართ, ჩემო საყვარელო! - მითხრა მან და ჩვეულებრივი სინაზით გადამეხვია. - ღმერთო ჩემო, რა თამამი ხართ! ვინ იფიქრებდა, რომ დღეს აქ მოხვიდოდით?" - მე გავითავისუფლე თავი მისი მკლავებისაგან, ყურადღება არ მივაქციე მის ალერსს და ზიზზით მოვიშორე. ჩემმა მოძრაობამ აშკარად შეაკრთო. ერთ ადგილას იდგა და სახეშეცვლილი მიყურებდა.

გულის სიღრმეში იმდენად მოხიბლული ვიყავი მასთან შეხვედრით, რომ თუმცა საკმაო საბუთი მქონდა ნაწყენი ვყოფილიყავ, მიძნელებოდა პირის გახსნა და საყვედურების თქმა. იმავე დროს საშინელი შეურაცხყოფის გამო გული სისხლისგან მეცლებოდა. მე ცოცხლად აღვადგინე ეს შეურაცხყოფა მეხსიერებაში, რათა განმეახლებინა სიბრაზე და შევეცადე, რომ თვალებში ამენთო სხვა რამ და არა სიყვარულის ცეცხლი. ვიდრე მე ვდუმდი, ის თვალყურს ადევნებდა ჩემს აღელვებას, შევნიშნე, როგორ ჰკანკალებდა, ალბათ შიშისგან.

ველარ შევძელი ამ სანახაობის ატანა. - „ოჰ, მანონ, - ვუთხარი ნაზად. - მოლალატე და ცბიერო მანონ! რით დავინყო ჩემი საყვედური? ვხედავ, გაფითრდით და ჰკანკალებთ, მე კი იმდენად მგრძნობიარე ვარ თქვენდამი, რომ თქვენი ოდნავი აღელვებაც კი მანუხებს, მეშინია საყვედურით

არ შეგანუხოთ... მანონ, თქვენმა ლალატმა გული მომიკლა, ასეთ ჭრილობას საყვარელს მხოლოდ მაშინ მიაყენებენ, როდესაც სასიკვდილოდ გასწირავენ. ეს უკვე მესამეაა, არ მეშლება ანგარიში, ასეთი რამის დავინყება არ შეიძლება. თქვენ ახლავე უნდა გადასწყვიტოთ, როგორ მოიქცეთ, რადგან ჩემი უბედური გული ველარ აიტანს ასეთ სასტიკ მოპყრობას. ვგრძნობ, რომ სუსტდება ჩემი გული და ლამის ტკივილებისაგან გასკდეს. მეტის ატანა აღარ შემიძლია“, - ვთქვი ესა და სკამზე ჩამოვჯექი. - „ლაპარაკი აღარ შემიძლია, ფეხზე ველარ ვდგევარ“.

მან ხმა არ გამცა, მაგრამ როდესაც დავჯექი, მუხლებზე დაეცა, თავით დამეყრდნო და სახე ჩემს ხელებში ჩამალა. იმავე წუთს ხელებზე ცრემლი ვიგრძენი. ღმერთი ჩემო, რა არ განვიცადე მაშინ! - „ოჰ, მანონ, მანონ, - ოხვრით მივმართე მე, - ჩემთვის ცრემლის დაღვრა გვიანია. თქვენ უკვე სასიკვდილო ლახვარი ჩამეცით! თქვენ მოჩვენებით მწუხარებას ეძლევი. თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება ჩემი არ ყოფნაა. ეს ყოველთვის ხელს უშლიდა თქვენს სიხარულს. გაახილეთ თვალი, შემომხედეთ, ვინა ვარ. ასეთ მდულარე ცრემლს არა ჰღვრიან იმ უბედურისათვის, რომელსაც უღალატეს და რომელიც ვერაგულად მიატოვეს“.

იგი იმავე მდგომარეობაში იყო, ხელებს მიკოცნიდა. - „დაუდგრომელო მანონ“, - განვაგრძე კვლავ, - უმადურო და ურწმუნო ქალო, სად არის თქვენი დაპირება და თქვენი ფიცი? ქარაფშუტა და ცბიერო საყვარელო, რა უყავ იმ სიყვარულს, რომელსაც ჯერ კიდევ დღეს მეფიცებოდი?

სამართლიანო ზეცავ, - ნამოვიყვირე, -აი, როგორ დაგცინის მოღალატი, რომელიც ესოდენი სასოებით გიმონმებდა! ღალატი ჯილდოდება, ხოლო სასონარკვეთილება და მარტოობა ერთგულებისა და პატიოსნების ხვედრია!“

ამ სიტყვებთან ერთად ისე მომანვა მწარე ფიქრები, რომ თვალთაგან უნებურად რამდენიმე ცრემლი წამსკდა. მანონმა შეცვლილ ხმაზე შემატყო, რომ ვტიროდი და ბოლოს სიჩუმე დაარღვია. - „ღიაღ, დამნაშავე ვარ, - მწუხარედ წარმოსთქვა მან, - რადგან ამდენი ტანჯვა და აღელვება მოგაყენეთ, მაგრამ წყეულიმც ვიყო, თუ შეგნებულად, ან განგებ ჩამედინოს ესა“.

ეს სიტყვები იმდენად უაზრო და არაგულწრფელი მეჩვენა, რომ თავი ვერ შევიკავე საშინელი რისხვისაგან.

- „რა საზარელი თვალთმაქცობაა! - შეეყვირე, - ახლა კი კარგად ვხედავ, რომ თქვენ მხოლოდ თვალთმაქცი და ცბიერი ყოფილხართ. ახლა ვიცი, რა სულმდაბალი ყოფილხართ. მშვიდობით, უმგვანო ქმნი-

ლებავ“ - განვაგრძე მე და წამოვდექი, - „ათასჯერ სიკვდილს ვამჯობინებ, ვიდრე შენთან რაიმე ურთიერთობა ვიქონიო. წყეუღიმიც ვიყო, თუ ოდესმე შემოხედვის ღირსი გაგხადო! - იცხოვრე შენს ახალ საყვარელთან, შეიყვარე იგი, შემიძულე მე, ხელი აიღე სინდისსა და გონიერებაზე. მე დაგცინით, ჩემთვის სულ ერთია!“

ჩემმა აფეთქებამ ისეთი თავზარი დასცა მანონს, რომ როცა წამოვდექი, იგი მუხლმოყრილი, აკანკალებული და სულთქმაშეკრული შემომცქეროდა. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი კარებისაკენ. მერე მოვტრიალდი და მივაშტერდი. უკანასკნელი ადამიანური გრძნობა უნდა დამკარგვოდა, რომ გულგრილი დავრჩენილიყავ მისი მშვენიერების წინაშე.

ჩემთვის იმდენად უცხო იყო ასეთი ბარბაროსული გრძნობა, რომ უცებ ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავგვარდი, მივბრუნდი მისკენ, ან უკეთ, ანგარიშმიუცემლად მივვარდი და გულში ჩავიკარ. ვკოცნიდი დაუსრულებლად, განრისხებისათვის ბოდიშს ვიხდიდი. გამოვუტყდი, რომ უხეში ვარ და ღირსი არა ვარ ასეთი ქალის სიყვარულისა, როგორიც ის არის.

სკამზე დავესვი, მუხლთ მოვიყარე მის წინაშე და ვემუდარებოდი, მოესმინა ჩემთვის. რამდენიმე სიტყვით ბოდიში მოვიხადე და ამ სიტყვებში მოვაქციე ყველაფერი ის, რისი გამოცხადებაც შეუძლია ერთგულ და ვნებით აღსავსე მიჯნურს. ვემუდარებოდი ეთქვა, რომ ყველაფერი მაპატია, მან მკლავები კისერზე მომხვია და მეუბნებოდა, რომ პირიქით, მას სჭირია ჩემი გულკეთილობა, რათა დამევიწყებინა ის მწუხარება, რაც მან მომაყენა. ამასთან მას სრულიად საფუძვლიანად აშინებდა, რომ მე არ ვირწმუნებ იმას, რასაც იგი თავის გასამართლებლად მეტყვის. მე სიტყვა გავანწყვეტინე: - „ოო, მე თავის გამართლებას არ მოვითხოვ თქვენგან. ვეთანხმები ყოველივე იმას, რაც ჩაიღინეთ. რა უფლება მაქვს თქვენი მოქმედების ანგარიში მოვითხოვო? მე ძალიან

კმაყოფილი და ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი ძვირფასი მანონი გულიდან არ ამომიღებს. ყოვლის შემძლებელო მანონ, - განვაგრძე, - შენ,

რომელიც შენი სურვილისამებრ მანიჭებ როგორც ბედნიერებას, ისე მწუხარებას, ნება მომეცი, ჩემი მონანიების შემდეგ გითხრა, რა მანუხებს და რა მტანჯავს: გამომიცხადე, რა მომელის დღეს? ნუთუ შენ საბოლოოდ მოაწერე ხელი ჩემს სასიკვდილო განაჩენს, ნუთუ ფიქრობ ღამე ჩემს მეტოქესთან გაატარო?“

პასუხის გაცემამდე იგი ცოტა ჩაფიქრდა. - „ჩემო შევალე, - მითხრა უკვე დამშვიდებულმა, - ადრევე ასე ნათლად რომ გამოგეთქვათ ყოველივე, თქვენს თავსაც ააცდენდით მრავალ მწუხარებას და მეც გამათავისუფლებდით ასეთი მძიმე სცენისაგან. რადგან თქვენი ტანჯვა გამონვეულია მარტოოდენ ეჭვით, მაგას ადვილად ეშველება, შემიძლია დაუყოვნებლივ გამოგყვეთ ყველგან, თუნდაც ქვეყნის კიდედღე, მაგრამ მე სულ სხვა რამ წარმოვიდგინე. წარმოვიდგინე, რომ თქვენი შენუხების მიზეზი იყო ის წერილი, რომელიც მე ბ-ნ დე გ... მ...-ის თანდასწრებით დავწერე, და ის ქალი, რომელიც ჩვენ გამოგიგზავნეთ. მე გავიფიქრე, რომ ის წერილი დაცინვად მიიღეთ, ხოლო ის ქალი იმის ნიშნად, რომ თქვენთან ვწყვეტი კავშირს და გ... მ...-ს ვუერთდებოდი. ამ აზრმა ძალზე შემაშფოთა. თუმცა მე დამნაშავედ არა ვგრძნობდი თავს, მაგრამ როცა ჩავუკვირდი საქმეს, დავინახე, რომ გარეგნულად ჩემი საქციელი ჩემს სასარგებლოდ არ ჰმონყობოდა. მაგრამ მაინც - განაგრძო მან, - მე მინდა გამასამართლოთ მას შემდეგ, როცა ყველაფერს გაიმბობთ“.

მან მიამბო ყველაფერი, რაც მომხდარიყო მას შემდეგ, როცა იგი გ... მ...-ს შეხვდა. გ... მ...-მ მიიღო იგი, როგორც მსოფლიოში უპირველესი დედოფალი. აჩვენა ოთახები, რომლებიც გასაოცარი გემოვნებით და მოხდენილად იყო მოწყობილი, გადასცა ათი ათასი ლივრი მის ოთახში და დაუმატა რამდენიმე სამკაული, მათ შორის მარგალიტის სწორედ ის ყელსაბამი და სამაჯურები, რომლებიც მანონს წინათ მოხუცმა გ... მ...-მა აჩუქა. შემდეგ სასტუმრო ოთახში შეიყვანა, სადაც საუცხოო სუფრა იყო გაშლილი და უბრძანა საგანგებოდ აყვანილ მსახურთ, ისე მოპყრობოდნენ მანონს, როგორც თავიანთ ქალბატონს. დასასრულ,

უჩვენა ეტლი, ცხენები და დანარჩენი საჩუქრები, რის შედეგადაც წინადადება მისცა ვახშმის მოლოდინში ერთი ხელი პიკეტი ეთამაშნათ.

- „გამოგიტყდებით, - განაგრძო მანონმა, - რომ გამოაცა ასეთმა სიუხვემ. გავიფიქრე, რომ სამწუხარო იქნებოდა ჩვენთვის ყოველივე ამის დაკარგვა და მარტო ათი ათასი ფრანკით და სამკაულით დაკმაყოფილება. აქ მთელი სიმდიდრე მოგველოდა და ჩვენ შეგვეძლო გ... მ...-ს ხარჯზე ბედნიერ ცხოვრებას დავნაფებოდით. იმის ნაცვლად, რომ თეატრში წასვლის წინადადება მიმეცა, გადაწყვიტე გამეგო რა აზრისა იყო თქვენზე, რათა მცოდნოდა, ადვილად შევძლებდი თუ არა შესხედრას ჩემი გეგმის განსახორციელებლად. გამოირკვა, რომ იგი ადვილად მოსათვინიერებელი კაცი ყოფილა. მან მკითხა, რას ვფიქრობ თქვენზე და ხომ არ ვნანობ თქვენთან განშორებას. ვუპასუხე, თქვენ ყოველთვის იმდენად თავაზიანი იყავით და ყოველთვის

ისე პატიოსნად მეპყრობოდით, რომ შეუძლებელია მიძულდეთ-მეთქი. ის დამეთანხმა, რომ თქვენ ღირსეული ადამიანი ხართ და განაცხადა, რომ მზად არის და სურვილიც აქვს დაგიმეგობრდეთ.

ჩემი აზრით, მას უნდოდა გაეგო, როგორ მიიღებდით ჩემი წასვლის ამბავს, განსაკუთრებით, როცა გაიგებდით, სად ვიყავი. მე ვუპასუხე, რომ ჩვენ ისეთი დიდი ხანია ერთმანეთი გვიყვარს, რომ ეს გრძნობა ცოტათი უკვე შენელდა, მეორე მხრივ იგი ქონებრივად, ცოტა არ იყოს, ხელმოკლეა და ჩემი დაკარგვა შეიძლება დიდ დანაკლისად არც კი მიიჩნიოს, რადგან იგი ზედმეტი ტვირთისაგან თავისუფლდება-მეთქი. ბოლოს დავუმატე, რომ ვიცოდი რა თქვენი მშვიდი ხასიათის ამბავი, არ გამჭირვებია პარიზში ჩემი წამოსვლა სხვადასხვა საქმით ამეხსნა. თქვენ ნება დამრთეთ და გამომისტუმრეთ, ხოლო როდესაც ჩამოხვედით და გაიგეთ, რომ დაგშორდით, მაინცდამაინც არ შენუხებულხართ.

- „დარწმუნებული რომ ვიყო, - მითხრა გ... მ...-მ - რომ იგი თანახმა იქნება ჩემთან მშვიდობიანად ცხოვრებისა, თვითონ მე გავუნევდი სამსახურს და ნაცნობობას“. - მე დავარწმუნე, რომ თქვენ ისეთი ხასია-

თის კაცი ხართ, სულ ადვილად შეეგუებით მას, განსაკუთრებით, - და-
ვუმატე მე, - თუ დაგეხმარებათ თქვენი საქმეების გამოსწორებაში,
რომლებიც ძალიან აწენილ-დაწენილია მას შემდეგ, რაც თქვენს ოჯა-
ხს დაშორდით. მან შემანყვეტინა და გამომიცხადა, რომ ის ყოველნაი-
რად დაგეხმარებათ და თუ თქვენ მოისურვებთ ახალი სასიყვარულო
კავშირის გაბმას, ის დაგიტომობთ იმ ლამაზ სიყვარულს, რომელიც ჩემი
გულისთვის დასტოვა.

მე მოვიწონე ეს აზრი, რათა გამეფანტა მისი ეჭვები, - დაუმატა მა-
ნონმა. - და შევუდექი ფიქრს იმაზე, თუ როგორ მეცნობებინა ყოველი-
ვე ეს თქვენთვის. მეშინოდა, ძალიან არ აღელვებულებოდა, როცა და-
ინახავდით, რომ მე თვითონ მივეცი მას წინადადება, იმავე საღამოს
გამომეგზავნა თქვენთან ახალი სატრფო. ამით საშუალება მეძლეოდა
თქვენთვის წერილი მომეწერა. იძულებული ვიყავი ეს გაბედული ნაბი-
ჯი გადამეღვა, რადგან იმედი არ მქონდა, რომ თუნდაც ერთი წუთით
თავს გავითავისუფლებდი.

მან ბევრი იცინა ჩემს წინადადებაზე. დაუძახა თავის ლაქიას და
უბრძანა, სადაც უნდა ყოფილიყო, დაუყოვნებლივ მოეძებნა მისი
უნინდელი ხასა. მას ეგონა, რომ ქალი თქვენთან შაიოში უნდა წამოსუ-
ლიყო, მაგრამ მე ავუხსენი, რომ დაგპირდით თეატრში შეხვედრას, ხო-
ლო თუ რაიმე მიზეზით იქ ვერ შეგხვდებოდით, მაშინ ეტლით უნდა გე-
ცადნათ ნმ. ანდრეას ქუჩის ბოლოში. ამიტომ იქ უნდა გაიგზავნოს-
მეთქი თქვენი საყვარელი, თუნდაც იმიტომ, რომ მოწყენილი არ ყოფი-
ლიყავით, თან დავუმატე, კარგი იქნებოდა, თუ ორიოდე სიტყვას მიე-
წერ-მეთქი. ამით მინდოდა გადმომეცა თქვენთვის, თუ რა ცვლილება
მოხდა, რადგან ამის გარეშე თქვენთვის ყველაფერი გაუგებარი იქნე-
ბოდა. იგი დამეთანხმა, მაგრამ იძულებული ვიყავი წერილი მასთან და-
მეწერა, ვფრთხილობდი, ზედმეტი გულახდილობა არ გამომეჩინა ჩემს
წერილში.

- აი, როგორ მოხდა ყველაფერი, - დაუმატა მანონმა, - მე არაფერი
დამიფარავს თქვენთვის, არც

ჩემი საქციელი და არც ჩემი განზრახვები. ის ქალი მოვიდა; მე იგი ძალიან მომეწონა და რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი არყოფნა შეგანუხებდათ, გულწრფელად მინდოდა მას რამდენიმე წუთით მაინც გაერთეთ. ძალიან მოხარული ვიქნებოდი, რომ მქონოდა საშუალება და თქვენთვის მარსელი გამომეგზავნა, მაგრამ ერთი წუთიც ვერ ვიხელთე, რომ გადამეცა ის, რაც თქვენთვის უნდა მოეხსენებინა“.

მანონმა თავისი მოთხრობა იმით დაამთავრა, რომ გადმომცა, თუ როგორ აღელდა გ... მ... ბ-ნ დე ტ...-ს წერილის მიღების შემდეგ. - „ის ყოყმანობდა, - სთქვა მანონმა, - დავეტოვებინე თუ არა მარტო და მარწმუნებდა, დაუყოვნებლივ დავბრუნდებდიო. აი რატომ მანუხებს თქვენი აქ ყოფნა და რატომ გამიკვირდა თქვენი მოსვლა“.

მანონის მოთხრობა მოთმინებით მოვისმინე. რასაკვირველია, ბევრი იყო მასში ჩემთვის მძიმე და დამამცირებელი, რადგან ლალატი იმდენად აშკარა იყო, რომ მანონი არც კი ცდილობდა მის დაფარვას. ხომ არ შეიძლება იმედი ჰქონოდა, რომ გ... მ... მთელ ღამეს ხელშეუხებლად დასტოვებდა? ამნაირად, მას გადანყვეტილი ჰქონდა გ... მ...-სთან ღამის გატარება. რა საამური ამბავია მიჯნურისათვის ამის გაგონება! მაგრამ გამახსენდა, რომ ნაწილობრივ თვითონ მე ვიყავი მანონის შეცდომის მონაწილე, რადგან მე თვითონ ვაცნობე, თუ რა გრძნობებით იყო გამსჭვალული მისდამი გ... მ... და ასე ბრმად ავეყევი მისი გიჟური გეგმის ასრულებას. მეორე მხრივ,

მე გული მომიღბო მისმა გულუბრყვილო მოთხრობამ და იმ პირდაპირობამ და გულახდილობამ, რომლითაც მან მიამბო ყოველივე, თვით ჩემი შეურაცხმყოფელი წვრილმანიც-კი. - „იგი ცოდვილია, მაგრამ თვითონ არ უწყის ესა, - ვამბობდი ჩემს გულში. - იგი ქარაფშუტაა და უგუნური, მაგრამ გულმართალია და გულწრფელი“. დაუმატეთ ამას ჩემი სიყვარული მისდამი. ყოველივე ეს საკმარისი იყო, რომ მის შეცდომებზე თვალი დამეხუჭა. კმაყოფილი ვიყავ იმ იმედით, რომ იმავე ღამეს გამოვტაცებდი მანონს ჩემს მეტოქეს. მაინც ვკითხე: ვისთან აპირებთ ამ ღამის გათევას-მეთქი. ამ კითხვამ, რომელიც ნაღვლიანად

გაისმა, შეაშფოთა იგი. მან მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტ „ჰო“-თი და „არა“-თი მიპასუხა.

შემეცოდა მანონი. შევწყვიტე ლაპარაკი და პირდაპირ განვუცხადე, იმედი მაქვს, დაუყოვნებლივ გამომყვები-მეთქი. - „კარგი, - მიპასუხა მან. - მაშ, თქვენ არ იწონებთ ჩემს გეგმას?“ - „განა საკმარისი არ არის ის, - მივუგე მე, რომ ვინმე ვიწონებდი ყოველთვის, რასაც დღემდე სჩადიოდით?“ - „როგორ, ნუთუ ჩვენ თან არ წავიღებთ ათი ათას ფრანკს მაინც?“ - მკითხა მანონმა - მან ეს ფული მაჩუქა და ახლა მე მეკუთვნის. ვურჩიე ყოველივე მიეტოვებინა და მხოლოდ იმაზე ეფიქრნა, რომ დაუყოვნებლივ გავცლოდით აქაურობას. მართალია, სულ ნახევარი საათი გავიდა, რაც იქ ვიყავით მაგრამ ვშიშობდი, გ... მ... არ დაბრუნებულყო. იმდენად დაჟინებით მოითხოვდა ხელცარიელი არ გავსულიყავით, რომ გადავწყვიტე ეს მაინც დამეთმო მისთვის, რაკი მისგან ბევრი რამ მივიღე.

წასასვლელად ვემზადებოდით, რომ გარეთა კარების რახუნი შემომესმა. დარწმუნებული ვიყავ, ეს გ... მ... იყო, და ამან ისე შემაშფოთა, რომ მანონს გამოვუცხადე, თუ ის არის, მოვკლავ-მეთქი. მართლაც, ჯერ კიდევ არ ვიყავ იმდენად დამშვიდებული, რომ მის დანახვაზე ზომიერება დამეცვა. ჩემს ტანჯვას ბოლო მარსელმა მოუღო: მან გადმომცა ბარათი, რომელიც ჩემთან მოეტანათ. ბარათი ბ-ნ დე ტ... საგან იყო.

იგი მწერდა, რომ გ... მ... შინ წავიდა ფულის მოსატანად, ამით ვსარგებლობ და განვდით ფრიად შესაქცევ იდეასო. მისი აზრით, საუკეთესო შურისძიება იქნება თუ მოვახერხებ და ჩემი მეტოქის ვახშამს შევექცევი და ლამეს გავათევ იმ ლოგინში, სადაც ის ჩემს საყვარელთან ერთად აპირებდა მოთავსებას. ყოველივე ამის შესრულება ძნელი არ იქნება, თუ სამ ან ოთხ კაცს ვიშოვნო, რომლებიც დააკავებენ გ... მ...-ს და დილამდე არ გაუშვებენ, ხოლო თვითონ ბ-ნ დე ტ... ი მპირდებოდა, რომ ეს ერთ საათს მაინც გაართობდა გ... მ...-ს ლაპარაკით, რომელიც მას უკვე მოუფიქრებია მისი დაბრუნებისთვის.

ეს ბარათი ვუჩვენე მანონს და ვუამბე, რა ეშმაკობას მივმართე, რომ თავისუფლად შემოვსულიყავი მასთან. ჩემმა და ბ-ნ დე ტ...-ს გამოგონებამ მანონი აღფრთოვანებაში მოიყვანა. რამდენიმე წუთის განმავლობაში გულიანად ვიცინოდით, მაგრამ როცა გ... მ...-ს დაკავების ამბავს შევეხე, ვთქვი, რომ ეს მხოლოდ ოხუნჯობაა-მეთქი. გაოცებული დავრჩი, როცა დავინახე, რომ მანონი

დაჟინებით მოითხოვდა მის განხორციელებას. ამოდ ვეკითხებოდი, სად უნდა მეშოვნა ასე უცებ თავზეხელაღებული ხალხი, რომელიც გ... მ...-ს დააკავებდა და შემდეგ ერთგულად უდარაჯებდა დილამდე. მანონმა მიპასუხა, მაინც უნდა სცადოო, მით უმეტეს, რომ ბ-ნ დე ტ... ერთ საათს კიდევ გვპირდებო. და როცა მე სხვა მოსაზრება მოვუყვანე, მიპასუხა, რომ მტარვალი ვარ და არავითარ ანგარიშს არ ვუნევ, მას ხომ აგრე მიმზიდველად ერგენებოდა ეს გეგმა: - „თქვენ ვახშამზე მის ადგილს დაიჭერთ, მიპასუხებდა იგი - გამოიძინებთ მის ლოგინში, ხოლო ხვალ დილით, გამოსტაცებთ მას საყვარელს და ფულს და ამით საუცხოოდ იძიებთ შურს მამაზეც და შვილზეც.

დაუთმე მის დაჟინებას, თუმცა გული მეთანაღრებოდა, თითქოს ჰგრძნობდა საბედისწერო კატასტროფას. გავედი ქუჩაში იმ განზრახვით, რომ მეთხოვნა ორი ან სამი გვარდიელისათვის, რომლებთანაც ლესკომ დამაახლოვა, ეკისრათ გ... მ...-ს ის დაკავება. შინ მხოლოდ ერთი გვარდიელი დამხვდა. ის თავგამოდებული კაცი იყო, არ დამაცალა საქმის ვითარება ბოლომდე მიმეყვანა, რომ მაშინვე იკისრა მისი შესრულება. მან მხოლოდ ათი პისტოლი მომთხოვა, რათა მიეცა იმ სამი ჯარისკაცისათვის, რომლებიც მის განკარგულებაში იქნებოდნენ. ვთხოვე, დრო აღარ დაეკარგა, მან ისინი თხუთმეტიოდე წუთში შეაგროვა, მისსავე ბინაზე ველოდებოდი და, როდესაც თავისი ამხანაგებით დაბრუნდა, თვითონ გაუძღვა იმ ქუჩის კუთხეში, სადაც აუცილებლად უნდა გაეგლო მანონის სახლში მომავალ გ... მ...-ს. ვთხოვე უხეშად არ მოქცეოდნენ,

მაგრამ დილის შვიდ საათამდე ბეჯითად ედარაჯნათ. გვარდიელმა მიპასუხა, გადანყვეტილი მაქვს ჩემს ოთახში მოვიყვანო, ვაიძულო ტანისამოსის გახდა, ან, ყოველ შემთხვევაში, ჩემს სანოლში ჩავანვინო, ხოლო თვითონ მე და სამი მამაკაცი ჯარისკაცი მთელს ღამეს სმასა და ბანქოს თამაშში გავატარებთო.

მასთან ერთად ვიდექი, სანამ გ... მ... არ გამოჩნდა; მაშინ მე რამდენიმე ნაბიჯით უკან დავიხიე, სიბნელეში დავდექი, რათა გაემხდარიყავი მონმე ამ უჩვეულო სცენისა. მას მიუახლოვდა გვარდიელი დამბაჩა-მომარჯვებული და ზრდილობიანად აუხსნა, რომ არც მისი სიკვდილი უნდა, არც მისი ფული, მაგრამ თუ ოდნავ მაინც წინააღმდეგობას გაუწევს ან დაიყვირებს, ტყვიას შიგ თავში მიახლის. როცა გ... მ...-მ დაინახა იქვე სამი ჯარისკაცი და გატენილი დამბაჩა, ცხადია, შეეშინდა, და წინააღმდეგობა არ გაუწევია. ვხედავდი, როგორ ბატკანივით გაიგდეს წინ.

მანონთან იმ წამსვე დავბრუნდი და, მსახურთა ეჭვის გასაფანტავად შესვლისთანავე მათ გასაგონად ვუთხარი, ვახშმად ბ-ნ დე გ... მ...-ს არ დალოდებოდნენ, რადგან მას გადაუდებელი საქმეები აღმოაჩნდა და მე მთხოვა მოვსულიყავ, ბოდიში მომეხადნა და მის ნაცვლად მევახშმნა, ხოლო მე დიდ ბედნიერებად მიმაჩნია ვახშმობა ასეთ ღამაზე ქალთან-მეთქი. მანონი მოხერხებულად მეხმარებოდა ჩვენი გეგმის შესრულებაში. სუფრას მივუსხედით. თავდაჭერილად ვიქცეოდით, სანამ ლაქიები გვემსახურებოდნენ, ხოლო როცა ისინი დავითხოვეთ, ჩვენს

ცხოვრებაში ყველაზე მშვენიერი საღამო გავატარეთ. მარსელს ჩუმად ვუბრძანე, დაექირავებინა ეტლი და გაეფრთხილებინა მეეტლე, რომ ხვალ დილის ექვსი საათისათვის ჩვენს კარებზე ყოფილიყო. შუალამისას ვითომ გამოვეთხოვე მანონს, მაგრამ მარსელის დახმარებით ჩუმად ისევ დავბრუნდი და გ... მ...-ს ადგილი დავიჭირე მის სანოლში, ისე როგორც სუფრაზე.

ამასობაში ჩვენი უწყალო ბედი დალუპვას გვიმზადებდა, ნეტარებას ვეძლეოდით, როცა ჩვენს თავს მახვილი უნდა დასტეხოდა. ძაფი,

რომლითაც ის ეკიდა, ყოველ წუთს განწყდომას ლამობდა, მაგრამ ჩვენი დაღუპვის ვითარების გასაგებად უნდა შევჩერდეთ მის მიზეზებზე.

გ... მ...-ს, როცა იგი გვარდიელებმა დააკავეს, თან ერთი ლაქია ახლდა. თავისი ბატონის თავგადასავლით დამფრთხალმა ბიჭმა მოჰკურცხლა და მის დასახსნელად სხვა ვერაფერი მოიგონა, გარდა იმისა, რომ მოხუც გ... მ...-ს აცნობა ყოველივე.

ასეთ სამწუხარო ამბავს არ შეეძლო აელეღვებინა მოხუცი მამა, იგი ერთადერთი შვილი იყო მისი. თვით მოხუცი, ხნოვანების მიუხედავად, ძალიან ცოცხალი კაცი იყო. მან დანვრილებით გამოჰკითხა ლაქიას, რას აკეთებდა მისი შვილი ნასადილევს, ხომ არავის წასჩხუბებია, სხვის შეტაკებაში ხომ არ მიუღია მონაწილეობა, ხომ არ ყოფილა საექვო ადგილას. ლაქიამ წარმოიდგინა, რომ მისი ბატონი უკიდურეს საფრთხეშია და გადანიშნა მის დასახმარებლად

არაფერი დაემალა. გაუმჟღავნა მამას, ის რაც იცოდა მისი შვილის და მანონის სიყვარულის შესახებ, იმ ხარჯების შესახებ, რომელიც გ... მ...-მ მანონისათვის გასწია. უამბო, როგორ გაატარა შვილმა მთელი დღე თავის ბინაზე ცხრა საათამდე, როგორ გავიდა შინიდან და რა უბედურება შეემთხვა დაბრუნებისას. ეს საკმარისი იყო მოხუცს ეჭვი მიეტანა, რომ მის შვილს უსიამოვნება სიყვარულის ნიადაგზე მოუვიდა. თუმცა საღამოს თერთმეტის ნახევარი იყო, იგი უყოყმანოდ გაეშურა ბ-ნ პოლიციის გენერალ-ლეიტენანტთან. მოხუცმა სთხოვა ამ უკანასკნელს გაეცა განსაკუთრებული ბრძანება სადარაჯო რაზმებისათვის. შემდეგ მოითხოვა, გადაეცათ მის განკარგულებაში პოლიციელთა რაზმი. ამ რაზმით იგი გაემართა იმ ქუჩისაკენ, სადაც მისი შვილი შეიპყრეს, შეათვალა ირა ქალაქის ყველა ის ადგილი, სადაც იმედი ჰქონდა შვილის პოვნისა, და როცა მის კვალს ვერ მიაგნო, გაემართა მისი საყვარლის სახლისკენ, სადაც მისი აზრით შეიძლებოდა მისი შვილი უკვე დაბრუნებულიყო.

უკვე დასანოლად ვემზადებოდით, როცა ის გაჩნდა. ჩვენი ოთახის კარი მიხურული იყო და ვერ გავიგე, როგორ დაარახუნეს ქუჩის კარი. ის შემოვიდა ორი ჯარისკაცის თანხლებით. როდესაც გამოკითხვის

შემდეგ ვერა გაიგო რა თავისი შვილის შესახებ, მოისურვა მისი საყვარლის ნახვა, რომ მისგან მაინც გაეგო რაიმე. იგი ოთახში ამოვიდა პოლიციელებთან ერთად - ჩვენ ის იყო დანოლას ვაპირებდით, როცა შემოალო კარები. მისმა დანახვამ სისხლი გაგვიყინა ძარღვებში! - ღმერთო, ეს მოხუცი გ... მ...-ია!" - ვუთხარი მანონს. მივვარდი დაშნას. საუბედუროდ, ის ჩემს

ქამარში გაიხლართა. ჯარისკაცებმა შეამჩნიეს ჩემი მოძრაობა და დაუყოვნებლივ მომვარდნენ. რა წინააღმდეგობის განევა შეუძლია პერანგისამარა კაცს! თავდაცვის ყოველივე საშუალება მომისპეს.

გ...მ... პირველად ასეთი სანახაობით დაიბნა, მაგრამ მალე მიცნო. უფრო ადვილად იცნო მანონი. - „ნუთუ თვალი მატყუებს, - მკაცრად მოგვმართა მან. - განა ესენი შევალე და გრიე და მანონ ლესკო არ არიან?“ - მე ისე გაცოფებული ვიყავი სირცხვილისა და მნუხარებისაგან, რომ პასუხი ვერ გავეცი. ეტყობოდა თავში სხვადასხვა აზარი უტრიალებდა და აღეღვებდა. უცებ, თითქოს ცეცხლი წაუკიდეს მის მრისხანებასო, მომიბრუნდა და დამიყვირა: - „უბედურო, დარწმუნებული ვარ, შენ მოჰკალ ჩემი შვილი!“ - ამ შეურაცხყოფამ ძალიან გამამწარა. - „ბებერო ავაზაკო! - შევძახე ამაყად, - შენი ოჯახიდან ვისმე მოკვლა რომ მდომოდა, ჯერ შენით უნდა დამენყო“. - „მაგრა დაიჭირეთ, - უბრძანა მან პოლიციელებს, - უნდა მითხრას, სად არის და რა მოუვიდა ჩემს შვილს. თუ არ მეტყვის, სვალვე ჩამოვადრჩობინებ!“ - „შენ ჩამოადრჩობინებ ჩემს თავს? - მივუგე მე, - სახრჩობელაზე შენისთანა უნამუსოები აჰყავთ. იცოდე, შენზე კეთილშობილი და წმინდა სისხლისა ვარ. დიად, მე ვიცი რაც მოუვიდა შენ შვილს, - დავუმატე მე, - და თუ თავს არ დამანებებ, ვუბრძანებ დილამდე დაადრჩონ, ხოლო შენ პირობას გაძღვე, რომ იმავე გზას გაგაყოლებ“.

უგუნურად მოვიქეცი: გავაგებინე, რომ ვიცოდი, სად იყო მისი შვილი. სიბრაზით წამომცდა

ყოველივე. მაშინვე დაუძახა დანარჩენ ხუთ თუ ექვს პოლიციელს, რომლებიც კარებთან იცდიდნენ, და უბრძანა დაეტუსალებინათ სახ-

ლში მყოფი ყველა მსახური. - „აა, ბატონო შევალიე, - მითხრა მან დაცინვით, - თქვენ იცით, სად არის ჩემი შვილი და განკარგულებას გაცემთ დააღრჩონ იგი! არხეინად ბრძანდებოდეთ, ჩვენ ზომებს მივიღებთ“. აქ მე მივხვდი, თუ რა შეცდომაა ჩავიდინე.

მოხუცი მიუახლოვდა მანონს, რომელიც მტირალი ლოგინზე იჯდა, ირონიულად დაცინვით მოაგონა, თუ რა გავლენა მოიპოვა როგორც მამაზე, ისე შვილზე, და რა კარგად გამოიყენა ეს გავლენა. ეს თავდაუქრელი უმსგავსო ბებერი მზად იყო გამოლაზლანდარებოდა მანონს. - „გაბედე და ხელი შეახე! ვერავითარი წმინდანი ვერ დაგიცავს ჩემი ხელისგან“, - დავუყვირე. გავიდა ოთახში, სამი პოლიციელი დასტოვა, თან უბრძანა, თვალყური ადევნეთ ჩქარა ჩაიცვანო.

არ ვიცოდი, რა განზრახვა ჰქონდა მოხუცს. შეიძლება გავეთავისუფლებინეთ, რომ გვეთქვა, სად იყო მისი შვილი, ჩაცმის დროს ვფიქრობდი, იქნებ უმჯობესი იყო, ასე მოვქცეულიყავ-მეთქი, მაგრამ თუ მას ოთახიდან გასვლისას ასეთ განზრახვა ჰქონდა, სულ სხვა გუნებაზე იყო, როცა უკან დაბრუნდა. ის გავიდა მანონის მსახურთა დასაკითხავად, რომლებიც პოლიციელებმა დაატუსაღეს. მან ვერაფერი გაიგო მისი შვილის დაქირავებულ მსახურთაგან, მაგრამ როცა უთხრეს, რომ წინათ მარსელი ჩვენ გვემსახურებოდა, გადასწყვიტა მუქარით მისთვის

ეთქმევინებინა ყველაფერი. მარსელი ერთგული, მაგრამ გულუბრყვილო და ტლანქი კაცი იყო. მას გაახსენდა, რაც ჩაიდინა თავშესაფარში მანონის დასახსნელად, ამას დაერთო შიში, რომელიც გ...მ...-მ ჩააგონა და ყოველივემ მის სუსტ გონებაზე ისე იმოქმედა, რომ იფიქრა სახრჩობელაზე, ან დასაბორობლავად მივყევარო. დაჰპირდა, იტყოდა ყველაფერს, რაც იცოდა, ოღონდ სიცოცხლე შეენარჩუნებინათ. აქედან გ... მ...-მ დაასკვნა, რომ ჩვენი საქმე ბევრად უფრო სერიოზული და დანაშაულებრივია, ვიდრე მას ეგონა. მან აღუთქვა მარსელს, რომ არათუ ავნებდა, დაასაჩუქრებდა კიდევ, თუ გულწრფელად აღიარებდა ყველაფერს.

უბედურმა გადასცა მას ჩვენი გეგმის ნაწილი, რომლის შესახებ მასთან დაურიდებლად ვლაპარაკობდით, რადგან მასაც უნდა მიეღო მონაწილეობა ამ გეგმის განხორციელებაში. მართალია, მან არაფერი იცოდა იმის შესახებ, თუ რა ცვლილება შევიტანეთ ჩვენს გეგმაში პარიზში მოსვლის შემდეგ, მაგრამ შაიოდან წამოსვლისას იცნობდა ჩვენს გეგმას და იცოდა, თვითონ რა უნდა გაეკეთებინა. ამრიგად, მან გააგებინა მოხუცს, რომ მანონს უნდა მიეღო, ან უკვე მიიღო ათი ათასი ფრანკი, რასაც ჩვენი გეგმის მიხედვით, არასოდეს არ დავუბრუნებდით გ... მ...-ის ოჯახის მემკვიდრეებს.

ამის გაგების შემდეგ მოხუცი გაცოფებული შემოვარდა ჩვენს ოთახში. ხმის ამოუღებლად შევარდა კაბინეტში და ადვილად იპოვნა მთელი თანხა და სამკაული.

შემობრუნდა ჩვენთან და გაცეცხლებული გვიჩვენა ის, რასაც იგი ნაქურდალს უწოდებდა. აგვიკლო მუქარით და შეურაცხმყოფელი საყვედურებით. მანონს ზედ ცხვირთან მიუტანა მარგალიტის ყელსაბამი და სამაჯურები. - „ხომ სცნობთ ამას? - დაცინვით მიმართა. - პირველად არ უნდა ჰხედავდეთ. გარწმუნებთ იგივეა, იგივე. მჯერა, რომ თქვენი გემოვნებისა არის ეს ნივთები. საცოდავი ბავშვები! - დაუმატა მან, - მართალია, მომხიბვლელია, ერთიც და მეორეც, მაგრამ ცოტათი ცუდლუტები არიან!“

ასეთი შეურაცხყოფისაგან გული გასკდომას ლამობდა, ერთი წუთის თავისუფალებისათვის, ჰოი ზეცაო, რას არ მივცემდი! ბოლოს, თავს ძალა დავატანე და თავდაჭერილად მოვუბრუნდი მოხუცს: - „კმარა, გაათავეთ, ბატონო, ეგ კადნიერი დაცინვა. რაო, რას გვიპირებთ?“ - „საქმე ისაა, ბატონო შევალე, - მიპასუხა მან, - რომ თქვენ დაუყოვნებლივ შატელეს ნაბრძანდებით. ხვალ დღის სინათლეზე უკეთ გავარჩევთ თქვენს საქმეს; იმედი მაქვს მოიღებთ მონყალებას და მეტყვით, სად არის ჩემი შვილი“.

ბევრი ფიქრი არ იყო საჭირო იმის მისახვედრად, რომ შატელეში ჩამწყვდევას საშინელი შედეგი მოჰყვებოდა. ძრწოლით წარმოვიდგი-

ნე მთელი საფრთხე. მიუხედავად ჩემი სიამაყისა, მივხვდი, რომ საჭირო იყო უბედურების სიმძიმის ქვეშ ქედის მოხრა, რათა უბოროტესი მტრის წინაშე ფარისევლობით მაინც რაიმესთვის მიმეღწია. ზრდილობიანად ვთხოვე მოხუცს ერთი წუთით

მოესმინა. - „ბატონო ჩემო, - მივმართე: - ჩემს თავს არ ვამართლებ. ვაღიარებ, რომ ახალგაზრდობამ დიდი შეცდომები ჩამადენინა და შეურაცხყოფა მოგაყენეთ. მაგრამ თუ იცით სიყვარულის ძალა, თუ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რას განიცდის ახალგაზრდა, როცა მას ართმევენ ყველაზე ძვირფასს ამქვეყნად, იქნებ მაშინ მომიტევეთ და სამაგიეროს გადახდა შემიმსუბუქოთ, ან იქნებ ჩემს დასასჯელად საკმარისად მიიჩნიოთ ჩემი ასეთი შერცხვენა. საჭირო არ არის ციხე და წამება იმისათვის, რომ მათქმევინოთ, სად არის თქვენი ვაჟი, იგი უშიშარად გიღილას იმყოფება. მე განზრახული არა მქონდა მევნო რაიმე იმისთვის, ან შეურაცხყოფა მომეყენებინა თქვენთვის. მე მზადა ვარ გაცნობოთ ის ადგილი, სადაც იგი მშვიდად ატარებს ღამეს, თუ იმდენ გულკეთილობას გამოიჩინებ, რომ გაგვათავისუფლებთ“.

ბებერმა ვეფხვმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია ჩემს ვედრებას და სიცილით ზურგი შემომაქცია. მან მხოლოდ რამდენიმე სიტყვა წარმოსთქვა, რათა ეცნობებინა ჩემთვის, რომ იგი სავსებით მიხვედრილია ჩვენს განზრახვას. რაც შეეხება მის ვაჟს, მან უკმეხად დაუმატა, რაკი არ მოგიკლავთ, იგი ადრე თუ გვიან თვით გამოცხადდებაო. - „ნაიყვანეთ ესენი მცირე შატელეში, - უთხრა მან პოლიციელებს; - თვალყური ადევნეთ, რომ შევალე არ გაგეპაროთ, თვალთმაქცია და ერთხელ უკვე გაიპარა წმ. ლაზარედან“.

მოხუცი წავიდა, და ადვილად წარმოიდგინეთ, რა საშინელ მდგომარეობაში დამტოვებდა. - „ოჰ,

ზეცავ! - ნამოვიძახე მე: - მორჩილებით ავიტან ყველა შენს ლახვარს, მაგრამ ის, რომ უბედური არამზადა ასე მტარვალურად განაგებს ჩემს ცხოვრებას, უკიდურეს სასონარკვეთილებაში მაგდება“. - პოლიციელები გვაჩქარებდნენ. კარებთან ეტლი იცდიდა. კიბეზე ჩას-

ვლისას ხელი გავუწოდე მანონს. - „წავიდეთ, ჩემო ძვირფასო დედოფალო, - ვუთხარი: - წავიდეთ და დავემორჩილოთ ჩვენს ბედს. იქნებ ზეცამ ინებოს და უფრო ბედნიერი დღეები გვაღირსოს.“

ერთ ეტლში ჩავგვსვეს. მანონი მომეკრა. მე მოვეხვიე. მას შემდეგ, რაც გ...მ... გამოცხადდა, მისგან არც ერთი სიტყვა არ მსმენია, მაგრამ როცა მარტონი დავრჩით, ათასნაირი ნაზი სიტყვა მითხრა. უსაყვედურებდა თავს, რომ ჩემი უბედურების მიზეზი გახდა. მე ვარწმუნებდი, რომ არასოდეს არ დავემდურები ბედს თუ მას ვეყვარები. - „მე შესაბრალისი არა ვარ, - განვაგრძე მე, - რამდენიმე თვით ციხეში ყოფნა სრულიად არ მაშინებს, ამასთან წმ. ლაზარეს შატელე მირჩევნია. მაგრამ, ჩემო ძვირფასო, შენთვის მტკივა გული. რა ბედი ხვდა წილად შენისთანა მშვენიერ ქმნილებას. ჰოი, ზეცავ, რატომ ეპყრობი ასე სასტიკად შენს საუკეთესო ქმნილებას? რატომ ისეთი თვისებებით არ აღგვჭურვე, რომლებიც უფრო შეინყნარებდა ჩვენს უწყალო ბედს? ჩვენ დაჯილდოვებულნი ვართ გონებით, გემოვნებით, გრძნობიერებით. ვაგლახ, რა ცუდად ვიყენებთ მათ იმ დროს, როდესაც ბევრი სულმდაბალი, რომელიც ღირსია ჩვენი ხვედრისა, სტკებოდა ბედის მფარველობით!“

ამ ფიქრებმა მწუხარებით ამავსეს, მაგრამ ეს უმნიშვნელო იყო იმასთან შედარებით, რაც მოგველოდა. მანონზე ფიქრი მოსვენებას არ მაძლევდა. უკვე თავშესაფარში ნამყოფი იყო და თუნდაც იქიდან მშვიდობიანად გამოსულიყო, ვიცოდი, ხელმეორედ იქ ჩავარდნას სახიფათო შედეგი მოჰყვებოდა. მინდოდა გამეზიარებინა მისთვის ჩემი შიში, მაგრამ არ მსურდა, შემეშფოთებინა. ვერ ვბედავდი გამეფრთხილებინა. ვოხრავდი, ვეხვეოდი, მინდოდა დამერწმუნებინა, თუ რა ძლიერ მიყვარდა. ეს იყო ერთადერთი გრძნობა, რის გამომჟღავნებასაც ვბედავდი. - „მანონ, - ვუბნებოდი, - გულახდილად მითხარი, გეყვარები თუ არა სულ მუდამ?“ - მიპასუხა, ძალზე სწუსს რომ მე ამაში ეჭვი მეპარება. - „მამ კარგი, ეჭვი აღარ შემეპარება, - ვუპასუხე მე. - ამ რწმენით აღჭურვილს, არავითარი მტრის შიში აღარა მაქვს. მე ჩემს ოჯახს

დახმარებისათვის მივმართავ, რათა შატელედან გამოვიდე და არაფერს დავიშურებ, სისხლის უკანასკნელ წვეთსაც კი, რომ იქედან გამოგგლიჯო“.

ციხეში მივედი. სხვადასხვა საკანში მოგვათავსეს. ამ უბედურებაში არც ისე ძალიან განმაცვიფრა, რადგან წინასწარ მოველოდი ამას. ზედამხედველის ყურადღება მივაქციე მანონზე, ჩავაგონე, რომ მე შეძლებული კაცი ვარ და სამაგიერო პატივისცემას დავპირდი. სანამ გავშორდებოდი, გულში ჩავიკარი ჩემი ძვირფასი სატრფო. ბევრი ვემუდარე, არ ეჯავრა და არაფრის არ შეშინებოდა, სანამ მე ცოცხალი ვიქნებოდი. ფული მქონდა. ნაწილი მას გადავეცი. დანარჩენიდანაც უხვად მივეცი ზედამხედველს ერთი თვის ჩვენი გამოსაკვები.

ჩემმა ფულმა დიდი გავლენა მოახდინა. მე მომათავსეს საკმაოდ კარგ ოთახში და დამარწმუნეს, რომ მანონმაც ისეთი ოთახი მიიღო. მაშინვე იმის მოფიქრებას შევუდექი, თუ როგორ გამეთავისუფლებინა თავი. ცხადი იყო, ჩემს მოქმედებაში არავითარ ბოროტმოქმედებას არა ჰქონდა ადგილი, თუნდაც მარსელის ჩვენებით დადასტურებულიყო, რომ ჩვენ განზრახული გვექონდა ქურდობა. კარგად ვიცოდი, მართოდენ განზრახვა თავისთავად არ ისჯება. ამიტომ გადავწყვიტე, დაუყოვნებლივ მიმენერა მამაჩემისთვის და მეთხოვნა ჩამოსულიყო პარიზს. როგორც უკვე აღვნიშნე, შატელეში ყოფნისა მე ნაკლებ მრცხვენოდა, ვიდრე წმ. ლაზარეში. მეორე მხრივ, თუმცა სათანადო პატივისცემა მშობლის ავტორიტეტისადმი ჯერ კიდევ შენარჩუნებული მქონდა, მაგრამ წლებმა და გამოცდილებამ ძალიან შეანელა ჩემი მოკრძალება. ამრიგად დავწერე წერილი. შატელედან მისი გაგზავნა არ გამჭირვებია. მე შემეძლო თავიდან ამეცილებინა ეს შრომა, რომ მცოდნოდა, მამაჩემი მეორე დღეს აპირებდა პარიზს ჩამოსვლას.

მამაჩემს თურმე ჩემი წინანდელი წერილი მიეღო, რომელიც რვა დღით ადრე გავუგზავნე. ძალიან გახარებოდა. ვპირდებოდი გამოსწორებას, მაგრამ იგი მართო ამ დაპირებით არ დაკმაყოფილდა. გადანყვიტა, ჩამოსულიყო, თავისი თვალთ შეემონმებინა გამოსწორება და

იმის მიხედვით მოქცეულიყო, თუ რამდენად გულწრფელად მოვიზინებ ცოდვები. მამაჩემი ჩამოვიდა ჩემი დატუსაღების მეორე დღეს.

პირველად მან ტიბერუი ინახულა, რადგან ვთხოვე, პასუხი მისი მისამართით გამოეგზავნა. ტიბერუსაგან მან ვერც ჩემი ბინა გაიგო და ვერც ის, თუ რა მდგომარეობაში ვიყავი. მან გაიგო მხოლოდ, ის რაც მე წმ. სულპისის სემინარიიდან გაქცევის შემდეგ გადამხდა. ტიბერუმა დაუდასტურა თურმე ჩემი კარგი განზრახვა, რაც ჩემში ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის დროს ჰპოვა. თან დაუმატა, რომ, მისი აზრით, მე სავსებით ჩამოვშორდი მანონს, თუმცა ძალიან უკვირდა, რომ მთელი კვირის განმავლობაში ჩემგან არავითარი ცნობა არ ჰქონდა. მამაჩემი საკმაოდ ჭკვიანი კაცი იყო. იგი მიხვდა, რომ ტიბერუს რაღაც გამოეპარა. ისე ბეჯითად შეუდგა ჩემი კვალის ძებნას, ორი დღის შემდეგ გაიგო, რომ შატელეში ვიმყოფებოდი.

მამაჩემის მოსვლამდე, რომელსაც ჯერ არ მოველოდი, მინახულა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, დამკითხა პოლიციის გენერალ-ლეიტენანტმა. მან მისაყვედურა, რაშიც, მართალია არაფერი ყოფილა არც უხეში და არც უპატივცემულო. შემდეგ ღმობიერად გამომიცხადა, რომ ძალიან სწუხს ჩემი ცუდი ყოფაქცევის გამო, რომ მე გაუფრთხილებლად მოვიქეცი და გადავიკიდე ისეთი კაცი, როგორც არის ბ-ნი გ... მ... მართალია, ჩემს საქმეში მეტი უგუნურობა და ფუქსავატობაა, ვიდრე ბოროტი განზრახვა, მაგრამ, რაც უნდა იყოს, მეორედ მიხდება საბრალდებო სკამზე ჯდომა. იმედი კი იყო, რომ წმ. ლაზარეში გატარებულ ორ-სამ თვეს ჭკუაზე მოვეყვანე. მოხიბლული იმით, რომ საქმე მქონდა ასეთ გონიერ მოსამართლესთან, მონინებით და თავდაჭერილად ველაპარაკე. ეტყობოდა, კმაყოფილი დარჩა ჩემი პასუხით. მირჩია ბევრი არ

მეჯავრა და მითხრა, რომ მზად არის ჩემი გვარიშვილობისა და ჩემი ახალგაზრდობის გამო სამსახური გამინიოს. შევბედე და შევეხვეწე მანონისათვის ყურადღება მიექცია. შევაქე მისი მოკრძალება და ბუნებრივი სიკეთე. მან სიცილით მიპასუხა, რომ ჯერ მანონი არ უნახავს, მაგრამ იგი გააცნეს, როგორც საშიში ქალი. ამ სიტყვებმა ისეთი სიბ-

რალული აღმიძრეს მანონისადმი, რომ საკმაოდ დიდი სიტყვა წარმოვ-
თქვი ჩემი საბრალო სატრფოს დასაცავად. ველარც ცრემლი შევიკავე.
მოსამართლემ ბრძანა, ისევ საკანში წავეყვანეთ, - „ჰოი, სიყვარულო,
სიყვარულო - წამოიძახა ამ წარჩინებულმა მოხელემ, - ნუთუ არასო-
დეს არ შეურიგდებით კეთილგონიერებას!“

ჯერ კიდევ ნალვლიანი, ბ-ნ პოლიციის გენერალ-ლეიტენანტთან
ნალაპარაკებზე ვფიქრობდი, როდესაც ჩემი საკნის კარები შემოაღეს:
ეს იყო მამაჩემი. მე მას რამდენიმე დღის შემდეგ მოველოდი და თუმცა
სანახევროდ მომზადებული ვიყავი მის შესახვედრად, მაინც იმდენად
შევშფოთდი მის დანახვაზე, რომ მზად ვიყავი მინაში ჩავმძვრალიყავ.
ძალზე შემკრთალი მოვეხვიე. უსიტყვოდ სკამზე ჩამოჯდა. არც მას,
არც მე ხმა არ ამოგვიღია. ვიდექი მის წინ თავდახრილი, ქუდმოხდილი.

- „დაბრძანდით, ბატონო ჩემო, დაბრძანდით, - მითხრა მან. - თქვენი
უნესობითა და თაღლითობით გამონვეული აურზაურის მეოხებით გა-
ვიგე სად უნდა ყოფილიყო თქვენი სამყოფელი. თქვენი ყოფაქცევის
უპირატესობა ისაა, რომ იგი საიდუმლოდ ვერ დარჩება. თქვენი

პირდაპირი გზით მიდიხართ სახელისაკენ, იმედი მაქვს, მალე მიაღ-
წევთ გრევის მოედანს, სადაც სასახელო ბედი მოგელით: ყველასთვის
თითოთ საჩვენებელი გახდებით“.

მე ვდუმდი. მან განაგრძო: - „რა უბედურია მამა, რომელსაც უსაზ-
ღვროდ უყვარდა შვილი, არაფერს ზოგავდა მისი ღირსეული აღზრდი-
სათვის და ბოლოს ხედავს გაიძვერას, რომელიც სახელს უტეხს მას.
შეიძლება ადამიანმა ნუგეში ჰპოვოს ბედის ცვალებადობაში: დრო
აქარწყლებს ყოველივეს და მწუხარება კლებულობს. მაგრამ სად არის
წამალი იმ უბედურების წინააღმდეგ, რომელიც დღითიდღე ძლიერდე-
ბა, იმ უძღები შვილის გარყვნილების წინააღმდეგ, რომელმაც დაჰკარ-
გა ყოველგვარი პატიოსნება! შენ სდუმხარ, უბედურო, - დაუმატა მან,
- შეხედეთ მის თვალთმაქცურ მოკრძალებას, მის ფარისევლურ სათ-
ნოებას! სულ ადვილად შეიძლება იგი ჩვენი მოდგმის ღირსეულ წარ-
მომადგენელად იქნეს მიჩნეული“.

თუმცა უნდა გამოვტყდე, რამდენადმე დავიმსახურე ასეთი მოპყრობა, მაგრამ მაინც გადაჭარბებულად მეჩვენა იგი. მე საჭიროდ დავინახე გულწრფელად გადამეშალა მის წინაშე ჩემი აზრები.

- „გარწმუნებთ, ბატონო, - მივმართე მე, - რომ ჩემი მოკრძალება სრულიადაც არ არის თვალთმაქცური, იგი ბუნებრივია კეთილშობილი ოჯახის შვილისათვის, რომელიც უღრმეს

პატივსა სცემს თავის მამას, მით უმეტეს განრისხებულ მამას. არ მომაქვს თავი ჩვენი მოდგმის ღირსეულ წარმომადგენელად. ვალიარებ, რომ დავიმსახურე თქვენი საყვედური, მაგრამ გემუდარებით, ნუ გამოიჩინებ უზომო სიმკაცრეს და ნუ ჩამთვლით თავხეხელალებულ არამზადად. ესოდენ საშინელი სახელი მე არ დამიმსახურებია. თქვენ იცით, რომ ჩემი შეცდომის მიზეზი სიყვარულია, საბედისწერო ვნება. ნუთუ თქვენთვის უცნობია მისი ძლიერება? ნუთუ თქვენთვის სისხლი, რომელიც ჩემს ძარღვებშია ც მოძრაობს, არასოდეს ანთებულა ასეთივე გრძნობით? სიყვარულმა მეტად მგრძნობიარე გახადა, მეტად ვნებიანი, მეტად ერთგული და შეიძლება მშვენიერი სატრფოს სურვილების ადვილად დამყოლი, ასეთია ჩემი დანაშაულებანი. ნუთუ რომელიმე მათგანი თქვენ ჩირქსა გცხებთ, ძვირფასო მამავ? - დავუმატე მე გრძნობით, - ოდნავ მაინც შეიბრალებთ შვილი, რომელსაც მუდამ უყვარდით და რომელიც სულ მუდამ პატივს გცემდათ, მას სრულიადაც არ აუღია ხელი, როგორც თქვენ ფიქრობთ, პატიოსნებასა და მოვალეობაზე. იგი ათასჯერ უფრო შესაბრალისია, ვიდრე თქვენ ფიქრობთ“. - ამ სიტყვის დამთავრებისას თვალეებზე ცრემლი მომადგა.

მამის გული ბუნების სრულყოფილი ქმნილებაა: იგი მოკრძალებით არის გამეფებული მასში და თვითვე მართავს მას. მამაჩემს, გონიერ და მიხვედრილ ადამიანს, იმდენად მოეწონა ჩემი საუბარი, რომ არც კი შეეცადა იმ ცვლილებების დამალვას, რაც მასში მოხდა. - „მოდი, ჩემო საბრალო შევალე, - მითხრა მან, - მოდი მომეხვიე. მებრალები“. - იგი გადამეხვია. მე ვგრძნობდი

რაც ტრიალებდა მის გულში. - „რა ზომები უნდა მივიღოთ შენ აქედან დასახსნელად? - განაგრძო მან. - მიაბზე ყველა შენი თავგადასავალი დაუფარავად“.

რადგან ჩემს ყოფაქცევაში ისეთი არაფერი იყო, რასაც შეეძლო ჩემი შერცხვენა, განსაკუთრებით თუ შევადარებდით ჩემს ყოფაქცევას საზოგადოების ცნობილი წრის ახალგაზრდობის ყოფაქცევას, და რადგან საყვარლის ყოლა და თითების ოსტატობის გამოყენება ბანქოს თამაშში სამარცხვინოდ არ ითვლებოდა, ამიტომ მე გულახდილად და დანვრილებით ვუამბე მამაჩემს, რა ცხოვრებასაც ვენეოდით. როცა ამა თუ იმ შეცდომას ვალიარებდი, ვცდილობდი ზედ ცნობილი მაგალითიც დამერთო, რათა ამით ჩემი დანაშაული შემემცირებინა.

- „მე ვცხოვრობ საყვარელთან ჯვარდაუნერლად - ვამბობდი მე, - მაგრამ ჰერცოგი...-ს ასეთი საყვარელი ორი ჰყავს და ეს მთელმა პარიზმა იცის. ბატონ დე... ს ათი წელიწადია, საყვარელი ჰყავს, რომელსაც უფრო ერთგულად ეპყრობა, ვიდრე ცოლს. საფრანგეთის კეთილშობილ ადამიანთა ორი მესამედი ამაყობს იმით, რომ საყვარლები ჰყავს. მე ვთაღლითობდი ბანქოს თამაშის დროს, მაგრამ მარკიზ ... ს და გრაფ...ს შემოსავლის საფუძვლად სწორედ ასეთივე წყარო უდევს. თავადი... და ჰერცოგი... ცნობილი ყომარბაზების ბრბოს მეთაურობდნენ. რაც შეეხება იმას, რომ მე მინდოდა ხელში ჩამეგდო ორივე გ... მ...-ს ქი-სა, ადვილად შემეძლო დამემტკიცებინა, რომ აქაც მყავდა წინაპრები. მაგრამ პატიოსნება ნებას არ მაძლევს ჩემთან ერთად სახელი გავუტეხო

ყველა იმას, ვისი დასახელებაც მე შემიძლია“. - ვთხოვე მამას, ეპატიებინა ჩემთვის ის დანაშაული, რომელიც ორმა მძლავრმა ვნებამ ჩამადენინა: შურისძიებამ და სიყვარულმა.

მან მკითხა, რომ ვერ ვუჩვენებ ისეთ საშუალებას, რომლის მეოხებითაც შეიძლება ჩემი განთავისუფლება, ამასთან ისე, რომ ეს ამბავი არ გახმაურდეს. მე ვუამბე, როგორ თავაზიანად მომექცა ბ-ნი პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი. - „თუ ჩემს საქმეს რაიმე დაბრკოლება გა-

დაელობება, - ვუთხარი მამაჩემს, - ეს მხოლოდ გ... მ...-ს მხრით არის შესაძლებელი, ამიტომ კარგი იქნებოდა თუ ინახულებდით მამა-შვილს“.
- იგი დამპირდა.

ვერ გავუბედე მეთხოვნა, რომ გამენია შუამდგომლობა მანონისათვისაც. ეს მოხდა არა ჩემი გაუბედავობით, არამედ იმით, რომ შემეშინდა ამ თხოვნით არ განრისხებულყო და ისეთი რამ არ ჩაედინა, რაც მანონსაც დალუპავდა და მეც. აქამდე ვერ გამომერკვია, ხომ არ გახდა ეს შიში მიზეზი ჩემი უსაშინლესი უბედურებისა, რადგან ამან ხელი შემეშალა შემებრალებინა მანონი მამაჩემისათვის. შეიძლება აღმეძრა მასში სიბრალული! შეიძლება ამის შემდეგ ისე ადვილად აღარ დაეჯერებინა მოხუცი გ... მ...-სათვის. ვინ იცის, იქნებ ჩემს უკულმართ ბედს ყველა ჩემი ცდა ჩაეფუშა, მაგრამ მაშინ ყველაფერში ბრალი უნდა დამედო მხოლოდ ჩემი ბედის და ჩემი მტრების სისასტიკისათვის.

მამამ პირდაპირ ბ-ნ გ... მ...-სთან წავიდა. იქ მამასთან ერთად შვილიც დახვედრია, რომელიც ჩემ გვარდიელს პატიოსნად გაეთავისუფლებინა. ვერ გავიგე მათი საუბრის შინაარსი, მაგრამ ადვილად მივხვდი ამ საუბრის შინაარსს მისი საბედისწერო შედეგის მიხედვით. მოხუცები ერთად გაემართნენ პოლიციის გენერალ-ლეიტენანტთან და შემდეგ თხოვნით მიმართეს: პირველი - დაუყონებლივ გავეთავისუფლებინე მე შატელედან, მეორე - სიცოცხლის-უკანასკნელ დღეებამდე პატიმრობაში ჰყოლოდათ მანონი, ან გადაესახლებინათ ამერიკაში. სწორედ იმ ხანებში შემოიღეს მანონის გადასახლება მდინარე მისისიპზე. ბ-ნმა პოლიციის გენერალ-ლეიტენანტმა სიტყვა მისცა, რომ მანონს პირველი გემით გაგზავნიდა.

ბ-ნი დე გ... მ... და მამაჩემი მაშინვე მოვიდნენ ჩემთან, რომ გადმოეცათ ჩემი განთავისუფლების ამბავი. ბ-ნმა დე გ... მ... ზრდილობიანად ბოდიში მოიხადა ჩემს წინაშე წარსულის გამო და მომილოცა, რომ ასეთი საუცხოო მამა მყოლია. დამარიგა მომავალში მესარგებლნა მისი რჩევა-დარიგებით და მაგალითით. მამამ მიბრძანა, ბოდიში მომეხადნა

დე გ... მ...-ს წინაშე იმ შეურაცხყოფისათვის, რომელიც ვითომ მე მიმე-
ყენებინოს მისი ოჯახისათვის, და მადლობა გადამეხადნა მისთვის,
რადგან მასთან ერთად ეცადა ჩემს განთავისუფლებას.

ჩვენ ერთად გამოვედით. ჩემი სატრფოს შესახებ ერთი სიტყვაც არ
დაგვიძრავს. მეკარესაც ვერაფერი ვკითხე. ვაჰმე! ჩემი მწუხარება და
ვედრება ამაო იქნებოდა, რადგან მანონის

გადასახლების საბედისწერო ბრძანება მოვიდა ჩემი განთავისუფ-
ლების ბრძანებასთან ერთად. ერთი საათის შემდეგ საბრალო ქალი
თავშესაფარში გადაიყვანეს და იქ რამდენიმე სხვა უბედურს შეუერთ-
ეს, რომელთაც იგივე სასჯელი ჰქონდათ მისჯილი.

მამაჩემმა მაიძულა გავყოლოდი იქ, სადაც თვითონ ცხოვრობდა,
მხოლოდ საღამოს ექვს საათზე დავუძვერი ხელიდან და შატელეში
დავბრუნდი. ერთი განზრახვა მქონდა მხოლოდ: მინდოდა საზრდო შე-
მეგზავნა მანონისათვის და მეთხოვნა ზედამხედველისათვის, ყურად-
ღება მიექცია მისთვის, რადგან იმედი არ მქონდა, რომ მაჩვენებდნენ
და არც დრო მქონდა, მომეფიქრებინა მისი განთავისუფლების საშუა-
ლებანი.

გამოვუძახე მეკარეს. მას ჯერ კიდევ ახსოვდა ჩემი სიუხვე და ჩემი
გულკეთილობა. ამიტომ მზად იყო რითიმე მაინც გაენია სამსახური
ჩემთვის. მანონის შესახებ განახადა, რომ ძალიან სწუხს და იცის, რო-
გორ დავიტანჯები. ვერაფერი გავიგე მისი სიტყვებიდან. რამდენიმე
წუთი ვილაპარაკეთ ისე, რომ ერთმანეთისა არა გვესმოდა-რა. ბოლოს
რაკი დაინახა, რომ არაფერი გამეგებოდა, გადმომცა ის, რაც მე უკვე
მოგახსენეთ და რისი განმეორებაც ჩემთვის აუტანელია.

არავითარ დამბლას არ შეეძლო ისეთი საშინელი და სწრაფი ზე-
მოქმედება მოეხდინა ჩემზე, როგორც ამ ამბავმა მოახდინა: გული ისე
დამისუსტდა, რომ წავიქეცი. მეგონა სიცოცხლე

სამუდამოდ მომესპო-მეთქი. ეს განცდა მაშინაც კი შემრჩა, როდე-
საც გონს მოვედი; თვალი მიმოვავლე ოთახს, ავხედ-დავხედე ჩემს
თავს, რათა დავრწმუნებულიყავ, რომ კიდევ ვატარებდი ცოცხალი

ადამიანის საბრალო სახელწოდებას. მე რომ ბუნებრივი მიდრეკილუ-
ბისათვის მიმეცა გზა, რომელიც ასეთ ტანჯვისაგან განთავისუფლე-
ბის საშუალებას ეძებს ხოლმე, უეჭველად სიკვდილზე უტკბესად არა-
ფერი მომეჩვენებოდა. სარწმუნოებასაც არ შეეძლო დაეხატა ჩემთვის
საიქიოს ტანჯვანი იმაზე უარესად, რასაც მე ამჟამად განვიცდიდი -
საშინელი კრუნჩხვანი მღრღნიდნენ. მიუხედავად ამისა, სიყვარულის
სასწაულმოქმედებით მალე მოვიკრიბე ძალა და მადლობა შევწირე ზე-
ცას, რომ ცნობიერება და გონება კვლავ დამიბრუნდა. ჩემი სიკვდილი
მხოლოდ ჩემთვის იქნებოდა სასარგებლო. ჩემი სიცოცხლე მანონს
სჭირდებოდა, უნდა დამეხსნა იგი, დავხმარებოდი, შური მეძია მის გა-
მო, ამიტომ ფიცი დავდე, რომ მისთვის სიცოცხლეს არ დავზოგავდი.

მეკარემ ისეთი დახმარება აღმომიჩინა, როგორსაც კაცი მხოლოდ
საუკეთესო მეგობრისაგან მოელის. დიდი მადლობით მივიღე მისი სამ-
სახური. - „ეჰა, მივმართე მას, - თქვენ თანაუგრძნობთ ჩემს ტანჯვას.
ყველამ მიმატოვა, თვით ჩემმა მამამაც, ჩემმა უსასტიკესმა მდევენელ-
მა. არავინ შემიბრალა. ამ სისასტიკეს და ბარბაროსობაში მხოლოდ
თქვენ უცხადებთ თანაგრძნობას ყველაზე საცოდავს ადამიანთა შო-
რის“. - მან მირჩია ქუჩაში არ გავსულიყავ, სანამ ცოტათი მაინც არ
დავმშვიდდებოდი. - „არაფერია, არაფერი; - მივუგე მას ნამოსვლისას,
გინახულებთ, კიდევ

გინახულებთ, ამასთან უფრო ადრე, ვიდრე თქვენ ფიქრობთ. და-
მიმზადეთ ყველაზე შავ-ბნელი საკანი, ვეცდები დავიმსახურო იგი“.

მართლაც, ჩემს უახლოეს განზრახვას შეადგენდა ის, რომ ბოლო
მომელო ორივე გ... მ...სთვის და პოლიციის გენერალ-ლეიტენანტისათ-
ვის, ხოლო შემდეგ იმათი დახმარებით, ვისაც შევაგროვებდი, თავს
დავსხმოდი თავშესაფარს. მზად ვიყავ არ დამენდო თვით მამაჩემიც,
ამ მართებული შურისძიების გამო. მეკარემ არ დამიმალა, რომ გ... მ...-
სთან ერთად მასაც წილი ედო ჩემს დალუპვაში.

მაგრამ როდესაც ქუჩაში რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და ჰაერმა
ოდნავ გამიგრილა სისხლი და დამამშვიდა, სიბრაზემ თანდათან გონი-
ერ გრძნობებს დაუთმო ადგილი. ჩვენი მტრების სიკვდილი ზიანის

მეტს არაფერს მოუტანდა მანონს, მე კი აუცილებლად წამართმევდა მისი დახმარების ყოველივე საშუალებას. ესეც არ იყოს, განა შემეძლო მე უმსაგვსო მკვლელობა ჩამედინა? მაშ, შურისძიების სხვა რა გზა იხსნებოდა ჩემთვის? მოვიკრიბე ძალა და გონება, რომ უპირველესად მანონი გამეთავისუფლებინა, ხოლო ამ წარმატების შემდეგ სხვებზე გადავსულიყავი.

ფული ცოტალა დამრჩენოდა. ეს იყო სწორედ პირველი საზრუნავი და აქედან უნდა დამეწყოს. ვიცნობდი მხოლოდ სამ ადამიანს, რომელთა იმედიც შეიძლებოდა მქონოდა. ესენი იყვნენ: ბ-ნი

დე ტ-ი, მამაჩემი და ტიბერჯი. საეჭვო იყო, ამ უკანასკნელისაგან მიმელო რამე. ხოლო პირველისა მრცხვენოდა, თავს ვაბეზრებდი, მაგრამ გამოუვალი მდგომარეობის დროს არაფრის წინაშე არ იხევ უკან. დაუყონებლივ გავემურე წმ. სულპისის სემინარიაში. არ დავერიდე იმას, რომ შეეძლო იქ ვეცნე, გამოვიძახე ტიბერჯი. მისი პირველივე სიტყვებიდან მიხვდი, რომ მან არ იცოდა ჩემი უკანასკნელი თავგადასავალი. ამ გარემოებამ მაიძულა შემეცვალა გადანყვეტილება და შემოქმედნა მის გრძნობაზე. ზოგადად ვუამბე ჩემი სიხარულის შესახებ მამასთან შეხვედრის გამო და ვთხოვე მოეცა სესხად მცირე თანხა, რაც თითქოს მჭირდებოდა იმისათვის, რომ პარიზიდან ნასვლის წინ გამესტუმრებინა ვალები, რომელთა შესახებ არ მინდოდა მამას გაეგო. მან იმ ნუთშივე თავისი ქისა გამომიწოდა. ექვსასი ფრანკი, რომელიც იქ იყო, ხუთასი წავიღე. ხელწერილი ვაძლიე, მაგრამ ერთობ კეთილშობილი იყო, რომ ამაზე დამთანხმებოდა.

იქედან ბ-ნი დე ტ...-სთან გავემართე. მასთან უფრო გულახდილი ვიყავი. ვუამბე უბედურება და ტანჯვა. მან ყველაფერი დანვრილებით იცოდა, რადგან გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს ახალგაზრდა გ... მ...-ს თავგადასავალს. მიუხედავად ამისა, გულდასმით მომისმინა, და როდესაც რჩევა ვკითხე, როგორ შეიძლება მანონის დახსნა-მეთქი, დაღონებულმა მიპასუხა, რომ ეს საქმე ძალზე ძნელად ეჩვენება. იმედი შეიძლება ჰქონდეს კაცს იმ შემთხვევაში, თუ განგება რაიმე მოულოდნელ სასწაულს მოაგვლენსო. მან გადმომცა, რომ განგებ წავიდა

თავშესაფარში მას შემდეგ, რაც მანონი იქ ჩაამწყვდიეს, მაგრამ მასაც კი არ უჩვენეს იგი. რადგან პოლიციის

გენერალ-ლეიტენანტის მეტად სასტიკი ბრძანება გაუცია. ყველა ამ უბედურებას დაერთო ისიც, რომ იმ ჯგუფში, რომელშიც მანონია მოქცეული, ზეგ გაუყენებენ გზასო.

მე იმდენად შემაძრწუნა მისმა ნაამბობმა, რომ თუნდ ერთ საათს ელაპარაკნა, არ შევანწყვეტინებდი. მან გადმომცა კიდეც, რომ შატელე-ში იმიტომ არ მოვიდა ჩემს სანახავად, ეშინოდა არ გამჟღავნებულყო ჩვენი მეგობრობა, რადგან ამის შემდეგ ისე ადვილად ველარ დამეხმარებოდა, ხოლო როცა რამდენიმე საათის შემდეგ გაეგო, ჩემი შატელე-დან განთავისუფლების ამბავი, სწუხდა, რომ არ იცოდა თუ სად ვიმყოფებოდი. ჩემი ნახვა ძალიან უნდოდა, რათა მოეცა ერთადერთი რჩევა, რომელსაც შეეძლო ცვლილება მოეხდინა მანონის ბედში, მაგრამ რჩევა იმდენად საშიშია, რომ მთხოვა, არ დამეკავშირებინა ამ რჩევასთან მისი სახელი. იგი მდგომარეობდა იმაში, რომ თავი მომეყარა რამდენიმე მამაცი საათის, რომელნიც თავის დაესხმოდნენ მანონის მცველებს, როცა ისინი პარიზს განშორდებოდნენ. მან არ მაცალა, სანამ მე უსახსრობას მოვიმიზეზებდი, გამომიწოდა ქისა და მითხრა: - „აი ასი პისტოლი, გამოგადგებათ. დამიბრუნეთ მაშინ, როდესაც თქვენი მდგომარეობა გამოკეთდება“ - თანაც დაუმატა: სახელის გატეხისა რომ არ შეშინოდეს, შენი სატრფოს დახსნაში ხმალითა და მარჯვენათი დაგეხმარებოდით.

ასეთმა განსაკუთრებულმა სულგრძელობამ ისე ამაღელვა, რომ ცრემლები მომგვარა. უდიდესი

მადლობა გადავუხადე, რამდენადაც კი შესაძლებელი იყო ჩემს მწუხარე მდგომარეობაში. ვკითხე, ხომ არ შეიძლება ვინმე დიდი კაცის დახმარებით ზეგავლენის მოხდენა პოლიციის გენერალ-ლეიტენანტზე-მეთქი. მან მიპასუხა, რომ მასაც მოუვიდა ეს აზრად, მაგრამ ეს ღონისძიება ამაოდ მიაჩნია, რადგან ასეთი თხოვნა სავსებით დასაბუთებული უნდა იყოს, ის კი ვერ ჰხედავს ვერავითარ საშუალებას, რის

მიხედვითაც დიდმა და ძლიერმა პიროვნებამ შეიძლება შუამდგომლობა აღძრას. ეს შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბ-ნი გ... მ... და მამაჩემი შეიცვლიდნენ აზრს და იკისრებდნენ, თვითონ ეთხოვათ ბ-ნ გენერალ-ლეიტენანტისათვის, შეეცვალა თავისი განაჩენი. მან აღმითქვა რომ იხმარს ყოველგვარ ღონისძიებას, რათა ახალგაზრდა გ... მ... ჩვენს მხარეზე გადმოიბიროს, თუმცა გული აიყარა ჩემზეო - სთქვა დე ტ-მ, - რადგანაც ეჭვი აქვს, რომ მეც მონაწილეობას ვიღებდი თქვენს საქმეში. დე ტ-მ მიჩნია, როგორმე შემოქმედნა მამაზე და შემეცვლევინებინა აზრი.

ჩემთვის ეს მეტად ძნელი საქმე იყო. ამას ამბობ არა მარტო იმ აზრით, რომ სიძნელეს წარმოადგენდა მისი დათანხმება, არამედ სხვა გარემოებითაც: მე ხომ მამაჩემის ნებადაურთველად გამოვიპარე მისი ბინიდან და, როცა მანონის სავალალო ბედი გავიგე, მტკიცედ გადავწყვიტე, იქ აღარ დავბრუნებულიყავი. მეშინოდა, რომ ძალით არ დავეკავებინე და პროვინციაში არ გავეგზავნე. ჩემმა უფროსმა ძმამ ერთხელ ხომ მიმართა ამ საშუალებას. მართალია, მას შემდეგ დიდი ხანი მომეცა, მაგრამ ხნოვანება სუსტი საბუთია ძალის წინააღმდეგ.

ცოტა ხნის შემდეგ მოვნახე საშუალება, რომელიც ხიფათს გადამარჩინდა: გადავწყვიტე, გამომეძახა მამაჩემი სხვისი სახელით სადმე საზოგადო დაწესებულებაში. ბატონი დე ტ-ი გ... მ...-სთან გაეშურა, მე კი ლუქსემბურგის ბაღში წავედი, საიდანაც მამას ვაცნობე, რომ ერთი აზნაური დიდი პატივით ელოდება მას. ვშიშობდი, რომ ღამის მოახლოების გამო არ მოისურვებდა მამაჩემი ბაღში მოსვლას. მაგრამ მცირე ხნის შემდეგ იგი გამოცხადდა ლაქის თანხლებით. ვთხოვე შევსულიყავით ხეივანში, სადაც გარეშე პირთაგან საფრთხე არ მოგველოდა. ასიოდე ნაბიჯი გადავდგით ისე, რომ სიტყვა არ ამოგვიღია. რასაკვირველია, მისთვის ცხადი იყო, რომ ასეთი სიფრთხილე მნიშვნელოვანი საქმით უნდა ყოფილიყო გამონწვეული. იგი უცდიდა ჩემს სიტყვებს, მე კი მათზე ვფიქრობდი.

ბოლოს დავინწყე: - „ბატონო, - მივმართე აკანკალებული ხმით, - თქვენ კეთილი მამა ხართ, თქვენ ბევრი მონყალეა მოიღეთ ჩემზე და

ბევრი შეცდომა შემინდეთ. თვით ზეცაა მონმე, რომ მე თქვენდამი ისეთი გრძნობებით ვარ გამსჭვალული, როგორც შეეფერება ყველაზე მოსიყვარულე და პატივისმცემელ შვილს, მაგრამ მე ვფიქრობ... თქვენი სიმკაცრე..." - „კეთილი! მერე რა ჩემი სიმკაცრე?“ - შემანყვეტინა მამამ. ალბათ, მის მოუთმენლობას ეჩვენებოდა, რომ მე მეტად ნელა ვლაპარაკობდი. - „ჰო, ბატონო, - და, განვაგრძე მე, - გავბედავ და ვიტყვი, რომ თქვენი სიმკაცრე მანონის მიმართ ყოველ საზღვარს გადასცდა. თქვენ ამ შემთხვევაში დაენდეთ ბ-ნ გ... მ...-ს. მისმა სიძულვილმა იგი მეტისმეტად ცუდი მხრით წარმოგიდგინათ. თქვენ მის შესახებ საშინელი

წარმოდგენა შეგექმნათ. ის კი ყველაზე ნაზი და ყველაზე ღირსეული ქმნილებაა. რატომ განგებ არ აღგიძრათ სურვილი, ერთი წუთით მაინც გენახათ იგი, დაინახავდით თუ არა მის მშვენიერებას, უეჭველად შეეცდებოდით მისი ხვედრის შემსუბუქებას. თქვენ შეგეზიზღებოდათ ბ-ნ გ... მ...-ს შავბნელი ზრახვები. თქვენ შეგებრალებოდათ ისიც და მეც. დარწმუნებული ვარ, თქვენი გული არ არის მოკლებული გრძნობას: შეუძლებელია თქვენც არ შენუხდეთ.

მან კვლავ შემანყვეტინა, რაკი დაინახა, რომ ისე გამტკიცებული ვლაპარაკობდი, რომ დიდხანს არ შევწყვეტიდი. მან მოისურვა გაგება, რა ჰქონდა მიზნად ჩემს ასეთ ცხარე სიტყვას. - „გთხოვთ, მაჩუქეთ სიცოცხლე, - ვუპასუხე მე, - რადგან ერთი წუთითაც არ დავრჩები ცოცხალი, მანონი რომ გაგზავნონ!“ - „არა, არა - მრისხანედ შემიბრუნა სიტყვა, - მირჩევნია მკვდარი გნახო, ვიდრე გონებადაკარგული და შერცხვენილი!“ - „ნუღარ აყოვნებთ, - შევყვირე მე და მკლავებში ხელი ჩავავლე, - მომისპეთ ეს საძულველი და აუტანელი სიცოცხლე, რადგან ასეთ სასოწარკვეთილებაში, როგორშიც თქვენ მაგდებთ, სიკვდილი მონყალება იქნება ჩემთვის. ეს იქნება მამის ღირსეული ჯილდო.“

- „მაგით შენ მიიღებ იმას, რაც დაიმსახურე, - მომიგო მან. - სხვა მამები დიდხანს არ დაიცდიდნენ, რომ საკუთარი ხელით დაესაჯეთ. ჩემმა უაღრესმა გულკეთილობამ დაგლუპა შენ“.

მე ფეხებში ჩავუვარდი: - „ოო, თუ თქვენში ცოტა რამ კიდევ არის დარჩენილი კეთილი გრძნობისა, - ვევედრებოდი, მუხლებზე ვეხვე-ოდი, - ნუ უკუაგდებთ ჩემს ცრემლებს. გაიხსენეთ, რომ თქვენი შვილი ვარ... გაიხსენეთ დედაჩემი, თქვენ იგი ნაზად გიყვარდათ. ნუთუ ნებას მისცემდით ვინმეს, ამოეგლიჯათ იგი თქვენი გულიდან? თქვენ მას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცავდით. და განა შეიძლება სხვა გულიც თქვენივე მგავსი არ იყო? განა შეიძლება შეუბრალებელი იყოს ის, ვისაც ერთხელ მაინც განუცდია, რა არის ნამდვილი გატაცება და მწუხარება?!“

- „კრინტი აღარ დაძრა დედაშენზე, - დამიყვირა მან გაანჩხლებულ-მა, - დედაშენის გახსენება უფრო აძლიერებს ჩემს მრისხანებას. შენი უმსგავსობა მოჰკლავდა მას, რომ ეცოცხლა და ენახა ყველაფერი. შევ-წყვიტოთ ლაპარაკი, - დაუმატა მან - იგი გულს მიწყალებს და გადან-ყვეტილებას ვერ შემაცვლევინებს. შინ მივდივარ და შენც გიბრძანებ გამომყე“.

მკაცრმა და მშრალმა კილომ, რომლითაც მან ეს მიბრძანა, დამარ-წმუნა რომ მისი გულის შეცვლა შეუძლებელი იყო. რამდენიმე ნაბი-ჯით უაკნ დავიხიე, რადგან შემეშინდა, საკუთარი ხელით არ განეზრა-ხა ჩემი წაყვანა. - „ნუ აღრმავებთ ჩემს სასონარკვეთილებას, ნუ მაიძუ-ლებთ ურჩობას, - ვუთხარი მე. - თქვენთან ვერ წამოვალ და შეუძლებე-ლიც არის თქვენთან ცხოვრება, ასეთი სისასტიკის შემდეგ. სამუდა-მოდ გემშვიდობებით. ჩემმა სიკვდილმა, რომელსაც სულ მალე

გაიგებთ, - დავუმატე მე ნაღვლიანად - შეიძლება ისევ გააღვიძოს თქვენში მამობრივი გრძნობა“. - „მაშ შენ უარს აცხადებ ჩემთან წამოს-ვლაზე? - მომმართა განრისხებულმა, როცა წასასვლელად მივბრუნ-დი. - ნადი, ისწრაფე დაღუპვისაკენ. მშვიდობით, უმადურო და ურჩო შვილო!“ - „მშვიდობით, - მივაძახე მეც გაშმაგებულმა, - მშვიდობით უსულგულო და უღმობელო მამავ!“

იმ წამსვე ლუქსემბურგიდან გამოვედი, ცოფიანივით დავეხეტებო-დი ქუჩაში, სანამ ბ-ნ დე ტ-ს სახლს არ მივაღექი. გზაზე თვალ-ხელაპ-ყრობილი შევჩიოდი ციურ ძალებს. - ჰოი, ზეცაო! ნუთუ შენც ისეთივე

შეუბრალებელი ხარ, როგორც ადამიანები. სხვა არავისგან, მხოლოდ შენგან მოველი შევლას“.

ბ-ნ დე ტ...ი შინ არ დამიხვდა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა. მისი ცდა, ისე როგორც ჩემი, უნაყოფო გამოდგა. ეს მან მეტად შეწუხებულმა მაცნობა. ახალგაზრდა გ... მ... ისე არ იყო გაჯავრებული ჩემზე და მანონზე, როგორც მისი მამა, მაგრამ არ მოისურვა ჩვენი გამოსარჩლება მოხუცის წინაშე. მან ვერ გაბედა ეს თავისი სასტიკი მამის შიშით, რომელიც ისედაც ძალზე გაბრაზებული იყო მანონთან კავშირის გაბმისათვის.

დარჩა მხოლოდ ერთადერთი გზა - ძალის გამოყენება, რის გეგმაც უკვე დასახა ბ-ნ დე ტ-მ. ამაზე დავამყარე მთელი ჩემი იმედი. - „ეს მეტად საეჭვოა, - ვუთხარი დე ტ...-ს, მაგრამ ჩემთვის ყველაზე სანუგეშო და საიმედო ის არის, რომ თავდასხმის დროს მოსალოდნელია დაღუპვა“.

გამოვეთხოვე დე ტ-ს და ვთხოვე გზა დაელოცა. შევუდექი ფიქრს იმაზე, თუ სად გამომენახა ისეთი ამხანაგები, რომლთაც გადავცემდი ჩემი გაბედულებისა და თავგამოდების ნაპერწკალს მაინც.

პირველად თავში სწორედ იმ გვარდიელმა გამიელვა, რომელსაც გ... მ...-ს დაკავება დავავალე. ვფიქრობდი ღამეც მის ოთახში გამეტარებინა, რადგან დღის განმავლობაში აზრად არ მომსვლია ბინის მონახვა. გვარდიელი მარტო დამხვდა. გაეხარდა შატელედან ჩემი განთავისუფლება. სიამოვნებით აღმითქვა დახმარება. ავუსხენი რა დახმარებას მოველოდი მისგან. იგი საკმაოდ გონიერი გახლდათ, წარმოიდგინა მთელი სიძნელე, მაგრამ იმდენად კეთილშობილი იყო, რომ შიში არ გამოუთქვამს.

ღამის ნაწილი გეგმის განხილვას მოვანდომეთ. ის სამი გვარდიელი, რომელიც უკანასკნელ საქმეში ეხმარებოდა, მისი სიტყვით, გულადი და საიმედო იყო. ბ-ნ დე ტ-მ მაცნობა, თუ რამდენი მცველი გაჰყვებოდა მანონს. ისინი სულ ექვსნი უნდა ყოფილიყვნენ. ხუთი მამაცი და თავგამოდებული კაცი სრულიად საკმარისი იყო თავზარი დაეცა ამ

არამზადებისათვის, რომელთაც არ შეეძლოთ ვაჟკაცურად თავის დაცვა, განსაცდელის დროს ისინი ლაჩრულად მოჰკურცხლავდნენ.

გვარდიელმა იგრძნო, რომ ფული არ მაკლდა, და მირჩია, რათა თავდასხმა წარმატებით

დასრულებულიყო, ფული არ დამეზოგა. - „საჭიროა - მითხრა მან, - ცხენები, დამბაჩები, თითოეულისთვის თოფი. მე ვკისრულობ ხვალ ამისათვის ზრუნვას. საჭიროა აგრეთვე სამი სამოქალაქო ტანისამოსი ჩვენი ჯარისკაცებისათვის: ასეთ საქმეში ისინი ვერ გაბედავენ ჯარისკაცის ტანისამოსით გამოსვლას“ - გადავეცი გვარდიელს ბ-ნ დე ტ-საგან მიღებული ასი პისტოლი. მეორე დღეს მან ეს ფული მთლად დახარჯა. დავათვალიერე ჩემი სამი ჯარისკაცი, შევაგულიანე ისინი დიდი დაპირებით და რომ გამეფანტა ყოველგვარი უნდობლობა, თითოს ათ-ათ პისტოლი ვაჩუქე.

საბედისწერო დღეც დადგა. ერთ-ერთი მათგანი დილა ადრიან გავ-გზავნე თავშესაფარში, რათა ნამდვილად გაეგო თუ როდის გამოვიდოდნენ მცველები თავიანთი ნადავლით. ასეთ სიფრთხილეს მხოლოდ ჩემი დიდი ეჭვის გამო მივმართე, მაგრამ როგორც გამოირკვა, იგი საჭირო აღმოჩნდა. დავეყრდნე რამდენიმე ყალბ ცოდნას, რაც უშუალოდ გზის მიმართულებას შეეხებოდა. მე დარწმუნებული ვიყავ, რომ გადასახლებულთა ჯგუფს გემში როშელში ჩასახადნენ. ამაოდ უნდა მეცადნა ორლენის გზაზე. გვარდიელმა მაცნობა, რომ მათ ნორმანდიის გზით ნაიყვანენ და ამერიკაში ჰავრ-დე-გრასიდან გაგზავნიან.

დაუყოვნებლივ გავემართენით წმ. ჰონორის კარისაკენ, ამასთან ყველა ჩვენგანი სხვადასხვა ქუჩებით წავიდა. გარეუბნის ბოლოს კვლავ შევერთდით. ჩვენი ცხენები მხნე ნაბიჯით მიდიოდნენ.

მაღე დავინახეთ ექვსი მცველი და ორი საცოდავი ეტლი, რომლებიც თქვენ ამ ორი წლის წინათ პასიში ნახეთ. მათ დანახვაზე ცოტას განწყდა ძალა და გონება არ დავკარგე. - „ჰოი, ბედო, - შეეძახე მე - ულ-მოხელო ბედო, მომანიჭე სიკვდილი ან გამარჯვება!“

გავმართეთ თათბირი, თუ როგორ დავსხმოდით თავს. ოთხასამდე ნაბიჯით იყვნენ ჩვენზე დაშორებულნი, ადვილად შეგვეძლო გადაგვერბინა პატარა მინდორი, რომელსაც გარს შარა უვლიდა და გზა გადაგვეჭრა. გვარდიელი მირჩევდა, ანაზღეულად და სწრაფად დავსხმოდით თავს. მე მოვუწონე აზრი და პირველმა გავქუსლე ცხენი, მაგრამ ბედმა ყველა ჩემი ხვეწნა შეუბრალებლად უარყო.

როცა მცველებმა დაინახეს ხუთი ცხენოსანი, რომლებიც მათკენ მიეშურებოდნენ, მიხვდნენ, რომ ეს თავდასხმა იყო. ისინი მოემზადნენ თავდასაცავად, მოიმარჯვეს თოფები და ხიშტები.

ამის დანახვაზე მე და გვარდიელი უფრო გავმხნევედი. მაგრამ ჩვენმა სამმა ლაჩარმა ამხანაგმა, ვაჟკაცობა მთლად დაკარგა. მათ, თითქოს ერთმანეთს შეუთანხმდნენო, ცხენები შეაჩერეს და ერთმანეთს გამოელაპარაკნენ, სიტყვები ვერ გავიგონე, ცხენები მიაბრუნეს და პარიზისაკენ მოკურცხლეს.

- „ღმერთო ჩემო, - შეჰყვირა გვარდიელმა, რომელიც ამ უსინდისო ლალატის გამო ჩემსავით დაიბნა, - რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ ორმა?“ - ელდისა და გაცობისაგან ხმა ჩამიწყდა. შევაჩერე ცხენი. არ ვიცოდი, როგორ მოვექცეულიყავი; პირველ ხანს გავიფიქრე, მეძია შური, გამოვდგმოდი და დამესაჯნა მოლალატე ლაჩრები. შევცქეროდი მათ, როგორ მიაჭენებდნენ ცხენებს. შემდეგ მცველებს ვაპყრობდი თვალებს, რომ შემძლებოდა, ორად გადავქცეულიყავ, ერთდროულად დავესხმოდი თავს ჩემი გაშმაგების ორივე მიზეზს. ახლა კი ვიდექი და ვჭამდი მათ თვალებით.

გვარდიელმა თვალებზე შემატყო ყოყმანი და მთხოვა მისი რჩევა მომესმინა: - „რადგან - თქვა მან, - ჩვენ მხოლოდ ორნი ვართ, უგუნურება იქნება თავს დავესხათ ექვს კაცს, ჩვენზე არანაკლებ შეიარაღებულს, უკვე მომზადებულს ჩვენს დასახვედრად. უმჯობესია დავბრუნდეთ პარიზში და უფრო მამაცნი შევაგროვოთ. მცველები ამ მძიმე ეტლით შორს ვერ წავლენ და ადვილად დავენვეით“.

ერთ წუთს დავფიქრდი ამ წინადადებაზე, რადგან გარს უიმედობა მეხვია. მივიღე ჭეშმარიტად სასონარკვეთილი გადაწყვეტილება: მადლობა გადაუხადე ჩემს თანამგზავს სამსახურისათვის, უარყავ მცველებზე თავდასხმის განზრახვა და გადავწყვიტე მორჩილებით მეთხოვნა მცველებისათვის, მიველე თავიანთ რაზმში და ნება მოეცათ გავყოლოდი მანონს ჰავრ-დე-გრასამდე, ხოლო იქიდან მასთან ერთად ოკეანე გადამეცურა. - „ყველანი მდევნიან, ან

მლალატობენ, - შევჩივლე გვარდიელს. - აღარავისი იმედი არა მაქვს. არაფერს მოველი არც ბედისაგან და არც აღამიანისაგან. ჩემმა უბედურებამ საზღვარს მიაღწია. ამნირად, მორჩილების მეტი არაფერი დამრჩენია. ღმერთმა მოგიმართოთ ხელი თქვენი სულგრძელობისათვის. მშვიდობით, მივდივარ, რომ ჩემს ბედს მივეშველო ჩემს დალუპვაში“. - ამოდ მირჩევდა იგი პარიზში დაბრუნებას. ვთხოვე წინააღმდეგობა არ გაენია ჩემი გადაწყვეტილებისათვის და საჩქაროდ დავეტოვებინე, რათა მცველებს არ ეფიქრათ, თითქოს ჩვენ კვლავ თავდასხმას ვაპირებდით.

მარტოდმარტო გავემართე მათკენ ნელი ნაბიჯით. ამასთან დალონებული, რომ ცუდი არაფერი ეფიქრათ. მიახლოებისას ისინი მაინც თავდაცვითს მდგომარეობაში იყვნენ. მივმართე: - „დამშვიდდით, ბატონებო, მე თქვენზე თავდასხმას არა ვფიქრობ. მოვედი მოწყალეება გთხოვოთ“, - შემდეგ მივმართე დამშვიდებულთ განეგრძოთ გზა და გადავეცი, რა მოწყალეებას მოველოდი მათგან.

მოითათბირეს და მათმა უფროსმა მთელი რაზმის სახელით გამომიცხადა, რომ მართალია, მათ სასტიკად აქვთ ნაბრძანები მკაცრად აღევნონ თვალყური ტუსალებს, მაგრამ მე იმდენად მოვეწონე მათ, რომ მზად არიან გადაუხვიონ მოვალეობას, მაგრამ მე უთუოდ კარგად მესმის, რომ ეს ხარჯებთან არის დაკავშირებული. სულ თხუთმეტიოდე პისტოლი მრჩებოდა. მე

გულახდილად ვაცნობე, რა თანხის მქონე ვიყავი. - „კეთილი, - მიპასუხა მცველმა, - ჩვენ ზედმეტს არ მოგთხოვთ. ერთი ეკიუ დაგიჯდებათ საათის განმავლობაში იმ ქალთან საუბარი, რომელსაც თქვენ მოისურვებთ. ასეთია პარიზის ნიხრი“.

მე მანონზე არ მილაპარაკნია მათთან, რადგან არ მინდოდა მათ სცოდნოდათ ჩემი გრძნობების ამბავი. პირველ ხანს ფიქრობდნენ, რომ ეს მხოლოდ ახალგაზრდა კაცის ახირებააო, რომელსაც უნდა თავის გართობა ამგვარ ქმნილებებთან. მაგრამ, როცა ეჭვი აიღეს, რომ მე შეეყვარებული ვიყავი, ისე აუწიეს ფასს, რომ ჩემი ქისა უკვე მანტიდან გასვლისას დაცარიელდა, სადაც ღამე გავათიეთ, ვიდრე პასიში მოვიდოდით.

გადმოგცეთ ჩემი და მანონის ნაღვლიანი საუბრის შესახებ, ან გითხრათ, რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მანონის გარეგნობამ, როდესაც ოთხთვალასთან მისვლის ნება დამრთეს? აჰ, სიტყვებს მხოლოდ მცირედი განცდის გამოთქმა შეუძლია! მაგრამ წარმოიდგინეთ საბრალო ჩემი სატრფო ნელზე შემოვლებული ჯაჭვით მიბმული, ოთხვალას ერთ კუთხეში თივაზე ჩამომჯდარი, უღონოდ ოთხვალას კედელზე თავმიყრდნობილი, გაფითრებული და ცრემლით დასველებული! ცრემლი დახუჭულ თვალთაგან განუწყვეტლივ სდიოდა. მას თვალი მაშინაც არ გაუხელია, როდესაც მცველებმა თავდასაცავად ხმაური ატეხეს! საცვალი ტალახში ჰქონდა ამოსვრილი, სათუთი ხელები ქარდაკრული, ერთი სიტყვით მთელი მისი სახე და გარეგნობა,

რომელსაც შეეძლო მთელი ქვეყანა დაემორჩილებინა, გამოუთქმელ სულიერ მოშლილობას და უძლურებას გამოხატავდა.

რამდენიმე ხანს ოთხვალას ცხენდაცხენ მივდევდი და დავყურებდი მანონს. თვითონ მე იმდენად ცუდად ვგრძნობდი თავს, რომ რამდენჯერმე კინალამ ცხენიდან გადმოვვარდი. ბოლოს ჩემმა განუწყვეტელმა ოხვრამ და ვაი-ვიშმა მისი ყურადღება მიიპყრო. მიცნო. დავინახე, როგორ შეეცადა ოთხვალადან გადმობტომას, მაგრამ ჯაჭვით შებორკილი, უკან გადავარდა.

შევხვევინე მცველებს, ერთი ნუთით მაინც შეჩერებულიყვნენ. ფულს დაეხარბნენ და დამეთანხმნენ. ჩამოვხტი ცხენიდან და გვერდს მივუჯექი. იგი იმდენად დაქანცული და დასუსტებული იყო, რომ კარგა ხანს ვერც ენა დასძრა და ვერც ხელები აამოძრა. ამ ხნის განმავლობაში ჩემი ცრემლებით ვბანდი ხელებს, რადგან არ შემეძლო არც ერთი სიტყვის წარმოთქმა. აუტანელ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი. როცა ენა ამოვიდგით, ჩვენი სიტყვებიც ასეთივე მწუხარე იყო. მანონი ცოტას ლაპარაკობდა, თითქოს სირცხვილმა და მწუხარებამ ენა წაართვაო. ხმა დასუსტებოდა და უკანკალებდა.

მადლობას მიცხადებდა, არ დავივინყე და გავახარე იმით, რომ - დაუმატა მან ოხვრით - მოვედი, რათა ერთხელ კიდევ მენახე და უკანასკნელი მშვიდობა მეთქვა. დავუწყე რწმუნება, რომ

არაფერს არ შეუძლია ჩემი მასთან დაშორება, რომ მზადა ვარ თუნდაც ქვეყნის საზღვრამდე გავყვე, მოვუარო, ვემსახურო და ჩემი ბედუკუდმართობა განუყრელად დავუკავშირო მისას. საბრალო ქალი ისეთმა ნაზმა და მწარე გრძნობებმა შეიპყრო, რომ შემეშინდა, ესოდენ მძლავრ განცდას არ ევნო მისი ჯანმრთელობისათვის. თითქოს მისი სულის მთელი მოძრაობა მის თვალებში ახატულიყო. თვალები რამდენჯერმე შემომამშტერა. მზად ჰქონდა სიტყვები სათქმელად, მაგრამ ძალა არ შესწევდა წარმოეთქვა. რამდენიმე სიტყვა მაინც გამაგონა და ამ სიტყვებში მოისმოდა აღტაცება და ნაზი ჩივილი ეჭვისა, ნუთუ ესოდენ ბედნიერი ვარ, რომ შენში ასეთი მშვენიერი გრძნობა აღვძარიო; მისი რჩევა, უარი მეთქვა მასთან წასვლაზე, მომეძებნა ახალი ღირსეული ბედნიერება, რომელსაც, მისი სიტყვებით, იგი ვერ მომანიჭებდა, მე არ შემეძლო მიმელო.

უსასტიკესი ბედის მიუხედავად, მე ნეტარებას ვპოულობდი მის თვალებში, ვრწმუნდებოდი, რომ მანონს ვუყვარდი. მართალია დავკარგე ყოველივე, რასაც ადამიანები აფასებენ, მაგრამ სამაგიეროდ მე ვიყავი მანონის გულის მფლობელი, ამას კი ყველაზე მაღლა ვაყენებდი. სად, რომელ ქვეყანაში ვიცხოვრებ, ევროპაში თუ ამერიკაში, სულ ერთი არ არის, თუკი დარწმუნებული ვიქნები ჩემს ბედნიერებაში. სად

არ ვიცხოვრებ ჩემს სატრფოსთან ერთად. განა ერთგულ შეყვარებულთათვის მთელი მსოფლიო სამშობლო არ არის? განა ისინი ერთმანეთში არა ჰხედავენ მამასაც, დედასაც, ნათესავებსაც, სიმდიდრესაც და კეთილდღეობასაც?

მე მხოლოდ ის მანუხებდა, რომ მანონს გაჭირვებული ცხოვრება მოელოდა. მე უკვე წარმოდგენილი მქონდა პირველყოფილ, ველურებით დასახლებულ ქვეყანაში მასთან ცხოვრება. - „დარწმუნებული ვარ - მივმართავდი ჩემს თავს, - რომ იქ არ იქნებიან ისეთი სასტიკი ადამიანები, როგორც არიან გ... მ... და მამაჩემი. იქ ნებას მაინც დაგვრთავენ ერთად და მშვიდად ვიცხოვროთ. თუ მართალია, რასაც ველურებზე ამბობენ, ისინი ბუნების კანონებს მისდევენ. მათ არ იპყრობს სიძუნწის ჟინი, როგორც გ... მ...-ს, მათ არ აქვთ პატიოსნების ისეთი უგუნური გაგება, რამაც მამაჩემის მტერი გამხადა. ისინი არ დასტანჯავენ ორ მიჯნურს, რომელიც მათ გვერდით, მათსავით უბრალოდ იცხოვრებს“. ამ მხრივ მე დამშვიდებული ვიყავი.

მაგრამ ცხოვრების საერთო საჭიროებათა შესახებ რომანტიულად განწყობილი არ ვიყავი. მე ხშირად დავრწმუნებულვარ იმაში, რომ სილატაკე აუტანელია, მეტადრე ფუფუნებასა და ლალ ცხოვრებას შეჩვეული ნაზი ქალისათვის. საშინლად ვნუხდი, რომ ასე დაუფიქრებლად დავაცარიელე ქისა, ხოლო იმ გროშებს, რომელიც ჯერ კიდევ შემრჩენოდა, დღეს თუ ხვალ არამზადა მცველები დამტყუებდნენ. ვგრძნობდი, რომ მცირეოდენი თანხით არამართო ვიცხოვრებდი ერთხანს ამერიკაში, სადაც ფული იშვიათია, არამედ რაიმე მტკიცე საქმესაც მოვაგვარებდი.

ამ მოსაზრებამ გადამანყვეტინა მიმენერა წერილი ტიბერჟისათვის, რომელიც ჩემს

დასახმარებლად ყოველთვის მზად იყო. მართლაც, მახლობელი ქალაქიდანვე გაუფგზავნე წერილი. ვაცნობე, უსახსრობის გამო რა გაჭირვებაში ჩავვარდებოდი ჰავრ-დე-გრასში, სადაც, ეს არ დამიფარავს, მანონს მივაცილებდი. ას პისტოლს ვთხოვდი. - „გამომიგზავნეთ

იგი ჰავრში ფოსტით, როგორც ხედავთ, უკანაკნელად ბოროტად ვიყენებ თქვენს გულკეთილობას. სამუდამოდ მტაცებენ სატრფოს. არ შემიძლია ისე დავტოვო, რომ არავითარი დახმარება არ აღმოვეჩინო. რაც მას შეუძლებს ხვედრს, ხოლო მე - მომაკვდინებელ სევდას“.

მცველებმა, დაინახეს რა ჩემი ძლიერი სიყვარული, გააორკეცეს ფასი სრულიად უმნიშვნელო სამსახურისთვისაც და მალე სრულ სილატაკემდე მიმიყვანეს. სიყვარული კი ნებას არ მაძლევდა ქისას გავფრთხილებოდი. დილიდან საღამომდე მანონთან ვიყავი, და დრო ახლანდგარიშებოდა არა საათობით, არამედ დღის ხანგძლივობით. ბოლოს, ჩემი ქისა დაცარიელდა და მსხვერპლი გავხდი იმ ექვსი არამზადის თვითნებობისა და თავხედობისა, რომლებიც მეტისმეტად უხეშად მეპყრობოდნენ. თქვენთან შეხვედრა ბედისაგან გამოგზავნილი ბედნიერი ამოსუნთქვა იყო. თქვენი მწუხარება, ჩემი უბედურებით გამონვეული, ერთადერთი თავდები იყო თქვენი კეთილშობილი გულის წინაშე. იმ უხეშა დახმარებამ, რაც თქვენ აღმომიჩინეთ, ჰავრამდე მიმიყვანა. მცველებმა თავიანთი დაპირება უფრო ერთგულად შეასრულეს, ვიდრე მოველოდი.

ჩავედით ჰავრში. მაშინვე ფოსტაში გავიქეცი. ტიბერუს ჯერ კიდევ ვერ მოესწრო პასუხის გაცემა.

ვიკითხე რა დღეს შეიძლებოდა მიმელო წერილი. ორ დღეზე ადრე არ მოვიდოდა, ხოლო ჩემი ბოროტი ბედის საკვირველი განზრახვით ჩვენი გემი სწორედ იმ დილით გადიოდა, როცა პასუხი უნდა მოსულიყო. ვერ აგინერთ ჩემს მწუხარებას. - „როგორ, - შევიყვირე მე, - თვით უკიდურესობაშიაც არ იცის ჩემმა ბედმა საზღვარი!“ - „ეჰ, - მიპასუხა მანონმა. - განა ღირს ესოდენ სიცოცხლე ამდენ ზრუნვად? მოკვდეთ ჰავრში, ჩემო ძვირფასო შევალე, სჯობს, სიკვდილმა ერთბაშად მოუღოს ბოლო ჩვენს ტანჯვას. არა ღირს ნასვლა უცნობ ქვეყანაში. უეჭველია იქაც გველოდება საშინელება, რადგან იგი მე სასჯელად მაქვს დანიშნული. მოვიკლათ თავი, - გაიმეორა მან, - ან, ყოველ შემთხვევაში, მომკალი მე, შენ კი ეძიე უკეთესი ხვედრი უფრო ბედნიერ სატრფოს

გულმკედრზე“. - „არა, არა, - ვუპასუხე მე, - თქვენთან ერთად ტანჯვა სასურველია ჩემთვის“.

მანონის სიტყვებმა შემაძრუნეს: ვხედავდი, რომ იგი სასონარკვეთილებამდე იყო მისული. ვცდილობდი მიმელო მშვიდი სახე და გამეფანტა მისთვის ფიქრი სიკვდილზე და უიმედობაზე. გადავწყვიტე, შემდეგშიაც ასე მოვქცეულიყავი და მალე დავრწმუნდი, რომ ქალს ისე არაფერი არ გაამხნევებს, როგორც იმ ადამიანის სიმამაცე, რომელიც უყვარს.

როდესაც ტიბერუსის დახმარების იმედი გადამიწყდა, გავყიდე ცხენი. ეს ფული დავუმატე იმას, რაც თქვენი გულუბრი დახმარებიდან გადამრჩა, გამოვიდა სულ ჩვიდმეტი პისტოლი. შვიდი პისტოლი

მოვახმარე მანონისათვის საჭირო წვრილმანების შეძენას. დანარჩენი ათი საგულდაგულოდ შევინახე. ეს იყო ჩვენი მომავალი კეთილდღეობის საფუძველი ამერიკაში. გემზე დაუბრკოლებლად მიმიღეს, რადგან იმ ხანებში ეძებდნენ ახალგაზრდებს, რომელნიც ნებაყოფლობით წავიდოდნენ ახალშენში. გზა და საზრდო მუქთი მექნებოდა. პარიზის ხვალინდელი ფოსტის მოლოდინში დავწერე წერილი ტიბერუსთან. წერილი მეტად გულის ამაჩუყებელი იყო და უეჭველად იმოქმედებდა მასზე. მართლაც, ამ წერილმა აიძულა იგი მიელო ისეთი გადანყვეტილება, რომელიც შედეგად მოსდევს უბედური ამხანაგისადმი უსაზღვრო სიყვარულსა და სულგრძელობას.

იალქნები ავუშვით. ზურგის ქარი უბერავდა. ვთხოვე გემის უფროსს, ცალკე ოთახი მოეცათ ჩემთვის და მანონისათვის. გემის უფროსი იმდენად კეთილი აღმოჩნდა, რომ სხვა თვალთ შემოგვხედა, ვიდრე ჩვენს საბრალო თანამგზავრებს. მე პირველსავე დღეს გავიხმე განზე და ჩემდამი თანაგრძნობის გამოსანვევად ვუამბე ჩემი უბედურება. სამარცხვინოდ არ მივიჩინე ტყუილიც კი: ვუთხარი მანონზე ჯვარდაწერილი ვარ-მეთქი. მან დამიჯერა და მფარველობას დამპირდა. ამ მფარველობით ჩვენ მთელი მგზავრობის განმავლობაში ვსარგებლობდით. იგი ზრუნავდა ჩვენი კარგი კვებისათვის. მისმა ყურადღებამ ჩვენი უბედურების მოზიარე ამხანაგების პატივისცემაც კი გამოიწვია.

გამუდმებით იმაზე ვზრუნავდი, რომ მანონი ოდნავადაც არ შენუხებულყო. ეს არ შეეძლო არ შეენიშნა მანონს, ხოლო როდესაც შენიშნა და მიხვდა, თუ რა განუსაზღვრელად

ერთგული ვიყავი მისი, ისეთი სინაზით მეპყრობოდა, რომ ჩვენ შორის ურთიერთ სამსახურისა და სიყვარულის ნამდვილი შეჯიბრება გაიმართა. მე სრულიადაც არ მანუხებდა ევროპის მიტოვება. პირიქით, რაც უფრო ვუახლოვდებოდი ამერიკას, მით უფრო მიმშვიდდებოდა გული. მე რომ დარწმუნებული ვყოფილიყავი, რომ იქ უზრუნველყოფილი ვიქნებოდი, მაღლობას შევნირავდი ფორტუნას ჩვენი ბოროტი ბედის ჩარხის ასეთ მობრუნებისათვის.

ორი თვის ცურვის შემდეგ, როგორც იყო, მივადექით სასურველ ნაპირს. პირველი შეხედვით, ეს ქვეყანა არაფერს სასიამოვნოს არ წარმოადგენდა. ჩვენ წინ იშლებოდა უნაყოფო და უდაბური მიწები; აქა-იქ მოჩანდა ქარისგან ფოთოლგაძარცვული ხეები. თვალი ვერ ხედავდა ვერც ადამიანს და ვერც პირუტყვს. ამასობაში გემის უფროსმა ბრძანა რამდენჯერმე გაესროლათ. მცირე ხნის შემდეგ დავინახეთ ახალი ორლენის მოქალაქეთა ჯგუფი, რომელიც სიხარულით მოემუშრებოდა ჩვენსკენ. ქალაქს ვერ ვხედავდით, რადგან პატარა სერი ეფარებოდა. ისე მიგვიღეს, თითქოს ციდან ვყოფილიყავით ჩამოსულნი.

საბრალო მცხოვრებლებმა უამრავი კითხვა მოგვაყარეს საფრანგეთზე და იმ პროვინციებზე, საიდანაც ისინი იყვნენ. გვეხვეოდნენ, როგორც ძვირფას ძმებსა და ამხანაგებს, მათი უბედურებისა და მარტოობის გასაზიარებლად მისულებს. მათთან ერთად წავედით ქალაქისაკენ, მაგრამ, როცა მივუახლოვდით, გავოცდით: ის, რასაც ისინი ქალაქს ეძახდნენ, სხვა არა იყო რა, გარდა

რამდენიმე საცოდავი ქოხისა. ამ ქოხებში ხუთასი ან ექვსასი კაცი ცხოვრობდა. გუბერნატორის სახლი ოდნავ გამოირჩეოდა სიმაღლითა და მდებარეობით. მას იცავდა მიწის სიმაგრე, რომელსაც თხრილი ჰქონდა შემოვლებული.

უპირველესად, გუბერნატორს წარგვადგინეს. იგი დიდხანს თათბირობდა საიდუმლოდ გემის უფროსთან. შემდეგ მოვიდა ჩვენთან და

თვითეულად დაათვალიერა ქალები, რომლებიც გემით მოვიდნენ. ოც-დაათი ქალი იქნებოდა, რადგან ჰავრში მეორე ჯგუფიც შემოგვიერთდა. გუბერნატორმა გულდასმით დაათვალიერა ისინი. ბრძანა დაეძახნათ ქალაქის ახალგაზრდებისათვის, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ საცოლოებს, ყველაზე კარგები უფრო წარჩინებულებს დაურიგა, სხვებზე კი წილი ჰყარეს. მანონს ჯერ არ დალაპარაკებოდა. ბოლოს როცა სხვები გაისტუმრა, გვითხრა: - „გემის უფროსმა გადმომცა, რომ თქვენ ცოლი და ქმარი ყოფილხართ და რომ გზაში ისე გექირათ თავი, როგორც გონიერ და ღირსეულ ადამიანებს. მე არ მინდა თქვენი უბედურების მიზეზის გამოკვლევას შევეუდგე, მაგრამ თუ თქვენ მართლაც პატიოსნები ხართ, რასაც თქვენი გარეგნობა ადასტურებს, არაფერს დავიშურებ თქვენი ხვედრის შესამსუბუქებლად, მხოლოდ თქვენც, თქვენი მხრით, უნდა ეცადოთ მასიამოვნოთ ამ ველურსა და უდაბურ ადგილას“.

მე ისეთი პასუხი გავეცი, რაც არ შეარყევდა იმ წარმოდგენას, რომელიც მას ჩვენზე შეედგინა. მან

განკარგულება გასცა მოემზადებინათ ჩვენთვის ქალაქში ბინა და ვახშმად თავისთან დაგვტოვა. როგორც ისეთი პირი, რომელიც განკიცხულებს უფროსობს, მე იგი საკმაოდ თავაზიან კაცად მეჩვენა. ვახშამზე, სხვების თანდასწრებით მას არც ერთი კითხვა არ მოუცია ჩვენთვის - ჩვენი თავგადასავლის შესახებ. გაიმართა საერთო საუბრები და, თუმცა მე და მანონს საკუთარი დარდი გვანუხებდა, შევეცადეთ სასიამოვნო გაგვეხადა იგი.

სალამოთი წაგვიყვანეს ჩვენთვის მომზადებულ სადგომში. იგი წარმოადგენდა საცოდავ ქოხს. მიწით შელესილი ფიცრული სადგომი შესდგებოდა ერთ სიმაღლის ორი თუ სამი ოთახისაგან. ზემოთ სხვენი ჰქონდა. გუბერნატორმა ბრძანა, დაედგინათ იქ ხუთი თუ ექვსი სკამი და ზოგი რამ აუცილებელი მოწყობილობა.

მანონს თავზარი დასცა ამ უბადრუკი ბინის დანახვამ. ჩემთვის მისი მწუხარება უფრო მწვავე იყო, ვიდრე მისთვის, როცა მარტონი დავ-

რჩით, მწარედ ატირდა. დავუნყე დამშვიდება, მაგრამ როდესაც გამო-
მიცხადა, ვებრალეები და ჩვენს საერთო უბედურებაში მხოლოდ იმაზე
ფიქრობს, რომ მე ვიტანჯები, შევეცადე თავი მხნედ და მხიარულად
მეჩვენებინა, რათა ეს მხიარულება მისთვისაც გადამედო.

- „რატომ უნდა ვიტანჯო?! - მივუგე მე: - ყველაფერი მაქვს, რაც
მსურს. თქვენ გიყვარვართ, ხომ

მართალია? მე ხომ მხოლოდ ასეთი ბედნიერებისათვის ვოცნებობ-
დი. მაშ, მივაღვენოთ ზეცას ჩვენი ბედი. იგი არ მიმაჩნია მეტისმეტად
უნუგეშოდ. გუბერნატორი ზრდილობიანი კაცია; მან ყურადღება მოგ-
ვაქცია და ცდილობს არაფერი დაგვაკლოს. რაც შეეხება ჩვენი ფიც-
რულის სილატაკეს და უხემ მონყობილობას, აქაურ მცხოვრებთა მცი-
რე ნაწილი თუ დაიკვებნის უკეთეს ქოხსა და მონყობილობას. ბოლოს,
- დავუმატე და გადავკოცნე, - შენ ხომ გასაოცარი ალქიმიკოსი ხარ:
ყველაფერს ოქროდ გადააქცევ“.

- „თუ მაგრეა, თქვენ დედამინაზე უმდიდრესი ადამიანი იქნებით, -
მომიგო მან, - რადგან, თუ არასოდეს არ ყოფილა ისეთი ძლიერი სიყვა-
რული, როგორც თქვენი, მაშინ არც არავინ ჰყვარებიათ სხვა ისე ნა-
ზად, როგორც თქვენ. ვიცი, - განაგრძო მან, - რომ არაფრით დამიმსა-
ხურებია ეს არაჩვეულებრივი გრძნობა, რომლითაც თქვენ ხართ ჩემ-
დამი გამსჭვალული. მე თქვენ იმდენი მწუხარება მოგაყენეთ, რომ
მხოლოდ თქვენს უსაზღვრო გულკეთილობას შეეძლო ეპატიებინა. მე
ქარაფშუტა და უგუნური ვიყავი; თავდავინყებით მიყვარდით, მაგრამ
მანინც უმადურად გეპყრობოდით. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამო-
ვიცვალე. საფრანგეთიდან ჩვენი წამოსვლის შემდეგ ცრემლებს, რომ-
ლებსაც ასე ვლვრიდი, არასოდეს არ ჰქონიათ მიზეზად ჩემი საკუთარი
ტანჯვანი. მე ტანჯვას აღარ ვგრძნობდი მას შემდეგ, რაც თქვენ იგი
გაინაწილეთ. მე ვტიროდი მხოლოდ თქვენდამი სიბრალულის გამო. მე
ჩემი თავისთვის ველარ მიპატიებია ერთი წუთის მწუხარებაც კი, რო-
მელიც თქვენ მოგაყენეთ. მაგრამ ვაყვედრი ჩემს თავს, რომ დაუდგავა-
რი

ვიყავი. ვფიქრობ იმაზე, თუ რა ჩაგადენინათ სიყვარულმა ისეთი უღირსისა და უბედურისათვის, როგორც მე ვარ. მთელი ჩემი სისხლით ვერ გამოვისყიდი, - დაუმატა მან ქვითინით - იმ ტანჯვის ნახევარსაც კი, რომელიც თქვენ მოგაყენეთ“.

მისმა ცრემლებმა, მისმა სიტყვებმა, მისმა ხმამ, ისეთი გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ მეგონა, თითქოს ჩემი სული ორად გაიყო.

- „ფრთხილად, ფრთხილად, ძვირფასო მანონ, - ვუთხარი, - აღარ ძალმიძს შენი ასეთი სიყვარულის ატანა; მოჭარბებულ სიხარულს ჩვეული არა ვარ. ოჰ, ღმერთო, - შეეძახე, - მეტს არაფერს გთხოვ. ახლა კი დავრწმუნდი, რომ მანონის გული მხოლოდ მე მეკუთვნის! ის სწორედ ისეთია, როგორსაც მე ვოცნებობდი. ამიერიდან ბედნიერი ვარ: ჩემი ნეტარება ურყევია!“

- „ურყევია! - მიპასუხა მან, - თუ თქვენ მას ჩემთან აკავშირებთ. მეც კარგად ვიცი, სად შემიძლია ვიპოვო ჩემი ნეტარება“.

დავიძინე ამ წარმტაცი აზრებით, რომლებმაც ჩემი ქოხი მსოფლიოში უპირველეს მეფის საკადრის სასახლედ გადააქცია. ამერიკა მე სამოთხედ მეჩვენებოდა. - „ვისაც სურს ნამდვილი სიყვარულის სიტკობა იგემოს, ახალ ორლეანში უნდა მივიდეს, - ხშირად ვეუბნებოდი მანონს, - სხვაგან

არსად არ არსებობს უანგარო, უეჭვო, უცვლელი სიყვარული. ჩვენი თანამემამულენი აქ ოქროს საძებნელად მოისწრაფიან. მათ წარმოდგენაც არა აქვთ იმაზე, რომ ჩვენ აქ უფრო ძვირფასი განძი მოვიპოვეთ“.

ჩვენ გულმოდგინედ ვიცავდით გუბერნატორთან მეგობრულ დამოკიდებულებას. იგი იმდენად ღმობიერი გამოდგა, რომ ჩვენი ჩასვლის რამდენიმე კვირის შემდეგ მომცა პატარა ადგილი, რომლებიც იმ ხანებში ფორტში განთავისუფლდა. სამსახური უმნიშვნელო იყო, მაგრამ მე ისე მივიღე, როგორც ზეცის ნყალობა. ავიყვანე მსახური ჩემთვის და მოახლე - მანონისათვის. ჩვენი არც ისეთი დიდი ოჯახი მოენ-

ყო, წესიერად ვცხოვრობდით, შემთხვევას არ ვუშვებდით, რომ მეზობლებისათვის რაიმე სამსახური ან დახმარება გაგვეწია. ოფიციალურმა მდგომარეობამ და ტკბილმა მოპყრობამ მთელი ახალშენის ნდობა და სიყვარული მოგვიპოვა. მალე ჩვენ ისეთი პატივისცემით გვეპყრობოდნენ, რომ ქალაქში გუბერნატორის შემდეგ პირველი პირები ვიყავით.

წყნარმა და მყუდრო ცხოვრებამ ჩვენდა უნებურად ჩვენი გულისყური მიაქცია რელიგიასაც. მანონი არასოდეს ყოფილა უღმერთო, არც მე ვეკუთვნოდი უკიდურეს თავისუფალ მოაზროვნეთ, რომელნიც იმით ყოყორობენ, რომ ზნეობრივ სიბილწეს ურწმუნობას უკავშირებენ. ყველა ჩვენი უნესობის მიზეზი სიყვარული და ახალგაზრდობა იყო. გამოცდილებამ წლების მაგივრობა გაგვინია: მან მოგვცა ის, რის მოცემაც ხანგრძლივ წლებს შეეძლო. ჩვენმა გონიერმა ბაასმა

შეუმჩნევლად წმინდა სიყვარულთან მიგვიყვანა. მე პირველმა მივეცი წინადადება მანონს დაგვეკანონებინა ჩვენი დამოკიდებულება. მე ვიცნობდი მის გულს, იგი პირდაპირი და ბუნებრივი იყო. ეს თვისება ყოველთვის ხელს უწყობდა სათნოებას. მე ვაგრძნობინე, რა აკლდა ჩვენ ბედნიერებას: - „მას აკლია ზეცის კურთხევა, - ვუთხარი. - ჩვენი სულის სისპეტაკეს, ჩვენი გულის უმანკობას არ შეშვენის მოვალეობის დავინყება. ასე ცხოვრება შეგვეძლო საფრანგეთში, სადაც ერთიანად შეუძლებელი იყო როგორც ჩვენი სიყვარულის შეწყვეტა, ისე დაკანონება. ხოლო ამერიკაში, სადაც ჩვენ ჩვენი თავის გარდა, არავიზე არა ვართ დამოკიდებული, სადაც ჩვენ არა ვართ იძულებულნი ანგარიში გავუწიოთ საზოგადოების პირობით კანონებს, სადაც ჩვენ ცოლქმრად ვითვლებით, ვინ დაგვიშლის მართლაც დავქორწინდეთ და გავაპატიოსნოთ ჩვენი სიყვარული ეკლესიის მიერ დაწესებული აღთქმით. მე თქვენ არავითარ ახალ წინადადებას არ გაძლევთ იმით, რომ ჩემს გულსა და ხელს გთავაზობთ. მე მზადა ვარ მხოლოდ ეს საჩუქარი მოგიძღვნათ საკურთხეველის წინაშე“.

შევატყე, რომ ამ სიტყვებმა გაახარა. - „დამიჯერეთ, - მიპასუხა მან, - ეგ აზრი ბევრჯერ მომსვლია თავში მას შემდეგ, რაც ჩვენ ამერიკაში

ვართ. იმის შიში, რომ თქვენ ამას არ მოინონებდით, მაიძულებდა გულში ჩამეკლა ეს სურვილი. მე არა მაქვს უფლება მოვითხოვო თქვენ მეუღლედ გახდომა“. - „ოჰ, მანონ, - შევძახე მე, - სიამოვნებით გაგხდი დედოფლად, ზეცას რომ ენებებინა და გვირგვინოსანი დავებადებინე. ყოყმანი ზედმეტია. არავითარი დაბრკოლება არ მოგველის. მე

დღესვე მოველაპარაკები გუბერნატორს და გამოვუტყდები, რომ აქამდე ვატყუებდით. დეე, უბადრუკ შეყვარებულებს ეშინოდეთ, - დავუმატე მე - ქორწინების განუწყვეტელი ბორკილებისა; ისინი ამ შიშს, უეჭველია, დაჰკარგავდნენ, დარწმუნებულნი რომ იყვნენ ჩვენსავით სიყვარულის ბორკილების სიმტკიცეში. ჩემმა გადაწყვეტილებამ მანონი უსაზღვროდ გაახარა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ყოველი პატიოსანი ადამიანი მოინონებდა ჩემს განზრახვას იმ მდგომარეობაში, რომელშიაც მე ვიმყოფებოდი, ე. ი მაშინ, როდესაც მე დამონებული ვყავდი უძლეველ ვნებას და დატვირთული ვიყავი სინდისის ქენჯნით. მაგრამ ვინ გაჰბედავს და იტყვის, რომ მე მართალი არ ვიყავი, როდესაც ვუჩიოდი ზეცის გულქვაობას, რომელმაც უარყო ჩემი განზრახვა, გამონვეული მისი გულისმოგების ერთადერთი სურვილით. არა, რას ვამბობ? ზეცამ არა თუ უარჰყო, მან დასაჯა კიდეც ეს განზრახვა, როგორც დანაშაული. იგი მოთმინებით მეპყრობოდა, სანამ მე ბრმად მივდევი ცოდვის გზას და სამაგიერო გადამიხადა და სასტიკი მახვილი ჩამცა სწორედ მაშინ, როდესაც მე კვლავ დავადექი სათნოების გზას. ვშიშობ, ძალა არ მეყოფა განვაგრძო თხრობა იმ შავბნელ მოვლენაზე, რომლის მსგავსიც არასოდეს მომხადარა.

როგორც მანონს დავპირდი, გავეშურე გუბერნატორთან, რათა ნებართვა მეთხოვა ჩვენი დაქორწინებისათვის. მე არც მას და არც სხვას ვისმე არაფერს ვეტყოდი ამაზე, დარწმუნებული რომ ვყოფილიყავ, რომ მისი მოძღვარი ერთადერთი სასულიერო პირი ქალაქში, ამ სამსახურს

გამინევედა გუბერნატორის ჩაურევლად. მაგრამ იმედი არა მქონდა, რომ მოძღვარი საიდუმლოს შემინახავდა. ამიტომ გადავწყვიტე აშკარად მემოქმედნა.

გუბერნატორს ძმისნული ჰყავდა, სახელად სინელე, რომელიც ძალიან უყვარდა. ოცდაათი წლისა იქნებოდა. მამაცი, მაგრამ ამაყი და კადნიერი კაცი იყო, უცოლშვილო. მანონის ჩამოსვლის პირველი დღიდანვე მისმა სილამაზემ მიიქცია სინელეს ყურადღება. ცხრა თუ ათი თვის განმავლობაში მანონთან მრავალჯერ შეხვედრამ ისე გააღვიძა მისი სიყვარული, რომ იგი ფარულად ძალიან იტანჯებოდა. მაგრამ რაკი თავის ბიძასავით დარწმუნებული იყო, რომ მე ნამდვილად ჯვარდანიერილი ვიყავი, თავისი გრძნობა მას არაფრით არ გამოუმჟღავნებია, პირიქით, ყურადღებით მექცეოდა და მრავალ შემთხვევაში სამსახურსაც მინევედა.

ფორტში რომ მივედი, ის ბიძასთან დამხვდა. მე არავითარი საბაზი არა მქონია დამეფარა მისთვის ჩემი განზრახვა, ამიტომ მისი თანდასწრებით ყველაფერი ავუხსენი გუბერნატორს. გუბერნატორმა ჩვეულებრივი გულკეთილობით მომისმინა. მე ვუამბე ჩემი თავგადასავლის ნაწილი, რომელიც მან სიამოვნებით მოისმინა და როდესაც ვთხოვე დასწრებოდა ჯვრისწერას, იმდენი გულკეთილობა გამოიჩინა, რომ ზეიმის ხარჯი თვითონ იკისრა. სრულიად კმაყოფილი გამოვედი.

ერთი საათის შემდეგ ჩემთან მღვდელი შემოვიდა. გავიფიქრე ჩემი ჯვრისწერის გამო მოვიდა და

უნდა ზოგი რამ რჩევა-დარიგება მომცეს-მეთქი. მაგრამ იგი ცივად მომესალმა და ორიოდე სიტყვით განმიცხადა, რომ ბ-ნ გუბერნატორი მიკრძალავს ფიქრსაც კი ჯვრის წერაზე, რომ მანონის შესახებ მას სხვა გადანყვეტილება აქვს მიღებული. - „სხვა გადანყვეტილება მანონის შესახებ! - შევძახე მე და გულზე საშინელი ბოღმა შემომანვა: - რა გადანყვეტილება, ბატონო ჩემო?“ - „თქვენ უნდა იცოდეთ, - მიპასუხა მან, - რომ აქაურობის ბატონ-პატრონი გუბერნატორია. მანონი საფრანგეთიდან გამოგზავნილი იყო ახალშენისათვის, გუბერნატორს უფლება აქვს მისი ბედი თავისი შეხედულებისამებრ გადანყვიტოს. აქამდე

თუ ასე არ მოიქცა, ეგონა, გათხოვილიაო, ახლა კი როცა თქვენგანვე გაიგო, რომ გათხოვილი არ არის, გადაწყვიტა ქალი ბ-ნ სინელეს მისცეს, რომელსაც იგი უყვარს“.

სიფიცხემ სძლია ჩემს კეთილგონიერებას. მოძღვარს ამჟამად ვუბრძანე მომშორდით-მეთქი და დავიფიცე, რომ ვერც გუბერნატორი, ვერც სინელე და ვერც მთელი ქალაქი ვერ გაბედავს ხელი ახლოს ჩემს ცოლს თუ ჩემს საყვარელს, რაც უნდა უნოდონ მას.

მე მაშინვე გადავეცი მანონს ეს საშინელი ამბავი, ცხადი იყო, ჩემი წამოსვლის შემდეგ სინელემ აიძულა თავისი ბიძა, შეეცვალა აზრი და რომ ეს დიდი ხნის მისწრაფების ამბავი უნდა ყოფილიყო. ისინი ყველაზე ძლიერნი იყვნენ. ახალ ორლენში ჩვენი ცხოვრება შუა ზღვაში ცხოვრებას ჰგავდა, რადგან დიდი მანძილით ვიყავით დაშორებულნი დანარჩენ ქვეყნიერებას. სად უნდა

გავქცეულიყავით ამ უცნობ მხარეში. უდაბნოში, მხეცებითა და მათი მსგავსი ველურებით დასახლებულ ქვეყანაში? მე ქალაქში პატივს მცემდნენ, მაგრამ იმედი არა მქონდა იმდენად ამეღელვებინა ხალხი, რომ საკმაო დახმარება მიმეღო. აქ საჭირო იყო ფული, მე კი ღატაკი ვიყავ. ამასთან, საეჭვო იყო ხალხის აჯანყება; და ბედს რომ ეღალატნა ჩვენთვის, მაშინ უბედურების თავიდან აცილება შეუძლებელი იქნებოდა.

ეს აზრები თავში მიტრიალებდა; ზოგი მათგანი მანონს გავუზიარე. მის პასუხს არ ვუსმენდი, კვლავ ახალ აზრს ვადგებოდი; ყოველ ნუთს გეგმას ვცვლიდი. ჩემს თავს ველაპარაკებოდი, ჩემს აზრებს ხმამაღლა ვუპასუხებდი. ბოლოს, ისე ავღელდი, რომ მსგავს რაიმეს ვერ წარმოიდგენს ადამიანი. მანონი თვალს არ მაშორებდა. ჩემი აღშფოთების მიხედვით ზომავდა საშიშროების საშინელებას. იგი ჩემთვის უფრო შიშობდა, ვიდრე თავისთვის. ასეთმა ნაზმა ქალმა ერთი სიტყვაც კი ვერ დასძრა თავისი შიშის გამოსახატავად.

დაუსრულებელი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე გუბერნატორი მენახა და ვცდილიყავ მემოქმედნა მის სინდისზე, მომეგონებინა მისთვის, რა პატივით ვეპყრობოდი და როგორ ვუყვარდი. მანონი ჩემი იქ

წასვლის წინააღმდეგი იყო. - „აშკარა სიკვდილზე მიდიხარ, - მეუბნებოდა იგი თვალცრემლიანი, - ისინი მოგკლავენ; ველარ გნახავთ. მე უნდა მოვკვდე თქვენზე ადრე“. დიდი შრომა დამჭირდა დამერწმუნებინა, რომ ჩემი წასვლა აუცილებელი იყო. ის კი შინ უნდა

დარჩენილიყო. დავპირდი, მალე დავბრუნდები-მეთქი. არც მან იცოდა და არც მე, რომ სწორედ მას უნდა დასტეხვოდა ზეცის რისხვა და ჩვენი მტრების სიმკაცრე.

გავემურე ფორტისაკენ. გუბერნატორი მღვდელთან ერთად დამხვდა. თავი რომ შემებრალებინა, ძალზე დავიმდაბლე თავი და მორჩილად ვემუდარებოდი. სხვა დროს ასეთი რამისაგან სირცხვილით დავინვოდი. მოვუყვანე ათასი მოსაზრება, რაც უეჭველად იმოქმედებდა ყველა სხვაზე, რომ მას გააფთრებული და მრისხანე ვეფხვის გული არა ჰქონდა.

ეს ბარბაროსი ყველა ჩემს მუდარაზე მხოლოდ ორ რამეს იმეორებდა განუწყვეტლივ: მანონი მის განკარგულებაშია, მას სიტყვა მისცა თავის ძმისნულს. გადანყვეტილი მქონდა, რაც კი შეიძლებოდა თავი შემეკავებინა, ამიტომ დავკმაყოფილდი სიტყვებით და განვუცხადე, რომ ის ჩემს დიდ მეგობრად მიმაჩნია, რომ იგი არ მოისურვებს ჩემს სიკვდილს, რაც აუცილებელი იქნება, თუ სატრფოს დავკარგავ-მეთქი.

გუბერნატორს გავშორდი სავსებით დარწმუნებული, რომ იმედი აღარ უნდა მქონოდა ჯიუტი მოხუცისა, რომელიც მზად იყო ათასჯერ სულიც კი გაეყიდა თავისი ძმისნულისათვის. მე მაინც გადანყვეტილი მქონდა ბოლომდე გარეგნულად მორჩილი ვყოფილიყავი, მაგრამ თუ უსამართლობა გაიმარჯვებდა, მაშინ ამერიკისათვის მეჩვენებინა ისეთი უსაშინელესი სისხლიანი სანახაობა, რაც კი ოდესმე სიყვარულს შეუქმნია.

ვბრუნდებოდი შინ და ვარკვევდი ჩემი მოქმედების გეგმას, როცა ბედმა, რომელიც ჩემს დალუპვას აჩქარებდა სინელეს შემახვედრა. მან ჩემს თვალებში ჩემი აზრი ამოიკითხა. მე უკვე ვთქვი, რომ იგი მამაცი კაცი იყო. მომიახლოვდა: - „ალბათ მე დამეძებთ? - მომმართა მან, - ვიცი, რომ ჩემი განზრახვა შეურაცხყოფთ და სისხლის დაუღვრელად

ვერ მოვრიგდებით: ვნახოთ, ვინ უფრო ბედნიერია.“ ვუთხარი: - მართალი ხართ, ჩვენს დავას მხოლოდ სიკვდილი გადაწყვეტს-მეთქი.

ქალაქს ასიოდე ნაბიჯით დავშორდით. ხმალდახმალ შევებით. მე იგი თითქმის ერთსა და იმავე დროს დავჭერი და განვაიარაღე. იგი იმდენად გააბრაზა დამარცხებამ, რომ არ მოისურვა შებრალების თხოვნა და მანონზე ხელის აღება. შეიძლება მეც მქონდა უფლება ნამერთმია მისთვის სიცოცხლეც და მანონიც, მაგრამ კეთილშობილი სისხლი არასოდეს ჰღალატობს თავის თავს. მე დაშნა გადავუგდე და შევძახე: - „დავინყოთ ხელახლა, მაგრამ იცოდეთ, შებრალებას ადგილი აღარ ექნება“. - მან გააფთრებით შემომიტირა. უნდა გამოვტყდე, რომ დაშნის ხმარებაში დახელოვნებული არ ვიყავ, რადგან მხოლოდ სამთვეს ვსწავლობდი მას პარიზში. ჩემს დაშნას სიყვარული ჰმართავდა. სინელემ დაშნა ხელში გამიყარა, მაგრამ მე დრო შეეფურჩიე და ისე ძლიერ დავკარი, რომ უსულოდ დაეცა ჩემს ფეხებთან.

იმ სიხარულის მიუხედავად, რომელსაც სასიკვდილო ბრძოლის შემდეგ გამარჯვება იძლევა, დაუყონებლივ წარმოვიდგინე ამ მკვლელობის შედეგი. იმედი არ მქონდა არც შეწყალებისა და

არც სასჯელის გადადებისა. ვიცოდი, როგორ უყვარდა გუბერნატორს ძმისწული, დარწმუნებული ვიყავ, როგორც კი გაიგებდნენ ხმალში განვევის შედეგს, ამას ჩემი სიკვდილით დასჯაც მოჰყვებოდა. ეს შიში სავსებით საფუძვლიანი იყო, მაგრამ ჩემი მწუხარების მთავარი მიზეზი როდი იყო. მანონის ბედი, მისი დაღუპვა დაკარგვა მისი, - აი რამ აღმაშფოთა ისე, რომ თვალთ დამიბნელდა და გონს ვერ მოველი. შევნატროდი სინელეს ხვედრს: სიკვდილი, მხოლოდ სიკვდილი მიმაჩნდა ჩემი ტანჯვის ერთადერთ მაღამოდ.

სწორედ ამ აზრმა მომიყვანა გონს. - „როგორ! მე მინდა სიკვდილი, მინდა ჩემ ტანჯვას ბოლო მოვულო! - წამოვიყვირე მე, - მაშასადამე, ყოფილა იმაზე უფრო საშინელი რამ, ვიდრე სატრფოს დაკარგვა?! არა, ეს შეუძლებელია! ავიტან უკიდურეს ტანჯვას სატრფოსათვის; სიკვდილს კი მოვასწრებ მაშინ, როცა ყოველივე ამას იქნება“.

ქალაქისაკენ გავეშურე. როცა შინ მივედი, მანონი შიშისაგან და მწუხარებისაგან ცოცხალ-მკვდარი დამხვდა. ჩემმა დანახვამ გამოაბრუნა. ვერ დავუმალე ის საშინელი შემთხვევა, რაც გადამხდა. სინელეს სიკვდილსა და ჩემი დაჭრის გაგონებაზე იგი უგრძნობლად დაეცა, თხუთმეტი წუთი მაინც მომინდა მის მოსასულიერებლად.

თვითონაც ცოცხალ-მკვდარი ვიყავი. წინ არავითარ იმედს არ ვხედავდი, ან ის როგორ დამეხსნა,

ან ჩემი თავისთვის რა მეშველნა. - „მანონ! როგორ მოვიქცეთ? - შევეკითხე, როცა ოდნავ გონს მოვიდა, - რა გვეშველება? მე აუცილებლად უნდა გავიქცე. გინდათ ქალაქში დარჩენა? დიალ, დარჩით აქ. თქვენ კიდევ მოესწრებით ბედნიერებას, მე კი ნავალ, რომ თქვენგან მოშორებულმა, ველურთა შორის, ან ნადირთა კლანჭებში ვიპოვო სიკვდილი“.

მიუხედავად თავისი სისუსტისა, იგი წამოდგა, მკლავში ხელი წამავლო და კარებთან მიმიყვანა. - „გავიქცეთ ერთად, - მითხრა მან, - დროს ნულარ დავკარგავთ. სინელეს გვამს შეიძლება შემთხვევით წააწყდნენ და გასაქცევი დრო აღარ დაგვრჩება“ - „მაგრამ, ძვირფასო მანონ, - მივუგე მე თავგზადაბნეულმა - მითხარით, სად წავიდეთ? გაქვთ კიდევ რისიმე იმედი? უმჯობესი არ იქნება დარჩეთ აქ უჩემოდ, მე კი დავნებდე გუბერნატორს?“

ამ წინადადებამ უფრო გააძლიერა მასში გაქცევის სურვილი. მეც იძულებული გავხდი გავყოლოდი. იმდენი გონება კიდევ შემრჩენოდა, რომ წასვლისას თან წავიღე მაგარი სასმელები, რაც კი ჩემს ოჯახში მოიპოვებოდა და მთელი სურსათ-სანოვაგე, რაც ჯიბეებში ჩამეტია. მოსამსახურეს, რომელიც მეორე ოთახში იყო, ვუთხარით, გასასეირნებლად მივდივართ-თქო. საღამოობით გასეირნება წესად გვქონდა შემოღებული. დიდი სისწრაფით გავედით ქალაქიდან, რამდენადაც კი მანონის ნაზი აგებულება ამის ნებას გვაძლევდა.

თუმცა ჯერ კიდევ ვყოყმანობდი საიმედო თავშესაფრის არჩევაში, მაგრამ ორი იმედი მაინც მასულდგმულებდა, რომელთა გარეშე მე სიკვდილს ვარჩევდი, ვიდრე იმის არ ცოდნას, თუ რა მოელოდა მანონს.

იმ ათი თვის განმავლობაში, რაც ჩვენ ამერიკაში დავყავით, საკმაოდ გავიცანე ეს ქვეყანა და ვიცოდი, თუ როგორ უნდა მოვპყრობოდი ველურებს, ვიცოდი ისიც, რომ თუ კაცი მათ მიენდობოდა, მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ მოელოდა. მე რამდენიმე სიტყვაც კი ვისწავლე მათ ენაზე და მათთან შეხვედრის დროს გავეცან ზოგიერთ მათ ზნე-ჩვეულებას.

ამ სამწუხარო იმედის გარდა, მე ინგლისელების იმედიც მქონდა. მათ ამ ახალ ქვეყანაში ჩვენსავით აქვთ ახალშენები, მაგრამ მაშინებდა მანძილი: მათ ახალშენამდე უნდა გვეარნა რამდენიმე დღეს და უნდა გაგვევლო უნაყოფო ველები და მთები, იმდენად მაღალი და ფრიალო მთები, რომ იქ გავლა ღონიერ და გამძლე ადამიანებსაც გაუჭირდებოდათ. მე მაინც იმედი მქონდა, რომ გამოვიყენებდით როგორც ერთს, ისე მეორე შესაძლებლობას - ველურები გზას გვიჩვენებდნენ, ხოლო ინგლისელები თავშესაფარს მოგვცემდნენ ახალშენებში.

მივდიოდით შეუჩერებლად. რამდენადაც მანონს ძალა შესწევდა, და გავიარეთ დაახლოებით ორი მილი. ამ ხნის განმავლობაში ჩემი სატრფო დაჟინებით უარს ამბობდა დასვენებაზე. ბოლოს, ძალაგამოლეული გამომიტყდა, სიარული აღარ შემიძლიანო. უკვე დაღამდა. ტრიალ მინდორში დავსხედით, ხეც კი არსად იყო, რომ თავი შეგვეფარებინა. მისი უპირველესი საზრუნავი ის იყო,

რომ ჩემი ჭრილობისათვის შესახვევი გამოეცვალა, რომელიც წასვლის წინ თვითონ გამიკეთა. ამაო იყო ჩემი წინააღმდეგობა; ძალზე ვანყენინებდი, თუ საშუალებას არ მივცემდი დარწმუნებულყო, რომ მე კარგად ვარ და არავითარი საფრთხე არ მომელის. რამდენიმე წუთით დავემორჩილე მის სურვილს. მზრუნველობას ხმაამოუღებელივ და დარცხვენილი ვიღებდი.

როცა ჩემთვის ნაზ ზრუნვას მორჩა, ახლა მე ჩემის მხრით შევუდექი სამაგიეროს გადახდას. ტანისამოსი გავიხადე და ძირს დავფინე, რათა მაგარ მინაზე უფრო მოხერხებულად დანოლილიყო. უარს აცხადებდა, მაგრამ ვაიძულე მიეღო ჩემი ზრუნვა. ვუთბობდი ხელებს მხურვალე კოცნით და ჩემი სუნთქვის სიმხურვალით. მთელი ღამე

უძილოდ გავატარე. ზეცას შევლალადებდი, მიეცა მისთვის ტკბილი და მშვიდი ძილი. ოჰ, ღმერთო, რა მხურვალე და გულწრფელი იყო ჩემი მუდარა და რა სასტიკად უარჰყავ იგი!

ნება მომეცით რამდენიმე სიტყვით დავასრულო ჩემი ამბავი, რის გახსენებაც სიცოცხლეს მიმოკლებს. გიამბობთ იმ უბედურებაზე, რომლის მსგავსიც არასოდეს მომხდარა. მთელი ჩემი სიცოცხლე მისთვის ცრემლსალვრელად არის განწირული. თუმცა იგი განუშორებელივ და განუწყვეტელივ ჩემს მეხსიერებაში ცოცხლობს, მაგრამ ჩემი სული სასონარკვეთილებას ეძლევა ყოველთვის, როცა ვინცე მის გადმოცემას.

ღამის ნაწილი მშვიდად გავატარეთ. მეგონა, ჩემს ძვირფას სატრფოს ჩაეძინა-მეთქი, და სუნთქვისაც კი მეშინოდა, რათა მისთვის ძილი არ გამეფრთხო. განთიადისას, როცა მის ხელებს შევეხე, ვიგრძენი რომ ცივი ჰქონდა და უკანკალებდა. გულში ჩავიხუტე რომ გამეთბო. მან იგრძნო ჩემი მოძრაობა, ხელი ხელზე მომიჭირა და მისუსტებული ხმით მითხრა: ჩემი აღსასრულის ჟამი ახლოვდებაო.

ეს მე უბედურებაში მყოფის ჩივილი მეგონა და მხოლოდ ნაზი სასიყვარულო ალერსით ვუპასუხე. მაგრამ მისმა გახშირებულმა სუნთქვამ, ჩემს შეკითხვებზე პასუხის გაუცემლობამ, ხელების კრუნჩხვამ დამარწმუნა, რომ შორს არ იყო მისი ტანჯვის დასასრული.

ნუ მომთხოვთ ნურც ჩემი განცდის აღწერას და ნურც მისი უკანასკნელი ამოძახილის გადმოცემას. მე მანონი დავკარგე; იგი სიყვარულს მიმტკიცებდა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც კი. აი ეს არის ყველაფერი, რაც შემოძლიან გიამბოთ ამ საბედისწერო და სამწუხარო შემთხვევის შესახებ.

ჩემი სული არ გაჰყვა მის სულს. ცხადია, ზეცამ საკმაოდ სასტიკად არ მიიჩნია ჩემი სასჯელი. მას სურდა, რომ ამის შემდეგაც მეთრია უბადრუკი და შესაბრალისი ცხოვრება.

მთელი დღე-ღამის განმავლობაში ტუჩები არ მომიშორებია ჩემი ძვირფასი მანონის სახისა და

ხელებისათვის. ჩემი განზრახვა იყო იქვე მოვმკვდარიყავ, მაგრამ მეორე დღის დასაწყისს მოვისაზრე, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ მისი სხეული მხეცების საჯიჯგნი გახდებოდა. გადავწყვიტე დამემარხა და მის საფლავზე მელოდნა სიკვდილისათვის. მეც ახლოს ვიყავი ალსას-რულთან, შიმშილისაგან და ტანჯვისაგან ძალზედ დასუსტებული ფეხზე ძლივს ვიდექ. იძულებული გავხდი მაგარი სასმელებისათვის მიმემართა. ამან იმდენი ძალა შემმატა, რომ შევძელი, სამწუხარო წესის შესრულება. ძნელი არ იყო საფლავის გათხრა, იმ ადგილას სადაც მე ვიყავი: იგი ქვიშიანი აღმოჩნდა. გადავტეხე დაშნა და ბარის მაგიერ ვიხმარე, თუმცა მან ნაკლები სამსახური გამიწია, ვიდრე საკუთარმა ხელებმა. ფართო საფლავი ამოვთხარე და ჩავუშვი შიგ ჩემი გულის ქურუმი; ჩემს ტანისამოსში შევახვიე, რათა ქვიშა არ შეჰხებოდა. სანამ ჩავასვენებდი, ათასჯერ ვაკოცე მგზნებარე სიყვარულით. იქვე დავუჯექ და დიდხნას შევყურებდი. ვერ გადამენწყვეტა საფლავის ამოვსება. ვატყობდი, რომ ვსუსტდებოდი. შემეშინდა, მუშაობის გათავებამდე ძალა არ გამომლეოდა, ამიტომ მოვიკრიბე უკანასკნელი ძალა და მიწას მივაბარე ის, ვინც ყველაზე უფრო სრულყოფილი და ძვირფასი იყო. შემდეგ დავემხე პირქვე საფლავზე, თვალები დავხუჭე, რათა არასოდეს აღარ გამეხილა, ზეცას შევთხოვე დახმარება და დავუნყე მოუთმენლად ლოდინი სიკვდილს.

შეიძლება თქვენთვის ძნელი დასაჯერებელი იყოს, რომ ამ სამწუხარო წესის შესრულებისას თვალიდან ერთი ცრემლიც არ ჩამომვარდნია და პირიდან ერთი ოხვრა არ აღმომხდენია. ღრმა

სევდამ, რომელსაც მე განვიცდიდი და სიკვდილის სურვილმა ძირშივე წარკვეთეს სასონარკვეთილებისა და მწუხარების ყოველი გამოვლინება. ამ მდგომარეობაში ერთხანს ვეგდე საფლავზე, სანამ შეგნებისა და აზროვნების უკანასკნელი უნარი არ დავკარგე.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც თქვენ ახლა მოისმინეთ, ჩემი თავგადასავლის დასასრული იმდენად უმნიშვნელოა, რომ არ არის ღირსი თქვენი პატივსაცემი ყურადღებისა. როდესაც სინელეს გვამი ქალაქში გადაიტანეს და ქრილობა გაუსინჯეს, აღმოჩნდა, რომ იგი არა თუ

არ მომკვდარა, არამედ საშიში ჭრილობაც კი არა ჰქონია. მან უამბო ბიძას ჩვენს შეტაკებაზე, ამასთან იმდენი კეთილშობილება გამოიჩინა, რომ აცნობა ისიც, თუ როგორ პატივით მოვექეცი. დამინყეს ძებნა. როცა ვერ გვიპოვეს ვერც მე და ვერც მანონი, დაასკვნეს, გაქცეულანო. რადგან გვიანი იყო, იმავე დღეს მდევარი არ გამოგვიყენეს, მაგრამ მეორე და მესამე დღე მთლად ჩვენ ძებნას მოანდომეს.

ცოცხალ-მკვდარი მიპოვეს მანონის საფლავზე. როდესაც დაინახეს, რომ თითქმის ტიტველი და სისხლში მოსვრილი ვარ, დაასკვნეს ვილაცყებს მოუკლავთ და გაუძარცვიათო. ქალაქში წამიყვანეს. მოძრაობამ გზაში გონს მომიყვანა. თვალი გავახილე და ოხვრა აღმომხდა. კვლავ ადამიანთა შორის აღმოვჩნდი, ჩემი შველა კიდევ შეიძლებოდა; სწრაფად აღმომიჩინეს დახმარება და კვლავ დამიბრუნეს სიცოცხლე.

დაპატიმრება მაინც არ ამცდა. საპყრობილეში ჩამაგდეს. დაიწყო გამოძიება. და რაკი მანონი არსად აღმოჩნდა, ბრალი დამდეს, რომ მე ეჭვით შეპყრობილმა მოვკალი იგი. უბრალოდ და გულახდილად მოვეუყევი მათ სამწუხარო ამბავი. ამ ამბავმა ძალზე დაალონა სინელე, მაგრამ იმდენად სულგრძელი აღმოჩნდა, რომ ჩემი შეწყნარება იშუამდგომლა და კიდევ მიაღწია მიზანს.

ისე დასუსტებული ვიყავი, იძულებულნი იყვნენ სატუსალოდან პირდაპირ ჩემს საწოლში გადავეყვანეთ, სადაც მძიმე ავადმყოფობამ სამი თვე სარეცელს მიმაკრა. ზიზღი სიცოცხლისადმი არ სუსტდებოდა. განუწყვეტლივ სიკვდილს მოვუწოდებდი და დიდხანს არავითარ წამალს არ ვიკარებდი. მაგრამ ზეცამ, დამსაჯა რა მკაცრად, მოისურვა ჩემს სასარგებლოდ მოექცია ჩემი უბედურება და სასჯელი: მან თვალი ამიხილა და ამით ჩემს აზრებს მისცა ჩემი წარმოშობისა და აღზრდის შესაფერისი მიმართულება.

ჩემს სულში თანდათან სიმშვიდემ დაისადგურა და ამ ცვლილებას მალე ჩემი განკურნებაც მოჰყვა. მივეყევი პატიოსნების კარნახს და შევუდექი ჩემი პატარა თანამდებობის აღსრულებას, თანაც ველოდი საფრანგეთიდან გემებს, რომლებიც წელიწადში ერთხელ მოდიან ამე-

რიკის ამ ნაწილში. სამშობლოში დაბრუნება გადავწყვიტე, იქნებ იქ კეთილგონიერი და ღირსეული ცხოვრებით გამომესწორებინა ჩემი სამარცხვინო ყოფაქცევა. სინელემ ითავა და ჩემი ძვირფასი სატრფოს გვაში ღირსეულ ადგილას გადაატანინა.

გავიდა თვენახევარი ჩემი მორჩენის შემდეგ; და აი ერთ დღეს, როდესაც სანაპიროზე დავსეირნობდი, დავინახე სავაჭრო გემი, რომელიც სავაჭრო საქმეებს მოეყვანა ახალ ორლენში. თვალყურს ვადევნებდი გემიდან გადმოსულ მგზავრებს და ძალზე გავოცდი, როდესაც ქალაქში მიმავალ მგზავრთა შორის ტიბერჟი დავინახე. მან გადმომცა, რომ მისი მოგზაურობის ერთადერთი მიზანი იყო, მოვეძებნე და საფრანგეთში დავებრუნებინე. მიიღო თუ არა ჰავრიდან ჩემი წერილი, გამომეშურა იქ, რათა დამხმარებოდა, მაგრამ ძალიან შეწუხდა, როცა გაიგო, რომ უკვე წასული ვიყავი. მაშინვე გამომყვებოდა, წამომსვლელი გემი რომ ენახა. იგი რამდენიმე თვეს ეძებდა ასეთ გემს სხვადასხვა ნავსადგურში, და ბოლოს, სენ-მალოში იპოვნა, რომელიც მარტინიკაში მიდიოდა. ადვილად მოახერხებდა ახალ ორლენში ჩასვლას. მაგრამ გზაში მალოსის გემი ესპანელ მეკობრეებს ჩაუვარდათ ხელთ, რომელთაც იგი თავის კუნძულზე მიიყვანეს. იქიდან ტიბერჟმა გაპარვა მოახერხა. ბევრი ხეტიალის შემდეგ იგი შემთხვევით შეხვდა პატარა გემს, რომელიც ახლა ჩამოვიდა.

არ ვიცოდი, რა სიტყვებით გამომეხატა ესოდენ სულგრძელ და მტკიცე მეგობრისათვის. იგი ჩემთან წავიყვანე; შევთავაზე ყველაფერი, რაც კი გამაჩნდა. ვუამბე ყოველივე, რაც გადამხდა საფრანგეთიდან წამოსვლის შემდეგ, და მისთვის რომ მოულოდნელობით მესიამოვნებინა, დავუმატე, სათნოების იმ თესლმა, რომელიც შენ ჩემს გულში ოდესღაც დასთესე, გაიხარა და ნაყოფი გამოიღო-მეთქი. ამას იგი უნდა დაეკმაყოფილებინა. ტიბერჟმა განაცხადა, ამ სასიამოვნო ამბავმა ამინაზლაურა მთელი მოგზაურობის სიძნელენიო.

ჩვენ ერთად გავატარეთ ორი თვე ახალ ორლენში. ველოდებოდით საფრანგეთიდან გემებს. ბოლოს შევცურეთ ზღვაში და ორი კვირის

წინათ ჰავრ-დე-გრასში გადმოვედით. ჩამოსვლისთანავე ჩვენებს წერილი მივწერე. ჩემი უფროსი ძმის პასუხიდან გავიგე სამწუხარო ამბავი: მამაჩემი გარდაცვლილიყო. სამართლიანად მაძრწუნებს ეს ამბავი, რადგან ვფიქრობ, ჩემმა ცუდმა ყოფაქცევამ დააჩქარა მისი სიკვდილი. ვისარგებლე ზურგის ქარით და მაშინვე ჩავჯექი გემში. კალესკენ გავწიე. იქიდან ნავედი ერთ აზნაურთან, ჩემს ნათესავთან, რომელიც ქალაქიდან რამდენიმე მილზე ცხოვრობს. იქ უნდა შევხვდე ჩემს ძმას, როგორც იგი თავისი წერილით მატყობინებს.